

გორის სასწავლო უნივერსიტეტის  
01სტრუქტურისა და პრეზენტაციის ცენტრი

GORI TEACHING UNIVERSITY  
CENTRE OF HISTORY AND ARCHAEOLOGY

შრომათა კრებული

COLLECTION OF THE WORKS

**№1**

2011

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის კათედრის არსებობის ბოლო პერიოდში დაიწყო სამეცნიერო ნაშრომების (სტატიების) გამოქვეყნება. 2001-2003 წლებში, საუნივერსიტეტო შრომათა კრებულების პარალელურად, გმოქვეყნდა სამი კრებული, რომლებშიც იდეჭდებოდა როგორც გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისე სხვა სასწავლო და კვლევითი დაწესებულებების მეცნიერთა ნაშრომები. კათედრების გაუქმების შემდეგ, ბუნებრივად, შეწყდა კრებულების გამოცემაც.

2010 წელს უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, რომლის ფუნქციონალურ დატვირთვაში გათვალისწინებულია შრომათა კრებულების გამოქვეყნებაც. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მსარდაჭერითა და დაფინანსებით შესაძლებელი გახდა ამ მნიშვნელოვანი სასწავლო-სამეცნიერო საქმის ხორცშესხმა.

რედაქტორის მადლობას უხდის ყველას, ვინც ქმედით დახმარებას გაუწევს და ითანამშრომლებს დასახელებული სამეცნიერო შრომათა კრებულის მაღალ მეცნიერულ დონეზე გამოქვეყნების საქმეში.

#### რედაქტორი: ელდარ მამისთვალიშვილი

#### რედაქტორი:

ზარა ალექსიძე

ვაჟა კიბაძე

ბება კუდავა

ლია მელიქიშვილი

აპოლონ სილაგაძე

გიორგი სოსიაშვილი

გივა ლამბაშიძე

ნოდარ შენგელია

#### პროექტურა:

ელენე ხოჯევანიშვილი

მარიამ კობერიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: გიორგი ფაზიშვილი

The issue of scientific papers (articles) began in the last period of existence of Gori State University History Department. In 2001-2003, together with the issue of the University collected papers, three books were released, where Gori State University and other Teaching and Research Institutions scientists' works were published. After the abolishment of the Departments, it was natural that the issue of the books was also ceased.

In 2010, the Center of History and Archaeology was established at the University. The issue of collected works is a part of its function. With the support and finance of the University leadership, it became possible to carry out the important educational and scientific business.

The editorial board expresses its gratitude to all those who will participate and help to release the mentioned scientific papers at the highest scientific level.

**Editor:** Eldar Mamistvalishvili

**Editorial Board:**

Zaza Alekisdze

Vazha Kiknadze

Buba Kudava

Lia Melikishvili

Apolon Silagadze

Giorgi Sosiashvili

Givi Ghambashidze

Nodar Shengelia

**Reviewer:**

Elene Khojevanishvili

Mariam Koberidze

Computer Services provided by Giorgi Kazishvili

# შინაარსი

# სტატიები

## CONTENTS

## Artikles

**მიტროპოლიტი ანდრია** - *Некоторые сведения об уставе Иверского Петриционского (Бочковского) монастыря Григола Бакурианис-дзе*

**Metropolitan Andria** – *Some information on the regulations of Iberian Petritsioni (Bachkovo), Monastery of Grigol Bakurianisdze – 7*

**იოსებ ალიმბარაშვილი** - *კიდევ ერთი დავით „მეფეთა-მეფის“ რიგითობისა და ვინაობის საკითხისათვის*

**Ioseb Alimbarashvili** - *One More Detail about the Identity (Personality) of Davit - “The King of the Kings” – 12*

**თინა იველაშვილი** - *როცა დუძილი დაღატის ტოლფასა II*  
*Tina Ivelashvili - When A Silence is Equal to Betrayal – 26*

**ვაჟა კიქნაძე** - *ეპისკოპოს კირიონისა და ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილის მიმოწერა, როგორც საისტორიო და ბიოგრაფიული წყარო*

**Vazha Kiknadze** – *Corrspondence of the Bishops Kirion and Petre (Contchoshvili), as Historical and Biographical – 46*

**ელდარ მამისთვალიშვილი** - *თეიმურაზ I-ის და ლუარსაბ II-ის ურთიერთობა შაჰ აბას I-თან (1605-1613 წწ.)*

**Eldar Mamistvalishvili** - *Relations of Teimuraz I and Luarsab II with Shah Abbas I (1605-1613) – 60*

**მანანა მიჩიტაშვილი** - *ამერიკული მისიების მოღვაწეობა საქართველოში 1918-1920 წლებში*

**Manana Michitashvili** - *Work of American Missions in the Period of 1918-1920 in Georgia – 80*

**მურმან პაპაშვილი** – ქართულ-ევროპული იდენტობის  
საკითხისათვის შეა საუკუნეების უცხოური წყაროების მიხედვით  
*Murman Papashvili - Georgian-European Identity issues confirmed by Foreign Medieval Sources – 92*

**ბადრი რაზმაძე** - სოფელ მეჯვრისხევის სკენისმოგვართა ისტორია  
*Badri Razmadze - The History of Stage Lovers of the Village of Mejvriskhevi – 109*

**გიორგი სოსიაშვილი** - ქართულ-ოსური კოალიციის შექმნის ცდა  
რუსების წინააღმდეგ (XIX საუკუნის I მეტახდი)  
*Giorgi Sosiashvili - Attempts for Georgian-Osetian Coalition Creation Against Russia (the 1st quarter of the XIXth century) – 121*

**ზვად შერაზადიშვილი** - ორიალეთის კულტურის საბრძოლო  
იარაღი ცირკუმბანტოს მეტალურგიული პროცენტის სისტემაში  
*Zviad Sherazadishvili - Fighting weapon of the Trialeti Culture in the system of Tsirkumponto Metallurgical Province – 132*

**ვაჟა ჩოჩია** - ნაპოლეონ ბონაპარტი - პირველი კონსული და  
ეგვიპტური არმიის გადარჩენის ცდები  
*Vazha Chochia - Napoleon Bonaparte – the first consul and attempts to rescue the Egyptian army – 149*

**დავით ჩოჩიშვილი** - ბარ კოხბას ამბოხი და საქართველო  
*David Chochishvili - Bar Kokhba's rebellion and Georgia – 161*

**ნიკო ჯავახიშვილი** - უფლისწულ პაატა ვახტანგის ძის  
შეთქმულებაში ჩაბმულ ქართლელ ფეოდალთა ვინაობის  
საკითხისათვის  
*Niko Javakhishvili - On the question of elucidation of the personality of Kartileli Feudal Lords, involved in the conspiracy of the Prince Paata, the son of Vakhtang – 171*

**რეცენზია**

**Review**

**ელდარ მამისთვალიშვილი – 1728 წლის თბილისის ვილაიეთის  
დოდი დავთარი, I-II. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანი,  
შესავლით, გამოკვლევითა და ფაქტიმილურებით გამოსაცემად  
მოამზადეს აკად. ს. ჯიქაძ და პროფ. ნოდარ შენგელიად**

**Eldar Mamistvalishvili - The Great Defter of Tbilisi Vylaiet 1728, vol.  
I-II. The Ottoman Text, with Georgian Translation, introduction,  
research and Facsimiles Prepared for Publication by Academician  
Sergi Jikia and Professor Nodar Shengelia – 194**

**ინფორმაცია**

**Information – 203**

*Митрополит Горийский и Самтависский Андрей (Гвазава)*  
*Грузинская Патриархия*

**Некоторые сведения об уставе Иверского Петрионского  
(Бочковского) монастыря Григола Бакурианис-дзе.**

Сохранившиеся грузино-греческие тексты устава Петрионского монастыря являются списком 13-го века, списанным с подлинника, который был создан в декабре 1083г. ктитором монастыря Григолом Бакуриани. Сведения об основателе содержатся в самом уставе Петрионского монастыря и в других исторических источниках. Некоторые учёные по-разному оценивают личность Григола, но мы думаем, что, в первую очередь, особую важность имеют сведения, записанные в уставе самим Григолом Бакуриани.

Для лучшего раскрытия интересующего нас вопроса, считаем немаловажным ознакомление с личностью ктитора и подателя устава Григола Бакуриани. Григол Бакуриани и его брат Аббас происходили из знатного грузинского рода и служили в Византийской армии. Особую роль играл Григол, сын Бакуриана. Он являлся Великим доместиком Запада Византийской империи.(глав.ком.военными сухопутными силами европейской части империи.) Как он сам пишет, давно уже желавший основать монастырь для погребения в нём погибшего брата, а в будущем и своего упокоения, находясь в Восточной части империи, не смог сделать этого раньше из-за, множества грехов моих и перемен дел мира, а также заботой о мирских делах и любовью к ним, я до сих пор не смог удостоиться привести в исполнение своё намерение. Ныне же, в пору старости моей, отряхнувшись от забот сего мира, и вспомнив день моей кончины и предстоящие страх и ужас в воздаянии деяний моих, я узрел себя, как я сказал выше, пустым и порожным от всех дел угодных Богу. «Поэтому со всем рвением, понеся большие расходы, построил церкви в качестве храма пребывания славы...., церкви красивые и великолепные по мере сил моих и сообразно с обстоятельствами непостоянных непрочных времён сего мира.» (перевод ак. А. Шанидзе)

Как видим, Григол Бакуриани от всей души взялся за дело

построения монастыря. Он является не только построителем святыни, но им также были переданы монастырю земли, сады, виноградники, домашние животные, пруд, гостиница, выстроена больница и мельница, он устраивает недалеко от главного монастыря духовное училище для мальчиков, которые потом будут служить в монастыре в священном сане. Также он передаёт в монастырь богослужебные сосуды, Евангелия ,иконы, св. частицы, кресты, кадильницы, другую дорогую церковную утварь, разные книги, одеяния и ткани, и всё это «во многом количестве». Он обеспечивает братию финансово, как это видно из текста устава, старается юридически и материально максимально во всём обеспечить независимость монастыря. На это есть свой причины.

Во первых, как видим, Григол является отприском славного и влиятельного рода грузинских феодалов из Тао, который, как говорит об этом сам же Великий доместик Запада, „по воле Божьей", и благодаря личной храбости и мужеству, достиг большого военно-общественного положения в Византийской империи. Будучи человеком военным, принимая участие во многих сражениях (это видно из текста), он глубоко понимает важность Божьей милости и покрова Пресвятой Богородицы, и долгое время имея желание на создание святыни, в которой найдёт упокоение его прах, и прах его близких людей, он на склоне лет, уже заглядывая в вечность и имея теперь к этому все материальные возможности, начинает и осуществляет благословленное дело постройки монастыря, о котором говорит так: «..ныне же Бог удостоил меня исполнить вожделения моего сердца.»

Во вторых, начиная с 5-6 веков, грузинские монахи подвизались в Палестине и Синае, Греции и Кипре, Антиохии, Константинополе и Афонской Горе. Монастыри являлись сильными духовными и культурными центрами, которые поддерживали неразрывные и полно- ценные связи со своей Родиной, и вносили неоценимый вклад в развитие Иверии и её Церкви. Очевидно, хорошо зная об этом и поддерживая тесные связи с грузинами (Петрионский Типик; Картлис цховреба), Григолу Бакуриани от всего сердца хотелось поселить именно иверских монахов на принадлежащих ему землях, в выстроенном

им монастыре.

В Петрионском типике сказано, что»..монахи моего монастыря родом грузины.». Как видно, монастырь изначально был предназначен для грузин, которые прибывали бы сюда из Иверии или же воспитывались бы при монастыре. В типике мы встречаем главу, где сказано, что в монастыре допустимо быть лишь одному монаху греку, для ведения переписки и документации(причина этому прямо обоснованна, аналог видим в житии пр-ых Иоанна и Эвфимия). Понимая все возможные трудности, которые могли бы в последствии возникнуть у братии, ктитор всячески постарался на законной основе освободить монастырь от любых видов податей и налогов, повинности и служений, каковы бы они не были- царские, правительственные, патриаршие, митрополичьи и др.

Теперь, после всего выше сказанного, мы обратимся к основному интересующему нас вопросу, вопросу устава Иверского Петрионского монастыря. Григол Бакуриани, который основал Иверский Петрионский монастырь и столько сделал для братии сей святой обители, обязывает их лишь в одном, чтобы братия монастыря заботилась только о монашеском, истинно Евангельском житии и подвиге, а так же возносили поминальные молитвы о ктиторах святой обители, а для этого даёт устав сему монастырю.

Основой устава Петрионского монастыря стал типик монастыря Панагии, в Константинополе, с которым как говорит сам Григол Бакуриани, у него « имелись любовь и духовное братство».

Петрионский монастырь, как подчеркнуто в его уставе, есть монастырь общежительный, с определённым числом насельников(число оговаривается), управляет настоятелем, настоятелю в управлении помогают экономы и епитроп. Настоятель, экономы и епитропы выбираются из братии, братия поделена на три разряда: первый разряд- священники и должностные лица, всего 15 человек; второй разряд- также 15 человек; третий разряд- 20 человек; настоятель есть духовный отец и пастырь для всех; присутствие на богослужении и трапезе для всех обязательно; труд еда, питье, одежда для всех едины; братия должна исповедоваться перед настоятелем-

священником, т.к. связывание и разрешение грехов зависит от священника; помимо воли настоятеля никто из братьев не должен приниматься ни за какое-либо служение; послушание старшему, служение и уважение ко всем- есть обязательное делание для всей братии, как исполнение евангельских заповедей.

Итак, в заключение следует отметить:

1. Устав Петрионского монастыря есть устав общежительный. Он состоит из 37 глав.

- . Во многом он основывается на типике монастыря Панагии.
- 2. В тексте устава много цитат из Священного Писания, (Ветхий и Новый Завет, Апостол) которыми обосновываются те или иные указания устава, т.к. монашеское житье, есть житье Евангельское, как полнейшее и точнешее осуществление заповедей Христовых.
- 3. В нём чётко разграничены и описаны обязанности и функции братии, как должностных лиц ,также и священников, архидиаконов, иподиаконов и остальных монахов, несущих своё служение на разных местах внутри и вне монастыря.
- 4. В типике подчёркиваются нравственно-воспитательные функции настоятеля и его особо любвеобильная забота о доброжелательстве всей обители.
- 5. Ясно сформулирован вопрос ответственности должностных лиц и всех членов обители за догматическое, каноническое, нравственное, финансово-экономическое нарушение.
- 6. В уставе дан литургический каждодневный и ежегодный особый (поминания ктиторов) цикл богослужений в монастыре. В нём указаны дни поминовения устроителей святой обители и чин их служения.
- 7. Также подчёркнуто для всех значение выполнения ктиторского устава и тяжесть наказания в случае халатного отношения к его требованиям.
- 8. В уставе скрупулезно записаны все пожертвования ктиторов, Григола и Аббаса Бакурианис-дзе и под страшными проклятиями стоят любые хищничества и посягательства на имущество монастыря, от кого бы это не исходило.

В дальнейшем предполагается продолжить богословско-канонический разбор устава Иверского Петрионского монастыря Григола Бакурианис-дзе.

### **Ссылки:**

1. Грузинский монастырь в Болгарии и его типик. Шанидзе А. Г. ст.244-45
2. Там же. ст.281
3. Там же. С.286
4. Там же. С.285
5. Там же. С..286
6. История древнегрузинской литературы т.1 Кекелидзе К. С. С..88-92; 97-98.
7. Картлис Цховреба. Житие св.царя Давида .С.310
8. Грузинский монастырь в Болгарии и его типик. Шанидзе А. Г. С. .314
9. Житие преподобных Иоанна и Эвфимия, преп. Георгия Иверийского. С.370
10. Грузинский монастырь в Болгарии и его типик. Шанидзе А. Г.,,Мецниереба,, 1971 г. С.302-305
11. Древние иноческие уставы. Епископ Феофан. С.5
12. ПРАВИЛА СВЯТОГО ВСЕЛЕНСКОГО HYPERLINK "<http://www.krotov.info/spravki/help/chron/05.htm>" \l "451\_4"  
ЧЕТВЕРТОГО СОБОРА, ХАЛКИДОНСКОГО пр.24-е

ოოსებ ალიმბარაშვილი  
გორის სასწავლო უნივერსიტეტი,  
მოწვეული სპეციალისტი

**კიდევ ერთი დავით „მეფეთა-მეფის“ რიგითობისა და ვინაობის  
საკითხისათვის**

მეფეთა რიგითობის საკითხი პირობითი და ხშირად საკამათოცაა. საქართველოს ისტორიაში მძიმე პერიოდები იშვიათობას არ წარმოადგენს, როდესაც ქვეყნის დარბევას მეფე-მთავართა მიერ გაცემული სიგელ-გუჯრებისა და ოფიციალური წყარო- დოკუმენტების განადგურებაც თან სდევდა.

განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა XIV საუკუნის მეორე ნახევარში. იმის გამო, რომ აღნიშნული პერიოდის ამსახველი ქართული წყარო აღარ შემორჩა, „...ამბავნი გუჯართა და სპარსთა და სომეხთა ცხოვრებისაგან გადმოვიდეთ და აღვწერეთო,“ ამბობს ბერი ეგნატაშვილი (13:326).

რა თქმა უნდა, ამ გარემოებამ საქართველოს ისტორიის ნათქვამი პერიოდის შესწავლას თავისებური დაღი დაასვა. ჯერ ერთი, უცხოელ ავტორთა სანდოობის ხარისხი დაბალია. ხშირ შემთხვევაში მიზანმიმართული ტენდენციურობის გარდა, მათთვის სერიოზულ ბარიერს წარმოადგენდა ქართული ენის უცოდინარობაც, რის გამოც მახინჯდებოდა პირთა სახელები, ტოპონიმები და სხვ.

დღეისათვის გავრცელებული შეხედულებით, გორგი ბრწყინვალის ვაჟი – დავით IX 1360 წელს გარდაიცვალა გეგუთში და გელათში დაკრძალეს (15:180; 24:27). ტახტზე ავიდა ბაგრატ V, რომელიც მისმა ვაჟმა – გიორგი VII-მ შეცვალა 1393 წელს.

თუმცა, ჩვენს ხელთაა XIV საუკუნის II ნახევრის რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც ამ მოსაზრებას ეჭვებეშ აყნებს. ყველა საბუთის გამცემია დავით „მეფეთა-მეფე“. ნაწილს თარიღი უზის, ნაწილი – უთარიღოა.

დავიწყოთ უთარიღობით. თ. უორდანიას „ქრონიკებში“ მოჰყავს ნიკოლოზ მაწყვერელის მიერ ქართლის კათალიკოს იოვანესა და სვეტიცხოვლისათვის მიცემული პირობის წიგნი, რომელშიც დავით მეფეთა-მეფეა ნახსენები. საბუთში ნიკოლოზი კათალიკოსისადმი პირობას დებს, რომ „სიცოცხლესა ჩემსა თუინიერ მცხეთისა სახლი და ქალაქი არა აღვიარო ...მაკურთხევლის ჩემის იუანეს კაზისაგან კიდე სხუასა კათალიკოზს არა დავემორჩილო, მოძღორად და მაკურთხევლად ჩემთა წარ დედაქალაქი მცხეთა და თქუნ იყვნეთო“ (14:330).

თ. უორდანიამ სიგელში ნახსენები „დავით მეფეთა-მეფე“ ქართლის მეფე დავით მეათესთან (1505-1525) გააიგივა და საბუთიც ქრონილოგიურად ამ პერიოდში მოათავსა (14:330). მოგვიანებით იგივე აზრი გაიზიარა ქრ. შარაშიძემ (11:28).

პირველი, ვინც აღნიშნულ ფაქტში ეჭვი შეიტანა, ჯუმბერ ოდიშელი იყო. მან სიგელში ნახსენები დავით მეფე, დავით IX-დ (1346-1360) მიიჩნია. იგი მართებულად შენიშნავდა, რომ 1) პალეოგრაფიულად საბუთი XIV საუკუნისას ჰყავს; 2) საბუთში ნახსენები ტერმინი „დაწერილი“ XVI საუკუნეში აღარ გვხვდება და 3) საბუთზე გამოყენებული ჭვირნიშანი 1360-1370 წლებში ყოფილა გაგრცელებული (10:78).

თუ კ. ოდიშელის არგუმენტებს გავიზიარებთ, შესაძლოა საბუთში ნახსენები „დავით მეფეთა-მეფე“ დავით IX კი არ იყოს, არამედ ამავე სახელის სხვა ქართველი გვირგვინოსანი, რომლის მეფობის ქრონილოგია სწორედ XIV

ს-ის 70-იან წლებში თავსდება და ქვემოთ ვრცლად გვექნება საუბარი.

ჩვენს ეჭვს აძლიერებს სიგელის შინაარსიც. როგორც ვხედავთ, პირობის წიგნი ქართლის კათალიკოს იოვანესა და სვეტიცხოვლისადმია მიცემული. კათალიკოსის კურთხევა და აწყურის ტაძრის წინამდღვარობა ნიკოლოზ მაწყვერელისადმი შემთხვევით არ ხდება. აღნიშნული წყალობის სანაცვლოდ, მაწყვერელმა „თვინიერ მცხეთისა სახლი და ქალაქი“ არ უნდა აღიაროს და იოანე კათალიკოსის გარდა „სხვას კათალიკოზს“ არ დაემორჩილოს.

ცნობილია, რომ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე ივანე ათაბაგის წაქეზებით აწყურის (მაწყვერელმა) ეპისკოპოსებმა ლოცვებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების მოხსენიება შეწყვიტეს და ანტიოქიის პატრიარქისადმი დაქვემდებარება სცადეს. აწყურის ტაძრის სვეტიცხოვლისადმი კვლავ დაქვემდებარებას საქართველოს დედა-უკლესისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ნიკოლოზ მაწყვერელი აღნიშნულ წყალობას, სვეტიცხოვლისა და კათალიკოსის ერთგულების სანაცვლოდ იღებს.

დავით „მეფეთა-მეფის“ კიდევ ერთი უთარიღო სიგელი, სასისხლო ხასიათისაა და გელაძე გრიგოლასადმია მიცემული, რომლის ვაჟს ქავთარ დავლაძე მოუკლავს. „სისხლის ფასად“ გელაძეს ოთხმოცი ათასი კირმანეული, აბჯარი, ცხენი, ნაქსოვი და ხვასტაგი „სიმრავლით“ გადაუხდია (4:34; დოკ. №27).

საბუთის გამცემ „დავით მეფეთა-მეფედ“ ექვთიმე თაყაიშვილმა გიორგი ბრწყინვალეს მემკვიდრე დავით IX მიიჩნია და ქრონოლოგიურადაც ამ წლებით (1346-1360 წ.წ.) დაათარიღა. კომენტარში თაყაიშვილს არგუმენტებად მოჰყავს სიგელის პალეოგრაფია და საბუთის ბოლოს დართული მეფის ხელრთვა. თუმცა, იქვე ნათქვამია, რომ ბატონ ექვთიმეს მხოლოდ სიგელის გადაწერილი პირი ჰქონია ხელთ და არა

დედანი (4:34; დოკ. № 27 განმარტებითი ნაწილი). ავთენტურობის თვალსაზრისით, ხელრთვის ავტორის კატეგორიულად დავით IX-ს მიჩნევას ჩვენ მიზანშეწონილად არ ვთვლით, მით უფრო, რომ XIV ს-ის II ნახევარში მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში მეფედ რამდენიმე დავითი ჩანს.

რაც შეეხება დავით მეფეთა-მეფის თარიღიან სიგელებს, მკითხველს ორ მათგანს ვთავაზობთ. ორივე წყალობისაა. ერთი მათგანი გაცემულია 1365 წლის 31 დეკემბერს და დავით მეფეთა-მეფე ეზოს ჩუხჩარეს პაპიას, ერთგულების სანაცვლოდ, გორში ქისაყელის მამულს სრულად უბოძებს: „...გქონდეს ერთგულებად სამსახურსა შინა მეფობისა მოუშორებელს ლაშქარს შინა და გარე ყველგანო“ (1:ფ. HD, საბ. № 2199).

აღნიშნული შინაარსის სიგელი გამოქვეყნებული აქვს სარგის კაკაბაძესაც (5:28), მაგრამ, ჩვენ მიერ ნანახი და „კაკაბაძისეული“, ერთი სიგელის ხვადასხვა პირები უნდა იყოს, რადგან კაკაბაძე საბუთის ბოლოს მიუთითებს: „ხვეულად ამტკიცებს მეფე“. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ პირს კი ხელრთვა არ ახლავს.

ბატონი სარგისი სიგელის გამცემად დავით IX-ს მიიჩნევს, ხოლო მისი მემკვიდრის – ბაგრატის გამეფების თარიღად 1369 წელს გვთავაზობს. მისივე ცნობით, ამავე (1369) წელს უნდა გარდაცვლილიყო დავით მეფე (5:28).

სხვათა შორის, სარგის კაკაბაძე ერთადერთი არ არის, ვინც დავით IX-ის 1360 წელს გარდაცვალებას არ ეთანხმება. მაგ. თამაზ ბერაძესა და მანანა სანაძეს ბაგრატის გამეფების თარიღად 1366 წელი მიაჩნიათ (3:212), ხოლო „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტის მიხედვით, დავითის გარდაცვალება და ბაგრატის გამეფება ხდება 1373 წელს (13:446).

განსაკუთრებით საინტერესოა დავით „მეფეთა-მეფის“  
მიერ გაცემული მეორე თარიღიანი სიგელი იმ  
თვალსაზრისით, რომ ვიგებთ მის წარმომავლობას, გამეფების  
თარიღს, შთამომავლობას და სხვ. სიგელი ნახება გორის  
სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.  
დაწერილია მოლურჯო ქალალდზე, მხედრული ხელით.  
საბუთით დავით მეფეთა-მეფე „იესიან დავითიან სოლომონიან  
პანკრატოვან აფხაზთა რანთა, კახთა, შაა (შაჰანშა – ს. ა.)  
და შირვან და საქართველოს მპყრობელია“. ჰყავს ძების:  
გიორგი და ალექსანდრე, თამარ დედოფალი მისი „ბებიის  
ბებიაა“ და ა. შ.

სიგელი შედგენილია „მას უამსა ოდეს სარკინოზთა და  
ისმაიტელთა ბრძოლა შეექმნა საბერძნეთს და აღისუნეს  
ქალაქნი და აგარაკნი მათნი. ქვს სამოცდაათსა, დასაბამითგან  
წელთა შვიდიათას ორას და ათსაო“. ამ დროისათვის დავითის  
მეფობის „კმ“ ინდიქტიონი ყოფილა. დამწერია სამეფო კარის  
წინამძღვრი – იოსებ უჯარმელი (2; საბ. № 7601/30).

როგორც ვხედავთ, დოკუმენტს ქართულ  
ქრონოლოგიაში გავრცელებული სამივე ფორმა „ქორონიკონი“,  
„დასაბამიდან“ და „ინდიქტიონი“ უზის თუმცა, მათი  
გამოთვლებით საბუთის გაცემის განსხვავებულ წლებს ვიღებთ.

ქორონიკონის მიხედვით, სიგელი გაცემულია 1382  
წლის 30 ივნისს ( $1312+70=1382$ ). დავით „მეფეთა-მეფე“  
გამეფებულა 1354 წელს, რადგან 1382 წლისათვის მისი  
მეფობის 28 (კმ) ინდიქტიონი ყოფილა ( $1382-28=1354$  წ.).

სიგელის გაცემის დროისათვის სარკინოზებს და ისმაიტელებს  
აუოხრებიათ საბერძნეთის „ქალაქნი და აგარაკნი“.

განსხვავებულ წლებს ვიღებთ სიგელზე დასმული  
„დასაბამის“ მიხედვით. საქართველოში „დასაბამის“ ორი  
ფორმა – ქართული და ბერძნული იხმარებოდა. ქართული  
„დასაბამის“ მიხედვით, სამყაროს შექმნის თარიღად მიჩნეული  
იყო 5604 წელი, ხოლო ბერძნულით – 5508.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქართული „დასაბამით“ სიგელი გაცემულია 1606 წელს (7210-5604=1606 წ.), ხოლო ბერძნულით – 1702 წელს (7210-5508=1702).

უფრო სარწმუნოდ, სიგელზე დასმული „ქორონიკონი“ მიგვაჩნია შემდეგ გარემოებათა გამო:

1) 1382 წელს საქართველო ჯერ კიდევ ერთიანი სახელმწიფოა და თუნდაც „პროვინციის მეფის“ მიერ საბუთში მოხსენიებული ტიტულატურა არ უნდა გაგვიკვირდეს. 1606 და 1702 წლებისათვის კი ქვეყანა უკვე დიდი ხნის დაშლილია ცალკეულ ნაწილებად და საბუთში მეფის ამ ფორმით მოხსენიება შეუსაბამოა;

2) თუ XIV საუკუნის ბოლოს საქართველოში ბაგრატიონთა საგვარეულოში რამდენიმე დავითი ჩანს, განსხვავებული ვითარება გვაქვს XVI-XVII ს-ის დასაწყისისათვის:

1606 წელს ქართლის მეფეა გიორგი X, რომლის ვაჟი ლუარსაბ II (1606-1614 წ.წ.) უძეოდ გადაეგო. კიდევ უფრო რთული სიტუაციაა 1702 წლისათვის („ორიანობა“), როდესაც, ქართლის მეფე გიორგი XI და კახეთის – ერეკლე I ნაზარ-ალი-ხანი ირანში არკვევენ ურთიერთობას. ამ მხრივაც სიგელზე დასმული „ქორონიკონი“ უფრო სანდოა.

3) 1606 და მით უფრო 1702 წლისათვის „ისმაილიტიანებს“ (ოსმალებს) საბერძნეთი უკვე დიდი ხანია დაპყრობილი აქვთ და საბუთში მისი ამ ფორმით მოხსენიება ალოგიკური ჩანს, ხოლო 1382 წელს ოსმალებმა მართლაც აიღეს ბულგარეთის დედაქალაქი სოფია და მისი მიდამოები მოარბიეს. გამორიცხული არ არის, საბუთის დამწერი ამ ფაქტს გულისხმობდეს, მით უფრო, რომ ბულგარეთი და მისი დედაქალაქი სოფია იმ დროისათვის ბიზანტიის შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო ტრადიციის მიხედვით, საქართველოში ბიზანტიელებს ბერძნებს უწოდებდნენ;

4) სიგელის დამწერია მეფის კარის წინამძღვარი – იოსებ უჯარმელი. მისი იდენტიფიკაცია XIV ს-ის II ნახევრის სხვა საბუთებში არ ხერხდება, მაგრამ განსხვავებულ სურათს გვაძლევს XVII-XVIII ს-ბის საბუთებიც. 1606 წლისათვის სამეფო მდივნად ბირთველ თუმანიშვილია, ხოლო XVIII ს-ის დასაწყისში ქართლის მეფის მდივან-მწიგნობრებად გივი თუმანიშვილი და ერასტი ჩანან.

5) საბუთში მოხსენიებული სამეფო კარის თანამდებობა ეზოს „ჩუქჩარი“, აშკარად ძველია და XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში აღარ იხსენიება.

პალეოგრაფიდან გამომდინარე, საქმე უნდა გვქონდეს სიგელის მოგვანებით გადაწერილ ასლთან და არა მის დედანთან. შესაძლოა, „ქორონიკონ-დასაბამში“ დაშვებული ცდომილება, სწორედ გადამწერის შეცდომა იყოს.

აღნიშნული სიგელი 1914 წელს გამოქვეყნებული აქვს სარგის კაკაბაძესაც. საბუთი მეცნიერს უნახავს თბილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა არქივში, მაგრამ არც ის ყოფილა დედანი. კაკაბაძე შენიშნავს, რომ საბუთის პირი გადაწერილი ყოფილა XIX ს-ის დასაწყისში თარჯიმან - ხმიადოვის მიერ (6:140).

როგორც ირკვევა, თავის დროზე სიგელის რამდენიმე პირი გადაწერეს რადგან, ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი და კაკაბაძისეული პირები ერთმანეთისგან განსხვავდება, არა შინაარსით, არამედ ტექსტის სტრუქტურით. კაკაბაძის გამოქვეყნებული სიგელი იწყება ძველი ქართული საბუთებისათვის დამახასიათებელი ღვთის სადიდებელი საკმაოდ დიდი შესავლით, ხოლო გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული სიგელი იმგვარად, როგორც ზემოთაა წარმოდგენილი. სამწუხაროდ, არა მარტო დედანი, არამედ სარგის კაკაბაძის მიერ ნანახი პირიც დღეისათვის აღარ არსებობს. ყოველ შემთხვევაში საქართველოს ეროვნულ ისტორიულ არქივსა და ხელნაწერთა

ეროვნულ ცენტრში იგი არ არის და გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ეგზემპლარი ერთადერთია.

მაშ ვინ არის საბუთის გამცემი დავით „მეფეთა-მეფე“? როგორც ვხედავთ, იგი ერთიანი საქართველოს გვირგვინოსნად წარმოგვიდგება. ვიგებთ იმასაც, რომ იგი თამარის მეოთხე თაობას წარმოადგენს. თამარი მართლაც იყო ბების-ბებია დავით VIII-ის (დემეტრე თავდადებულის უფროსი ვაჟის), მაგრამ იგი გაცილებით ადრე (1293-1311 წ.წ.) მეფობდა. 1354 წელსაც საქართველოს მეფე დავითია (დავით IX - გიორგი ბრწყინვალის ვაჟი), მაგრამ გავრცელებული მოსაზრებით, იგი 1360 წელს გარდაიცვალა და 1382 წელს წყალობის სიგელს ვერ გასცემდა. ბაგრატ V-ის უფროსი ვაჟიც დავითია, მაგრამ მეფედ არასოდეს ყოფილა.

ამავე დროის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარულ აღაპებში დავით მეფე (ან მეფეთა-მეფე) თარიღის გარეშე (მხოლოდ თვე და რიცხვია მოცემული) რამდენჯერმეა მოხსენიებული (8: № 7, ტაბულა XXVII, გვ. 80; № 195, ტაბულა XXVII, გვ. 97; № 196, ტაბულა XXVIII, გვ. 97; № 286, ტაბულა XXVII, გვ. 105; № 295, ტაბულა XXXII, გვ. 106). შესაძლოა, რომელიმე მათგანი დავით „მეფეთა-მეფისადმი“ იყოს განკუთვნილი.

დავით „თბილისის მეფეს“ ახსენებს მიხეილ პანარეტოსიც (16:41). თუმცა, დადასტურებულად ძნელია იმის თქმა, ბერძენი მეცნიერის მიერ ნახსენები „თბილისის მეფე“ გიორგი ბრწყინვალეს ძეა, თუ ბაგრატიონთა გვერდითი შტოს (ალასტანელთა) შთამომავალი, ბერძენი მემატიანე ამბობს, რომ 1376 წელს იმპერატორ ალექსი III-ის ვაჟის ანდრონიკეს დაკრძალვას „ივერიელი დავითის, თბილისის მეფის“ ქალიშვილი ესწრება. თითქოს რჩება შთაბეჭდილება, რომ საუბარი დავით მეცხრეზეა, რადგან ქალიშვილი გულქან-ხათუნი (იგივე ევდოკია), რომელიც მეფეს სამცხის ათაბაგ აღბუღას დისაგან ჰყავდა, მართლაც იყო ალექსი III ვაჟის

ანდრონიკეს (+1370 წ.) მეუღლე. ანდრონიკეს გარდაცვალების შემდეგ, გულქან-ხათუნი გათხოვდა ალექსი III-ის უმცროს ვაჟზე – მანუელზე.

თუ საუბარი მართლაც დავით მეცხრეზეა, ეჭვი მის ტიტულთან („თბილისის მეფე“) დაკავშირებით ჩნდება (მით უფრო, რომ მან ერთიანი საქართველო ჩაიბარა მამის – გიორგი ბრწყინვალესაგან), იმ დროს, როცა იგივე პანარეტოსი დავითის შვილს - ბაგრატ V-ს ივერიელთა და აფხაზთა მეფედ მოიხსენიებს (7:38).

მართლაც, ხომ არ ზის ამ დროისათვის აღმ. საქართველოში (თბილისსა და გორში) დავით „მეფეთა-მეფე“. ცნობილია, რომ ბაგრატ V-ის მეფობის პირველ წლებში დასავლეთ საქართველოში მძლავრი აჯანყება დაიწყო მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ სვანთა ერისთავ ვარდანისძის მეთაურობით. აჯანყებულებმა ქუთაისი გაძარცვეს და დაწვეს. ბაგრატი იძულებული ხდება იმერეთში გადავიდეს (12:88). გამორიცხული არ არის, შექმნილ მძიმე ვითარებაში აღმ. საქართველოს ნაწილს, თუნდაც დროებით (XIV ს. 70-იანი – 80-იანი წლების I ნახევარი), მართლაც, დავით „მეფეთა-მეფე“ დაუფლებოდა.

კიდევ ერთი ფაქტი, რაც ზემოთ მოტანილ თარიღიან სიგელებს აერთიანებს ისაა, რომ ორივე მათგანში მეფე გორში არსებულ ტერიტორიებს უწყალბებს, პირველ შემთხვევაში კონკრეტული თანამდებობის პირს (ჩუქჩარს), ხოლო მეორედ – ოქონის მონასტერს.

1382 წლს გამცემ დავით „მეფეთა-მეფეს“ დიდ ადგილს უთმობს დავით ნინიძე და თვლის, რომ იგი ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ შტოს წარმომადგენელია (9:58).

იქვეა მოცემული დავით მეფის გენეალოგია-ქრონილოგია. ნინიძის მიხედვით, იგი გიორგი „ალასტანელის“ ძმა და ანდრონიკე „მეფეთა-მეფის“ ვაჟია. შესაბამისად, მათი

მეფობის წლებია: ანდრონიკე (1340-1354); დავითი (1354-1382) გიორგი „ალასტანელი“ (1354-1373). ისინი დავით VIII-ის (დემეტრე თავდადებულის უფროსი ძის – ს. ა.) უფროსი ძის – მელქისედეკის შთამომავლები არიან, რომელიც პირველ ალასტანელ “პროვინციის მეფე“ წარმოგვიდგება (9:59-60;73).

ჩვენ დავით „მეფეთა-მეფის“ პროვინციის მეფობას არ უარყოფთ, მაგრამ გაუგებრად მიგვაჩნია, რას ემყარება ნინიძის მიერ დავით მეფის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად 1382 წლის ჩვენება. ოუ მასში ზემოთ ნახსენები სიგელის გაცემის წელი მოიაზრება, საბუთში არსად მინიშნებული არ არის, რომ ამ წელს მეფემ თავისი მოღვაწეობა დაასრულა.

როგორც ვხედავთ, XIV ს-ის 60-იანი წლებიდან მოყოლებული XV ს-ის დასაწყისის ჩათვლით, აღმ. საქართველოში ბაგრატიონთა ტახტის ირგვლივ საკმაოდ რთული ვითარებაა შექმნილი და დამატებითი მასალების აღმოჩენის გარეშე, მხოლოდ ვარაუდების დონეზე შეიძლება საუბარი.

რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ყოველივე ზემოთქმულიდან?

დასაშვებია რამდენიმე ვარიანტი:

1) 1365 წელს გაცემული წყალობის სიგელის ავტორი შესაძლოა დავით IX-ა, რომელიც გარდაიცვალა არა 1360 წელს, როგორც აქამდე იყო ცნობილი, არამედ 1365 წელს ან მის შემდეგ; ხოლო 1382 წლის სიგელი „პროვინციის მეფე“ – დავითს ეკუთვნოდეს;

2) სავარაუდოდ, XIV ს-ის 70-იან წლებსა და 80-იანი წლების პირველ ნახევარში აღმ. საქართველოს ნაწილს (გორსა და თბილისს) დროებით „პროვინციის მეფე“ დავითი დაეუფლა, ხოლო ბაგრატ V დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს აკონტროლებდა;

3) დავით „მეფეთა-მეფის“ 1382 წლის გორის ოქონის ტაძრისადმი შეწირულობის სიგელი რამდენჯერმე უნდა იყოს გადაწერილი სხვადასხვა საუკუნეებში. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ XIX საუკუნეში ხმადოვის მიერ გადაწერილ და გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ სხვადასხვა პირებში ზუსტად ერთიდაიგივე სახის ქრონოლოგიური შეცდომაა დაშვებული. „ქორონიკონსა“ და „დასაბამის“ თარიღში არსებული ცდომილება სავარაუდოდ, სიგელის უფრო ადრეულ საუკუნეებში გადამწერის მიერ დაშვებული შეცდომა უნდა იყოს.

4) დაბოლოს, თუ 1365 და 1382 წლების სიგელების გამცემი ერთიდაიგივე დავით „მეფეთა-მეფეა“ (ეს ადვილი შესაძლებელია, რადგან 1382 წლის სიგელის გამცემი დავითი ჯერ კიდევ 1354 წლიდან ჩანს მეფედ), გორსა და თბილისსაც ფლობს, მაშინ იგი „პროვინციის მეფედაც“ ვერ ჩაითვლება. ასეთ შემთხვევაში, რიგითობის მიხედვით, X არა ქართლის მეფე დავითია (1505-1525 წ.წ.), არამედ აღმოსავლეთ საქართველოს მეფე დავითი, რომლის მეფობა მინიმუმ 1365-1382 წლებით მაინც უნდა განვსაზღვროთ.

### დამოწმებანი:

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
2. გორის სახელმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიებ).
3. ბერაძე თამაზ, სანაძე მანანა, საქართველოს ისტორია, წიგნი I (ანტიკური ზანა და შუა საუკუნეები). თბ., 2003.
4. თაყაიშვილი ექვთიმე, საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფ., 1909.
5. კაკაბაძე სარგის, გენეალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა, ტფ., 1913.

6. კაკაბაძე სარგის, „დავით უცნობი XIV ს. მეფე“, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიიდან, წიგნი I, თბ., 1914.
7. კიგნაძე ვაჟა, საქართველო XIV საუკუნეში, თბ., 1989.
8. მეტრეველი ე. იერუსალიმის ქართული კოლონის ისტორიისათვის (XI–XVII ს.ს.) თბ., 1962.
9. ნინიძე დავით, პროვინციის მეფეები XIV-XV ს. საქართველოში (ბაგრატიონთა საგვარეულო ისტორიისათვის), თბ., 1995.
10. ოდიშელი ჯუმბერ, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV–XVII ს.ს.), კრებულში: „XIV–XVIII ს.ს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი“, თბ., 1964.
11. „სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV–XVI ს.ს.)“, ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლეულები და საბიექტლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961.
12. საქართველოს ისტორია, ტ. II (XIII–XVIII საუკუნეები), 6. ასათიანისა და გ. ჯამბურიას რედ. თბ., 2008.
13. ქართლის ცხოვრება“, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1958.
14. ქონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილნი, ახსნილი და გამოცემული თ. უორდანიას მიერ, ტ. II. ტფ., 1897.
15. ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1979.
16. Трапезундская хроника Михаила Панарета, с переводом предисловием и комментариями издал А. Хаханов, Москва 1905.

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოს ისტორიის უმძიმესი პერიოდი – მე-14 საუკუნის მეორე ნახევარი.

ცნობილია, რომ თემურ-ლენგის რვაგზის შემოსევამ, იმ დროის ამსახველი ქართული პირველწყარო აღარ დაგიტოვა და იძულებული გაგვხადა უცხოურ, ხშირად საეჭვო წარმომავლობის ავტორებს დავყრდნობოდით.

ამიტომაა, რომ აღნიშნული დროის ქართველ მეფეთა ქრონოლოგიის (დავით IX (1346–1360); ბაგრატ V (1360–1393); გიორგი VII (1393–1407) ვახუშტი ბატონიშვილისეული გაგება (რომელსაც, თვით ვახუშტის სიტყვით, მხოლოდ ერთი – ბარათიანთა გუჯარი „ჰმოწმობდა“), საეჭვოდ აღარავის გაუხდია და დუმილით გვერდს უკლიდა ამ საკითხს.

ავტორს მოტანილი აქვს ბაგრატ V-ის დროინდელი ორი (1365 და 1382 წ.წ.) საბუთი, რომელიც დავით „მეფეთა-მეფის“ მიერაა გაცემული და ზემონათქვამ მეფეთა ქრონოლოგიას ეჭვქვეშ აყენებს.

*Ioseb Alimbarashvili  
Gori Teaching University, Specialist by contract*

## ONE MORE DETAIL ABOUT THE IDENTITY (PERSONALITY) OF DAVIT - “THE KING OF THE KINGS”

### RESUME

The article deals with the precedence of the Georgian kings in the half of the XIV century – one of the hardest and the less studied period. The Tamerlane invasions to Georgia for eight times (1386-1403) destroyed all the Georgian historical sources of that period. This well-known fact has made scientists be based on some foreign suspicious authors.

According to the assumption of the scientists the chronology of the above mentioned period is in the following order: Davit IX (1346-1360), Bagrat V (1360-1393), Giorgi VII (1393-1407); The precedence is based on Vakhshuti Batonishvili's assumption which itself was based on the initial source "Baratianta Gudjari". The only document is not sufficient for the author of the article to make a conclusion and he brings several documents of the second half of XIV century (some of them dated and some of them not) that casts doubt to the issue of the Georgian kings' precedence. Notably, there are the deeds of the years 1365 and 1382 granted not by the king Bagrat V but by Davit "the king of kings".

The author of the article carries out a deep analysis of the document and presents a very interesting assumption, which puts the common view of the precedence of the Georgian reigns under question and reveals an important novelty for us.

## თინა იველაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

### როცა დუმილი ღალატის ჭოლფასია II

XIX საუკუნის II ნახევრიდან დაწყებული დღემდე გრძელდება შოვინისტ-ნაციონალისტი სომხების მხრიდან აღვირახსნილი ცრუ პროპაგანდა იმის შესახებ, რომ სამცხე-ჯავახეთი-წალკა სომხეთის ძირმელი ისტორიული ტერიტორია, სადაც უძველესი დროიდან მხოლოდ სომხები ცხოვრობენ და ამდენად ეს რეგიონი მათი ისტორიული სამშობლოა.

ამ პროპაგანდამ ოდნავ შენიდბული სახე მიიღო საბჭოთა ხელისუფლების დროს. თუმცა კომუნისტური პარტიისა და მთავრობის უმაღლეს ეშალონებში მოკალათებული სომეხი ნაციონალისტები ცდას არ აკლებდნენ, რომ ამ რეგიონში ქართველი ხალხის შემცირების ხარჯზე სომხური ელემენტი გაეძლიერებინათ.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სამცხე-ჯავახეთის მიმართ სომეხი პოლიტიკური წრეებისა და ისტორიკოს-მკვლევართა ყურადღება განსაკუთრებით გაიზარდა. მასში ჩართული აღმოჩნდნენ არა მარტო ისტორიკოსები და ურნალისტები, არამედ პოლიტოლოგები, პოლიტიკოსები და საქართველოში სოკოებივით მომრავლებული პოლიტიკური პარტიებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა. სხვათა შორის, მარტო სამცხე-ჯავახეთში ასეთი სუბიექტი ოცდათორმეტია [13,196-197].

სომეხი ნაციონალისტები ზემოთ ნახსენებ იდეას XIX საუკუნის II ნახევრიდან თუ მხოლოდ გაზეთ „შმაკის“

ფურცლებიდან აფრქვევდნენ, XXI საუკუნის დასაწყისიდან ეს საკითხი არა მხოლოდ მრავალტირაჟიანი და სხვადასხვა დასახელების პერიოდული პრესის ფურცლებზე, არამედ საკმაოდ სქელტანიან სოლიდურ სამეცნიერო გამოკვლევებშიც ინტენსიურად დასვეს. ამ შინაარსით დატვირთულ გამოცემათა დიდი უმრავლესობა რუსულ ენაზეა დაბეჭდილი, რადგან იგი ძირითადად სომხეთის ფარგლებს გარეთ მცხოვრები რუსულენოვანი სომხებისთვისაა გათვალისწინებული. მათში ნათლადაა გამოკვეთილი „სომხურ ისტორიოგრაფიაში ახალი თაობის აქტიური, შემტევი როლი საქართველოს ისტორიის ტრადიციულ გაყალბება-გადაკეთების საქმეში. ამ თაობის ყველაზე აგრესიულმა ნაწილმა კი დაუფარავად გამოხატა შორს მიმავალი გეოპოლიტიკური ზრახვები“ [8,165].

საგანგაშოა ის, რომ მათ „შემოქმედებას“ წითელ ზოლად გასდევს ყოველი არმენისათვის მოწოდება: სამცხე-ჯავახეთი ისტორიული სომხეთია, სადაც სომხები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ; დღეს იქ მაცხოვრებელ სომხეთა მიმართ ქართველები აშკარა გენოციდს ატარებენ და ყოველი სომები (მნიშვნელობა არ აქვს ის სად ცხოვრობს) ვალდებულია ეს საგანგაშო მდგომარეობა გაითავისოს და ყველანაირად შეუწყოს ხელი „ისტორიული სომხეთის“ ეს ნაწილი (ე.ი. სამცხე-ჯავახეთი) ბოლოს და ბოლოს „დედა სამშობლოს“ დაუბრუნდეს. ამ მიზნის მისაღწევად ეს დაშნაკები არაფერს არ ერიდებას (ფაქტების გაყალბება-დამახინჯება, ობიექტურობის მიჩქმალვა, არა თუ ვერ დანახვა, ქართველ მქონევართა მიკერძოებაში დადანაშაულება და ა.შ.).

მაგალითისათვის დავასახელებთ ვინმე ირტიუშ სანოსანის მიერ რუსულ ენაზე 2006 წელს ერევანში გამოცემული სტატიების კრებულს „...еще белий геноцид“. ავტორი ყველანაირად ცდილობს მკითხველთა და დაინტერესებულ პირთა ფართო წრე დაარწმუნოს, რომ სამცხე-ჯავახეთი სომხების პირველსაცხოვრისი სამშობლოა

და დღეს ქართველები ყველა ხერხს მიმართავენ, რათა იქ მაცხოვრებელი სომხები შეავიწროვონ და აიძულონ თავიანთი ისტორიული სამშობლო მიატოვონ (თეთრი გენოციდი).

იგი „იკვლევს“ სამცხე-ჯავახეთის ძირძველ ქართულ სოფლებს (აწყური, უდე, ხერთვისი, ხიზაბავრა და ა.შ.) და ცდილობს „დაასაბუთოს“, რომ ისინი უძველესი დროიდან (რამდენიმე ათასწლეულის წინ მაინც) სომხებით დასახლებული პუნქტებია.

თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ ა. სანოსიანის „თეორიულ“ დასაბუთებას. ეხება რა სოფელ ხიზაბავრას, აღნიშვნას: „Уже к концу XIX в. хизабаврицы, а так же варгавцы и бленцы стали грузиноговорящими. Как сообщает известный этнограф Е. Лалаян в своем этнографическом исследовании «Джавахх» ... «варгавцы и хизабавриици абаригени. Они давно уже забыли свой родной язык и говорят на грузинском. И хотя воспринимали обычай грузин, их семейный уклад армянский». ხიზაბავრელებთან ერთად სოფელ ვარგავის და ბელის მოსახლეობასაც „ასომხებს“ და აცხადებს: „До перехода в католичество, т.е. до второй половины XVIII в. хизабаврицы были григорианами и считали себя армянами. Так продолжалось еще долгое время и после перехода в католицизм“ [12,42].

კათოლიკობის მიღებამდე სოფელ ხიზაბავრის მოსახლეობა ქართველები და შესაბამისად მართლმადიდებლები რომ იყვნენ (ბედის ირონიაა, ქართველს თავისი ქართველობის დამტკიცება საკუთარ სამშობლოში რომ უხდება), ამაზე ნათლად მეტყველებს სოფელში და მის მახლობელ ტერიტორიებზე არსებული VIII-XI საუკუნეების მართლმადიდებლური ეკლესიები და სხვადასხვა დანიშნულების ისტორიული ძეგლების ნაშთები; ასევე წერილობითი წყაროები. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ დასახლებაც

საკმარისია, რომელსაც ა. სანოსიანი ასე ხშირად იმოწმებს. დავთრის მიხედვით, XV საუკუნის ბოლოს სოფელ ხიზაბავრის მოსახლეობის კომლთა უფროსების სახელი და მამის სახელები აბსოლუტურად ქართულია (გოგიჩა, ელია, ველიჯან, საბია, იოსებ, ლაშქარა, გაგა, ირაკლი და ა. შ.).

თუმცა ა. სანოსიანი უნდობლობას უცხადებს ამ თურქული წყაროს ქართულ ენაზე მთარგმნელს, ცნობილ თურქოლოგს, აკადემიკოს სერგი ჯიქიას და კატეგორიულად აცხადებს: „Сей ученый муж не пожелал сил и стараний дабы извратить армянские имена, сделать их грузинскими и если не удавалось непонятными”. იგი დაბეჯითებით მოითხივს: „Как с научной, так и с точки зрения наших национальных интересов сейчас крайне важно и необходимо сделать перевод реестра непосредственно с турецкого на армянский, что позволит уточнить армянские названия сотни армянских сел и тысячи армянских имен”[12,36]. როგორც ჩანს, ა. სანოსიანი და მისი ზოგიერთი სომეხი კოლეგა თავიანთი ნაციონალური (უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, დაშნაკურ-შოვინისტური) ინტერესებიდან გამომდინარე მიჩვეული არიან ფაქტებისა და ისტორიული წყაროების გაყალბებას. ამიტომ ფიქრობენ, რომ სხვა ქვეყნისა და ეროვნების მკვლევარებიც ასე იქცევიან. პროფესიონალური პატიოსნება და ობიექტურობა – ეს ყველა ისტორიკოსისა და მკვლევარისათვის ანბანური ჭეშმარიტებაა. აკადემიკოსი სერგი ჯიქია მკვლევართა იმ თაობას ეკუთვნის, რომლისთვისაც უცხოა კვლევის პროცესში ნაციონალური მიკერძოება. ამას არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი სპეციალისტებიც აღასტურებენ. ქართველ მკვლევართა მიმართ ამგვარი დამოკიდებულებით სომეხი “ისტორიკოსები” თავიანთ შინაგან ბუნებას ამჟღავნებენ, რაც მათი არაპროფესიონალიზმის მაჩვენებელია.

ა. სანოსიანის თავხედობა იქამდე მიდის, რომ არაობიექტურობაში სხვა ქართველ ისტორიკოსებსა და

მკვლევარებსაც ადანაშაულებს. ასე მაგალითად: მისი აზრით, XIX საუკუნის ბოლოს, როცა ი. როსტომაშვილმა ჯავახეთში იძოგზაურა, ხიზაბავრასა და ხერთვისში „Не нашел не единой надписи на грузинском, либо каких-то следов грузинского пребывания... Ничего удивительного в этом не было и нет, ибо в этих поселениях испокон веку жило один армяне. Тем не менее, И. Ростомов не постыдился объявить армяни – католиков хизабавирцы грузинскими католиками” [12,42].

ჯავახეთის „გულშემატკივარმა“ ა. სანოსიანმა შევნებულად აუკა გვერდი არა მარტო როსტომაშვილის, არამედ სხვა ქართველი მკვლევარების მონაცემებსაც, რომლებმაც სოფ. ხიზაბავრის, ხერთვისისა თუ სხვა დასახლებული პუნქტების მიღამოებში არაერთი ძველი ქართული წარწერა დაფიქსირებს. ე. თაყაიშვილის ცნობით: „Хизабавра большое село грузин-католиков. Старинная церковь этого села небольшая, с двускатною крышею и в хорошей сохранности. Длина ее 14 аршин 5 вершков, ширина 8 аршин 8 вершков. Вход имеет только ю., а окна с В. и З. Конец западной стороны представляет изображение барана, а часточной изображение креста. Над восточным окном была надпись хуцури. Броссе, отмечая присутствие надписи, проводить только четыре отдельные буквы. Мне представляется, что в надписи между прочим можно прочесть: „Христе помилуй... душу, и Георгия, Христе помилуй”. В ограде церкви много надгробных камней.

Хизабавская церковь очень напоминает такую же церковь в селении Каурма, построенную при царе Георгии I в XI веке, и вероятно принадлежит к тому же времени.

В хизабавре имеется и новая великолепная церковь грузин-католиков, построенная в 1898 году” [14, 18–19].

დიმიტრი ბაქრაძის განმარტებით, “ხერთვისის ციხის ეკლესიაზე იყო წარწერა, რომელზედაც ირჩეოდა სიტყვები:

„მეფეთ მეფე“ და თარიღი 985 წელი. XIX საუკუნის დასაწყისში ციხის შესასვლელის კარზე ჯერ კიდევ იყო XIV საუკუნის წარწერა, (სახელითა ღვთისათა, ოთხითა და შეწევნითა წმიდისა მშობლისა ღვთისათა მინდოსითა წმიდისა იოანე მახარობლისათა, ვიწყე მეფეთ-მეფისა მოლარეთუხუცესმა ზაქარია, ძემან ქამქამის შვილისამან, ოფელმან კოშკი და გალავანი ესე ქორონიკონსა მბ და გავათავეთ მდ. ღმერთო გულხინე ამინ” [9,111]), საიდანაც ჩანდა, რომ 1354-1356 წლებში ზაქარია ქამქამიშვილს-საქართველოს მეფის მოლარეთუხუცესს, და ეტყობა, ციხის მფლობელსაც, უშენებია ხერთვისის ციხის კოშკი და გალავანი” [2,10]. ლოგიკურად ჩნდება კითხვა: ამ ორ დასახლებულ პუნქტში თუ ძირძველი მკვიდრი მოსახლეობა მაინც და მაინც „სომხები“ იყვნენ, მაშინ, სოფელ ხიზაბავრაში, თუ უფრო ადრე არა, XI საუკუნიდან მაინც რატომ იყო (და დღესაც არის) მართლმადიდებლური ეკლესია ნუსხა ხუცური წარწერებით, ხოლო ხერთვისის ციხის შესასვლელის თავზე ნუსხა ხუცური წარწერა? რა, ვითომ აქ მაცხოვრებელ სომხებს თავიანთი ენა და დამწერლობა არ გააჩნდათ? ან იქნებ ქართველების (რომლებიც სანოსიანისნაირების შეხედულებით ამ სოფლებში არ ცხოვრობდნენ) სიყვარულით გააკეთეს ეს?! რა თქმა უნდა, არა! სხვა წყაროების დამოწმება კიდევ შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ, ზემოთ მოტანილიც საკმარისია იმის საჩვენებლად, თუ რამდენად ობიექტურად იმოწმებს ზოგიერთი სომეხი „მკვლევარი“ არსებულ დოკუმენტურ მასალებს.

ა. სანოსიანი შეგნებულად უვლის გვერდს ვახუშტი ბაგრატიონის მიერ XVIII საუკუნის სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ეთნიკურ და ენობრივ დახასიათებას, რომელიც გარკვევით წერს: „ხოლო კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს წილად და ენა-ტკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მჯრენნი, შემმართებულნი, შუენიერნი,

ცოლნა-ჭელოვნების მოყუარენი, არამედ აწ მაპმადიანების გამო, არღარა. სარწმუნოებით იყვნენ წლისამდე ქრისტესა ჩ“ქვე, ქართულსა ტ—იდ—მდე სრულიად ქრისტიანები ქართველთა თანა და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი, ხოლო აწ მთავარი და წარჩინებულნი არიან მაპმადიანნი და გლეხნი ქრისტიანები გარნა ვინანიცა არიან ქრისტიანენი, იგინიცა უმწევემსონი არიან, ვინათვან არღარა რაისა მორჩილებენ ქართლის კათალიკოზა. ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული. გარნა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა შინა უბნობენ აწ თათრულსა და თვისთა სახლებთა ანუ ურთიერთის მეგობრობათა შინა იტყვიან ქართულსავე“ [1,660-661]. ცნობილ გეოგრაფსა და ისტორიკონს მიკერძოებას ვერავინ დასწამებს. თუ რომელიმე დასახლებულ პუნქტში ქართველების გარდა სხვა ერის წარმომადგენლებიც (ებრაელი, სომეხი, თათარი და სხვა) ცხოვრობენ, იგი კეთილსინდისიერად აფიქსირებს. ვერ ვიტყვით, რომ ა. სანოსიანი ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომს არ იცნობს, რადგან თუ სადმე სომეხი აქვს ნახსენები, იგი დიდი ხალისით მიუთითებს.

ა. სანოსიანი თავის „ნაშრომში“ საუბრობს ორ მეტად საინტერესო დოკუმენტზე. რომელთა საფუძველზეც ასკვნის: „В пользу армяно – католической принадлежности хизабавринской и варгавской церквей и о том, что жители сел-армяне, говорит и документы.

Это, в честности, дакладные, представленные в вышестоящие инстанции 31 овг. 1908 г. священником хизабавринской церкви о.А.Джаняном и 1 сент. 1908 г. священником варгавской церкви о. Алоизом Чилингаровым. Написаны они на чистом, грамотном армянском языке. Священники подписались по-армянски, свидетели же-по грузински“ [12,45].

მას ეს დოკუმენტები იმის უტყუარ მტკიცებად მიაჩნია, რომ რადგან ისინი შედგენილია სომხურ ენაზე და მასზე

მღვდელი სომხურად აწერს ხელს, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ დროისათვის სოფელ ზიზაბავრისა და ვარგავის მოსახლეობა კათოლიკე სომხები იყვნენ.

ჩვენთვის არა ა. სანოსიანის „გენიალური” აზრი, არამედ ამ საბუთებიდან გამომდინარე მეორე მხარეა საყურადღებო. კერძოდ: მათზე მღვდლები სომხურად აწერენ ხელს (ბუნებრივია, ოფიციალური დოკუმენტი იმ ენაზე უნდა შემდგარიყო, რა ენაზეც სახელმწიფომ წირვა-ლოცვის ნებართვა მისცა. მღვდელმსახურებმა სომხურად წერა-კითხვა იციან, ვინაიდან ისინი ოფიციალურად ამ ენაზე ატარებენ წირვა-ლოცვას), მოწმეები კი ქართულად. ლოგიკურია დავსვათ კითხვა: რატომ? ა. სანოსიანის მტკიცებით ისინი ხომ სომხები არიან. პასუხი ერთია: სოფელ ზიზაბავრისა და ვარგავის მოსახლეობა როგორც ქართველები, ქართული წერა-კითხვის მცოდნენი არიან და მათთვის უცხოა სომხური ენა.

ავტორის მითითებით, სიფელ ზიზაბავრის ცენტრში დგას XIX საუკუნის ბოლოს აგებული კათოლიკური ეკლესია, მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, რომ იქვე, რაღაც 100-150 მეტრში, სოფლის წყაროს გვერდით, შემორჩენილია XI საუკუნის დასაწყისის პატარა დარბაზული ეკლესია ძველი სასაფლაოთი და გალავნით. დ. ბერძენიშვილის სამართლიანი შენიშვნით: „ეკლესიამ ჩვენამდე გარკვეული ხარვეზით, მაგრამ ნგრევისა და გადაკეთების გარეშე მოაღწია. აღმოსავლეთის სარკმლის თავზე წარწერაა, („ქრისტე შეიწყალე მამად სულითა და გიორგი შეიწყალე”), რომელიც პალეოგრაფიულად XI საუკუნეს მიეკუთვნება. ...ეკლესიის გალავნითან, უზარმაზარ ლოდზე მხედრულნარევი ნუსხური წარწერაა... „სახელითა ღმრთისაითა აღჰმართეს...მმ-ო კოხ...ჩვენ საროელმან ოს...თა ა...გლს...ბჭმ ყოველთა” [2,87-88].

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტიც. კერძოდ: ა. სანოსიანი სოფ. ხიზაბავრისა და ვარგავის „სომხური“ მოსახლეობის „გაქართველების“ სხვადასხვა თარიღს ასახელებს. ასე მაგალითად, იგი თავისი ნაშრომის 41-ე გვერდზე წერს, რომ „До перехода в католичество, т.е. до второй половины XVIII в. хизабаврицы были григорянами и считали себя армянами. Так продолжалось еще долгшое время и после перехода католицизм.“ 42-ე გვერდზე მას ეს თარიღი XIX საუკუნის I ნახევარში გადააქვს; „И все-таки в конце XIX в начале XXв. жители этих трех сел (Хизабавра Варгов, Бнела) официально считаются армянами-католиками“. 45-ე გვერდზე კი XX საუკუნის 20-იან წლებს მიუთითებს. როგორც ვხედავთ, იგი წინააღმდეგიბაში მოდის თავის „დებულებასთან“.

ა. სანოსიანმა ჯავახეთის ძირძველი ქართული სოფლების „გასომხების“ შემდეგ არც სამცხის სოფლები „დაივიწყა“ და მათ წარსულსაც შეეხო. პირველ რიგში მისი ურადღების ცენტრში უდიდესი ისტორიული წარსულის მქონე სოფელი აწყური მოექცა. მისი თვალსაზრისით ეს დასახლებული პუნქტი „В период турецкого владычества проводилась политика насильтвенного отуречивания армян – халкедонитов и грузин спасаясь от которойой тысячи арmenян и грузин из Ахалциха, а также Ацкура переселились в Имерети и Картли. Вслед за местными грузинами приняли магометанство и отуречились не меньшее количество армян-халкедонитов, немалая част огрузинилась, часть перешла сначала в католичество, а затем также огрузинилась“[13,37] იგი სოფელ აწყურის შესახებ აქვე აღნიშნავს: „И город и крепост Ацкур всегда были заселены армянами. В дальнейшем здесь обосновались также евреи, грузины и турки. О проживании здесь армяны мы узнаем мопятной записи XV в. Хотя сама запись не об Ацкуре в ней упоминается писец Ованес

Ацкуреци, который по заказу священика Аставацатура в 1434 г написал «Толкование стихов католикоса Саргиса Шнорали» и саму помятную запись”. [12,37].

Յայէթօյրագ օգոզը օմբորշե Յ. Տարյօնօսիանօց բռչա մուտքայեց: „Во время проведенной Турцией переписи населения 1595 г. в городе Ацкур насчитывалось 2575 жителей, Имена встречающиеся в перечне налогопластельщиков, указанных в источнике - реестре „Большая тетрадь вилайета Гюрджистан”, в большинстве своем армянское” [13,304].

Իմամդեղնագ Տամարտլուսիանօց „մշկալեզարտա“ մէջ օպէա, ցարավեցեցոտ ,ցուրջօնսիւնիս զոլասուուն քոք քաշտարն“. մօնօ Շեցցենիս քրու Տողալ ա՞նցուրժի ցեղաշրոօն 1354 յոմլո. մմուսանելլյուն մորուածագ յարտցելլյօն Իոմ ոյտ, յև ա՞մքարագ ჩանս յոմլուա շոյրուսուս Տաելլուսա դա մամուս Տաելլուս մոխեցոտ. քաշտարժի օգոյնսորդեա ույտո յարտուլո Տաելլյօն, Իոշորուցա: Ծանուա, մախարուել, լամյարա, ցղոիհա, յուսա, Տաձա, ցոյց դա Ճ. [7].

Ա. Տանըսուսիանօց Տոյց. ա՞նցուրժի արևելյուլ „Տոմիշոր Տալուցաշէ“ ցանսացուրշեուտ ամաեցուուն ցուրագուցեան դա աղնօննաց: „Армянская церковь св. Петра и Павла упоминается с 1830 х гг., но как справедливо отметил С. Карапетян, здание более древней постройки, ... в частности, в 1881 г., ремонтировалась”. Իսկ Շեցցենիս ա՞նցուրժուն էլլուսուս, Իոմլուու ուզարյինուուն քոքսաց դցան, մասնա ցացրուտ մուտքայեց: „В Ацкуре было место паломничества – храм Св. Богоматери. Византийский император Ираклий (Гераклит) приде сюда на богомолье, велел разрушить старую церковь и на ее месте воздвигнуть новый великолепный храм. Он рухнул при землетресении конца XIII в.” [12,37]. մացրամ տզալն Եղիշաց զաելյնիո ծագրագունեան դագոյնսորդուլ ոմ յայէթէյ, Իոմ „միջուրուն կուցենց, Տամիշըտուտ արև ա՞նցուրի, յալայի դա ցոկյ դոգնենո.

მოსახლენი არიან მესხნი, სომეხნი და ურიანი ვაჭარნი, არამედ წარჩინებულნი მაჰმადიანნი. აյ არს ეკლესია დიდშენი, შუენიერად ქმნული, გუმბათიანი, ყოვლადწმიდის ღვთისშობლისა. იჯდა მიტროპოლიტი, მწყემსი ყვიბის-კორტანეთს ზეითისა, და მტკურის ჩრდილოეთისა, და ბოცოს წყლის ჩრდილოეთის კერძოისი, ვიდრე გურიის მთებამდე. გგარნა აწ უქმი არს“ [1,662]. XX საუკუნის 30-იან წლებში ამ ეკლესიაზე ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ასომთავრული წარწერა. გ. ბოჭორიძის მითითებით: „ჩრდილოეთ კედელზე მეორე მღვდელ-მოძღვრის თავის მარცხნივ (აღმოსავლეთით) შემონახულია წარწერის ნაშთი“ [3,32-33].

ა სანოსიანი სხვა ფაქტებსაც შეგნებულად ამახინჯებს. მისი მითითებით: „В 1893 –м-г. в Ацкуре жили 1577 человек, из них 305 армяне, остальные турки, грузини и др”, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. არსებული დოკუმენტალური მასალების მიხედვით ამ პერიოდისათვის, კონკრეტულად, 1893 წლისათვის, სოფელ აწყურში 737 კომლი (სულ 5546 სული) ცხოვრობდა; აქედან ქართველი იყო 640 კომლი (49 71 სული), რუსი - 3 კომლი (24 სული), სომეხი - 49 კომლი (306 სული), ებრაელი - 17 კომლი (96 სული), ქურთი - 28 კომლი (259 სული), თათარი - 1 კომლი (6 სული), სხვადასხვა ეროვნების - 17 კომლი [11].

იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ „И эти документы подтверждают известный факт: до 1918 г. благодаря армяно-котолической церкви жители села считали себя армянами. В годы меньшевитского правления и после установления в Грузии советской власти началось массовое насильственное огрузинование армян – католиков Грузии (белый геноцид).

Жертвами белого геноцида стали жители сел Хазабавра, Варгав, Бнела (Аспиндзский р-н), Уде (Адигенский р-н), Ахалцих (старый город), Ивлита, Сацел (мусульмане с 18в.), Вале (Ахалцихский р-н), Скра

(Горийский р-н), Санавардо (Телавский р-н) и тысячи армен-католиков городов Тбилиси, Гори, Кутаиси". [12,45–46].

საერთოდ, სომები ისტორიკოსების უმრავლესობა ასეთი საკითხის განხილვისას, დუმილით უვლიან გვერდს ერთ მნიშვნელოვან ფაქტს. კერძოდ: ცნობილია, რომ რუსეთის მიერ სამცხე-ჯავახეთის შემოერთებამდე, ამ მხარეში საეკლესიო ენასთან დაკავშირებით ერთმანეთს სომხურ-კათოლიკური და ლათინურ-კათოლიკური სამღვდელოება დაუპირისპირდა. ქართულ-ლათინური ტიპიკონის მქონე სასულიერო პირთა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, თურქეთისა და ნაწილობრივ ვატიკანის ფარული მხარდაჭერითა და ხელშეწყობით რომმა სამცხე-ჯავახეთის კათოლიკე მრევლისათვის ეკლესიებში წირვა-ლოცვა სომხურ ტიპიკონზე დაადგინა.

სამხრეთ საქართველოს შემოერთების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ სულ მალე ლათინი მღვდელმსახურნი განდევნა საქართველოდან (საერთოდ კავკასიიდან). XIX საუკუნის 90-იან წლებიდან, კონკრეტულად 1893 წლის ბრძანებულებით კავკასიაში არსებული ყველა კათოლიკური ეკლესია სომხურ-კათოლიკურად გამოაცხადა და კათოლიკე მრევლს (განურჩევლად ეროვნებისა) საეკლესიო წირვა-ლოცვა სომხურ ენაზე დაუკანონა. ამას კი შედეგად მოჰყვა ის, რომ ინტენსიურად დაიწყო ქართველ კათოლიკეთა არმენიზაციის პროცესი. აქედან გამომდინარე, ყოვლად შეუძლებელი იყო, რომ ხიზაბავრის, ვარგავის, ხერთვისის, აწყურის თუ სხვა სოფლების ეწ. „ძირძველ სომხურ მოსახლეობას“ „მშობლიური სომხური ენა“ დაევიწყებინა და ქართული ენა შეეთვისებინა. ფაქტობრივად მოხდა პირიქით. სწორედ მღვდელმსახურობაში სომხური რიტის დაწესების წყალობით დაიწყო კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასული ქართული მოსახლეობის ინტენსიური გასომხება, ამ სიტყვის სრული

მნიშვნელობით. ეს იყო არა ანტიკათოლიკური, არამედ ერის სულიერი გახლეჩისათვის მიზანმიმართული ანტიქართული პოლიტიკა.

დასკვნა შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს: სომეხ ვაი-ისტორიკოსთა და ვაი-პოლიტოლოგთა მხრიდან საჯაროდ მტკიცება იმისა, რომ სამცხე-ჯავახეთის ძირძველი მოსახლეობა თითქოს XVIII საუკუნის II ნახევრამდე მხოლოდ სომხები იყვნენ, აშკარად მიზანმიმართული პროვაკაციაა.

რაც შეეხება მათ ვაი-ვიშს, თითქოს სამცხე-ჯავახეთში სომხების უსისხლო—თეთრი გენოციდი მიმდინარეობს, ეს არის წმინდა წყლის სიცრუე. დღეს ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი კარგად ხედავს, რომ ამ რეგიონში თეთრი გენოციდის (გენოციდი გენოციდია, მნიშვნელობა არ აქვს ის სისხლისღვრით მიმდინარეობს თუ უსისხლოდ) მსხვერპლად არა რუსეთის ლოცვა-კურთხევით XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან თურქეთის სხვადასხვა ვილაიეთიდან კომპაქტურად შემოსახლებული სომხები, არამედ ადგილობრივი, ძირძველი ქართული მოსახლეობა იქცა. როდესაც ამას ვაცხადებთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს შემდეგი ფაქტები:

1. თურქეთის მიერ სამცხე-ჯავახეთის დაპყრობას შედეგად მოჰყვა ის, რომ აქედან მევიღრი ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი აიყარა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადასახლდა. ადგილზე დარჩენილთა ნაწილმა (ძირითადად გაბატონებულმა ფეხამ) სარწმუნოება შეიცვალა და მუსლიმანობა მიიღო (იმ პერიოდისათვის ქრისტიანობიდან ისლამზე გადასვლა ეროვნულობის დაკარგვის ტოლფასი იყო), რამაც, ფაქტიურად მათი ეროვნული და სულიერი გახლეჩვა (გაუცხოება) გამოიწვია. (თეთრი გენოციდის ერთ-ერთი სახე).

2. მეფის რუსეთის ხელისუფლების ნებართვით, გენერალმა ტორმასოვმა, 1810 წელს ჯავახეთიდან აჰყარა

ათეულ ათასობით მკვიდრი ძირძველი ქართული მოსახლეობა და ქვემო ქართლში გადასახლა [6]. (თეთრი გენოციდის მეორე სახე).

3. იმისათვის, რომ ახლად შემოერთებულ მხარეში რუსეთს თავისი ერთგული ძალი დაება, მთელი რიგი ანტიქართული ღონისძიებები გაატარა. ამას კი შედეგად მოჰყვა ის, რომ სამცხე-ჯავახეთიდან 65 ათასზე მეტი სარწმუნოებაშეცვლილი ქართველი მამა-პაპური მიწა-წყლიდან აიყარა და თურქეთის სხვადასხვა კუთხეში გაიფანტა. მათ ნამოსახლარზე კი XIX საუკუნის 30-იან წლებში ათეულ ათასობით სომეხი შემოსახლეს (თეთრი გენოციდის შემდეგი ნაირსახეობა).

4. მეფის რუსეთის ხელისუფლებამ ადგილზე დარჩენილი კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასული ქართველობა ოფიციალურად სომხებად გამოაცხადა, ეკლესიაში წირვა-ლოცვა სომხურ ენაზე დაუკანონა და სომხურენოვანი სკოლები გაუხსნა (თეთრი გენოციდის მომდევნო სახე).

5. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მთავრობამ იგივე ანტიქართული პოლიტიკა გააგრძელა, რასაც მეფის რუსეთი ატარებდა. კერძოდ: სამცხე-ჯავახეთში შემოსახლებულ სომხებს სომხურენოვანი, მუსლიმანებს – აზერბაიჯანულენოვანი, რუსებს – რუსულენოვანი სკოლები გაუხსნა. მეტად საინტერესოა ერთი ფაქტი: XIX საუკუნის 30-იან წლებში სოფელ ველიდან ქართველი კათოლიკები ჯავახეთში გადმოსახლდნენ და ოთხი სოფელი (კარტიკამი, ხულგუმი, ხოსპიო, ბავრა) დაიკავეს. მართალია, ისინი სომეხ კათოლიკებად მონათლეს, მაგრამ მათ მტკიცედ ჰქონდათ შემორჩენილი ეროვნული თვითშეგნება და მეობა. ამის გამო არაერთხელ მიმართეს ჯერ კიდევ მეფის რუსეთის ხელისუფლებას, რომ ისინი ქართველები არიან და სჭირდებათ არა სომხური, არამედ ქართული სკოლები. რა თქმა უნდა, მათი ეს თხოვნა დარჩა „ხმად მღალადებლისად

უდაბნოსა შინა.“ ველიდან გადმოსახლებულებმა საბჭოთა ხელისუფლების წინაშეც დასვეს ეს საკითხი (XX საუკუნის 50-იან და 90-იან წლებში), მაგრამ უშედეგოდ. (თეთრი გენოციდის კვლავ ერთი სახე).

6. სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობის მიმართ თეთრი გენოციდი XX საუკუნის 40-იან წლებშიც კრემლიდან მიღებული დადგენილების საფუძველზე განხორციელდა, როდესაც აქ შემოსახლებულ ქურთიბთან, თარაქამებთან და თურქებთან ერთად რამდენიმე ათეულ ათასი გამაპმადიანებული ქართველი (როგორც მუსლიმანები) მშობლიური კერიდან ძალით აჰყარეს და შუა აზის რესპუბლიკებში გადაასახლეს.

7. საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც არ შეცვლილა მდგომარეობა. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ დღეს სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო დაფინანსებით 104 სომხურნოვანი სკოლა მოქმედებს [5,430]. (ასეთი კურიოზი არცერთ ქვეყანაში არ ხდება). ამასაც აღარ სჯერდებიან და ცდილობენ სომხური ენა ოფიციალურად რეგიონალურ ენად გამოაცხადონ (არაოფიციალურად ისედაც არის. ამის დასტურია თუნდაც სახელმწიფო დაფინანსებით ასეულობით სომხური სკოლის არსებობა).

ყოველივე ამის ფონზე, დღეისათვის სომხეთის ისტორიკოსთა, პოლიტოლოგთა და პოლიტიკოსთა გარკვეული ნაწილი სამცხე-ჯავახეთში (და საერთოდ სამხრეთ საქართველოში) ქართველთა მხრიდან სომხების მიმართ თეთრი გენოციდის გატარებაზე ხმამაღლა, ყველას გასაგონად გვესაუბრებიან და გვსაყვედურობენ. მათი ამგვარი ქმედება მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება: დაარწმუნონ სამხრეთ საქართველოში მცხოვრები სომხური მოსახლეობა და მსოფლიო საზოგადოების ფართო წრეები, რომ ეს რეგიონი აქ მაცხოვრებელი სომხების ისტორიული სამშობლო და

სომხეთის განუყოფელი ნაწილია. აქედან გამომდინარე, თავისი ხალხის დაცვის მიზნით სომხეთის ხელისუფლებას სრული უფლება აქვს გარკვეული მოთხოვნები სამართლიანად წამოაყენოს (ავტონომია, სომხური ენის რეგიონალურ ენად გამოცხადება, ეწ. სომხური ეკლესიების ეჩმიაწინის იურისდიქციაში გადაცემა და ა.შ.). ბ. არველაძის სამართლიანი შენიშვნით „ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა მხოლოდ ქართველმა კი არა, საქართველოს ხელისუფლებამაც უნდა დაიცვას! ამ საქმის ირონიზება და სიცილ-კისკისში გატარება ძალიან ძვირად დაგვიჯდება! თუ ამ ყველაფერს ძალიან სერიოზულად არ მივუდექით, ერთ შშვენიერ დღეს კიდევ აგვიფრიალებენ ცხვირწინ დაშნაკების რუკებს... სომხებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის წინააღმდეგი ვინ არის, მაგრამ ყველა უსაფუძვლო პრეტენზია ძირშივე უნდა მოისპონ!“ [4].

დღეს ამ საჭირბოროტო საკითხის ირგვლივ გარედან თუ ქვეყნის შიგნით არსებული დესტრუქციული ძალების მიერ აღვირახსნილი და გაყალბებული ფაქტების აგიტაცია-პროპაგანდის მიმართ ჩვენი მხრიდან გაჩუმება და თვალის დახუჭვა აშკარა მხარდაჭერაა იმ ძალებისადმი (მნიშვნელობა არ აქვს ვისგან ფინანსდებიან და ვისგან იმართებიან ისინი), რომლებიც მიზანმიმართულად იბრძიან ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, ქართული ენის, სულიერი მენტალობის, მართლმადიდებლური სარწმუნოების, ეროვნული მეობის, კულტურის, თვითმყოფადობის, ღირებულებებისა და ტრადიციების შენარჩუნების წინააღმდეგ.

### დამოწმებანი:

1. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1973 წელი.

2. ბერძნიშვილი დ., საქართველოს მეგზური, I, ჯავახეთი, თბილისი, 2000 წელი.
3. ბოჭორიძე გ., მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბილისი, 1992 წელი.
4. გაზ. ასავალ-დასავალი, №4, 2011 წლის 24-30 იანვარი.
5. იველაშვილი თ., როცა დუმილი დალატის ტოლფასია // ანალები, №6, თბილისი, 2010 წელი
6. ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი, თბილისი, 1973 წელი.
7. ჯიქა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, თბილისი, 1941 წელი.
8. მაისურაძე გ., სომხური ეკლესიები საქართველოში // ანალები №4, თბილისი, 2009 წელი
9. ცისკარიშვილი ვ., ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც ისტორიული წყარო, თბილისი, 1953 წელი.
10. Ростомов И., Ахалкалакский Уезд в Археологическом отношении // Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, 25, Тиф. 1898 г.
11. Свод статистических данных о населении Закавказского Края, Тифлис, 1893 г.
12. Саносян А., еще белый геноцид (сборник статей), Ереван, 2006 г.
13. Саркисян В., Джавахх в 1988-2008 гг (сборник статей), Ереван, 2009 г.
14. Такаишвили Е., Христианские памятники // Материалы по археологии Кавказа, выпуск XII, Москва, 1909 г.

### რეზიუმე

მრავალი ეთნიკური უმცირესობა ცხოვრობს სამცხე-ჯავახეთში, საქართველოს ერთ-ერთ უძველეს რეგიონში. ებრაელები, რომლებიც საქართველოში 26 საუკუნის წინ ჩამოსახლდნენ, ბერძნები, სომხები, დუხაბორები, პოლონელები, რუსები, უკრაინელები, რომლებიც XIX

საუკუნის 30-იან წლებში ჩამოვიდნენ, ქართველებთან ერთად ცხოვრობენ, რომლებიც რეგიონის ძირეულ მაცხოვრებლებს წარმოადგენენ. სამცხე ჯავახეთში მცხოვრები ადგილობრივი ქართველები იყვნენ და არიან ძალიან ტრადიციულები. მათ კარგად ესმით ტრადიციების მნიშვნელობა. ამიტომ ისინი პატივს სცემენ და ზრუნავენ იქ მცოვრები სხვა ეთნიკური უნცირესობების ტრადიციებს.

ეს ერთ-ერთი მთავარი მიზეზია თუ რატომ შეინარჩუნეს ყველა ზემოქამოთვლილმა უმცირესობამ თავიანთი ეროვნული თვითშეგნება, რელიგიური მრწამსი, ტრადიციები, ეკლესიები. მრავალ მათგანს (ებრაელებს, რუსებს, ბერძნებს, უკრაინელებს, პოლონელებს) არასოდეს არ ჰქონდათ არანაირი კონფლიქტი და გართულება ქართულ მოსახლეობასთან ეროვნულ, ტრადიციულ და რელიგიურ ნიადაგზე. ისინი აქტიურად არიან ჩართულები ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს შორის გამონალისს წარმოადგენ სომხები, რომლებიც საქართველოში XIX საუკუნის 30-იან წლებში რუსეთის მეფის დახმარებითა და ინიცირებით ჩამოსახლდნენ. სომხების მიგრაცია ხდებოდა თურქეთის სხვადასხვა კუთხიდან და მაშინვე დაიწყეს უტევლესი ქართული მართლამდიდებლური ეკლესია-მოსანტრების განადგურება და გადაკეთება და გამოაცხადეს ისინი სომხურად. შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი დღესაც გრძელდება. ეს იწვევს ღია ან ფარულ პროტესტს არა მხოლოდ ქართველებში, არამედ სხვა ეთნიკური უმცირესობებში, როგორიცაა: ბერძნები და ლუხაბორები. ეს არის კონფლიქტების წყარო.

ზღვარგადასული, ყალბი პროპაგანდა შოვინისტ-დაშნაკმა სომხებმა დაიწყეს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან და დღემდე გრძელდება. ისინი ამბობენ, რომ სამცხე ჯავახეთი არის სომხეთის ისტორიული რეგიონი და

სომხების მიგრაცია იქ, XIX საუკუნის 30-იან წლებში, იყო მათი დაბრუნება ისტორიული სამშობლოში. ამგვარი პროპაგანდა განსაკუთრებით გაძლიერდა XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში. ამ ანტიქართული მოქმედების ანალიზი და მოსახლეობის დროული შედის საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებში.

**Tina Ivelashvili**

*Doctor of Historical Sciences, Professor,  
Akhaltsikhe State Teaching University*

## **WHEN A SILENCE IS EQUAL TO BETRAYAL**

### **SUMMARY**

A lot of ethnical minorities live in Samtskhe-Javakheti, one of the oldest regions in Georgia. Jews who arrived in Georgia 26 centuries ago, Greeks, Armenians, Dukhabors, Polish, Russians, Ukrainians, who migrated in the 30s of the XIXc. live next to Georgians who are the native inhabitants of the region. Native Georgians living in Samtskhe-Javakheti were and are very traditional. They know the importance of traditions very well and that's why they respect and take care of traditions of other ethnical minorities living there.

That is one of the main reasons why all above mentioned minorities could preserve their national self-consciousness, religious beliefs, traditions, churches. Many of them (Jews, Russians, Greeks, Ukrainians, Polish) had never had any conflicts and complications with the Georgian population on the national, traditional or religious base. They are actively involved in the political, social, economical, and cultural life of the country.

The exception among ethnical minorities living in Samtskhe-Javakheti appeared to be the Armenians who were migrated to Georgia in the 30s of the XIXc. with the help and initiation of Tzar Russia. The Armenians migrated from different parts of Turkey filed a claim on the territory immediately and began to destroy and repair the

oldest Georgian Orthodox churches and monasteries and declared them to be Armenian. We may say that the process is still going on today. It causes open or secret opposition not only with the Georgians but with other ethnical minorities such as: Greeks and Dukhabors. It is the source of conflicts as well.

An unbridled, false propaganda from the side of chauvinist-dashnak Armenians' began in the second half of the XIX c. and is still going on till today. They say that Samtskhe- Javakheti is the historical region of Armenia and the Armenians migrated there in the 30s of the XIX c. live in their historical Motherland. The propaganda was broadened especially at the end of the XX c. and at the beginning of the XXI c.

To analyze this anti Georgian action and give information about it to the population should be done in time from the interests of Georgian state.

## ვაჟა კირნაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თხუ სრული პროფესორი  
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

ეპისკოპოს კირიონისა და ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილის  
მიმოწერა, როგორც საისტორიო და ბიოგრაფიული წყარო

ეპისტოლარული მემკვიდრეობა ადამიანური  
ურთიერთობების ძალიან საინტერესო წყაროა. პირადმა  
წერილმა შეიძლება ავტორის ცხოვრების ისეთი დეტალი  
გაგვაცნოს, რომელიც სხვა სახის არც ერთი წყაროდან არ  
ჩანს. პირადი წერილი ხომ, ჩვეულებრივ, რომელიმე ერთი  
ადრესატისთვის იწერება და გამოქვეყნებისთვის არ არის  
განკუთვნილი, ამიტომ ავტორი უფრო თავისუფლად  
გადმოსცემს და ამზეურებს მის პირად თუ საერთო საქვეყნო  
პრობლემებს. ამის შესახებ, 1914 წელს, იმსანად ხერსონის  
ეპისკოპოსი კირიონი ტარასი კანდელაკს წერდა: „ჩემი  
წერილებიდან, არაფრის გამომუღაუნება არ შეიძლება, კერ  
დორო არ არის და საზოგადოდ, წერილებს სიკვდილის შემდეგ  
პეტრემაძე. ამასთანავე, წერილები უნდა მცოდნე კაცმა  
გადამიხვროს და გადახწყვიტოს: რომლები შეიძლება  
დაბეჭდოს და რომლები არ.“ [1, №169, ფ. 2]

ახლა სწორედ ის დრო დადგა, როდესაც შეიძლება  
განვიხილოთ კირიონისა და მისი უახლოესი მეგობრის და  
თანამებრძოლის ჯერ დეკანოზის, შემდეგ ეპისკოპოს პეტრე  
კონჭოშვილის მიმოწერა.

კირიონისა და ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილის მიმოწერა  
(სულ 30 ერთეული) ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის  
კირიონის პირად ფონდშია დაცული. ხელნაწერთა ეროვნული  
ცენტრის კირიონის ფონდი 1600-მდე წერილს შეიცავს;  
აქედან თითქმის ნახევარი, პირადად კირიონს ეკუთვნის ან  
მისდამია მიმართული.

კირიონისათვის გაგზავნილი პეტრე კონჭოშვილის წერილები 1901 წლიდან – 1907 წლამდე თარიღდება და უამრავ უაღრესად საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. პეტრე კონჭოშვილის კირიონისადმი მიმართვის ფორმაც კი ყურადღებას იქცევს (სამწუხაროდ, არ შემონახულა კირიონის საპასუხო წერილები მეუფე პეტრესათვის, ამ უკანასკნელის არქივის დაკარგვის გამო). მეუფე პეტრე ასე მიმართავს კირიონს: „ყოვლადსამღვდელო მეუფეო, ღრმად პატივცემულო მწყემსმთავარო და უძვირფასესო თანამებამულეო“ (1902 წ. 30 ოქტომბერი), ან ასე: „თქვენო ყოვლად უსამღვდელოებავ, ძალად და ღირსად პატივცემულო ძღვდელმთავარო კირიონ!“ (1902 წ. 17 დეკემბერი), ან კიდევ: „მაღალპატივცემულო ძალითო, მშრომელო სამშობლოს სასიქადულოდ“ (1903 წ. 29 ოქტომბერი); და კიდევ: „ყოვლად უსამღვდელოებო მეუფეო! საქართველოს შარავანდედო!“ (1905 წ. 9 აგვისტო); „...ძვირფასო ძალიშვილო და სარწმუნო მეგობარო!“ (1905 წ. 26 აგვისტო) და ა. შ.

აღნიშნულ წერილებში, პირად საკითხებზე საუბრის გარდა, უფრო მეტია საეკლესიო და საერო საჭიროობროტო საქმეებზე ზრუნვა და ურთიერთ აზრის გაზიარება.

წერილებში დაფიქსირებული ერთ-ერთი ასეთი მოტივია მაგალითად, საქართველოს უკლესის ისტორიის საჭიროობროტო საკითხები. მეუფე პეტრე ხშირად უზიარებს თავის მოსაზრებებს კირიონს ათონის მთის ქართული სავანის ისტორიაზე და სოხოვს მას გამოთქვას თავისი აზრი. ასევე, იგი კირიონს სოხოვს გაუზიაროს აზრი მისი „მოგზაურობის“ წიგნის მეორედ, შევსებული სახით გამოცემის შესახებ. ერთ-ერთ წერილში, პეტრე კონჭოშვილი კირიონს ეკითხება: „ათონის „ივერიის“ მონასტერზედ თუ რამე დასწერეთ, რომელს გაზეთში იყო დაბუჭიდილი?“ [2, №943, ფ. 2] ასევე, კირიონს იგი აცნობებს, რომ შეიძინა მოსკოვის სასულიერო აკადემიის რექტორის, ეპისკოპოს არსენის წიგნი: “В стране

священных воспоминаний”, რომელშიც იმედი აქვს, აღმოაჩენს რაიმე საინტერესოს ათონის მთის „ივერიის“ მონასტრის შესახებაც. იქვე, პეტრე კონჭოშვილი გულისტკივილით დასძენს: „ათონის მიმოხილვის დროს (ივერიის ქართველთა მონასტრის, ვ. კ.), კარზედ ჩამოუვლია რეკტორს (იგულისხმება მოსკოვის აკადემიის რექტორი, ეპისკოპოსი არსენი, ვ. კ.), 2 პროფესორს და 11 სტუდენტს და არ უკადრიათ შევნით შესვლა.“ [3, №942, ფ. 4] სხვა წერილში, ის მადლობას უძლვნის კირიონს, რომ მეუფე პეტრესთვის გამოუგზავნია მისი „მოგზაურობის“ (იგულისხმება „მოგზაურობა წმ. ქ. იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზე“) წიგნი საკუთარი შენიშვნებით. აი, რას წერს ამაზე მეუფე პეტრე: „თქვენი ძვირვასი წერილი და მასთან ჩემი „მოგზაურობის“ წიგნიც, შენიშვნებით, მივიღე, რომლისთვისაც გულითად მადლობას მოგახსენებთ. გმადლობთ უძლაბლესად, რომ შორიდანაც ზრუნავთ და მუცადინეობთ სამშობლოს სულიერი კეთილდღეობისათვის და ჩემს ძოხუცებაშიც მამხნევებთ, სამშობლოს სამსახურებლად.“ [4, №944, ფ. 1]

იმავე წერილში, პეტრე კონჭოშვილი კირიონს ათონის მთასთან დაკავშირებით ასეთ შეკითხვასაც უსვამს: „თქვენს შენიშვნებში, უჩვეულებელ სხეულაშორის, იმპერატორს მარკ ავრელიუსზედ, რომ მას წარმოუთქვამს: „ათონის მთა, თუმცა ნამცუცია დედამიწისა, მაგრამ მას ყველა ქრისტიანეთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონია“, ნუთუ მის ძევობის დროს (160-180), ათონის მთაზედ, ქრისტიანეთა მოღვაწენი გამორჩევით მოიპოვებოდნენ.“ [4, №944, ფ. 3] ეს შეკითხვა ლოგიკურია, რადგან ათონის მთაზე და საერთოდ ქალკედონის ნახევარკუნძულზე სამონასტრო ცენტრის აღმოცენება ახ. წ. IV ს. დასაწყისიდან კონსტანტინე დიდის დროიდან იგულისხმება და არა უფრო აღრე. ათონის ქართველთა მონასტრის „ივირიონის“ მდგომარეობის შესახებ პეტრე

კონჭოშვილმა სპეციალური სტატიაც დაწერა („ივერიის ქართელთა მონასტერი ათონს“) და „მხცოვანის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა 1902 წლის №234 „ივერიაში“. ის, რომ „მხცოვანის“ ფსევდონიმი ნამდვილად პეტრე კონჭოშვილს ეპუთენის, სწორედ კირიონთან მიძოწერის საფუძველზე დავადგინეთ, რადგან 1902 წლის 27 დეკემბერს იგი კირიონს აუწყებდა: „ივერიის“ რედაქციიდან გამომიღ ზავნიან №№224 და 234 გაზეთ „ივერია“-ს, რომლებშიც არის დაბეჭდილი სტატიები ხახანაშვილისა და მასზედ. ჩემი შეხედულება შესახებ ათონის ივერიის მონასტრის“ [3, №942, ფ. 4] (ხაზი ჩვენია, ვ. კ.).

ერთ-ერთი საინტერესო, საეკლესიო ისტორიასთან დაკავშირებული მომენტი, რომელსაც პეტრე კონჭოშვილი თავის ხსენებულ წერილებში წამოჭრის, არის ლარგვისის სახარებასთან დაკავშირებული საკითხი. ის კირიონს წერდა, რომ ლარგვისის მონასტერში ნაპოვნ ძველ სახარებას ასეთი შინაარსის მინაწერი ჰქონია: „ვითომ გრიგოლ ნაზიანზელს, ღვთისმეტყველად წოდებულს (IV საუკუნე, ვ. კ.), ქსნის ხეობაში ექადაკოს სახარება,“ პეტრე კონჭოშვილი განმარტავს, რომ საქართველოს საეკლესიო ისტორიისათვის ასეთი ფაქტი უცნობია. [4, №944, ფ. 2] ამასთანავე, მეუფე პეტრეს მოაქვს ცნობა, რომელიც მას ფარარის<sup>1</sup> წმინდა მამათა და მოძღვართა საეკლესიო ისტორიის რუსულ თარგმანში ამოუკითხავს. კერძოდ, ფარარის წიგნის მიხედვით, გრიგოლ ნოსელს (ნაზიანზელის მეგობარი და იმავე პერიოდის მოღვაწე) „იბერიის ხალხის მიწვევით“ საეკლესიო კათედრა დაუკავებია, რასაც შფოთი და არეულობა მოყოლია. [4, №944, ფ. 1-2] მეუფე პეტრე კირიონს ეკითხება, ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ აქ ნახსენებ „იბერიილ ხალხში“

<sup>1</sup> ფარარი, ფრიდრიხ უილიამი – ცნობილი ოგლისელი მწერალი და ღვთისმეტყველი, მოღვაწეობდა კემბრიჯში (1852-1904).

ქართველები იგულისხმებიან და ქსნის ხეობის ლარგვისის მონასტრის სახარების მინაწერი სწორედ გრიგოლ ნოსელის საქართველოში მოწვევას გულისხმობს და არა გრიგოლ ნაზიანზელისათვის. ამ შემთხვევაში, იმას კი არ აქვს მნიშვნელობა, ჭეშმარიტია თუ არა ეს აზრი, არამედ საინტერესოა თვითონ მღვდელმთავართა (მეუფე პეტრეს და კირიონის) თვალთახედვის არე, ინტერესთა სფერო და მეცნიერული ჰიპოთეზის წამოჭრის უნარი.

წერილებში კირიონისადმი მეუფე პეტრე ხშირად სთხოვს მას დახმარება აღმოუჩინოს „მოგზაურობის“ წიგნის მეორე გამოცემისათვის ილუსტრაციების მოპოვების საქმეში. „ა. ხახანოვსა (ალ. ხახანაშვილი, ვ. კ.) ვსთხოვე წერილით, გამოეძებნა მოსკოვში სურათები ივერიის ღვთისმშობლისა და წმ. სოფიას ტაძრისა, რომელზედაც ღია წერილით მიპასუხა, რომ ვერ უმოვნია ეს ხსენებული სურათები. მოსკოვის „ივერიის“ მონასრტის მეტოქიაში ნება არ მიუციათ ბერძნთა ბერებსა, რომ ფოტოგრაფით გადმოეღოთ სურათი ღვთისმშობლის ხატიდან. ამ გვარს ქცევას ბერძნთასა, ეწოდება ბარბაროსობა... თუ ოდესაში იყოფებით, უმორჩილესად გთხოვ მიიღო შრომა და ფესენკოს ფოტოგრაფიაში (ოდესაში მდებარეობდა, ვ. კ.) გამოვიკითხოთ, ხომ არ უწება ეს ორი ზემოხსენებული სურათი... სამშობლოს სიყვარულისთვის გთხოვთ მოძიეოთ, რომ თქვენ გაწუხებთ ამ საქმისათვის.“ [4, №944, ფ. 3]

მეუფე პეტრეს წერილებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საქართველოს ეკლესიის იმდროინდელ სავალალო მდგომარეობას და ავტოკეფალიისთვის ქართველი სამღვდელოების ბრძოლას. 1905 წლის 16 ნოემბრის წერილში, მაგალითად, მეუფე პეტრე კირიონს სიხარულით ამცნობს, რომ ოთხმა ქართველმა მღვდელმთავარმა ხელი მოაწერა პეტიციას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნით. მეუფე პეტრე წერს: „დღეს, 16

ნოემბერს ოთხმა ქართველმა ძღვდელმთავარმა მივართვით  
მეუფე გვ ზარქოსს თხოვნა, აღდგენისათვის საქართველოს  
ეკლესიის ავტოკეფალიისა. ეს თხოვნა პირდაპირ უნდა  
გაეც ზავნოს სინოდის ობერპროკურორს, მოსახსენებლად,  
ხელმწიფე იმპერატორისა [...] (ეგზარქოსმა, ვ. პ.) მიღოთ ეს  
ჩვენი თხოვნა დარბაისლად [...] ჩვენი თხოვნის მიღება მთ  
გაუადვილე, როდესაც მოვახსენ – ეს ჩვენი მისწრაფება  
მიტროპოლიტმა ანტონმაც (იგულისხმება სანკტ-პეტერბურგის  
მიტროპოლიტი ანტონი ვადკლვსკი, ვ. პ.) უწყის და ივი  
თანავივრძნობს და გარდავუცი ჩვენი საუბარი მასთან  
ივლისში, კისლოვოდსკში და მაშინ უფრო დამშვიდდა.“ [5,  
№958]

მეუფე პეტრე თავის წერილებში ხშირად ამხნევებს  
კირიონს და მოუწოდებს მედგრად შეხვდეს ყველა  
დაბრკოლებას და სიძნელეს. ერთ წერილში იგი ასე  
მიმართავს კირიონს: „ღუთისა განვებამ ამისთვის აღვამაღლათ,  
თქვენო მეუფებავ, უცხო ქვეყანაში კითარცა დანიელ  
წინასწარმეტყველი, დიდი ძღვდელი ეზრა და ნეემია  
ბაბილონში, რომ მამობრივი ძვარველობა გაუწიოთ  
დაწიოკებულთა შვილთა თქვენის საყვარელის სამშობლო  
ერისა!“ [6, №950, ფ. 4]

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ ვის და რატომ  
ადარებს პეტრე კონჭოშვილი კირიონს: მეუფე კირიონი მის  
წერილებში შედარებულია ეზრასთან და ნეემიასთან. ყველა  
ისინი, ე. წ. „ბაბილონის ტყვეობასთან“ არან  
დაკავშირებული. წინასწარმეტყველი დანიელი – ბაბილონის  
ტყვეობაში დაწინაურდა და ბაბილონის მმართველთა შორის  
ერთ-ერთი უპირველესი შეიქმნა; ეზრა – ებრაელთა დიდი  
მოძღვარი იყო, რომელმაც ბაბილონიდან იუდეაში დაბრუნება  
მოახერხა და იქ ნაყოფიერ აღმშენებლობით და  
განმანათლებელ საქმიანობას ეწეოდა (ძვ. წ. V ს.); ნეემია –  
ასევე გამორჩეული მოღვაწე იყო, რომელიც იერუსალიმის

დანგრეული მთავარი ტაძრის (სოლომონის ტაძრის) აღდგენას ცდილობდა. მან ასევე დააღწია თავი ბაბილონის ტყვეობას. ნემიამ მთელი სიცოცხლე, ეზრასთან ერთად, თავის მშობლიური ქვეყნის ზნეობრივ-რელიგიურ აღორძინებას მიუძღვნა... აი, როგორ ბუმბერაზებს მიიჩნევს მეუფე პეტრე კირიონის სადარად. ეს პიროვნებები შემთხვევით არ არიან შერჩეულნი პროტოტიპებად – პეტრე კონჭოშვლი ფარული ქვეტექსტით ესაუბრება თავის მეგობარსა და სათაყვანო მოძღვარს: „თქვენც ტყვეობაში ხართ, საპატიო, მაგრამ ტყვეობაში! (გავიხსენოთ, რომ ამ დროს, კირიონი რუსეთში, ორიოლის გუბერნიაში გადასახლებაში იმყოფება) დადგება დრო, და თქვენც ისევე მოევლინებით მშობლიურ ქვეყნას ზნეობრივ-რელიგიურ ამღორძინებლად, როგორც ძველი აღთქმის დიდი გმირები მოევლინენ მათ მშობლიურ მხარეს“-ო. ის, რომ მეუფე პეტრე, კირიონს ნამდვილად „ბაბილონის საპატიო ტყვეობას“ შეახსენებს, მისი კიდევ ერთი წერილიდან დასტურდება. 1901 წელს, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის მეასე წლისთავზე, მეუფე პეტრე კირიონს წერდა: „ამოვიარე ძველს, დიდებულს ქართველთა ტაძრებისაკენ – სვეტიცხოველისა, სამთავროსი და ანანურის ამაღლებისა, რომელთაც შორით თაყვენი-ვეც, კითარცა დანიელმა დერუსალიმსა. ამთავს ხილვითა, ბევრი მწარე ფიქრები წარმომადგა... [7, №939, ფ. 1] (ხაზი ჩვენია, ვ. კ.). ამ წერილშიც, პეტრე კონჭოშვილი არაორაზროვნად მიანიშნებს ადრესატს დანიელ წინასწარმეტყველის ხვედრზე, რომელიც ბაბილონში საპატიო, მაგრამ მაინც ტყვეობაში იმყოფებოდა. უცხო ქვეყნაში დაწინაურებულ დანიელ წინასწარმეტყველს, უპირველესად, სწორედ მშობლიური ღმერთისა და სიწმინდეების თაყვანისცემა ეკრძალებოდა. ძველი აღთქმის ტექსტში ნათქვამია, რომ მეუფე დარიოსმა მკაცრი კანონი გამოსცა, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ყველა მის უცხოელ ქვეშევრდომს საკუთარი სიწმინდეები უნდა

დაევიწყებინა, ერთადერთ ღმერთად დარიოსი ელიარებინა და მხოლოდ მისთვის ელოცა. ამ ბრძანების დამრღვევი ლომებით სავსე ხაროში დაამთავრებდა სიცოცხლეს. იუდეადან ბაბილონში გატაცებული დანიელი, ამ ბრძანების გამოცემის პერიოდისთვის, საკუთარი ჭკუა-გონების წყალობით, ისე იყო დაწინაურებული, რომ ბაბილონის მმართველი სამი სატრაპიდან ერთ-ერთი პირველი შეიქნა. რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, სასტიკი მუქარის მიუხედავად, მან არ უდალატა საკუთარ ღმერთს დანიელის ბრძანებით. მისი სახლის ფანჯრები იერუსალიმისკენ იყო მიქცეული და სამჯერ დღეში, საპატიო ტყვეობაში მყოფი დანიელი, თაყვანს სცემდა თავის ღმერთს. ბიბლიაში ეს ამბავი ასეა გადმოცემული: „სარკმელნი განდებულ... დამართით იერუსალიმისა და უამთა დღისათა სამთა, იყო მოდრეეკილ მუხლთა ზედა მისთა და მლოცველ და აღმსაარებელ წინაშე ღმრთისა მისისა“. (დანიელი 6.10).

როგორც აღვნიშნეთ, მეუფე პეტრე ფარული ქვეტექსტით ესაუბრება კირიონს და უუბნება: თქვენც და ჩვენც, საქართველოში მყოფნი, საპატიო, მაგრამ მაინც ტყვეობაში ვიმყოფებით, რუსეთის ხელისუფალთა ხელში; მაგრამ ჩვენი ვალია, რა საშიშროებაც არ უნდა მოგველოდეს, იმპერატორისთვის კი არ ვილოცოთ (როგორც ამას დარიოსი მოითხოვდა), არამედ ჩვენი წინაპრების დანატოვარ სალოცავებს ვცეთ თაყვანი! (სვეტიცხოველი, სამთავრო, ანანური). ანუ მეუფე პეტრე დანიელ წინასწარმეტყველთან პირდაპირი ანალოგით, ამას უუბნება კირიონს: არ ვუდალატოთ ჩვენს მებასა და კულტურას, მოწყალე ღმერთი კი ისე დაგვიცავს მოსალოდნელი საშიშროებისაგან, როგორც მან დანიელი დაიცვა ლომთა პირისაგან.

უამრავ სხვა საინტერესო საკითხებს შორის, რომლებზედაც პეტრე კონჭოშვილის წერილები მოგვითხრობენ, საინტერესოა გამოვყოთ ერთი საკითხიც,

რომელზედაც მეუფე პეტრე გულისტკივილით მოუთხრობს კირიონს. 1905 წლის 17 აგვისტოს<sup>2</sup> წერილში მეუფე პეტრე წერდა: „კავკავიდან (კისლოვოდსკში, ვ. პ.) მოვიდნენ ორი ძღვდელი ოსთავანნი და პეტიცია მისცეს მიტროპოლიტსა (იგულისხმება პეტერბურგის მიტროპოლოტი ანტონი, ვ. პ.) შეძღვი შინაარსისა: „სამხრეთის ოსეთიც შემოუერთეთ ჩრდილოეთისას და საკუთარი ეპისკოპოსი ოსთავანი დაგვითიშვილ ჩვენის ეპარქიისთვის... არდონის სემინარია გადაკეთდეს ვიმაზიად, გადმოიტანოს კავკავში, რომელშიც მასწავლებელი თხოვანნიც იქნებანო... ეს ვაჩილებიც თავისას ცდილობენ, ხოლო ძველ ივერიულთა – სინავთ!“ [8, №966, ფ. 2]

ამ წერილიდან კარგად ჩანს, რომ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ჩრდილოეთან გაერთიანების გეგმები (თავდაპირველად ეკლესიურად!) ჯერ კიდევ 1905 წელს გაჩენილა! აღმფოთებული მეუფე პეტრე ამ გეგმების ავტორებს „ვაჩილებს“ უწოდებს, ანუ მიანიშნებს იმაზე, რომ ოსთა შორის ჯერ კიდევ ღრმად იყო ფესვგამჯდარი წარმართული ღვთაებები და მათი თაყვანისცემა. „ვაჩილა“-ს ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი უწოდებდა ოსთა ერთ-ერთ მთავარ სათავეანო ღმერთს. ვახუშტი წერდა: „ყოველთავე (ქრისტიანმა და მაპმადიანმა ოსებმა, ვ. პ.) უწყიან შესწირვებ კერძისა, რომელსა უწოდებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირვებ ულიას თხასა და ხორცსა შესჭამებ თვითვე, ხოლო ტყავსა გასჭიმენ მაღალს ძელსა ზედა და თაყვანისცემენ ტყავსა მას დღესა შინა ელიასასას, რათა არა მოუვლინოსთ ელიამ სეტყვანი და მისცეს ნაყოფნი ქვეყნისანი.“ [9, 110]

ზევით აღნიშნულის გარდა, პეტრე კონჭოშვილის წერილებში სხვაც ბევრი საინტერესო ინფორმაციაა, რომლიც

<sup>2</sup> წერილში თარიღი გამორჩენილია, მაგრამ ჩვენ აღვადგინეთ კონტექსტის მიხედვით.

სადღეისოდ პიორველწყაროს მნიშვნელობას იძენს. მაგალითად: მისი დანიშვნა ქუთაისის ეპარქიის დროებით მმართველად, გაფიცვები ქუთაისსა და თბილისში, პეტრე კონჭიშვილის ხელდასხმა გორის ეპისკოპოსად, ამასთან, იმის აღნიშვნა, რომ მისი ეპისკოპოსად კურთხევა, გამონაკლისის სახით, ბერად აღუპეცლად განხორციელდა, მეუფის ზრუნვა ნათესავებზე, ობლებზე, საქვეყნო საქმეებზე, ურთიერთობა საქართველოს და რუსეთის გამოჩენილ პიროვნებებთან და საეკლესიო მოღვაწეებთან და ა. შ. ერთ წერილში მეუფე კირიონს აცნობებს იმას, რომ ქართველებს დიდი თავშეყრა მოუწყვიათ კავკავში (ვლადიკავკაზში), 1905 წლის აგვისტოს, სადაც „პურისუფალს“ ანუ თამადას პირველი სადღეგრძელო კირიონისა წარმოუთქვამს და ა. შ.

ვფიქრობთ, ინფორმაციის ის მცირედი ნაწილიც კი, რაც ამ ორი დიდი ქართველი მოძღვრისა და საეკლესიო მოღვაწის მიმოწერიდან მოვიტანეთ, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მათ პიროვნებებზე და იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რითაც ისინი იყვნენ დაინტერესებულნი.

დასასრულ, მოვიტანთ იმ მოხდენილი, პატარა დეპეშის ტექსტს, რომლითაც მეუფე პეტრემ კოვნოში გადასახლებულ კირიონს ანგელოზის დღე მოულოცა (ეს დეპეშაც კირიონს სათუთად შეუნახავს თავის არქივში): “Приветствую Вас, владыко с днем Ангела. Молю Бога, продлить Вашу жизньь «Мравалжамиер» на пользу церкви и родине! (Иерусалимeli).” [10, №966<sup>o</sup>]

ჭეშმარიტად მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ!

#### დამოწმებანი:

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონის ფონდი, წერილი №169 (1914, 1 ნოემბერი).

2. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონის ფონდი, წერილი №943 (1903, 14 ივნისი).
3. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონის ფონდი, წერილი №942 (1902, 27 დეკემბერი).
4. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონის ფონდი, წერილი №944 (1903, 29 ოქტომბერი).
5. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონის ფონდი, წერილი №958 (1906, 16 ნოემბერი; ამავე წლის 21 დეკემბრის ვრცელი მინაწერით). ამ საკითხზე გაზეთმა „ივერიამ“ პატარა შენიშვნა გამოაქვეყნა 1905 ლის 17 ნოემბერს (№208, გვ. 3).
6. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონის ფონდი, წერილი №950 (1905, 9 თებერვალი).
7. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონის ფონდი, წერილი №939 (1901, 9 ივლისი, კისლოვოდსკი — თბილისი).
8. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონის ფონდი, წერილი №966 (1905, 17 აგვისტო).
9. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და 6. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1941.
10. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონის ფონდი, წერილი №966<sup>a</sup> (დეპეშა: თბილისი — კოვნო 1907 წ.) განვმარტავთ, რომ ყველა წერილს, მეუფე პეტრე, ხელს აწერს ან „იერუსალიმელ-ალავერდელის“ ან „პეტრე იერუსალიმელის ფორმით“.

### რეზიუმე

ეპისტოლარული მემკვიდრეობა ადამიანთა ურთიერთობების ფრიად საინტერესო სფეროა. ხშირად, პირადი წერილები შეიცავენ ისეთ ინფორმაციას, რომელიც სხვა არც ერთ წყაროს არ დაუცავს. ჩვეულებრივ, წერილები არ არის

გამიზნული იმისათვის, რომ მათ საზოგადოების ფართო ფენები გაეცნონ, ამიტომ მათში, ხშირად, ისეთი ინფორმაციაა დაცული, რომელსაც სხვაგან ვერ შეხვდებით.

ამ თვალსაზრისით, დიდ ყურადღებას იმსახურებს XIX ს-ის მიწურულის და XX ს-ის დასაწყისის ორი გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწის: ეპისკოპოს კირიონის (შემდგომში, 1917-1918 წწ.). საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) და ეპისკოპოს პეტრეს (კონჭოშვილის) მიმოწერა. ეს წერილები (პეტრე კონჭოშვილის 30 წერილი) დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, კირიონ საძაგლიშვილის ფონდში.

ჩვენ გაანალიზებული გვაქვს ამ წერილების ის მონაცემები, რომლებიც საინტერესო და უნიკალურ ინფორმაციას შეიცავენ როგორც ამ პირების ბიოგრაფიისათვის, ასევე იმ ეპოქის შესახებ, რომელშიც ისინი მოღვაწეობდნენ.

ყურადღებას ვამახვილებთ აგრეთვე იმ ქვეტექსტზე, რომლითაც მეუფე პეტრე რუსეთში გადასახლებულ კირიონს ესაუბრება. იგი კირიონს ადარებს ძველი აღთქმის ისეთ დიდ გმირებს, როგორიც იყვნენ დანიელი, ეზრა, ნეემია. ცენტურისთვის დაფარული იყო ის ქვეტექსტი, რასაც მეუფე პეტრე ეპისკოპოს კირიონს შეახსენებდა, თუნდაც წინასწარმეტყველი დანიელის ხვედრთან დაკავშირებით. მეუფე პეტრე გულისხმობდა იმას, რომ ტყვედ ქმნილი დანიელი ბაბილონში დაწინაურდა და მაღალ თანამდებობას მიაღწია, მაგრამ, ამის მიუხედავად, ის მაინც საპატიო ტყვედ რჩებოდა. მას საკუთარი ღმერთისთვის ლოცვაც კი აკრძალული ჰქონდა. პეტრე კონჭოშვილი არწმუნებს კირიონს, რომ ერის ასეთ დიდ მოღვაწეებს ღმერთი არ გაწირავს და ისევე დაიცავს, როგორც დანიელი დაიცვა ლომებისაგან.

დარწმუნებული ვართ, რომ წარმოდგენილი მასალა, ბევრ ახალ და საინტერესო ნიუანსს წარმოაჩენს როგორც ამ ორი

გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწის ურთიერთობებიდან, ასევე ეპოქის სურათის სრულყოფილად წარმოსახენად.

**Vazha Kiknadze**

*Professor of the Iv. Javakhishvili Tbilisi State University,  
Director of the Institute of History and Ethnology*

## **CORRESPONDENCE OF THE BISHOPS KIRION AND PETRE (KONTCHOSHVILI), AS A HISTORICAL AND BIOGRAPHICAL SOURCE**

### **SUMMARY**

Epistolary heritage is a quite interesting area of human creativity. Often, letters containing such information, which is missed in other sources. Personal letters are usually not written for a broad class of society, so they have often containing such information, which cannot be met elsewhere.

In this case, we are representing the correspondence of two prominent Bishops of the end of 19<sup>th</sup> century and the start of 20<sup>th</sup> century, Bishop Kirion (Catholicos-Patriarch of Georgia 1917-1918 years) and Bishop Petre (Konchoshvili). This correspondence (30 private letters of Bishop Petre) is kept in National Center of the Manuscripts.

We have analyzed such excerpt of these letters which are giving interesting and unique information of this figures biography, as well as the important issues of that period. We are paying special attention on the implications of this letters, for example, exiled in Russia Bishop Kirion is putted side by side with the Old Testament prophets: Daniel, Ezdra, Neemiah by the Bishop Petre. Hide from view of Russian censorship, Petre Kontchoshvili reminds Kirion that the Georgian bishops and the Georgian clergy are in same captivity, as Daniel was in Babylon. He consoling Kirion and assures that God will protect

nation's worth defender ecclesiastic figures, as well as Daniel was defended from lions.

We believe that the letters will clear many obscure issues and a new way will be specified for understanding the relations of these two individuals for researchers as well as for public.

ელდარ მამისთვალიშვილი  
გორის სახწავლო უნივერსიტეტი,  
სრული პროფესორი

**თეიმურაზ I-ის და ლუარსაბ II-ის ურთიერთობა შაპ  
აბას I-თან (1605-1613 წწ.)**

აღმოსავლეთ საქართველოს ორ სამეფოში – ქართლსა და კახეთში ორი ყმაწვილი გამეფდა – ქართლში ლუარსაბი 1605 წელს, კახეთში თეიმურაზი 1606 წელს. ორივეს გამეფება შაპ აბასის ნებართვით მოხდა.

ისქანდერ მუშშის აღწერილი აქვს ის ზეიმი, რომელიც შაპ აბასმა ქართველებს მოუწყო ყარაბახში, მდინარე გურჯ-ჩაისთან და ნება მისცა თეიმურაზის მეფედ კურთხევა ქართული წესის მიხედვით ჩაეტარებინათ. ზეიმში შაპიც მონაწილეობდა [4: 227].

ლუარსაბისა და თეიმურაზის ქრისტიანობით გამეფება ქართველობას თავის დიდ გამარჯვებად მიაჩნდა. შაპ აბასს კი სულ სხვა განზრახვა ჰქონდა. მას მიზნად ჰქონდა, ქართლისა და კახეთის მეფები მისი სიტყვის აღმსრულებელი და მისი მოხელეები ყოფილიყვნენ. იგი მათგან არავითარ დამოუკიდებლობის გამოვლენას არ მოითმენდა. ქართლ-კახეთის სრული მორჩილების გარეშე, ამიერკავკასიაში შაპ აბასის ბატონობა ვერ მოხერხდებოდა.

ცბიერი და მოქნილი პოლიტიკოსისა და დიპლომატის ურთიერთობა ქართლისა და კახეთის ახალგაზრდა მეფეებთან მისთვის სასურველად არ ვითარდებოდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ კავკასიაში ოსმალეთი კვლავ სერიოზულ ძალად რჩებოდა და ქართველი პოლიტიკოსები შეეცდებოდნენ ირანის წინააღმდეგ მის გამოყენებას. შაპმა ნაცად ზერხს – დაყვავებისა და სამხედრო აგრესით დაშინების პოლიტიკას მიმართა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შაპის ღონისძიებები

ქართლისა და კახეთის სამეფოების მიმართ სულ უფრო მყავრდებოდა. მაგრამ მას ჯერ ირანის ისტორიული მეტოქის ოსმალეთის წინააღმდეგობა უნდა გადაელასა, რომლის გარნიზონები აღმოსავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ყველა მნიშვნელოვან ქალაქსა და ციხეში იდგა.

შაპ აბასმა დაიპყრო ერევანი და ამის შემდეგ სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსახლეობის აყრა და ირანში გადასახლება ბრძანა. მან ოსმალებიც დაამარცხა, განჯაც აიღო, შემდეგ საქართველოსკენ წამოვიდა, თბილისი აიღო და ქართლის ციხეებში ოსმალების მაგიერ ყიზილბაშები ჩადგნენ.

ამ პერიოდში შაპისა და ლუარსაბ II-ის ურთიერთობაზე საინტერესო ცნობა შე-მოგვინახა ერთმა ესპანურმა წყარომ. 1607 წლის 21 ნოემბერს ესპანელი ხუან დე ტუევა თავის მთავრობას აცნობებდა: „ირანის შაპი იმყოფებოდა თავისი ცოლის ძმისა და ვასალის საქართველოს მეფის ერთ-ერთ პროვინციაში. მან თხოვა შაპს, დახმარებოდა თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, რათა დაებრუნებინა ზოგიერთი მიწა, რომლებიც თურქებმა დაიბყრეს. შაპი არა მარტო დაპირდა მას დახმარებას, არამედ დაპირდა პირადად მიეღო მონაწილეობა ამ საქმეში” [5: 373, № 40].

მოყვანილ დოკუმენტში გადმოცემული ამბავი, ახლად გამეფებული ლუარსაბ II-ის და შაპ აბას I-ის ურთიერთობის საწყის ეტაპს უნდა ასახავდეს. როგორც ცნობილია, გიორგი X (1600-1606) მოულოდნელად მეჯვრისხევს გარდაიცვალა. ამ დროს (1606 წ.) შაპ აბასი თბილისში იმყოფებოდა. ქართლის დიდებულებმა შაპს სთხოვეს გიორგის პირმშო, 14 წლის ლუარსაბი ქართლის მეფედ დაემტკიცებინა. ქართლის საქმეების მოწესრიგების შემდეგ, როგორც საფიქრებელია, შაპმა ქართლის მეფის ირანის ტახტთან უფრო მტკიცედ მიმაგრებისათვის, ლუარსაბს და თინათინი ცოლად გამოართვა. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით: „...სთხოვა შაპაბაზ ლუარსაბ

მეფესა და თვისი ცოლად თინათინ. ამან მისცა და წარიყვანა დიდითა დიდებითა და ნიჭითა” [12: 420]. ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით, ლუარსაბის იმ დას, რომელიც შაპმა შეირთო, ლელა ერქვა [9: 228]. ქართულ საისტორიო მწერლობაში აღნიშნულია, რომ გიორგი მეფეს ორი ქალიშვილი ჰყავდა: ხორეშანი და თინათინი [13: 384]. ნასროლა ფალსაფის მიხედვით, ერთი რომელსაც თინათინი ან ლელა ერქვა შაპ აბასს ჰყავდა ცოლად. მისი ძმის, ლუარსაბ II-ის მოკვლის შემდეგ, შაპმა იგი ფეიქარ ხანს აჩუქა [8: 42]. მეორე – ხორეშანი თეიმურაზ I-ის მეუღლე იყო.

თეიმურაზის პაპას, ალექსანდრე II-ს, მეფობის ბოლო ხანებში რომ სერიოზული პრობლემები შეექმნა თავის შვილებთან ურთიერთობაში, შაპისა და მისი აგენტურის ხელი იკვეთებოდა. თეიმურაზის მამა დავითი, რომელმაც ალექსანდრე მეფე აიძულა, ტახტიდან გადამდგარიყო, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა, ტახტზე მობრუნებული ალექსანდრეს უფლისწული კონსტანტინე აუმსედრდა. მისი ხელით დაიღუპა თეიმურაზის პაპა ალექსანდრე და ბიძა გიორგი. მათი დაღუპვით კახეთის სამეფოს რუსეთთან ურთიერთობა კარგა ხნით შეწყდა, რაც შაპის ინტერესებში იყო.

კონსტანტინეს წინააღმდეგ ამბოხებულმა კახელებმა, რომლებსაც სათავეში თეიმურაზის დედა ქეთევანი ჩაუდგა, მიაღწიეს იმას, რომ კონსტანტინე მოიშორეს და შაპ აბასის ნებართვით თეიმურაზი ქრისტიანობით გაამეფეს, მაგრამ კახეთის სამეფოს და მისი ახალგაზრდა მეფის მდგომარეობა მყიფე რჩებოდა. გამოსავლის მონახვა ძნელი იყო. კახეთის სამეფო ირანის აგრესისაგან მხოლოდ საკუთარი ძალით თავს ვერ დაიცავდა. თეიმურაზი ალექსანდრე II-ის გზას უნდა დადგომოდა და მუდმივად გარეშე დამხმარე ძალის ძიებაში ყოფილიყო. მთელი მისი მეფობა შინაგანი და გარეშე

მტრებისა და მოწინააღმდეგებისათვის საპირისპირო ძალის მოძიება იყო.

კახეთის სამეფოში არსებულმა ვითარებამ, თეიმურაზის გამეფებამდე და მის შემდეგ, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მის ხასითზე, მის დამოკიდებულებაზე ირგვლივ მყოფი ადამიანებისაღმი და, როდესაც მისი მმართველობის სტილსა და საქმიანობას ვაკვირდებით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ იგი ყოველთვის, საშინაო თუ საგარეო ურთიერთობებში, დასწრების ტაქტიკას ატარებდა. როდესაც ვაანალიზებ თეიმურაზის მთელ მეფობას ვერ ვიზიარებ მოსაზრებას, თითქოს „თეიმურაზის პოლიტიკასა და დიპლომატიას აკლდა მისი დიდი პაპის, ალექსანდრეს მოქნილობა და ჭკუამახვილობა“ [15: 113].

ვიდრე ირან-ოსმალეთის ომი მიმდინარეობდა, შაჰ აბასი გარკვეულწილად ითმენდა თეიმურაზ I-ს თვითნებობას, რაც კახეთის მეფის შაპთან გამოუცხადებლობაში გამოიხატებოდა. თუმცა მან მაინც შეძლო თეიმურაზის ორი ვაჟისა და დედის – ქეთევანის ხელში ჩაგდება და ამით, გარკვეული გაგებით, კახეთის სამეფოზე ჯერ ზეწოლისა, შემდეგ კი, პირდაპირი აგრესის ნიადაგი შეამზადა. ამ პერიოდში თეიმურაზ მეფის პოლიტიკა და დიპლომატია ირანის მიმართ, შეიძლება დავახსითოთ, როგორც წარუმატებელი, პასიური წინააღმდეგობის პოლიტიკა.

1612 წლის 20 ნოემბერს სტამბოლში დაიდო ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება, რომლითაც ბირითადად აღდგა ამასის საზავო პირობები. გამონაკლისს შეადგენდა სამცხე, რომელიც ისევ ოსმალეთს დარჩა. ზავის დაღების შემდეგ შაჰ აბასმა საქართველოსთვის მოიცალა და გადაწყვიტა „გურჯისტანის“ საკითხი საბოლოოდ მოეგვარებინა. ერთხელ კიდევ გამოჩდა ორ აგრესიულ სახელმწიფოს – ირანსა და ოსმალეთს შორის მშვიდობის დამყარების კატასტროფული შედეგი საქართველოსათვის.

იმის თქმა. რომ ქართლისა და კახეთის პოლიტიკოსებისათვის უცნობი იყო ირანის სამზადისი აღმოსავლეთ საქართველოს წინააღმდეგ, სწორი არ იქნება. ორივე სამეფოში და ერთმანეთის მიმართაც გადაიდგა ისეთი ნაბიჯები, რომლებიც საერთო მტრისათვის ლირსეულად დახვედრას ითვალისწინებდა. ქართლისა და კახეთის იმ გარკვეულმა წრეებმა, რომლებიც პოლიტიკას განაგებდნენ, ორ სამეფოს შორის მშვიდობის დამყარებისა და ერთობლივი თავდაცვისათვის თეიმურაზი დააქორწინეს ქართლის მეფე ლუარსაბის დაზე ხორებანზე და მეფეებმა ერთობლივი თავდაცვის ხელშეკრულებაც გააფორმეს. ხელშეკრულებას ხომ არ მოჰყვა რამე რეალური შედეგი და საქორწინო დიპლომატიამაც საკმაოდ სერიოზული ვნებათლელვა გამოიწვია. ამ ქორწინებით ვერ მიიღეს ის შედეგი, რასაც მოელოდნენ. ჯერ ერთი, მართლმადიდებელი ქართველები იყვნენ მის წინააღმდეგ და, მეორეც, არც პოლიტიკოსები იქნებოდნენ კმაყოფილნი, რადგან ეს ქორწინება შაპის ზეწოლით მოხდა. შაპის ჩანაფიქრი, როგორც შეიძლება ვიფიქროთ, ქართველებში ისლამის კანონით დაშვებული წესის დანერგვა იყო, მართლმადიდებლებს შორის დაპირისპირებას გაამძაფრებდა. ამ ქორწინებით გამოწვეული წინააღმდეგობის ორგვარი ახსნა გვაქვს. ფარსადან გორგიჯანიძე გადმოგცემა შემდეგს: „ბატონის თეიმურაზის პაპა ბატონი ალექსანდრე (II) და ხორებან დედოფლის ბებია ნესტან-დარეჯან დედოფლალი (სიმონ I-ის მეუღლე – ე. მ.) და-ძმანი იყვნენ, ბატონის ლევანის შვილები არიან და ქრისტიანობაში უმაღლერნი ყოფილან და მერჯულენიც ნებას არ ყოფილან და არაგვის ერისთვის შვილისთვის ნაქადები ყოფილა და კრება უქნიათ ამაზედ, რომ და-ძმათ შვილისშვილები ერთმანეთს ვით შერთონ. ასრუ არჩივეს საქრისტიანოს (ქართლ-კახეთის – ე. მ.) გაერთიანებისა და გაძლიერებისათვის, მერჯულეთ ნება დართეს” [9: 228]. ქორწინების წინააღმდეგი ყოფილა

ხორეშანის ძმა, ქართლის მეფე ლუარსაბ II-ც: „ესე არა ინება მეფემან ნათესაობისათსა, არამედ იძულებითა შაჰაბაზისათა მისცა და ქმნეს ქორწილი დიდებული“ [13: 424].

თეიმურაზის ხორეშანზე დაქორწინების ინიციატორი რომ შაჰ აბასი იყო, არჩილი თეიმურაზსაც ათქმევინებს, როგორ მიიწვია შაჰმა იგი დაქვრივების შემდეგ და მოსთხოვა ლუარსაბს დამოყვრებოდა. ამ ქორწინებით ჯერ ხომ ორი ქართველი მეფე გაერთიანდებოდა და თეიმურაზი შაჰ აბასის ქვისლი გახდებოდა, რადგან მისი ერთ-ერთი ცოლი ლუარსაბისა და ხორეშანის და იყო. თეიმურაზი, თურმე, დიდ წინააღმდეგობას უწევდა შაჰის ამ მოთხოვნას, როგორც მისი რჯულისათვის მიუღებელ, უკანონო ქმედებას, მაგრამ შაჰის ნება ურყევი იყო [3: სტრ. 401-405]. თეიმურაზი შემდეგ ამბობს: მიუხედავად იმისა, რომ შაჰის ყველა მოთხოვნა დაგაქმაყოფილე, მაინც გადაწყვეტილი აქვს „კახეთი მან დაირჩინოს, ბაგრატიონი გასწყვიტოს და არსად არ მოარჩინოს“ [3: სტრ. 441].

თეიმურაზისა	და	ხორეშანის	ქორწინების
მართლმადიდებელთათვის		მიუღებლობის	შესახებ
საქართველოს	საზღვრებს	გასცდა.	1636-1640 წლებში
საქართველოში,	კერძოდ, კახეთში ნამყოფი რუსეთის ელჩობის		
წევრების	მიხედვით, იერუსალიმის პატრიარქმა თეოფანის III-მ (1608-1644) XVII ს. 10-იანი წლების დასასრულს (1618-1619)		
საქართველოში	ყოვნისას აღნიშნული ქორწინება		
უკანონოდ	გამოაცხადა, „მი იურის (გიორგის – ე. მ.) და		
ალექსანდრე	მეფის დის ქალიშვილი, რუსულად ქრისტიანა,		
ქართულად	ხორეშანი, ამჟამად თეიმურაზის ცოლია და		
თეიმურაზს	მამის მამიდაშვილად მოხვდება. როცა		
იერუსალიმის	პატრიარქი თეოფანისი	საქართველოში	
იმყოფებოდა,	მათი გაყრა მოინდომა. მეფემ და დედოფალმა		
თეოფანისს	მისცეს ძველებური, თვლებით მოჭედილი ოქროს		

თასი და მრავალი ოქრო და მან მათ ძველებურად ცხოვრების ნება დართო” [17: 416; 6: 52-53].

რაც დრო გადიოდა, ირანის პოლიტიკა ქართლისა და კახეთის სამეფოების მიმართ მწვავდებოდა. შაჰ აბასმა ჯერ ერთი შეიღლი და დედა წაჲგვარა, შემდეგ მეორე შეიღლი და დაუინებით მოითხოვდა თვით მეფის ხლებას ირანში. თეიმურაზი რომ კარგად ხვდებოდა შაჰის ჩანაფიქრს, იქიდანაც ჩანს, რომ იგი მრავალი დაბირების მიუხედავად შაჰს არ ეახლა. ამიტომ სიმართლეს არ შეეფერება თეიმურაზის მიერ ნათქვამი, რომ შაჰ აბასმა „მოგვატყუა მოფერებით და მოჩვენებითი მეგობრობით, არაგულწრფელი სიყვარულით, მერე მოულოდნელად თავს დაგვესხა და ჩვენი მიწაწყლიდან გაგვაძევა” [17: 70]. შაჰის ვერაგობასა და ცბიერებაზე აკეთებს აქცენტს თეიმურაზ მეფე 1618 წელს მოსკოვში გაგზავნილ წერილში და აღნიშნავს, როგორ მანიპულირებდა შაჰ აბასი ირანში წაყვანილი უფლისწულებით. თეიმურაზს იმედი ჰქონდა, რომ დანაპირების მიხედვით, შაჰი მას უფროს ვაჟს დაუბრუნებდა და ამიტომ მობილიზებული მეომრები სახლებში გაუშვა, ამით ისარგებლა შაჰმა და კახეთის სამეფოს თავს დაესხა [17: 45].

როგორც ყიზილბაშთა საქართველოში შემოჭრამდე პერიოდის თეიმურაზ მეფის წერილებიდან და ასევე არჩილის გადმოცემით შეიძლება ვიფიქროთ, იგი გულუბრყვილოდ ენდებოდა შაჰ აბასს და მისი ყველა სიტყვისა და დანაპირებისა სჯეროდა. მიჟირს გავიზიარო ლ. ტუხაშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც თეიმურაზ მეფემ დროულად ვერ გამოიცნო შაჰ აბასის განზრახვა და მოუმზადებელი შეხვდა მტერს. ეს მოსაზრება გაზიარებულია დ. კაჭარავას მიერაც [14: 111]. რა თქმა უნდა, ვერც ისქანდერ მუნშის სიტყვებს ვენდობი, განსხვავებით დ. კაჭარავასაგან, რომელიც იმოწმებს ამ ირანელი ისტორიკოსის ერთ გამონათქვას და ჭეშმარიტებად მიაჩნია: „თეიმურაზის სიბეცეს აღნიშნავს

სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნშიც: „ქართველებსა და განსაკუთრებით ბედოვლათ თეიმურაზს უდარდელობის ფარდა ჰქონდათ გამჭრიახობის თვალზე ჩამოფარებული“ [11: 150]. დ. კაჭარავას აზრით, „ანალოგიური ვითარება იყო ქართლშიც... იმ საშინელ ტრაგედიაში, რომელიც შაჲ აბასმა თავს დაატეხა საქართველოს, პირველ რიგში ლუარსაბ II-სა და თეიმურაზ I-ს მიუძღვიდა ბრალი“ [11: 150].

ისქანდერ მუნში შუასაუკუნებისა არც პირველი და არც უკანასკნელი ისტორიკოსია, რომლისთვისაც თავისი ბატონის ყველა მომხრე ჭკვიანი და წესიერია, მოწინააღმდეგე კი, უვიცი უკულტურო, ორპირი, მოღალატე და ა. შ. ეხლა თვალი გადავავლოთ ისქანდერ მუნშის, შაჲ აბასის ამ მეხოტბე ისტორიკოსის თხზულებაში მიმობნეულ ქართველ მეფებზე გამონათქვამებს. აი რას ამბობს თავისი თხზულების არა ერთ ადგილას თეიმურაზის შესახებ, როგორ ცდილობს დაამციროს იგი მკითხველის თვალში (ასეთივე მისი შეფასებანი ყველა იმ ქართველის მიმართ, რომლებიც შაჲ აბასის მუხლებს არ მოეხვია): „მუდამ აცდენდნენ უვიცსა [და] გამოუცდელ [თეიმურაზს] სწორ გზას და არწმუნებდნენ მას, არ წასულიყო ცის მსგავს სასახლეში (შაჲის კარზე)“ [4: 69]; „[თეიმურაზმა] ბოროტებაზრახველების წაქეზებით, ამჯერად საპატიო მიზეზის გარეშე უარი სთქვა [მოსვლაზე] და [შაჲის] სამსახურის ბედნიერებას არ ეზიარა“ [4: 69-70]; „თეიმურაზი, რომელიც გამოუცდელი და უვიცი, ხელმწიფის ჩრდილქეშ იყო გამოზრდილი“, შაჲ აბასმა მასთან თავის კაცი გაგზავნა, რათა მისთვის „დაუდევრობის ბამბა ამოეცლია ფურებიდან“ [4: 83]; „თეიმურაზი და ლუარსაბი, ეს ორი უვიცი და უგუნური...“ [4: 88]; ხოჯა მოპამედ რეზამ „მჭერმე-ტყველებით, ბრძნული გამოკვლევით და ჭკვიანური, გონიერი სიტყვით ის ველურები და „უმეცრების ველზე მოხეტია ლენი (იგულისხმება იმერეთას სამეფო კარი და იქ თავშეფარებული მეფები — თეიმურაზი და ლუარსაბი — ე.

მ.) ისევ გამოიყვანა მტრობის სადგომიდან და ერთგულებისა და თანხმობის მოსურნე გახადა” [88-89]. „ლუარსაბმა თავისი გარეგნობა წრფელი ერთგულების სამოსელით შეიმკო, შიგნით კი ვერაგობით და მზაკვრობით [საგსემ], რაც იმ ხალხის (ქართველების – ე. მ.) ბუნებას შეადგენს” [4: 91]. სხვა მსგავსი ქართველი ხალხის, მათი მეფეებისა და დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი სხვა ქართველების შეურაცხმყოფელი ეპითეტების ამოკრება შეიძლება ისქანდერ მუნშის ნაშრომიდან, მაგრამ, ვიმეორებ, თეიმურაზი, როგორც მთელი მისი ცხოვრებიდან, პოლიტიკური და დიპლომატიური საქმიანობიდან ჩანს, იყო პრაგმატისტი და დასახული მიზნის მიღწევისათვის შეუპოვარი. ის რომ მართლა ისეთი ყოფილიყო, როგორსაც არჩილი წარმოაჩენდა, მაშინ იგი გამეფებისთანავე შაპის მსხვერპლი ან ირანის მბრძანებლის ყველა სურვილის ამსრულებელი გახდებოდა და მის ოჯახს და ქვეყანას ის უბედურება ასცდებოდა, რომელიც შაპ აბასმა დაატეხა.

საინტერესოა, რომ ევროპელი დამკვირვებელი ირანში მოპოვებული ცნობების მიხედვით მსჯელობს რა შაპ აბასის მიერ „გურჯისტანის“ აკლებაზე, 1617 წლის 24 ნოემბრით დათარიღებულ წერილში, რომელიც გაგზავნილია ესპანეთის მეფისადმი, აღნიშნულია, რომ კახეთის დედოფალი-ბეგუნი ქეთევანი, აღმოსავლეთ საქართველოს ანუ გურჯისტანის, იგივე აღმოსავლეთ მმართველის დედა შირაზში ჩამოიყვანეს. „ეს ქრისტიანი დედოფალი არ იყო დამნაშავე, – წერს ანონიმი ავტორი, – თავისი შვილის [თეიმურაზის] აჯანყებისათვის, მაგრამ სპარსეთის შაპმა, აღშფოთებულმა იმით, რომ მისი შვილი ხელთ ვერ იგდო, გაანადგურა და გაძარცვა მთელი ქვეყნა, 80 ათასი სული ტყვე ხელთ იგდო და ამასთანავე, ეს დედოფალი 8 და 9 წლის ორი ბავშვით, მისი შვილიშვილებით, იგივე თეიმურაზის შვილებით” [5: 384, №46].

ამგვარად, ჩვენს წინაშეა სხვადასხვა მიზანდასახულების წყარო, რომლებიც სრულიად განსხვავებულ ინტერპრეტაციას ითხოვს. სრულიად გასაგებია არჩილ მეფის პოზიცია, როდესაც თეიმურაზის შაპისადმი უსაფუძვლო ნდობასა და მის გაუტანლობაზე გადმოგვცემს, ამით მას უნდა ხაზი გაუსვას შაპის უსამართლო მოქმედებას.

ისქანდერ მუნშის მიხედვით, რამდენი სიკეთე არ ჩაიდინა შაპ აბასმა თეიმურაზ მეფისა და ლუარსაბ მეფის ბედნიერებისათვის, მაგრამ ისინი იმდენად უვიცნი და დაუნახავები იყვნენ, რომ შესაფერისად ვერ გამოიყენეს ეს სიკეთე და შაპისადმიც უპატივისცემოდ იქცეოდნენ და ამიტომ მოიმკეს მათ ის ნაყოფი, რაც დაიმსახურეს. ასეთია მისი თხზულების პათოსი.

ზემოთ დამოწმებული ევროპული წყაროს ავტორი კი, რომელიც, როგორც ჩანს, დაახლოებული იყო ირანის მმართველ წრეებთან, ახმოვანებს იმ ბრალდებას, რასაც თეიმურაზს ირანში უყენებდნენ და ამით სურდათ გაემართლებინათ ის საშინელება, რაც ყიზილბაშებმა საქართველოში ჩაიდინეს.

მაინც გადავხედოთ, რა ხდებოდა თეიმურაზისა და შაპ აბასის ურთიერთობაში მანმადე, ვიდრე ქართლ-კახეთში ტარაგედია დატრიალდებოდა. რას გადმოგვცემს ისქანდერ მუნში?

თეიმურაზის გამეფებისთანავე, საქართველოს დიდებულებმა და იმ ხალხის „ბერებმა“, ალბათ იმიტომ, რომ ირანთან მშვიდობა უნდოდათ და იმიტომაც, რომ ქრისტიანი მეფე დაანებათ შაპმა, განაცხადეს მორჩილება და იკისრეს ალექსანდრე მეორის დროს თუ ირანის წინაშე შესაფერის სამსახურს ვერ სწევდნენ, ყველაფერს აანაზღაურებდნენ. ამის შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია, რომ შაპ აბასმა 1607 წელს მოითხოვა, რომ „თეიმურაზ-ხანი მოსულიყო გაწყობილი ჯარით შემახის ციხეში და [შაპის] სამსახურად დამდგარიყო“.

მაგრამ თეიმურაზი შაპს არ ეახლა. როგორც ისტორიკოსი ამბობს, კახეთის მეფემ ვიღაც „ბოროტგანმზრახველებს დაუჯერა, შაპს ბოდიში შეუთვალა და ითხოვა, რომ გაეთავისუფლებინათ ამჟამად მაღალ კარზე ხლებისაგან და რომ გამოგზავნიდა თავის დედას დედოფალს, რომელიც მისი ქვეყნის მთავარი საქმეების გადამწყვეტი იყო” [4: 69]. რა შეიძლება ვიუიქროთ თეიმურაზ მეფის სახელით შაპისათვის შენათვალზე. უკველია, რომ თეიმურაზი შაპთან არ გაუშვა მისმა დედამ დედოფალმა ქეთევანმა და წერილიც მისი დაწერილი იქნებოდა. მან კარგად იცოდა, თუნდაც კახეთის სამეფო კარზე და პირადად მის ოჯახში შაპის ვერაგობით დატრიალებული უბედურების შესახებ. მისთვის ისიც გასაგები იქნებოდა, რატომ დათანხმდა შაპი თეიმურაზის კახეთში გამეფებაზე. შაპს ამ აქტით უნდოდა კონსტანტინე ბატონიშვილის მიერ მოწყობილი მკვლელობის გამო, უკმაყოფილო კახელების სამართლიანი გულისწყრომა დაეცხო. მაგრამ ისიც გასაგები იყო, რომ ეს ირანის მბრძანებლის იმ გენერალური ხაზიდან დროებით უკან დახევა იყო, რომელიც კახეთის ირანის ერთ-ერთ სახანოდ გადაქცევას ისახავდა მიზნად. ქეთევანი მზად იყო თავი გაეწირა ყმაწვილი შვილისათვის.

შაპი, ვითომ, თავის ავტორიტეტს უფრთხილდებოდა (რა თქმა უნდა, არც უამი-სობა იყო) და მაინც მოითხოვდა, რომ ჯერ თეიმურაზი „მსუბუქად გვეახლოს სამსახურად. მიიღებს უკან დაბრუნების ნებართვას და შემდეგ, როცა წავა, თავის დედას გამოატანოს ლაშქარი, რამდენსაც შეძლებს”. ქეთევან დედოფალი, „ჯარის ერთი რაზმით, რომელიც სულ ათასზე მეტი კაცისაგან არ შედგებოდა”, თეიმურაზის გარეშე შაპის ბანაკში მივიდა, სადაც კარგად მიიღეს, მაგრამ ქართველთა რაზმი არავითარ საქმეში არ გამოიყენეს და უკან დააბრუნეს [4: 69-70].

1610 წელს თეიმურაზ მეფე შაპ აბასს არდებილში ეხლა და თუ ისქანდერ მუნშის დავუჯერებთ, მან ეს თავისი სურვილით, შაპისაგან ძალდატანების გარეშე გააკეთა. თეიმურაზს იქ დახვდა ქართლის მეფე ლუარსაბი. მათ ორივეს რაც სათხოვარი ჰქონდათ, შაპმა შეუსრულათ და სამშობლოში გამოისტუმრა [4: 76-77].

ისქანდერ მუნში შემდეგში უბრუნდება თეიმურაზისა და ლუარსაბის შაპ აბასთან ყოფნის საკითხს და დამატებით გვამცნობს, რომ გამგზვრების წინ მათ შაპს სთხოვეს, თუ იგი სანადიროდ და „სასეიროდ“ წასვლას განიზრახავდა, ეცნობებინა ქართველი მეფეებისათვის და ისინი „მსუბუქად და მარტო“ თვითონაც მიიღებდნენ მონაწილეობას. „ისინი პირობას სდებდნენ ხელმწიფის წინაშე, რომ თუ იგი საჭიროდ დაინახავს ჩვენს დასწრებას, მალემსრბოლს გამოგზავნის და მიგვიხმობს, იმავ წუთს გამოვემართებით და ნიაგქარივით [სწრაფად] ბედნიერ ამაღაში მოვალთო“. მაგრამ, როდესაც შაპმა მართლაც მიიწვია ისინი სანადიროდ მაზანდარანში და კაციც გაუგზავნა, მათ „იმდენი იძვრინეს თავი, რომ მაზანდარანში [უკვე] დათბა, გაზაფხული და ნადირობის დრო გავიდა და მისი უდიდებულესობა შაპიც იმ ველაიეთიდან წამოვიდა“ [4: 80]. ამგვარად, მეფეებმა პირობა დაარღვეის.

სპარსელი ისტორიკოსის მონათხრობიდან მკითხველს აუცილებლად უნდა შეექმნას შთაბეჭდილება, რომ თეიმურაზ I-მა და ლუარსაბ II-მ შაპ აბასი მოატყუეს და მისგან თავი ისე დაიძვრინეს. მაგრამ იმავე ისტორიკოსის თხზულების მიხედვით გასაგები ხდება, რომ მათ ამგვარი მოქმედების საფუძველი ჰქონდათ. ისქანდერ მუნში გაკვრით ამბობს: თეიმურაზ მეფეს შაპთან აუდიენციის დროს შაპისათვის პირდაპირ უთქვამს, რომ იგი „ზოგიერთ ქართველ აზნაურზე ცუდი შეხედულებისა იყო“. თეიმურაზის სიტყვებიდან არ ჩანს, თეიმურაზს მხოლოდ კახელი აზნაურები ჰყავდა მხედველობაში თუ ქართლელებიც. მაგრამ მინიშნება კი არის,

რომ მან, როგორც თავისი ისე ლუარსაბის სახელითაც, გამოსთქვა უკმაყოფილება. ისიც საინტერესოა, მაგრამ არ ჩანს, თეიმურაზს ირანში გადახვეწილი თავად-აზნაურები ჰყავდა მხედველობაში თუ საქართველოში მცხოვრებნიც. მოსალოდნელია, მას მხედველობაში ჰყავდა პროირანულად განწყობილი ის ფეოდალები, რომლებიც მეხუთე კოლონას ქმნიდნენ და ზეწოლას ახდენდნენ სამეფო კარზე, როგორც კახეთის ისე ქართლის სამეფოში. ჩემი ვარაუდი, რომ უსაფუძღლო არ არის, ეს არაპირდაპირ ჩანს ისკანდერ მუნშის შემდეგ ნათქვამში: „მაღალმა ხელმწიფემ ყურადღება მიაპყრო მისა (თეიმურაზისა - ე. მ.) და ქართლის მეფის ლუარსაბის, რომელიც ხელმწიფეს ახლდა, მდგომარეობას, შეასრულა ორივეს თხოვნა და საწადელი, წყალობა უყო და წასვლის ნება მისცა. ისინიც დაკმაყოფილებულნი თავთავის ქვეყანაში წავიდნენ“ [76-77]. შეიძლება თეიმურაზს მხედველობაში ჰყავდა შაპის კარზე მყოფი გიორგი სააკაძე და მის გარშემო შემოკრებილი, თეიმურაზითა და ლუარსაბით უკმაყოფილო თავად-აზნაურები.

საფიქრებელია, ქართველი მეფეები უკმაყოფილონი დაბრუნდნენ და ანტირანული ძალების გაერთიანება გადაწყვიტეს. მითუმეტეს, ამგვარი გაერთიანების აუცილებლობას დღის წესრიგში აყენებდა ირან-ოსმალეთის ომის დამთავრება და მათ შორის დადებული ზავი, რომლის მიხედვითაც ოსმალეთმა აღმოსავლეთ საქართველო ირანის გავლენის ქვეშ აღიარა. გასაგები იყო, რომ ირანი ომითა და დიდი მსხვერპლით მოპოვებულ ამ წარმატებას მაქსიმალურად გამოიყენებდა და ერთხელ და სამუდამოდ ქართლსა და კახეთს თავისად გადააქცევდა. ერთი შეხედვით, როგორც ნ. ნაკაშიძე შენიშნავდა, „ქართლ-კახეთის პოლიტიკოსები არ უნდა ყოფილიყვნენ 1612 წლის ზავით უკმაყოფილო: აქ ქრისტიანი მეფეები ისხდნენ, რომლებიც ფორმალურად-და ჩანდნენ ირანის ხელდებულად. მაგრამ ეს ფაქტი

საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა შაპ აბასის პერსპექტიულ გეგმებს საქართველოს მიმართ, რომელიც გულისხმობდა ქრისტიან ბაგრატიონთა ფიზიკურ მოსპობას, მოსახლეობის აყრა-გადასახლებას, გამაჰმადიანებასა და ამ ტერიტორიაზე მაჰმადიანური სახანოების შექმნას” [7: 51]. შაპის განწყობილება და გეგმები არ შეიძლებოდა მხედველობიდან გამორჩენოდათ ქართველ პოლიტიკოსებს და მათ კონტრლონისძიებების გატარება დაიწყეს.

1613 წელს ჩამოყალიბდა ქართლისა და კახეთის სამეფოების ანტირანული კოალიცია, რომლის სულისხამდგმელად ისკანდერ მუნში ასახელებს შერმაზანს, რომელიც კახელი ბაგრატიონების სამეფო კარის ახლობელი და ერთგული შერაზან ჩოლოყაშვილ უნდა იყოს. მეფის ოჯახისადმი მისი ერთგულება იქიდანაც ჩანს, რომ ქეთევან დედოფალმა იგი თან გააყოლა ირანში შაპთან გაგზავნილ მცირეწლოვან უფლისწულ თეიმურაზს [13: 382].

ისკანდერ მუნში ქართველი მეფების შეთანხმების შესახებ წერს: „უკველია, რამდედენიმე ქართველის, განსაკუთრებით შერმაზანის წაქეზებით დასდვეს მათ პირობა და პაემანი, რომ ამიერიდან ერთმანეთთან თანხმობით ყოფილიყვნენ, იმის საწინააღმდეგოდ, როგორც მათი მამები იქცეოდნენ, და სანამ შესაძლებელი იქნებოდა, თავისი საცხოვრებელიდან არ დაძრულიყვნენ და ყიზილბაშებისათვის არ ჩაეგდოთ თავი [ხელში]“ [4: 81]. ისტორიკოსი შაპის საქართველოზე გალაშქრებას მეფეთა შორის ერთგულების ხელშეკრულების დადებას უკავშირებს.

არაქელ დავრიულეცი მეფეთა შორის კავშირის დამყარების მიზეზად კი შაპ აბასის საქართველოზე გამოლაშქრებას თვლის. ისინი იძულებული გახდნენ ერთობლივად დაეცვათ თავი. კავშირის დამყარების ინიციატორი, იმავე ავტორის მიხედვით, ლუარსაბ II იყო. მან თეიმურაზი თბილისში მიიწვია. მათ „შეპკრეს პირობა და კავშირი, რომ იქნებოდნენ

თანამოზიარენი და თანამოსაქმენი, ერთმანეთისათვის თავს დასდებდნენ და შეეწირებოდნენ ქრისტეს სახელს” [2: 23].

აღნიშნულ ხელშეკრულებას რეალური შედეგი არ მოჰყოლია. დღეისათვის ცნობილი წერილობითი წყაროები არაუერს ამბობს მეფეების მიერ გატარებულ თავდაცვით ღონისძიებებზე. უფრო მეტიც, თეიმურაზმა ერთი ისეთ მოქმედება ჩაიდინა, რომლითაც საგრძნობლად შეასუსტა თავისი შეიარაღებული ძალები.

თეიმურაზის ბრძანებით, ეჭვიანობის საფუძველზე, მოკლეს ცნობილი სარდალი, პოლიტიკური მოღვაწე და პოეტი ქაიხოსრო ჩოლოფაშვილი. უეჭველია, რომ თეიმურაზს ეს ნაბიჯი გადაადგმინეს შაჰის აგენტებმა და მათი მითითებით მოქმედმა ზოგიერთმა კახელმა მსხვილმა თავადმა. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, ლეკთა თავდასხმების შესაჩერებლად „წარავლინა თეიმურაზ ომანიშვილი ქაიხოსრო, რამეთუ იყო იგი ახოვანი, შემართებული. ესე შევიდა დაღისტანსა შინა და დადგა მთასა ზედა, უწყო რბევა, სრვა და აოხრება, და ვითარ ვერ წინააღუდგნენ, ითხოვა ბუკი თეიმურაზისაგან, რამეთუ მოშიშარ იქნებიან უფროსად. არამედ კახთა შეასმინეს ბატონს თეიმურაზს: „ნებავს კახეთი და მისთვის ითხოვს ბუკსაცა”. ამისთვის მოიყვანა ქაიხოსრო და მოჰკლა იგი დალატად” [12: 585].

თეიმურაზმა რომ ქაიხოსრო მოაკვლევინა, ამაზე გადმოგცემს ანტონ ფურცელაძეც თავის მონოგრაფიაში, მაგრამ მიზეზად ასახელებს თეიმურაზის ეჭვიანობას თავისი დედა ქეთევანისა და ქაიხოსრო ჩოლოფაშვილის ურთიერთობის გამო [10: 158-159, 422-423]. რამდენად შეეფერებოდა ეს მიზეზები სიმართლეს ამის მტკიცებას ან უარყოფას ეხლა მნიშვნელობა არა აქვს. ორივე მიზეზი უაღრესად სერიოზული იყო. მთავარი ის იყო, რომ ერთის ან მეორის სინამდვილეში დარწმუნებული თეიმურაზი ქაიხოსროში ტახტის მოცილეს დაინახავდა. საკარაულოა, რეპრესიები

გარკვეულ დონეზე, ომან ჩოლოფაშვილის (ქაიხოსროს და ნიკიფორეს მამის) ოჯახის სხვა წევრებზეც გავრეცელდა. ქაიხოსროს დასჯა მოხდა შაჲ აბასის აღმოსავლეთ საქართველოში პირველად შემოჭრის წინ.

თეიმურაზ მეფის მიერ ქაიხოსრო ჩოლოფაშვილის მოკვდინების ნამდვილ მიზეზად გ. აკოფაშვილმა მისი პროირანული ორიენტაცია ივარაუდა, რომელიც მეფისათვის მიუღებელი იყო [1: 23]. გ. უორდანია კი, სრულიად საწინააღმდეგო, ჩემთვის მისაღებ მოსაზრებას გვთავაზობს. ქაიხოსრო ანტიირანული ორიენტაციისა უნდა ყოფილიყო და სწორედ ამის გამო ჩოლოფაშვილების გვარის ეს გამოჩენილი წარმომადგენელი შაჲ აბას I-ის ინტრიგების მსხვერპლი შეიქმნა. შაჲმა ისეთი ვითარება შექმნა, რომ თეიმურაზისავე ხელით მოიშორა ეს გამოჩენილი სარდალი [16: 386], რითაც საგრძნობლად დაასუსტა კახეთის სამეფოს სამხედრო ძალა ირანელთა ინტერვენციის წინ.

ვფიქრობ, ქაიხოსროს მკვლელობის შემდეგ მცირე ხანში თეიმურაზი მიატოვა კიდევ ერთმა ჩოლოფაშვილმა, მისმა ძმამ ნიკოლოზმა, შემდეგში ცნობილმა პოლიტიკურმა და სახელმწიფო მოღვაწემ, რომელიც ცნობილი იყო, როგორც ნიკიფორე ირბახი. ნიკიფორეს იერუსალიმში გამგზავრება მისი ძმის ქაიხოსროს მოკვლის შემდეგ მოხდა. სერიოზული პოლიტიკური მოღვაწისა და დიპლომატის ნიკიფორეს საქართველოდან წასვლა, მოახლოებული განსაცდელის წინ, თეიმურაზისათვის დიდი დანაკლისი იყო. უმნიშვნელო არ იყო ისიც, რომ შაჲის ბანაკში იყვნენ გავლენიანი კახელი თავადები: ადამ ანდრონიკაშვილი, დავით ჯანდიერი და ნოდარ ჯორჯაძე

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შესუსტების საქმეში, რა თქმა უნდა, დიდი როლი ითამაშა ქართლის სამეფოში გიორგი სააკაბის სახელთან დაკავშირებულმა ფეოდალურმა შუღლმა, დაპირისპირებული ბანაკების წარმოშობამ და საბოლოოდ

დიდი მოურავის ირანში გაქცევამ. ამ და სხვა არასასურველმა მომენტებმა, რომლებიც მოხდა ირანელთა ინტერვენციის წინ, გადამწყვეტი თუ არა, მნიშვნელოვანი როლი მაინც ითამაშა შაჰ აბასის მიერ საქართველოს წინააღმდეგ საომარი გეგმის შემუშავებასა და იმ წარმატებაში, რომელიც ირანელებმა ქართლ-კახეთის სამეფოების წინააღმდეგ ომში მოიპოვეს.

ვიდრე დაიწყებოდა ირანელების ლაშქრობა საქართველოში, მანამადე შაჰია ზელთ იგდო თეიმურაზის ორი ვაჟი – ლევანი და ალექსანდრე და დედოფალი ქეთევანი. არ შეიძლებოდა ამ გარემოებასაც თავისებურად უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა თეიმურაზ მეფისა და, საერთოდ კახელების ბრძოლისუნარიანობაზე ომის დაწყების პირველ ეტაპზე მაინც. კახელებმა თითქმის ბრძოლის გარეშე დათმეს პირველი მანქანი. თეიმურაზმა და ლუარსაბამა იმერეთს შეაფარეს თავი.

#### დამოწმებანი:

1. აკოფაშვილი გ., ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოფაშვილი – ნიკოფორე ირბახი, თბ., 1977.
2. არაქელ დავრიშეცის ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი, შესავალი და კომენტარები კ. კუციასი, თბ., 1974.
3. არჩილი, გაბასება თეიმურაზისა და რუსთველისა. „ქართული მწერლობა”, VI, თბ. 1989.
4. ისექანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავალი თურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1969.
5. ლუის ხილი ფერნანდესი, ი. ტაბაღუა, დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.), მადრიდი, 1991.
6. მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2009.
7. ნაკაშიძე ნ., წიწამურიდან ბახტრიონამდე, თბ., 1977.
8. უცხოური ლიტერატურის რეფერატული კრებული. ისტორია, 6, თბ. 1978.

9. ფარსადან გორგივანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, „საისტორიო მოამბე“, წ., II, თბ., 1925.
10. ფურცელაძე ა., ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო, ტფ., 1911.
11. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევებში, II, თბ., 1998.
12. ქართლის ცხოვრება, IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
13. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., II, თბ., 1959.
14. „ცისკარი“, № 9, თბ., 1983
15. ჯამბურია გ., გიორგი სააკაძე, თბ., 1964
16. Жордания Г., Гамезардашвили З., Римско-католическая миссия и Грузия, ч. I, Тб., 1994
17. Материалы по истории грузино-русских взаимоотношений. 1615-1640. Документы к печати подготовил и предисловием снабдил М. Полиевктов, Тб., 1937.

## რეზიუმე

ლუარსაბ II-ს და თეიმურაზ I-ის ქრისტიანობით გამეფება ქართველობას თავის დიდ გამარჯვებად მიაჩნდა. შაპ აბასს კი სულ სხვა განზრახვა ჰქონდა. მას უნდოდა&amp; ბსპ; ქართლისა და კახეთის მეფეები შაპის მოხელეები ყოფილიყვნენ. იგი მათგან არავითარ დამოუკიდებლობის გამოვლენას არ მოითმენდა. ქართლ-კახეთის სრული მორჩილების გარეშე, ამიერკავკასიაში ირანის ბატონობა ვერ მოხერხდებოდა.

საქართველოს მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ კავკასიაში ოსმალეთი კვლავ სერიოზულ ძალად რჩებოდა და, შაპის ვარაუდით, ქართველი პოლიტიკოსები შეცდებოდნენ

ირანის წინააღმდეგ მის გამოყენებას. შაპმა ნაცად ზერხს – დაყვავებისა და სამხედრო აგრესით დაშინების პოლიტიკას მიმართა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შაპის ღონისძიებები ქართლისა და კახეთის სამეფოების მიმართ სულ უფრო მკაცრდებოდა.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ასუსტებდა შიდა ფეოდალური დაპირისპირებები, რამაც საგარეო ფაქტორთან ერთად ქართლისა და კახეთის სამეფოები პოლიტიკურ კატასტროფამდე მიიყვანა, ვიდრე დაიწყებოდა ირანელების ლაშქრობა საქართველოში, მანამადე შაპმა ზელთ იგდო თეიმურაზის ორი ვაჟი – ლევანი და ალექსანდრე და დედოფალი ქეთევანი. არ შეიძლებოდა ამ გარემოებასაც თავისებურად უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა თეიმურაზ მეფისა და, საერთოდ კახელების ბრძოლისუნარიანობაზე ომის დაწყების პირველ ეტაპზე მაინც. კახელებმა თითქმის ბრძოლის გარეშე დათმეს პოზიციები. თეიმურაზმა და ლუარსაბმა იმერეთს შეაფარეს თავი.

*Eldar Mamistvalishvili  
Full Professor of Gori Teaching University*

## RELATIONS OF TEIMURAZ I AND LUARSAB II WITH SHAH ABBAS I (1605-1613)

### SUMMARY

The Christian accession of Luarsab II and Teimuraz I was considered by Georgians to be their great victory, though Shah Abbas had quite a different intention. He wished Kartli and Kakheti Kings to be officials of the Shah. He would not stand any manifestation of independence from them. Iran's supremacy over Transcaucasia would not be possible without complete subordination of Kartli and Kakheti.

The situation in Georgia was also complicated by the fact, that Osmals still remained a serious power, and according to Shah's supposition, Georgian politicians would try to use it against Iran. Shah resorted to the tested method – to the policy of caress and threat with a military aggression. Based on the aforesaid, Shah's activities towards Kartli and Kakheti Kingdoms were getting more and more severe.

The inner feudal quarrels weakened the country's ability of self-defense. Together with the foreign policy factor, Katli and Kakheti Kingdoms were led to a political catastrophe. Before the beginning of Iranian marches to Georgia, Shah seized Teimuraz's two sons, Levan and Aleksandre, and Queen Ketevan. This event could not but had its negative influence on King Teimuraz, and generally, on Kakhelis capability to fight on the first stage of the war. The Kakheli left their positions without any fight. Teimuraz and Luarsab found shelter in Imereti.

მანანა მიჩიტაშვილი  
ჯორის სახწავლო უნივერსიტეტი,  
სრული პროფესორი

**ამერიკული მისიების მოღვაწეობა საქართველოში 1918-1920  
წლებში**

ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ურთიერთობების პრიორიტეტებს სამხედრო-სტრატეგიულ, პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენი საზოგადოების ამერიკისადმი დიდი ინტერესი და მომავლის პერსპექტივები აქტუალურს ხდის ამერიკასთან პირველი კონტაქტების ისტორიის მრავალმხრივ და ობიექტურად შესწავლას.

პირველმა მსოფლიო ომმა, რუსეთის 1917 წლის ბოლშევიკურმა რევოლუციამ და მქერიათა ნანგრევებზე ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო ობიექტების აღმოცენებამ ბიძგი მისცა ამიერკავკასიის გეოპოლიტიკურ არეაზე ამერიკის შეერთებული შტატების გამოსვლას, რომელსაც ამ სტრატეგიული რეგიონის მომავლისადმი საკუთარი ხედვა ჰქონდა, რაც ნათლად ჩანს ამერიკული მისიების მოღვაწეობის ისტორიიდან. მათი მეცნიერული კვლევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლებასთან ურთიერთობების ამსახველ ევროპულ და ამერიკულ დოკუმენტურ მასალას: სენატორების, კონსულების, სამხედრო მისიების რელაციებს, სტენოგრაფიულ ჩანაწერებს, ჰარვარდისა და ლევილის ფონდს, რაზედაც საბჭოური იდეოლოგიური პოლიტიკის გამო ისტორიკოსებს ხელი არ მიგვიწვდებოდა. შესაბამისად ევროპული და ამერიკული წყაროების სიმცირემ და ტენდენციურმა იდეოლოგიურმა პოლიტიკამ განსაზღვრა ამ პერიოდის ისტორიულ მოვლენებზე, საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებზე და

პიროვნებებზე რადიკალურად განსხვავებული შეფასებები, ა. მილერის, გ. ლამბაშიძის, ა. ჩოხელის, ა. მენთეშაშვილის, ედუარდ ჰაუზის, ქროს-ნაჯაფის და სხვ. ნაშრომებში.

ამერიკის საგარეო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოსადმი ინტერესი ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ამერიკის პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის "14 პუნქტიდან" მე-6 პუნქტი კავკასიას შეეხებოდა, რომელიც უნდა განხილულიყო, როგორც თურქეთის პრობლემების ნაწილი. რუსეთისაგან ეს გამოცალკევება კავკასიისათვის უკვე დიდი მხარდაჭერა იყო.

ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულო ბათუმში 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე გაიხსნა, საკონსულო მალე თბილისში გადავიდა. საქართველოში ამერიკის პირველი კონსული ფელიქს უილოუბ სმითი, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის დოკუმენტების მიხედვით, ოფიციალური სტატუსით 1916 წლიდან 1918 წლამდე მოღვაწეობდა. აკაკი რამიშვილის ცნობით (რამიშვილი 2000:41) რუსეთის რევოლუციის დროს სმითი ამიერკავკასიის ფედერაციის გაფართოების იდეას უჭირდა მხარს. სმითის იმდროინდელი რელაციები და მაღალი რანგის ამერიკელ პოლიტიკოსებთან პირადი მიმოწერა, ვილსონის აღმინისტრაციისადმი გაკეთებული გაბედული წინადადებები, 60 მილიონიანი თანხით და სურსათით დახმარებოდნენ ამიერკავკასიის კომისარიატს. მიუთითებდა, რომ რეგიონი მსოფლიოს ძლიერი სახელმწიფოს აშშ-ს გლობალური ინტერესების სფეროში მოექცა. 1918 წლიდან ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმების შემდეგ აქტიურად ჩაერთო კავკასიაზე თურქეთის თავდასხმისგან თავდაცვის გეგმის შემუშავებაში, ამერიკის კონსული თავის მთავრობას დეპეშით ატყობინებდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა და არმია უარს ამბობდა გაპყოლოდა ბოლშევიკებს. საქართველოს დამოუკიდებლობის

გამოცხადების შემდეგ, ვითარების შესასწავლად 1918 წლის 14 დეკემბერს ბათუმში ამერიკის მისია ჩამოვიდა, ჩიკაგოს უნივერსიტეტის რექტორის, საერთაშორისო სამართლის დოქტორის, ჯედსონის მეთაურობით. დ. თოფურიძესთან და საგარეო საქმეთა მინისტრ ე. გეგეშვილთან შეხვდრის საარქივო მასალებიდან ჩანს, (მაღლაკელიძე 1953:26-30) ამერიკის დაინტერესება საქართველოს ხელისუფლება იყო თუ არა სოციალისტური, როგორი იყო ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები, შეიარაღებული ძალების რაოდენობა, ქვეყნის ჩრდილოეთიდან ბოლშევიკების საფრთხის მოგერიების შესაძლებლობა, ქვეყანაში წესრიგის უზრუნველყოფა და სხვ. ჯედსონმა ხაზგასმით განაცხადა, რომ ამერიკისათვის დახმარება თვითონ საქართველოს უნდა ეთხოვა, რაზეც ამერიკის მთავრობისგან თანხმობას აუცილებლად მიიღებდა. ამ პერიოდში ქართული მხარე ამერიკას არ განიხილავს მანდატორ ქვეყნად: „თუ დამოუკიდებლობის საკითხი ძალიან გამწვავდა... და თუ იქნება პროტექტორატი, მხოლოდ რომელიმე ევროპულ სახელმწიფოთა“ ნათქვამია, მთავრობის სხდომათა №1ოქმის საიდუმლო დირექტივებში. (მენთეშაშვილი 1992: 162) 1919 წლის ზაფხულამდე, ინგლისის ჯარების გასვლამდე, საქართველოში ამერიკის დახმარება წარმოდგენილი ჰქონდათ მხოლოდ ფინანსური თანადგომისა და დიპლომატიური მხარდაჭერის სახით. ქართული დოკუმენტური მასალების მიხედვით, 1919 წლის 22 მარტს ევგენი გეგეშვილსა და ნოე რამიშვილთან კონსულ ა. სმითისა და ბ. მურის განმეორებითი ვიზიტის სტენოგრამა ნათელს პფენს აშშ-ის ინტერესებს საქართველოში: „ჩემს მთავრობას გულწრფელად სურს საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველო პატარა სახელმწიფოა და ამიტომ არ შეუძლია არსებობა გარედან დახმარების გარეშე. თავად უნდა მიგვითითოთ ფორმა, რომლითაც გამოიხატება დახმარება ჩვენი მხრიდან...“

ამიერკავკასიისათვის აუცილებელია ერთი საერთო მანდატი, მისი ეკონომიკური ინტერესების ერთიანობის გამო.“ (მენთეშაშვილი 1990:48-50) ქართული მხარის პოზიცია ამ საკითხში არ იყო ერთსულოვანი, ნოე რამიშვილი ვილსონის თვალსაზრისის გამარჯვების შემთხვევაში ვილსონის მანდატის მომხრე იყო, რასაც მხარს მტკიცედ უჭერდა ზ. ავალიშვილი. ა. ჩხერიავაძე-ი.წერეთელისადმი გაგზავნილ წერილში მკაცრად აკრიტიკებდა მანდატურობის საკითხს (საისტორიო არქივი ფ.1831: აღწ. №2 საქმე 283; 52) ბოლშევიზმის მიმართ უკომპრომისო სმითი, დაინტერესდა ამიერკავკასიის ეთნიკური სტრუქტურითა და კავკასიის სასაზღვრო დავის საკითხებით /იგულისხმება სასაზღვრო ომი საქართველოსა და სომხეთს შორის, დაპირისპირება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის/. პირადად იცნობდა მრავალ პოლიტიკური მოღვაწის პროევროპულ ორიენტაციას და იმ საფრთხეების მაღალ რისკებს, რასაც დაშლის პირას მდგარი რუსეთის იმპერია უქმნიდა რეგიონს, ამიტომ საქართველოს მთავრობის მიმართაც თავშეკავებული გახდა და არც ქვეყნის დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს. სმითის მიერ ამერიკაში გაგზავნილ დეპეშებში აღარ იგრძნობოდა ოპტიმიზმი საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის გაუარესების გამო (www.arcive.org) თუმცა ერთ-ერთ მიზეზად ა. რამიშვილი მისიის მიმართ არასასიამოვნო ინციდენტებს ასახელებს, მაგრამ ინფორმაციის წყაროს არ უთითებს (საისტორიო არქივი ფ. 2000:51) სმითმა შეახსენა ადრინდელი ორიენტაცია რუსეთზე და გერმანიაზე, გამოთქვა ეჭვი ამ ორიენტაციის არსებობაზე, მათვის ცნობილი იყო, რომ 1918 წლის ნოემბერში სამხრეთ კავკასიაში შემოსული ბრიტანეთის არმიის სარდლობა შეეცადა ხელი შეეშალა გერმანელთა სამშობლოში დაბრუნებისათვის. საქართველოს ხელისუფლებამ ყელაფერი გააკეთა, რათა თავის მოკავშირე გერმანიის მხედრობას უგნებლად დაეტოვებინა რესპუბლიკის ფარგლები.

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დაცვაში შეტანილი წელილისათვის მრავალი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი თამარ მეფის ორდენით იქნა დაჯილდობული. ამერიკულ მისიებში პრორუსული ორიენტაციის უჭირებს აჩენდა, არა მარტო მთავრობის სასახლეზე აღმართული ბოლშევიკური რევოლუციური წითელი დროშა, არამედ საქართველოს მთავრობის სახელით II ინტერნაციონალის ლიდერებისადმი გაგზავნილი წერილები და მემორანულებები (საისტორიო არქივი ფ. 1831: აღწ. №2, საქმე 136). მათი სტუმრობა საქართველოში და პარიზის ქართული დელეგაციის წევრთა გამოსვლები: 1919წ. ჩხერიმელის-ლიუცენის კონფერენციაზე, ი. წერეთლის -1919წ. 28 აპრილის ამსტერდამის კონგრესზე. (საისტორიო არქივი ფ. 2115: აღწ 1, საქმე 28, 36) ინტერნაციონალი უარყოფდა დიდი სახელმწიფოების დროებით მანდატსაც. ამდენად, იმდროინდელი საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით, ევროპელ სოციალისტთა სიტყვიერი მხარდაჭერა და ქართველ დიპლომატთა ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკური პლატფორმა, არა თუ დადებით რეზონანს მოახდენდა პარიზის კონფერენციის წამყვან ევროპისა და ამერიკის მთავრობებზე და ერთა ლიგის გადაწყვეტილებებზე, არამედ ბევრ კითხვას გააჩნდა დემოკრატიული საქართველოს მთავრობის პოლიტიკური კურსის არასტაბილურობაზე და საიმედო პარტიიონობის იმიჯს უკარგავდა ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში. 1920 წლის იანვარში სმითი გარდაიცვალა. იგი ახალმა კონსულმა ჩარლზ მოზერმა შეცვალა, უვგენი გეგეშეკორზე განაწყენებულს დღემდე დაუდგენელი მიზეზების გამო, საქართველოსადმი მისი კეთილგანწყობა სწრაფად შეცვლილა. 1919 წლის აპრილის ანგარიშში საქართველოს, სოციალისტურ რესპუბლიკად იხსენიებდა.

ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოები საქართველოს პრობლემას საერთაშორისო პოლიტიკის ჭრილში განიხილავდნენ, ანგარიშს უწევდნენ რეგიონში რუსეთის რეალურ ინტერესებსა და ძალთა ბალანსს, აფიქრებდათ კავკასიის ქვეყნების არასტაბილური ვითარება, მათი შეუთანხმებლობა საზღვრების გამო. პარიზის კონფერენციაზე კულუარული ბრძოლა მიმდინარეობდა სამანდატო სისტემით, გავლენის სფეროების გადანაწილებაზე, ამიტომ მოულოდნელად იცვლებოდა სტრატეგიები და პოლიტიკური გადაწყვეტილებანი. იტალიის ახალმა მთავრობამ უარი თქვა საქართველოსა და აზერბაიჯანის მანდატზე და 1919 წლის იანვრიდან პარიზის სამშვიდობო კონფერენციის გადაწყვეტილებით ამერიკას სომხეთზე მანდატის აღება შესთავაზეს, რაშიც სომხური დიასპორის მაღალი პოლიტიკური აქტიურობაც სახელდებოდა. ამერიკა კავკასიაში დარჩა ერთადერთ რეალურ მოკავშირე ძალად. დემოკრატიულმა მთავრობამ ამჯერად სათანადოდ შეაფასეს ამერიკის მნიშვნელობა და გადაიდგა პოზიტიური პოლიტიკური ნაბიჯები ამერიკული მისიების წარმომადგენლებთან. 1919 წლის 9 ივნისის პარიზის ქართული დელეგაციის ოქმის სტენოგრაფიული ჩანაწერები (მენთეშაშვილი 1992:162) პროამერიკულ დიპლომატიაზეა ორიენტირებული. გააქტიურდა შეხვედრები პარიზში, ამერიკელთა დელეგაციასთან. 11 ივნისს შეხვდნენ პრეზიდენტ ვილსონის უახლოეს მეგობარსა და მთავარ მრჩეველს, პოლკოვნიკ ედვარდ ჰაუზს, რაც ზოგადად აისახა ჰაუზის დღიურშიც. გადასცეს მემორანდუმი პრეზიდენტ ვილსონისადმი. მასში აქცენტები გაკეთდა ამიერკავკასიის ფედერაციაზე, საქართველოს მთავრობის ინიციატივით მოწვეულ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლებთა კონფერენციის მუშაობაზე და საქართველოზე ამერიკის მანდატის მიღების

თაობაზე. შემუშავებულ იქნა სადირექტივო დოკუმენტი, მიღების კრებული, სადაც ამერიკელებმა პირველად დააფიქსირეს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დროებითი დამოუკიდებლობა, სამომავლოდ უდერაციის რომელიმე ფორმით გაერთიანების მიზნით.

1919 წლის გაზაფხულზე პრეზიდენტ ვილსონის, მეორე ვადით არჩევნების ვადის ამოწურვამ საგარეო პოლიტიკური ინიციატივების წინააღმდეგ ამერიკის კონგრესსა და სენატში გააქტიურა იზოლაციონისტთა მძლავრი ოპოზიცია სენატორ ჰენრი ქებოტ ლოჯის მეთაურობით. ისინი თვლიდნენ, რომ ამერიკას კავკასიაში მარტო სომხეთზე უნდა აეღო მანდატი, ამისათვის კი 20 000-იანი ამერიკული კორპუსიც საკმარისი იქნებოდა. პრეზიდენტის მოწინააღმდეგები პოზიციას იმაგრებდნენ იმით, რომ არ დაუჭერდნენ მხარს რომელიმე მცირე ერებისთვის ძალით თავს მოესვიათ მანდატი, თუ არ იქნებოდა მისი მიღება ნებაყოფლობით. მით უმეტეს თუ მანდატორობა ახალ საბრძოლო მოქმედებებში ჩართავდა ქვეყანას, რასაც კავკასიაში, ბოლშევიკურ რუსეთთან გარდაუვლად მიიჩნევდნენ. პრეზიდენტმა პოზიციის გასაძლიერებლად ახლო აღმოსავლეთში, თურქეთსა და ამიერკავკასიაში გააგზავნა სენატორების კინგ-კრეინის კომისია. დაგალებული ჰქონდათ გაერკვიათ, „თუ როგორ მეურვეებს მოისურვებდნენ ახლო აღმოსავლეთის ესა თუ ის ტერიტორიები...კვლევის მასშტაბურობა და მოსახლეობის გამოკითხვა ხასიათდებოდა შესაშური სკრუპულოზურობით და პირუთვნელობით“ (ჩოხელი 1990:13) საქართველოს მთავრობისათვის ნათელი შეიქმნა, რომ ქართული დიპლომატია პრაგმატულ შორსმჭვრეტელობას მოკლებული აღმოჩნდა და აშკარად გააქტიურდა. 11 აგვისტოს, სტამბოლში საქართველოს წარმომადგენლობა ეწვია მათ და ამერიკის მეურვეობაზე თანხმობა განუცხადა. სენატში 1919 წლის 1 აგვისტოს

მანდატის საკითხის განხილვისას კინგ-კრეინის კომისიამ  
დამაჯერებლად დაასაბუთა სომხეთზე ამერიკის  
მანდატორობა, რაც იქნებოდა პირველი ნაბიჯი,  
ამერიკისაგან საქართველოს უსაფრთხოების  
უზრუნველყოფისა.

ამ პერიოდში ამერიკის ადმინისტრაციის მხარდაჭერას  
და კეთილგანწყობას ახლადწარმოქმნილ ამიერკავკასიის  
ქვეყნების დამოუკიდებლობის თაობაზე ადასტურებს  
კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრის,  
საქართველოს არაოფიციალური წარმომადგენლის ამერიკის  
შეერთებულ შტატებში, ვალტერ შანდლერის ვაშინგტონიდან  
გამოგზავნილი მოხსენებით ბარათები (საისტორიო არქივი ფ.  
2121: აღწ. 1 საქმე 9)

იზოლაციონისტების წინააღმდეგ კონგრესსა და  
სენატში მტკიცე არგუმენტების მოსაპოვებლად პრეზიდენტმა  
ვილსონმა საგანგებო დავალებით ახლო აღმოსავლეთსა და  
კავკასიაში 5 ივლისს მოკავშირეთა უმაღლეს კომისრად  
მიავლინა მისი ნდობით აღჭურვილი, ამერიკელი პოლკონიკი  
ჰასკელი, რომელიც თბილისში დაბინავდა, რაც შემთხვევითი  
არ უნდა ყოფილიყო. იმედოვნებდნენ საბოლოოდ გაერკვიათ  
საქართველოს საშინაო და საგარეო ორინტაციები, თვით  
კავკასიის ქვეყნების შორის პოლიტიკური და ეკონომიკური  
ურთიერთობები, რეგიონალური ინტეგრაციის  
შესაძლებლობანი, რომელიც ურთიერთსაწინააღმდეგო  
ასპექტებით შუქდებოდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე.  
ჰასკელმა 1919 წლის 14 ნოემბრის სხდომაზე მოითხოვა  
უფლებამოსილების გავრცელება საქართველოსა და  
აზერბაიჯანზე.

ამერიკის პრეზიდენტი ვილსონი კონგრესისა და  
სენატისგან კავკასიის მანდატზე საბოლოო თანხმობის  
მისაღწევად გამოცდილ გენერალს ჯეიმს ჰარბორდის  
სამშედრო მისიას აგზავნის. იგი გულდასმით უნდა

გასცნობოდა ვითარებას და ამერიკის მთავრობისათვის საგანგებო მოხსენება წარედგინა რამდენად ღირდა ამიერკავკასიაზე მანდატის აღება, გეოპოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით. იმდროინდელი პრესის ორიენტირი ქართული საზოგადოებრივი აზრის ამერიკის სასარგებლოდ წარმართვა გახდა. ქართული პრესა „სახალხო საქმე“, „საქართველოს რესპუბლიკა“ დაწვრილებით ამცნობდა საზოგადოებას ამ საზეიმო ვიზიტს. ჰარბორდი მოგონებებში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კავკასია წარმოადგენს ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას მსოფლიოში: „ეს რეგიონი იყო ერთდროულად მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი გზაც და ბუნებრივი ბუფერიც ევროპასა და აზიას შორის“ (ჩოხელი ა. 1990:14-15)

ვილსონისადმი წარდგენილ მოხსენებაში ჰარბორდმა დაადასტურა რომ საქართველოს მოსახლეობა თანახმაა სამანდატოდ თავისი სახელმწიფო ამერიკას გადასცემოდა, თუმცა მისი 27 არგუმენტიდან მანდატის აღების თაობაზე 14 დადებითი იყო, 13 – უარყოფითი. ამით აირიდა პასუხისმგებლობა სენატში, ვილსონის ოპოზიციონერების წინაშე დებატებისაგან. იზოლაციონისტებმა თავისი პოზიციების გასამაგრებლად გამოიყენეს მისიების ანგარიშები და პრეზიდენტმა ვერც ის რეზოლუცია გაიტანა, რომლითაც შეეძლო ერთპიროვნულად გამოეყენებინა საექსპედიციო კორპუსი და საბოლოოდ უარი განაცხადა სომხეთის მანდატზე. იზოლაციონისტებისაგან კავკასიაში ამერიკის ჯარის გაგზავნის ჩაშლა საბედისწერო აღმოჩნდა უმეკავშირეოდ დარჩენილი კავკასიის რესპუბლიკებისათვის. 1920 წლის შემოდგომაზე სრულუფლებიანი ელჩის მანდატით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიგზავნა ზურაბ ავალიშვილი დიპლომატიურ-პოლიტიკური და ეკონომიკური დავალებებით. ამერიკასთან დიპლომატიური ურთიერთობის სერიოზული შეცდომების შესახებ 1922 წლის იანვარში უკვე

ემიგრანტულ მთავრობას მისწერს, რომ ყველა ეს ნაბიჯები დაგვიანებულია და ეს უნდა მომზდარიყო მხოლოდ ორი წლის წინათ.

ამრიგად, ქართულმა დიპლომატიამ სათანადოდ ვერ შეაფასა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო პოლიტიკაში ახალი ძლიერი სახელმწიფოს – აშშ როლი, დოლულად ვერ მოინახა ვუდრო ვილსონის აღმინისტრაციასთან დაახლოების ეფექტური გზები, ვერ შეაფასა ამერიკული მისიების მიზანი და ქმედითუნარიანობა. სამანდატო სისტემაზე თანხმობით არ გაკეთებულა გაბედული მოთხოვნები მოსალოდნელი ბოლშევიკური აგრესიისაგან გარანტის როლი შეესრულებინა და აშშ-ს შეიარაღებული ძალები შემოეყვანა რეგიონში, ინგლისელთა გასვლის შედეგ. თავის მხრივ, აშშ-ის ხელისუფლებაც უნდობლად უფრებდა საქართველოს სწრაფვას თავისუფლებისაკენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოს მცირე ერები უფრო სწრაფად გათავისუფლდა სამანდატო სისტემისაგან და დამოუკიდებლობის გზას გაცილებით ადრე დაადგნენ, ვიდრე ანექსირებული საქართველო საბჭოთა რეჟიმისაგან, ვფიქრობ კავკასიის ერთიანობა და რეგიონზე ერთი საერთო მანდატის მოპოვება დაიცავდა საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს ბოლშევიკური რუსეთის 70-წლიანი დიქტატურისაგან.

### დამოწმებანი:

1. მენთეშაშვილი 1992: მენთეშაშვილი, ა. საქართველოს დემოკრატიული რესუბლიკა და პარიზის კონფერენცია, ჟ. „მაცნე“, № 2.
2. მენთეშაშვილი 1990: მენთეშაშვილი, ა. საქართველოს დემოკრატიული რესუბლიკა და ამერიკის შეერთებული შტატები, ჟ. „საქართველოს კომუნისტი“, №11.

3. მაღლაკელიძე 1953: მაღლაკელიძე ს., ინგლისელი და ამერიკელი ინტერვენტები საქართველოში, ქ. ”საისტორიო მოამბე” №7
4. რამიშვილი 2000: რამიშვილი აკ. ჩვენი შეცდომები, თბ. 2000.
5. ჩოხელი 1990: ჩოხელი ა. ამერიკა და დამოუკიდებელი საქართველო 1919 წელს, გ. „ლიტერატურული საქართველო“, 25 მაისი, №21.
6. ჰარბორდი 1919: გენერალ ჰარბორდის ჩამოსვლა, „სახალხო საქმე“, 1919, 4 ოქტომბერი, №644-645, გვ.2-3, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №223-224, გვ.2
7. საისტორიო არქივი ფ. 1831: ა.ჩხენკელის ფ.1831, აღწ.№2 საქმე 283; 52;136;
8. საისტორიო არქივი ფ. 2115: 6. ჩხეიძის ფ. 2115; აღწ. 1, საქმე 28, 36;
9. საისტორიო არქივი ფ. 2121: ე. გეგეჭკორის ფონდი 2121, აღწ.1 საქმე 9;
10. [www.arcive.org](http://www.arcive.org)
11. Edward Mandell House and Charles Seymour, The Intimate Papers of Colonel House , Houghton Mifflin Company, Volume 3, 1928.

### რეზიუმე

ნაშრომში ქართულ და ამერიკულ წყაროებზე დაყრდნობით ობიექტურადაა ასახული ამერიკული მისიების მოღვაწეობა საქართველოში.

ახალმა საინფორმაციო რესურსებმა და კვლევითმა მეთოდოლოგიამ საშუალება მოგვცა შეგვეფასებინა ამერიკული მისიების მიზანი და ქართული მხარის ძირითადი აქცენტები ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ქართული დიპლომატია მზად არ აღმოჩნდა სათანადო შეეფასებინა პირველი

მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო პოლიტიკაში ახალი ძლიერი სახელმწიფოს – აშშ როლი, დროულად ვერ მოინახა ვუდრო ვიღსონის ადმინისტრა-ციასთან დაახლოების ეფექტური გზები, ვერ შეაფასა ამერიკული მისიების მიზანი და ქმედითუნარიანობა. ინგლისელთა გასვლის შემდგომ, სამანდატო სისტემაზე არ გაკეთებულა პოლიტიკურად გაბედული მოთხოვნები, რათა ამერიკის შეერთებულ შტატებს შეესრულებინა გარანტის როლი მოსალოდნელი ბოლშევიკური ანექსიის შესაჩერებლად.

*Manana Michitashvili*  
*Full Professor of Gori Teaching University*

## WORK OF AMERICAN MISSIONS IN THE PERIOD OF 1918-1920 IN GEORGIA

### RESUME

The work of the American Missions in Georgia is objectively reflected on the bases of Georgian and American sources.

The new information resources and research methodology enabled us to evaluate the goal of the American Missions and the main highlights of the Georgian side on the Georgian - American relations.

The paper highlights that the Georgian diplomacy turned out not to be ready to accurately evaluate the role of the new powerful country, the United States America, in the international politics after the First World War. The effective ways to get closer to the administration of Woodrow Wilson was not timely found. The goal and efficiency of the American Mission was not properly assessed. After withdrawal of the English troops, courageous political claims were not made in order to bring the United States of America to fulfill the role of guarantor to stop anticipated Bolshevik Annexation of Georgia.

მურმან პაპაშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
სრული პროფესორი

**ქართულ-ევროპული იდენტობის საკითხისათვის შუა  
საუკუნეების უცხოური წყაროების მიხედვით**

მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობის მოღვაწეობის ყველა სფეროში ევროპის მიერ შექმნილი მსოფლიო ისტორიის უნიკალური ფენომენია, იგი ფართოდ იყენებდა სხვა ცივილიზაციის ფასეულობებს და თვითონაც უხვად გასცემდა თავის მიღწევებს.

ანტიკურობა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის კულტურათა ზემოქმედების შედეგად ჩამოყალიბდა. ამ დროიდან საქართველო ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციის სამყაროს მიეკუთვნებოდა. ამის დასტურია ბერძნული მითოლოგია. უკვე I საუკუნეში, როცა რომაელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და დიდმა სარდალმა გნეუს პომპეუსმა საქართველოში რომის ჯარი შემოიყვანა, აქ ქრისტიანობა შემოვიდა, რომელმაც III ს-ის დასაწყისიდან სრულიად საქართველო მოიცვა. ასე რომ, დასავლეთის ქრისტიანული ცივილიზაციის დასაწყისში საქართველო მასში მონაწილეობდა და აქ ქრისტიანობამ რომის იმპერიის თანადროულად გაიმარჯვა. ეს ბუნებრივი იყო, რადგან იმდროინდელი საქართველო (ქართლი და ეგრისი) რომის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ორბიტაში იყო მოქცეული. ამიტომ ქართლსა და ეგრისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება ამ ქვეყნების რომზე საგარეო პოლიტიკური დამოკიდებულების გამოვლენად მიიჩნევა.

ქრისტიანული სამყაროს ცენტრში — რომში საქართველოს გაქრისტიანება დიდი ყურადღების საგნად იქცა.

ამას თავისი საფუძველი ჰქონდა, რადგან საქართველო ის ქვეყანა იყო, სადაც რომის პირველი პაპის, მოციქულთა თავის, პეტრეს ძმამ, ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა და ეკლესია დააფუძნა. ამით ორივე ქვეყნის ეკლესიები თანასწორი უფლებებით აღიჭურვა. კოლხეთის მიწაზე გაიარა და იღვაწა რომის ასევე პირველმა და დიდმა პაპმა კლიმენტიმ, როდესაც იგი იმპერატორმა ტრაიანემ ყირიმში გადაასახლა, სადაც მოწამებრივად აღისრულა (+ 101).

საქართველოს ქრისტეს რჯულზე საყოველთაოდ მოქცევაში რომსაც საპატიო ადგილი ეჭირა. ამ მხრივ ნიშანდობლივი ფაქტია ჩვენი დიდი განმანათლებლისა და „მოციქულთა სწორის“, ნინოს მამის ზაბილონის რომში სარწუნოებრივი ღვაწლი და მისსავე ეკლესიის წიაღში აღსრულება. მამის სამისიონერო გზა წმ. ნინომ საქართველოში სათნოებითა და შთაგონებით განავრცო. ამან რომში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია და პაპმა სილვესტრ I-მა (314-335) წმ. ნინოსა და მირიან მეფეს წერილი და გალიელი ანუ ფრანგი დიაკონი გამოუგზავნა. ამ უკანასკნელმა იხილა ქართლში წმ. ნინოს მიერ მოხდენილი სასწაულები „აღწერა მატიანეში და წაიღო თავის ქვეყნაში – ბრანჯეთს“ [12: 125]. ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ რომში აინტერესებდათ საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების ამბავი. ამან, შესაბამისად, საკუთარი ადგილი პოვა არა მარტო იმდროინდელ საეკლესიო ანალებში, არამედ ხშირად მეორდებოდა შუა საუკუნეების საეკლესიო წყაროებშიც.

ერთი სიტყვით, საქართველოს ახალნერგი ეკლესია პირველად წმ. პაპმა სილვესტრი I- მა დალოცა. ეს რომბაული ხანის ის დასკვნითი ეტაპი იყო, როცა დასავლეთ საქართველოში ე. წ „რომანიზაცია“ ოთხი საუკუნის დასასრულს ითვლიდა.

ცნობილია, რომ შეა საუკუნეებში ყველა საკითხი ავტორიტეტისადმი მიმართვით წყდებოდა, რომელიც გაგებასა და დარწმუნებას ეფუძნებოდა. ასე მოხდა VII ს-ის დასაწყისში, როდესაც ქართველი სასულიერო იერარქები საღვთისმეტყველო და ეპლესოლოგიური პრობლემის წინაშე დადგნენ, როდესაც მწვავედ დაისვა საკითხი, ეცნოთ თუ არა ძალმოსილად ნათლისლებისა და მღვდლად კურთხევის ის წესები, რომლებიც ერეტიკოსთა ეპლესიებში აღქსრულა, ქართლის კათალიკოსმა კირიონ I-მა (596-610) რომის პაპ გრიგოლ I დიდს (590-604) მიმართა. ამ უკანასკნელმა ქართლის კათალიკოსს აკადემიურად უპასუხა და სომებს მონოფიზიტებთან გამართულ პოლემიკაში მას დაუჭირა მხარი. ეს ფაქტი უდაოს ხდის იმ აზრს, რომ ქართული ეპლესია კონსტანტინოპოლის მედარებით განსაკუთრებულ ავტორიტეტს რომის ეპლესიას ანიჭებდა, რომლისათვის „რომაელთა“ რწმენა Supreme lex იყო.

მოკლედ რომ ვთქვათ, რომთან კავშირით წარდგებოდა საქართველო დასავლური სამყაროს წინაშე. ამასობაში VII საუკუნისათვის მსოფლიო ორ მტრულ ბანაკად გაიყო. არაბებმა ესპანეთი დაიპყრეს და საფრანგეთშიც შეიჭრნენ. 732 წელს კარლოს მარტელმა ისინი პუატიესთან შეაჩერა. ამ დროს, ქრისტიანული სამყაროს მეორე ბოლოში, საქართველო იმავე მტრის წინააღმდეგ იბრძოდა. დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ ისინი განდევნილ იქნენ საქართველოდან. საფრანგეთმა თუ გადაარჩინა ევროპა არაბების შემოსევებისაგან, საქართველომ გამოიყნა ყველა თავისი ძალა და დაღვარა სისხლი საერთო საქმისა და ევროპული ცივილიზაციის დასაცავად. ამის გამო, „საქართველო უგვე VIII საუკუნეში შეამკეს „წმინდანთა დედის ლამაზი სახელით“ [2: 44]. ასე რომ, ის უკვე ქრისტიანობის ავანგარდი იყო აღმოსავლეთში.

ქართული სულიერება რომთან რელიგიურ-კულტურული ერთიანობის თასმას მტკიცედ იცავდა. საქართველო სრულიად

განზე იდგა ბიზანტიის ხატომებრძოლობიდან და დევნილ ხატთაყვანისმცემლებს მფარველობდა კიდეც. ჭეშმარიტი მართამდიდებლობის ასეთმა ურყევმა დაცვამ საქართველოს ისე შორს გაუთქვა სახელი, რომ თვით ყირიმის გუთების საეკლესიო წინამდლოლი, სახელად იოანე, 758 თუ 759 წელს მცხეთაში ჩავიდა, რათა გუთების ეპისკოპოსად ეკურთხებინათ, რაც აღასრულა საქართველოს იმჟამინდელმა პატრიარქმა იოანე II- მ.

აღნიშნული თვალსაზრისით, საგულისხმოა 856 წელი, როდესაც დასავლეთ საქართველოს მეფე დემეტრე II- მ (825-861) რომის პაპ ბენედიქტე III-თან (855-858) საუცხოო საჩუქრებით აღჭურვილი ელჩობა გაგზავნა მისი „ღვთისმოსაობის გამო“. მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორიც: IX საუკუნის შუა წლებში ბიზანტიაში ერთმანეთს დაუპირისპირდა პრორომაული და ანტირომაული საეკლესიო პარტიები. იმ დროს ბიზანტიაში მოღვაწე ცნობილმა ქართველმა სასულიერო პირმა იღარიონ ქართველმა (822-875) პრორომაულ პარტიას დაუჭირა მხარი და 870 წლის ახლო ხანს რომში გაემგზავრა, რათა იქაური სიწმინდეები მოელოცა და თავისი სარწმუნოებრივი იდეალი გამოეხატა.

უფრო შთამბეჭდავია ათონში ქართველთა სავანის, ივირონის დამაარსებლისა და მისი პირველი წინამდლვრის იოანე მთაწმინდელის (+1005) დროს განვითარებული ამბავი. როცა აქ ბერძნულმა ნაციონალიზმმა და ამპარტავნებამ შეაღწია, ქართველების შევიწროება და მათი უფლებების შელახვა დაიწყო. მიიჩნევენ, რომ ამან უბიძგა იოანე მთაწმინდელს საბერძნეთის დატოვება და ესპანეთში გადასახლება გადაეწყვიტა. მართალია, მან განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა, მაგრამ ფაქტია, რომ მას, სწორედ ბერძნულ-რომაული ბატალიების უამს, რომის ეკლესიის წიაღში დამკვიდრების სურვილი ჰქონდა [7: 212]. ჭეშმარიტია ის ფაქტიც, რომ რომაელებმა პირველი მონასტერი ათონზე

მხოლოდ ქართველების მორალური და ფინანსური დახმარებით ააგეს. წეს-ჩვეულებაში სხვაობას ქართველთა და ლათინთა თანალოცება არ დაუბრკოლებდა [7: 213].

1054 წელს ეკლესიათა გაყრით ანუ სქიზმით დიდი  
ისტორიული მარცხი მოხდა მსოფლიოში. საქართველოს  
ეკლესია იმთავითვე არ ჩარეულა კონსტანტინეპოლისა და  
რომს მორის მომხდარ საეკლესიო დავაში. პირიქით, იგი  
ძალზე დაინტერესებული იყო ქრისტიანული ეკლესიის  
ერთიანობის იდეის შენარჩუნებითა და ურლვეობით, ხოლო  
რომის ეკლესია მისთვის ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის  
ბურჯის სტატუსს ინარჩუნებდა. ამ თვალსაზრისით, დიდი  
ისტორიული მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგინდა  
საქართველოს ეკლესიის უდიდესი ავტორიტეტის – გიორგი  
მთაწმინდელის (1009-1065) საღვთისმეტყველო პოზიცია.

1065 წლის ივნისში, სქიზმიდან თერთმეტი წლის შემდეგ, დღიდი საეკლესიო მოაზროვნე და მწერალი იმპერატორ კონსტანტინე დუკა XI- ის წინაშე იცავს რომაელებს. ამან იქ მყოფნი რომაელები აღაფრთოვნა და გიორგის რომში ჩაყვანისა და პაპის წინაშე წარდგენის სურვილი გამოთქვეს. ამ კონკრეტული მოვლენის გარშემო გამოთქმულ შეხედულებებთან დაკავშირებით ვეთანხმებით იმას, რომ გიორგი მთაწმინდელი იმთავითვე წინააღმდეგი იყო წვრილმანი კონფესიური განსხვავების ნიადაგზე ეკლესიათა გათიშვისა [1: 28]. უფრო მეტიც, გიორგის პრინციპი გამოიხატებოდა ფორმულით: ისტორიის განმავლობაში სხვადასხვა ადამიანური ფაქტორებით განპირობებული ფორმალური განსხვავებები გავლენას ახდენს სარწმუნოების შინაარსზე [13: 133]. ეს ფორმულა დღესაც აქტუალურია ეკლესიათა ერთიანობის გზაზე. სწორედ ეს ანიჭებს გიორგი მთაწმინდელის პოზიციას წარუვალ ღირებულებას, რათა დავინახოთ საერთო ქრისტიანული სივრცე.

გიორგი მთაწმინდელის მსგავსად, ეკლესიათა გათიშვის წინააღმდეგნი იყვნენ ექვთიმე გრძელი და ოთანე პეტრიწი, რომელიც რომს დადიოდნენ სალოცავად და პაპის პრიმატს აღიარებდნენ.

ამრიგად, საქართველოს კათოლიკური შუა საუკუნეების პერიოდი, IV-XI საუკუნეები, რომთან კავშირით კვებავდა დასავლეთთან ურთიერთობებს. მასთან კავშირში ვლინდებოდა ძველი ურთიერთობების თანამიმდევრულობა. ეს თვალსაჩინოდ გაძლიერდა ჯვაროსნული ომების დასაწყისიდანვე. რაოდენ უარყოფითი შეფასებაც არ უნდა ეძლეოდეს ამ ომებს, მისი კეთილისმყოფელი როლი საქართველოს ისტორიაში სადაო არ არის. XI-XII სს-ის მიჯნაზე საქართველოს გაძლიერებას ქართველი მემატიანე ჯვაროსანთა საღვთო ომებთან აკავშირებს. ის ამბობს: „გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალემი და ანტიოქია, და შეწევნითა ღმრთისაითა მოეშენა ქვეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცეს სულთანსა ხარაჯა, და თურქი ვერდარა დაიზამთრებდეს ქართლს“ [11: 325-326].

მსოფლიო დონის დიდგორის (1121 წ.) ბრძოლაში 200 ევროპელ რაინდთა მონაწილეობა მუსლიმთა ფართო კოალიციის წინააღმდეგ საერთო ქრისტიანულ საქმეს წარმოადგენდა და ამით ამ ომს საერთაშორისო მნიშვნელობა ეძლეოდა. დიდგორის ეპოპეა მაშინდელ დასავლეთს „ელლა ნტიოცჰენა“ („ანტიოქიის ომები“)- ს ქრონიკის სახით მიაწოდა ანტიოქიის ფრანკთა სამთავროს კანცლერმა ანუ მთავარმა მწიგნობარმა გოტიერმ. დიდგორის ბრძოლის აღწერა პროპაგანდისტული თვალსაზრისით ორ მიზანს ემსახურებოდა: ჯვაროსანთა სამხედრო მოქმედებების გააქტიურება და ინფორმაცია დასავლეთ ევროპისათვის, რომელიც ახალი ჯვაროსნული ლაშქრობისათვის ემზადებოდა.

დიდგორის ეპოპეამ იმ ლეგენდას დაუდო სათავე, რომელიც ჯვაროსანთა წრეში შეიქმნა და მთელი ევროპა

მოიარა. მეფე-ხუცესი (პრესვიტერი) ითანე, რომლის სახეში მითოლოგიური აზროვნებით დავით აღმაშენებელი და მისი შვილი დემეტრეა გაერთიანებული, ჩრდილოეთიდან შემომავალი გოგისა და მაგოგის შესაკავებლადაა მოვლენილი. მან ქრისტიანული მსოფლიო განსაცდელისაგან უნდა დაიხსნას. ამ ლეგენდით, კიდევ ერთხელ დასტურდება დიდგორის ბრძოლის საერთაშორისო მნიშვნელობა მაშინდელი დასავლეთ ევროპისთვის.

ასეთივე შარავანდედით მოსავლნენ ჯვაროსნები თამარ მეფეს. მანამდე მსოფლიო ისტორიაში ასეთი ქალი – ხელმწიფის მმართველობა და დიდი კულტურული მფარველობა უცნობი იყო. მის მიერ გადახდილი ძლევამოსილი ომები მუსლიმების წინააღმდეგ დიდად აღაფრთოვანებდა ჯვაროსნებს. მცირე აზიაში გავლენის სფეროების მოპოვების მიზნით გერმანიის იმპერატორმა ფრიდრიხ II შტაუფენმა (1194-1250) წამოჭრა საკითხი საქართველოსთან დინასტიური კავშირისა. ის თამარ მეფეს ერთ-ერთ ვაჟს სთავაზობდა [10: 222]. თამარის მომხიბვლელობასა და სიდიადეს ჯვაროსნები გვერდს ვერ უვლიდნენ. ერთ ქრონიკაში წერია, რომ „ფრანკი მეზღვაურები შავ ზღვაზე ცურვისას კარგ ამინდში თამარ დედოფლის სადიდებელს მღეროდნენ“ [2: 38].

ამრიგად, ჯვაროსნული ომების ზანაში საქართველო-დასავლეთ ევროპის ინტერესები ერთმანეთს ჩაეწნა. დიდი სულიერი და ბუნებრივი კავშირი არსებობდა ამ ორ სამყაროს შორის. რომთან ევქარისტიული კავშირი დიდი ათონელი მამების შემდეგაც შენარჩუნდა. ქართველთა საგანებს ლათინები პალესტინაში არ შეხებდან. უფრო მეტიც, ჯვაროსნების მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ (1204) ათონის ქართველებმა პაპის იურისდიქცია აღიარეს და ჟამის წირვის უფუარი პურით შესრულება დაიწყეს, რისთვისაც ბერძნებმა მათთან კავშირი გაწყვიტეს. [2: 43].

საქართველოს ისტორიის ოქროს ხანაში (XI-XIII) ჩვენი  
 ქვეყანა პოლიტიკურად და სულიერად ევროპას ეკუთვნოდა.  
 საქართველოსა და ევროპის განვითარების ძირითადი  
 საფუძველი ერთი და იგივე – ფეოდალური წყობილება იყო.  
 დასავლეთ ევროპის მსგავსად ოქროს ხანის საქართველოს  
 სამეფო აკმაყოფილებდა ფეოდალური საზოგადოებისათვის  
 დამახასიათებელ პრინციპთა დიდ უმრავლესობას.  
 ფეოდალიზმის სულიერი ინსპირაცია უკიდურესად ძლიერი  
 იყო. პირადი თავდადება, ერთგულება, ვასალის თავდადება,  
 სუზერენის მიერ მისი მფარველობა ამ წყობის ღრმა და მყარ  
 საფუძველს წარმოადგენდა. ურთიერთგავლენა დიდი იყო.  
 სადაცო არ არის, რომ საქართველოს სარაინდო ინსტიტუტი  
 არაფრით განსხვავდებოდა დასავლეთ ევროპის ანალოგიური  
 ინსტიტუტებისაგან [3: 67]. არსებობს ვარაუდი, რომ შეუ  
 საუკუნეების დასაგლეთის რაინდობა ქართულის გავლენას  
 განიცდიდა [2: 39]. შემთხვევითი არც ის იყო, რომ  
 საქართველოს ეკლესიაში ძლიერ მიღებული მიქაელ  
 მთავარანგელოზი და წმინდა გიორგი, განსაკუთრებით ეს  
 უკანასკნელი, სარაინდო ორგანიზაციაში მთავარ წმინდანად  
 იყო მიღებული. ამიტომ ბუნებრივი იყო დიდგორის ომში წმ.  
 გიორგის გამოსახულების დროშა რომ მიუძღვდა წინ  
 რაინდთა წყობას [3: 55]. ამავე ხანაში საქართველოსა და  
 რომის ეკლესიებს შორის სარწმუნოებრივი კავშირი  
 მეტწილად შენარჩუნდა. ქართულ ოფიციალურ დოკუმენტებში,  
 სიგელებსა და გუჯრებში რომის პაპის პირველ ადგილზე  
 მოხსენიების ტრადიცია გაგრძელდა.

ევროპის კარიბჭესთან მდებარე საქართველოს თითქმის  
 ერთი საუკუნე უწევდა აზიდან ამოფრქვეულ მონღოლთა  
 ნაკადის შეკავება. დასავლეთისკენ მიმართული ეს ნაკადი  
 პირველ რიგში ნადგურდებოდა ადამიანთა ჯებირებზე,  
 რომლებიც აგებული იყო დამპყრობელთა გზებზე  
 ქრისტიანული საქართველოს მიერ. პირველ დარტყმას

სწორედ ის იღებდა, პერიოდულად ძარცვის ობიექტი ზდებოდა და კაცობრიობის ისტორიის კრიტიკულ მოძნეტში ევროპის გადარჩენაში დიდი სამსახური გასწია. სამწუხაროდ, ევროპამ საქართველოს რეალური დახმარება ვერ აღმოუჩინა და რომთან საქართველოს ურთიერთობას პოლიტიკური ხასიათი მისცა. ახალი სიტუაცია შეიქმნა: 1240 წელს ქართული ეკლესია რომისგან გაყოფილად გვევლინება. კავშირის გაყოფის მიზეზი უცნობია.

მართალია, საქართველო ბიზანტიის ერთმორწმუნე რჩებოდა, მაგრამ განხეთქილების შედეგებს ჩვენში ისეთი ნაყოფი არ გამოუღია, როგორც ეს ბერძნული ეკლესიისთვის იქნებოდა სასურველი. პირიქით, ისტორიის მანძილზე საქართველოს ეკლესიას კეთილმოსურნე დამოკიდებულება ჰქონდა რომის კათოლიკური ეკლესიის მიმართ. ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს ეკლესიას არაფერი ესაქმებოდა ეკლესიათა დავაში. უფრო მეტიც, ქართული ეკლესია ყოველთვის შემწყნარებელი იყო კათოლიკური ეკლესიის წეს-ჩვეულებათა გადახვევების მიმართ. ამაზე უფრო მეტად ის ჭეშმარიტ ქრისტიანულ განწყობილებასა და სულიერებას აფასებდა. ქრისტიანულ სიყვარულში ერთიანობის გულისთვის მზად იყო ამ თავისებურებების მიმართ შემწყნარებლური ყოფილყო.

სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ, ევროპული სულიერებისა და კულტურული ფასულობებისადმი მაღალმა სწრაფვამ გზა გაუტინა საქართველოში (XIII-XVIII სს.) სხვადასხვა ორდენის (ფრანცისკანელთა, კარმელიტთა, დომინიკელთა, ავგუსტინელთა, იეზუიტთა, თეატინელთა, კაპუჩინთა) მისიონერთა მოღვაწეობას. მონალლთა, სპარსელთა, ოსმალთა მრავალ საუკუნოვანი ბატონობის შემდეგ ქვეყნის აღდგენისა და კულტურული განახლების საქმეში მისიონერთა წვლილი უმნიშვნელო როდი იყო. მათი გავლენით საქართველოში კვლავ იფურჩქება რელიგიური და

კულტურული ცხოვრება. სწორედ მისიონერების მეშვეობით შემოდიოდა საქართველოში ევროპული სულიერება. ქართველებისათვის ევროპული ცივილიზაცია უფრო ბუნებრივი, მშობლიური და სავსებით მისაღები იყო, ვიდრე მეზობელი მაპმადინური ქვეწების ცხოვრების წესი. შეიძლება ამითაც აიხსნას ქართველთა გამძლეობის ესოდენ დიდი მაჩვენებლები, რომ ვერც ერთმა მაპმადიანმა დამპყრობელმა ვერ შეძლო აღეგავა პირისაგან მიწისა, ან გაეთქვითა აზის ხალხთა ოკეანეში ჩვენი ხალხის მოდგმა. ამიტომ იყო, რომ ევროპული ცივილიზაციის მატარებელ მისიონერებს საქართველოში მოღვაწეობის საუკეთესო პირობები ექმნებოდათ.

XV-XVII სს. სამეფო სამთავროებად დაქუცმაცებულ საქართველოს გადარჩნის ურთულესი პერიოდი ედგა. ბიზანტიის დაცემის შემდეგ (1453) გართულდა ურთიერთობა ევროპასთან, რაც უარყოფითად აისახა საქართველოს შემდგომ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაზე. დაიწყო ანტიოქიალური კოალიციების მოწყობის დაუსრულებელი ხანა. დასავლეთში (ესპანეთი, გერმანია, ვენეცია, ტრანსილვანია, წმინდა ტახტი) დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ საომარი ოპერაციის შედეგებს ოსმალეთის წინააღმდეგ, რადგან აღმოსავლეთში ომის შეწყვეტა მუქარის ქვეშ აყენებდა დასავლეთის სახელმწიფოებს [4: 39-101].

ამ ეპოქაში ევროპის პოლიტიკური მოღვაწეები ქრისტიანულ საქართველოში სავსებით სწორად ხედავდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ ენერგიულად მებრძოლ ძალას. სწორედ ამის გამო იყო, რომ ევროპულმა წყაროებმა (XVI-XVII სს.) (ტომაზო მინადიო, ულუგ ბეგ ბაიათი, დონ ანტონიო დე გოვეა, ფოროლიმო ფრანზეტა, იშტვან ტომპასი, ქრისტოფორი ვარზევსკი) არაერთი აღმაფრთოვანებელი დახასიათება შემოგვინახეს ქართლის მეფის სიმონ I-ის (1556-1569; 1578-1599) უჩვეულო მამაცობისა და ბრძოლის

თაობაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია იტალიური ჟურნალისტიკის დამაარსებლის, ბერნარდო ბეკარის სტატიები სიმონ I-ის მიერ ოსმალების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების შესახებ, რომელიც 1598-99 წწ. იტალიური გაზეთის პირველ გვერდზე იბეჭდებოდა [14: 199]. ავტორი ქართლის მეფეს უშიშარ მებრძოლად თვლიდა და თურქების განადგურების საქმეში მის დამსახურებას უტოლებდა ითანეს ჰუნიადის, სკანდერბეგისა და დონ ზუან ავსტრიელის მოღვაწეობას. ბეკარის ინფორმაციები ფართო გამოძახილს პოულობდა ევროპაში და განსაკუთრებით უნგრეთში [14: 203]. ამასთანავე, „ოფიციალურ თუ კერძო წერილებში, მოხსენებებსა და იმდროინდელ პრესაში ქართველთა სამხედრო საქმიანობის წარმოჩენას პროპაგანდისტული მიზანიც ჰქონდა, როგორ იბრძოდა ქრისტიანული საქართველო ირანთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ მაშინ, როცა ევროპის დიდი ქრისტიანული სახელმწიფოები ვერ ახორციელებდნენ ერთობლივ ბრძოლას იმავე ოსმალეთის წინააღმდეგ“.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ფრანგული ეროვნული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელმა, საფრანგეთის მეფის ანრი III-ის მრჩეველმა და პარლამენტის პრეზიდენტმა, სიმონ მეფის თანამედროვე ჟაკ ოგიუსტ დე ტუმ კლასიკურ ნაშრომში, რომელსაც ეწოდება „თავისი დროის ისტორია“ ანდა „უნივერსალური ისტორია“ („Historiarum Suis temporis“, t. 1-4. Parisis, 1604-1609) განსაკუთრებული პატივი მიაგო ქართლის მეფის გმირულ ბრძოლას ოსმალების წინააღმდეგ. ავტორი სიმონ I-ის ბრძოლას სულთნის წინააღმდეგ საერთაშორისო ევროპული პოლიტიკის კონტექსტში განიხილავს. ამ საკითხზე მან იმდროინდელ ევროპელ მკითხველს სრული წარმოდგენა შეუქმნა იმის შესახებ, თუ როგორ იცავდა თურქთა საშიშროებისაგან

საქართველო აღმოსავლეთში „ქრისტიანულ სამყაროს“ [5: 50].

XVII-XVIII საუკუნეებში ევროპული სამყაროსათვის საქართველოს გაცნობის საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს კათოლიკე მისიონერებმა. თეატრინელმა მისიონერმა დონ კრისტოფორო დე კასტელიმ თავისი უკვდავი ნახატებით ევროპას გააცნო მისთვის მახლობელი ქართული სამყარო. მთელი ამ გალერეადან ჩანს, რომ ქართულ ეროვნულ ჩვეულებებსა და ტრადიციებთან ერთად სამეფო კარისა და წამყვან არისტოკრატთა ოჯახების ცხოვრებაში მრავლად იყო რენესანსის დროინდელი ევროპიდან შემოტანილი ელემენტები. ჩვენ ვხედავთ კეთილშობილებს ტალღოვანი კულულებით, ფართო მოკაზმული ქუდითა და მდიდრულად მოქარგული წამოსასხამით; მეფეს გრძელი მოსასხამით, სკიპტრითა და სხვა სამეფო რეგალიებით ხელში, ცხენზე ამზედრებულ თავადს ჯაჭვის პერანგში, მოკაზმული მუზარადით, მრგვალი ფარით და გრძელი შუბით, რომელიც შუა საუკუნეების რაინდივით გამოიყურება.

სპარსული წესების შემოღებამ ისლამური წეს-ჩვეულებების მიხედვით, ქალთა და მამაკაცთა სეგრეგაციის ტენდენცია დაბადა, მაგრამ ამან ფეხი ვერ მოიკიდა. ქართველი ქალები თვალსაჩინო როლს ასრულებენ საზოგადოებრივ და ინტელექტუალურ ცხოვრებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ნიჭიერი ქართველი პოეტი ქალი ვომიჯინა ბერიძე (XVII ს.), რომლის პორტრეტიც მამა კასტელიმ დაგვიტოვა. შთამბეჭდავია ფრანგი მოგზაურისა და ვაჭრის ჟან შარდენის (1643-1713) ცნობა, რომლის მიხედვით, დადიანის მეუღლე ოქრომკერდით მოქარგული ფარჩის ტანისამოსს ატარებდა. ძვირფასი ქვებით შემკულ ქუდს იხურავდა, კოკეტურ პირბადეს იკეთებდა, კოსმეტიკას ხმარობდა და სტუმარ მამაკაცებს სიამოვნებით ემუსაიფებოდა. თეატრინელ მამა არქანჯელო ლამბერტის (XVII ს.) ეჭვი არ ეპარებოდა, რომ

სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანს, ევროპაში რომ აღზრდილიყო და „...საუკეთესო მასწავლებლების ხელმძღვანელობით მიეღო სწავლა-განათლება, შეესწავლა სახელმწიფოს მართვის ხელოვნება, მას ვერც ერთი მეფე ვერ აჯობებდა“ [9: 354]. იმავე ლამბერტის წარმოდგენით, როცა ის საქართველოში გამოგზავნეს მისიონერად (1631 წ.), მიდიოდა არა სხვაგან, არამედ – იგივე იტალიელებთან [6: 43-57]. ანალოგიურად ფიქრობდა კრისტოფორო დე კასტელი: „ქართველები ჩვენი ხალხისაგან (იტალიელებისაგან) დიდად არ განსხვავდებიან“ [8: 67]. ამავე თვალსაზრისით, საგულისხმოა შემდეგი წყარო: 1714 წელს ვერსალში შედგენილი მემორანდუმის ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, თუ ქართველი ახალგაზრდები საფრანგეთის სამხედრო სასწავლებლებში მიიღებდნენ განათლებას, „ისინი ფრანგების მსგავსად ჩამოაყალიბებდნენ და გაანათლებდნენ იმათ, ვინც საქართველოში დარჩნენ“. ამის მოტივად დასახელებულია ის, რომ „საფრანგეთში განათლება მიღებულნი ყველაფერს ევროპელთა მსგავსად წამოიწყებდნენ, რამდენადაც ეს ხალხი ბუნებრივად მამაკრი და ყველაფერში ჰვავს ფრანგებს; რამდენადაც მათი ჰვავა და ტემპერამენტი, როგორც უკვე ნათქვამია, ისეთივეა, როგორც საფრანგეთში“.

ამ მოვლენას პრეცედენტი 70 წლის წინათ ჰქონდა რომში (1644), როდესაც სამეგრელოდან დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს მიერ წაყვანილმა ყმაწვილმა ანტონმა (ანტონიო) 22 წლის ასაკში დაიცვა დისერტაცია თეოლოგიურ მორალში. ეს ფაქტი ნათლად ასახავს იმ ვითარებას, რომ ქართულ ნიჭისა და გენს თანაბარ პირობებში, ცივილიზებულ გარემოში, შეეძლო სწავლა-განათლების საქმეში ევროპელისათვის დამახასიათებელი თვისებები გამოევლინა: დაუდალავი შრომისმოყვარეობა, საზრიანობა, მიზანდასახულობა, სწავლისადმი სიყვარული, სახელის მოხვეჭის ნიჭი და უნარი, და ასე ესახელებინა თავიცა და სამშობლოც.

ამრიგად, შუა საუკუნეების მანძილზე საქართველო პოლიტიკურად და სულიერად ევროპას ეჯუთვნოდა. მისი საეკლესიო, კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაცია დასავლეთზე ამის უტყუარი დასტურია. გეოგრაფიულად ევროპის კარიბჭესთან მდებარე საქართველო XI-XVI საუკუნეებში საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში ევროპის პოტენციური სამხედრო მოკავშირეა. მართალია, საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად ევროპასთან რეალურ პოლიტიკურ მოკავშირეობამდე საქმე არასოდეს მისულა, მაგრამ აგრესორ ქვეყნებთან მარტოდ დარჩენილი ჩვენი ქვეყანა მუდამ იყო დასავლეთის ყურადღების საგანი. ამაში უდიდესი როლი ეკუთვნოდა რომესა და მის მესვეურებს. რელიგია – ნებისმიერი ცივილიზაციის ცენტრალური ელემენტია. ამიტომ დასავლეთისაგან იზოლირებული საქართველო (XIII-XVIII სს.) მასთან კავშირს საქართველოში მოღვაწე მისიონერების მეშვეობით ამყარებდა. განუზომლად დიდია ამ უკანასკნელთა როლი საქართველოს კულტურულ, საგანმანათლებლო, პოლიტიკურ და დიპლომატიურ სარბიელზე. მაშინ ასეთი ურთიერთობა ერთადერთი საშუალება იყო ევროპული კულტურის ზიარებისა. ამის შენარჩუნების მიზნით საქართველოში არასოდეს იგრძობოდა გაუცხოვება პაპობის მიმართ. ქართველ პოლიტიკოსებს და სასულიერო მეთაურებს არასოდეს დაუყენებიათ ეჭვეჭვეშ, რომ ორ ეკლესიას შორის არსებული განსხვავებების გამო გაერთიანება ვერ მოხდებოდა. არც იმაზე უსაუბრიათ, თუ რა უშლიდა ხელს ამ გაერთიანებას და არც არსებული განსხვავებები გაუზვიადებიათ. ყოველივე ეს იმიტომ, რომ საქართველო თავს ევროპულ სამყაროს მიაკუთვნებდა და საბოლოოდ მასთან კავშირში სახავდა განთავისუფლების იმედს.

## **დამოწმებანი:**

1. გ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფილისი, 1902.
2. გ. თარხნიშვილი. წერილები. თბ., 1994.
3. ს. კაკაბაძე. დიდგორის ომი. თბ., 1982.
4. ე. მამისთვალიშვილი. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია. (XV-XVI სს.). თბ., 2009;
5. გ. პაპაშვილი. ფრანგი ისტორიკოსი უაკ ოგიუსტ დე ტუ სიმონ I-ის თურქების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ჟურნ.: „საქართველო ევროპა-ამერიკა“, თბ., 1997, №2.
6. გ. პაპაშვილი. თეატრინელი მისიონერების საქართველოში გამოგზავნის მოტივები. ჟურნ.: „საისტორიო ვერტიკალები“, თბ., 2009, № 18.
7. 6. პაპუაშვილი. საქართველოსა და რომის სარწმუნეობრივი ურთიერთობები: მითოსი და რეალობა, კრებ.: „აღმოსავლურ-დასაცვლური ქრისტიანობა“, თბ., 2009.
8. პატრიცია ანა ლიჩინი. კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში. თარგმანი, შესავალი და შენიშვნები მ. პაპაშვილისა, თბ., 2009.
9. საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან. ტ. IV-V, თბ., 1999.
10. ლ.ტუხაშვილი. ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან. I, თბ., 1994.
11. ქართლის ცხოვრება. I, თბ., 1955.
12. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. თბ., 1953.
13. ჭ. ჯაში. გიორგი მთაწმინდელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზასაყარზე. კრებ.: „აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანობა“, თბ., 2009.
14. Tardi L. Le Roi Simon I er à la lumière des sources d'Europe Centrale contemporaines de son époque. „Bedi Kartlisa, revue de kartvélologie”, vol. 32, XXXII, Paris, 1974, p. 199.

## რეზიუმე

ავტორი განსაზღვრავს ქართულ-ევროპული იდენტობისათვის დამახასიათებელ თვისებებს. თვლის, რომ საქართველო შუა საუკუნეების მანძილზე პოლიტიკურად და სულიერად ევროპას ეკუთვნოდა. ამის უტყუარი დასტურია მისი საეკლესიო, კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაცია დასავლეთზე. ავტორი ევროპულ წყაროებზე დაყრდნობით ასკვინის, რომ ქართველთა მენტალობა, ნიჭიერება, ზნე-ჩეულებები, აგრეთვე მათი ფეოდალური სისტემის პრინციპები მიუხედავად განსხვავებებისა, რომთან სარწმუნოებრივი კავშირისადმი ლტოლვა, ამ ხალხს დიდად არ განასხვავებდა ევროპელებისაგან. ქართული ეკლესია ყოველთვის იყო ტოლერანტული კათოლიკური თეოლოგიის გადახრებისადმი. უპირველეს ყოვლისა მან დაამკვიდრა სულიერება და ჰეშმარიტი ქრისტიანობა. ორ ეკლესიას შორის ურთიერთობაში არსებული წყვეტა საქართველოში არ მიაჩნდათ როგორც სპეციალური და შეუთავსებელია. ეს განპირობებულია იმით, რომ ევროპული ცივილიზაცია ქართველებისთვის უფრო ბუნებრივი, ნაცნობი და სრულიად მისაღები იყო, ვიდრე მეზობელი ქვეყნების ისლამური წესები.

***Murman Papashvili***  
*Full Professor of Georgian Technical University*

### GEORGIAN-EUROPEAN IDENTITY ISSUES CONFIRMED BY FOREIGN MEDIVALE SOURCES

#### SUMMARY

The author outlines the properties characteristic to Georgian- European identity. The considers that Georgia identitied itsely, both politically and ecclesiastically as part of

Europe. The undoubtable proof of this is its cultural, political and confessional orientation. The author makes conclusion, on the basis of European sources, that the mentality of Georgians, their talent, customs and habits, as well as the principles of their feudal system didn't differ much from Europeans. The stricing for religious ties with Rome has been especially eslimited, which leads to a general conclusion that Georgian church has always been tolerant to the deviations of Catholic theology. It placed spirituality and true Christianity above all. The existing divergence between two churches was not considered in Georgia as specific and incompatable. This is due to the fact that European civilization for Georgians was more natural, familiar and quite acceptable than Islamic customs of the neighbouring countries.

ბადრი რაზმაძე  
გორის სახწავლო უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი

## სოფელ მეჯვრისხევის სცენისმოყვარეთა ისტორია

გორის რაიონის სოფელი მეჯვრისხევი ცნობილია თავისი ოთხიათასწლიანი ისტორიითა და მდიდარი ფოლკლორით. არანაკლებ საყურადღებოა ამ სოფლის სცენისმოყვარეთა ისტორიაც. ეს ის სფეროა, რომელშიც სხვადასხვა დორის, დაწყებული 1844 წლიდან, მოღვაწეობდნენ საქვეყნოდ ცნობილი მეჯვრისხეველები: მანანა ერისთავი-ორბელიანისა, ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, ირაკლი გამრეკელი, გიორგი ჯაფარიძე, მიხეილ სარაული, ილიკო სუხიშვილი, შოთა ქოჩორაძე, მზია მახვილაძე, ნიკოლოზ ბერიანიძე, მიხეილ მცურავიშვილი.

აგრეთვე, წინამდებარე წიგნში მკითხველი გაეცნობა მეჯვრისხეველებსაც, რომლებიც წლების მანძილზე მსახიობობდნენ ნიკოლოზ ბერიანიძის მიერ დაარსებულ დრამატულ წრეებსა და თოჯინების თეატრში. ესენი იყვნენ: ნინო არსენაძე, ანეტა ხახუტაშვილი, ლიზიკო და ნინო მებადურები, ვასილ ცინაძე, ნიკოლოზ გურგენიძე, იოსებ სარაული, სულიკო შახნაზაროვი, ოთარ იარდალაშვილი, ნადია თაყაძე, იოსებ ბიბილაშვილი, აგრაფინა ლოლაძე, იორამ დავითაშვილი, ანზორ დავითაშვილი, გაიოზ დარჩიაშვილი, ვლადიმერ ჟუნენკო, ვასილ ლიჩელი, მაყვალა ჩუბინაშვილი, ელენე მუნჯიშვილი, კოლია ურიგაშვილი, ქეთევან ბიბილაშვილი, შოთა გურგენიძე, ანდრო სუხიშვილი, ლეილა და შოთა სალუქაშვილები, გურამ დარჩიაშვილი, ოლია ილურიძე, იური კეპაშვილი, აკაკი ვაზაგაშვილი, მანია ბიბილაშვილი, ნოდარ ლოლაძე, თამარ ბაქრაძე, მურმან არდია, დალი სარაული, ბონდო ურიგაშვილი, ჯემალ

აწკარუნაშვილი, ჯანო ბიბილაშვილი, ოთარ გურგენიძე,  
(თ.თ.)...

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თეატრის ისტორია  
კაცობრიობის ისტორიის ტოლია. რა დროიდანაც ახსოვს  
ადამიანს თავისი თავი, ახსოვს თეატრიც, რომელიც მისი  
მუდმივი თანამგზავრია.

თეატრს უდიდესი ზემოქმედების ძალა აქვს. თამამად  
შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნების ვერცერთი დარგი მას  
მეტოქეობას ვერ გაუწევს. ადამიანი თეატრში თვალნათლივ  
ხედავს თავის ისეთ ანარეკლს, როგორსაც მას ხელოვნების  
სხვა დარგები ვერ დაანახვებს. ამის გამოა, რომ  
მრავალათასწლოვანი თეატრი დღესაც ტოლს არ უდებს ისეთ  
ძლიერ მეტოქეებს, როგორიცაა კინო, რადიო და ტელევიზია.  
ის, რომ თეატრი შორეულ წარსულში იღებს სათავეს იმითაც  
დასტურდება, რომ ეგვიპტეში ჯერ კიდევ ძვ.წ.აღ II  
ათასწლეულში რელიგიური თეატრალიზებული სცენები  
მოგვითხრობენ ღმერთის ოზირისის ჭრაგიკულ ბედზე, ძველი  
ბერძნები როგორითა და მიმიკური თამაშით გამოსახავდნენ  
ხოლმე სხვადასხვა მითიურ სცენას.

თეატრის ჩასახვასა და განვითარებაში დიდი როლი  
შეასრულა მეგრნახეობისა და მხიარულობის ღმერთის  
ლიონისეს კულტმა, რომელსაც იბერიული მითოლოგიის  
თანახმად გაზაფხული მოჰყავდა. ძვ.წ.აღ. VII საუკუნიდან  
მოყოლებული საბერძნეთში დიონისეს პატივსაცემად ეწყობოდა  
დღესასწაულები „დიონისიები“, სადაც ჩაისახა თეატრი.  
ტრაგედია პირველად დიდი დიონისობის დროს დაიდგა ათენში  
2500 წლის წინათ - „534 წლის 27 მარტს“. ეს თარიღი  
მეცნიერების მიერ მიჩნეულია თეატრის დაბადების დღედ.

ისტორიული წყაროებით დასაბუთებულია, რომ  
ქართულმა თეატრმა თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვანი  
გზა განვლო. სავარაუდოა, რომ მასზე ბერძნულმა თეატრმა  
მოახდინა ზეგავლენა. ქართველებსა და ბერძნებს რომ

ოდითგანვე ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ეჭვსგარეშეა. ამაზედ მეტყველებს მითი არგონავტებსა და მედეას შესახებ, აგრეთვე, ის ფაქტიც, რომ ბერძნებს ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნიდან დაწყებული, კოლხეთში თავისი ფაქტორიები ჰქონდა და ა.შ. საყურადღებოა ისიც, რომ „ბერიკაობის“ აღმნიშვნელი სვანური სახელწოდება „ლიბეროლალ“ ეხმანება დიონისეს რომაულ სახელწოდებას „ლიბერს“ და დიონისური დღესასწაულის აღმნიშვნელ „ლიბერალიას“.

ქართველებს ოდითგანვე მოსდევთ აქტიორული ნიჭი. ჩვენმა წინაპრებმა უხსოვარ დროში შექმნეს სანახაობანი. ამ ხალხურ სანახაობათა ბრწყინვალე ნიმუშებმა „ყევნობამ“ და „ბერიკაობამ“ ჩვენს დღემდეც კი მოაღწია. ქალაქ გორში „ყევნობა“ და „ბერიკაობა“ მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე ტარდებოდა.

1893 წლის გაზეთ „ივერიაში“ (№39) წერია, რომ თბილისმა სულ მიივიწყა მამაპაპური ხალხური ჩვეულებანი ყევნობა, ბერიკაობა, ჭიაკოკონობა და სხვა სანახაობანი და მხოლოდ პროვინციაში ზოგან შემორჩა ისინი. დროთა განმავლობაში ეს ხალხური სანახაობანი დავიწყებას მიეცა და მის ნაცვლად კი თეატრმა აიდგა ფეხი.

ისტორიამ შემოგვინახა ცნობები თეიმურაზ პირველის, როსტომ მეფის, ვახტანგ მეექვის, არჩილისა და ერეკლე მეორის სასახლის კარის თეატრების შესახებ.

თანამედროვე სახის თეატრი საქართველოში თვითმოქმედების ნიადგზე შეიქმნა. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ, ოთხმოცდაათიან წლებში. ამ დროს ფორმირდება სანახაობითი კულტურის ორი ტენდენცია: ერთია თეატრი ღია ცის ქვეშ და მეორე - თეატრი შენობაში. ხალხური თეატრალური სახანაობანი არსებობას განაგრძობენ ხალხური თეატრალური ფორმით, ხოლო შენობაში ყალიბდება პროფესიული თეატრი თავისი რეპერტუარით, დასით, ხელმძღვანელით. ასეთი პროფესიული თეატრი ჩამოყალიბდა

მეფე ერეკლე მეორის კარზე. დადგენილია, რომ პირველი ქართული წარმოდგენა გაიმართა ერეკლე მეფის დროს 1791 წელს, დადგმულ იქნა გიორგი ავალიშვილის პიესა „მეფე თეიმურაზი“. ამრიგად, გ. ავალიშვილმა შექმნა პირველი ქართული საერო თეატრი.

1795 წელს კრწანისის ტრაგედიით დასრულდა პირველი ქართული პროფესიული თეატრის არსებობა. თეიმურაზ ბატონიშვილის გადმოცემით, კრწანისის ველზე გმირულად დაცუნენ სახელოვანი მსახიობები დავით მაჩაბელი და გაბრიელ მაიორი.

მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ განახლდა პროფესიული თეატრალური ცხოვრება. 1850 წლის 2(14) იანვარს გიორგი ერისთავმა დადგა პირველი სპექტაკლი „გაყრა“, რომლის ავტორიც, დრამატურგიც, მსახიობიც და რეჟისორიც თავად იყო.

გიორგი ერისთავის თეატრამდე თბილისში იყო რუსული თეატრი (1845), შემდეგ აქ შეიქმნა ოპერის თეატრი (1851) და ორკესტრი. ამ თეატრებსა და ორკესტრს აფინანსებდა სახელმწიფო მეფისნაცვალი ვორონცოვის თანადგომით. ისიც ფაქტია, რომ გ. ერისთავის თეატრიც მ. ვორონცოვის წყალობით დაარსდა.

სანდრო ახმეტელის მიაჩნდა, რომ აღდგენილმა თეატრმა დიდი გარდატეხა მოახდინა ერის ცხოვრებაში. ქართველმა ხალხმა დაიწყო ახლებურად ცხოვრება. თეატრს უნდა აღეზარდა ახალი ქართველი - სულით ძლიერი, ნებისყოფიანი და შემოქმედი.

დასანანია, რომ კავკასიის მეფისნაცვალმა მურავიოვმა საჭიროდ არ ცნო თბილისში ქართული თეატრის არსებობა და მხოლოდ რუსულ თეატრს დართო მუშაობის ნება, რათა გაევრცელებინა ცარიზმის დამპრობბლური პოლიტიკა საქართველოში.

1856 წლის ივნისში გ. ერისთავის თეატრი დაიხურა. 1879 წლამდე თეატრი ვეღარ აღდგა. ეს იყო ქართული თეატრის დაცემის ხანა. დიდი დრო დასჭირდა ქართულ თეატრს კვლავ პროფესიულ თეატრად ჩამოყალიბებისათვის და, ჩვენდა სასიხარულოდ, 1879 წლის 5 სექტემბერს კალავ დაიბადა ქართული „მუდმივი სცენა“. დასის ხელმძღვანელობა ითავა გიორგი თუმანიშვილმა. შეიქმნა ახალი პროფესიული თეატრი.

ის, რომ ჩვენი წინაპრები უძველეს დროშივე იყვნენ ნაზიარები თეატრალურ ხელოვნებას, ამტკიცებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა. თრიალეთში აღმოჩენილ ვერცხლის სასმისზე გამოსახულია ნიღბოსანთა საფერხულო წყობის მისტერია (ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუა ხანა), კოლხურ მონატებსა და ქართლში ნაპოვნ სპილენძის მონეტებზე კი გამოსახულია მოცეკვავე რახის ნიღბით. მეცნიერებმა უძველეს თეატრალურ სანახაობებს მიაკუთვნეს წალენჯიხის ფრესკათა შორის გამოსატული მოცეკვავე ქალი, - სვეტიცხოვლის ტაძრის სამხრეთ კედელზე გამოსახული მოცეკვავე ქალთა ფერხული, მოცეკვავე სოლისტთა და მუსიკოსთა ორი გუნდითურთ. ასეთივე გამოსახულებებია აღმოჩენილი ჭედური ხელოვნების უძველეს ნიმუშებზე, მონიატურებზე, რომლებიც ძველ ხელინაწერებს ამშვენებს და სხვ. ყველა ეს აღმოჩენა ადასტურებს, რომ საქართველოში მდიდარი თეატრალურ-სანახაობრივი კულტურა არსებობდა.

სამაყოა ის, რომ მსოფლიოში იშვიათად თუ რომელიმე ერს უშვია ისეთი სახელოვანი დრამატურგები, რეჟისორები, დრამატული ნაწარმოებების ავტორები, თეატრის სასცენო დეკორაციების უბადლო ოსტატები და მსახიობები, როგორებიც ქართველმა ერმა წარმოშვა. აი, მათი არასრული სიაც: გიორგი ავალიშვილი, გიორგი ერისთავი, ზურაბ ანტონოვი, რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი

წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, ვალერიან გუნია, ვაჟა-ფშაველა, დავით კლდიაშვილი, ივანე მაჩაბელი, ლადო მესხიშვილი, კოტე მარჯანიშვილი, ალექსანდრე წუწუნავა, სანდრო შანშიაშვილი, შალვა დადიანი, სანდრო ახმეტელი, უშანგი ჩხეიძე, აკაკი ვასაძე, ირაკლი გამრეკელი, ვერიკო ანჯაფარიძე, ელენე ახვლედიანი, ვასო გოძიაშვილი, სესილია თაყაიშვილი, სერგო ზაქარიაძე, დიმიტრი (დოდო) ალექსიძე, გიორგი შავგულიძე, მიხეილ თუმანიშვილი, მედეა ჯაფარიძე, სოფიკო ჭიათურელი, ეროსი მანჯგალაძე, რეზო თაბუკაშვილი და სხვ.

მეოცე საუკუნის 60-70-იან წლებში ქართული თეატრი აღმავლობის გზაზე დგას. ამის საილისტრაციოდ საკმარისია ამ პერიოდში მოქმედი თეატრების ჩამოთვლაც კი: თბილისის რუსთაველის და მარჯანიშვილის სახელობის, მოზარდ მაყურებელთა ქართული, თოჯინების, მონიატურების, პანტომიმის, ახალგაზრდული თეატრი-სტუდია „მეტეხი“ და კონსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო (ქართული თეატრები). თბილისის გრიბოედოვის სახელობის, ლენინური კომკავშირის სახელობის მოზარდ მაყურებელთა და თოჯინების რუსული თატრები, შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური თეატრი, რუსთავის თეატრი, ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის დრამატული თეატრი, ქუთაისის თოჯინების თეატრი, ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის თეატრი, გ. ერისთავის სახელობის გორის თეატრი, ს. ჭანბას სახელობის სოხუმის თეატრი, კ. გამსახურდიას სახელობის სოხუმის ქართული თეატრი, ცხინვალის (ქართული და ოსური დასები), შ. დადიანის სახელობის ზუგდიდის თეატრი, ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის თეატრი, ა. წუწუნავას სახელობის მახარაძის თეატრი, ვ. გუნიას სახელობის ფოთის თეატრი, ს. ორჯონიკიძის სახელობის თელავის თეატრი და მესხეთის თეატრი, სულ 25 თეატრი!

ცნობილი თეატრალური მოღვწე და თეატრმცოდნე გუგული ბუხნიკაშვილი თავის წიგნებში, რომლებიც მან ქართული თეატრის ისტორიას მოუძღვნა, ზედმიწევნით განიხილავს ქართლი თეატრის განვითარების ისტორიას, მიმოიხილავს, როგორც საშინაო წესით, ისე საჯარო.

პროფესიულ დონეზე დადგმულ წარმოდგენებს. გ. ბუხნიკაშვილი ეხება ქართული წარმოდგენების გამართვის ამა თუ იმ ფაქტს გორში, გორისაში, თბილისში, ქუთაისში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ხონში, ხაშურში, სამტრედიაში, ველისციხეში, სიღნაღმი, თელავში, ხიდისთავში, ხელთუბანში, სოხუმში, დუშეთში, ჭიათურაში, ლანჩხუთში, შორაპანში, ხარაგაულში, სურამში, ბორჯომში, საგარეჯოში, ბაღდადში და ახალციხეში. ის არსად არ ახსენებს სოფელ მეჯვრისხევს. მე ამ ფაქტზე იმის გამო ვამახვილებ მკითხველის ყურადღებას, რომ თუკი სცენისმოყვარებს, ბუხნიკაშვილის თქმით, ჯერ იმერეთის სოფელ გორისაში წარმოუდგენიათ 1845 წლის 1 აპრილს ოქროპირ წერეთლის კომედია „ქორწილი იმერეთის თავადისა“, ხოლო გორში წარმოდგენები გამართულა 1845 წლის მაისში, ივლისში და აგვისტოში, მათზე ადრე 1844 წელს სოფელ მეჯვრისხევში უთარგმნიათ და დაუდგამთ უ. შექსპირის „ოტელო“.

საყურადღებოა ის, რომ ქართველი მკითხველი მუდამ დიდ ინტერესს იჩენდა უ. შექსპირისადმი და, ამის გამო, მისი ნაწარმოებები არა ერთ ქართველ მოღვაწეს უთარგმნია და ამათ შორის: დიმიტრი ყიფიანს, შალვა დადიანს, სანდრო შანშიაშვილს, სოლომონ წერეთელს, ვახტანგ ჭელიძეს, გივი გაჩეჩილაძეს, ალექსანრე ყაზბეგს, ლაგრენტი არდაზიანს, ანტონ ფურცელაძეს, ივანე მაჩაბელს, ილია ჭავჭავაძეს, ვალერიან გუნიას, მარიამ ორბელიანს, ნიკო დადიანს, კოტე მესხს, კოტე მაყაშვილს, ალექსანდრე იმედაშვილს, სამსონ ყიფიანსა და ა.შ.

საკვირველია ის, რომ ტრაგედია „ოტელო“, წიგნის „ქართული შექსპირიანა“, ავტორის ნიკო ყაისაშვილის თქმით, მხოლოდ ოთხ ადამიანს უთარგმნია: ვ. გუნიას, ი. მაჩაბელს, ს. ყიფიანს და „ვინმე ერისთას“. ნ. ყაისაშვილის წერს, რომ „ოტელო“ პირველად დაიდგა 1885 წლის 20 იანვარს ვ. გუნიას სადებიუტოდ და ტრაგედიის თარგმანი თვით ვ. გუნიას კალამს ეკუთვნიდაო.

ივანე მაჩაბელმა „ოტელოს“ თარგმნა 1886 წელს დაიწყო და მის მიერ თარგმნილი „ოტელო“ პირველად 1888 წელს დაიბეჭდა. „ოტელო“ პროზად გაღმოუკეთებია სამსონ ყიფიანს.

ნიკო ყაისაშვილი დასძენს, რომ „ოტელო“ ადრეც ყოფილა ნათარგმნი, 1884 წელს ვინმე ერისთავის მიერო.

ჩვენთვის ფრიად საინტერესოა ის ფაქტი, რომ როდესაც ნ. ყაისაშვილი წერს, რომ „ოტელო“ ითარგმნა „ვინმე ერისთავის მიერო“, ის არ აკონკრეტებს, თუ სადაური იყო ეს „ვინმე ერისთავი“ და რომ მისი ნათარგმნი „ოტელო“ დაიდგა თუ არა.

ჩემი აზრით, ნ. ყაისაშვილის ცნობა იმის შესახებ, რომ „ოტელო“ პირველად დაიდგა 1885 წელს, უნდა შეიცვალოს და მკითხველ საზოგადოებას ემცნოს, რომ პირველად საქართველოში უ. შექსპირის „ოტელო“ ითარგმნა და დაიდგა სოფელ მეჯვრისხევში და ის „ვინმე ერისთავი“ მეჯვრისხევიდან იყო.

მეჯვრისხეველების საამაყოდ უნდა ითქვას ისიც, რომ 19.. წელს „ოტელო“ ინგლისურიდან კვლავ მეჯვრისხეველმა ვაჟკაცმა ნოშრევან გალაშვილმა თარგმნა. ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ ნიკო ყაისაშვილის მოსაზრებას „ოტელოს“ „ქართული მთარგმნელების ვინაობის შესახებ, გამოდის, რომ „ოტელო“ უთარგმნა ხუთ ავტორს, რომელთაგანაც ორი სოფელ მეჯვრისხევიდან იყო.

ის, რომ სოფელ მეჯვრისხევში ძველი მსახიობური ტრადიცია გრძელდება დასტურდება იმით, რომ საქართველოს

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის შაქრო გომელაურის პირად ბარათში წერია, რომ ის 1924-1925 წლებში მუშაობდა მეჯვრისხევის სცენისმოყვარეთა წრეში, ხოლო გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან დაწყებული მეჯვრისხევის დრამატულ წრეს, რომელიც თავადვე ჩამოაყალიბა, 46 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა უნიჭირესი პიროვნება - ნიკოლოზ ბერიანიძე. ჯერ კიდევ 1934 წელს გორის თეატრში წარმოდგენილ იქნა ნ. ბერიანიძის ოთხმოქმედებიანი კომედია „ჩატეხილი ღობე“.

ნიკოლოზ ბერიანიძის კალამს ეკუთვნის საბავშვო პიესები „ნიშნების საუბარი“ და „კეთილი პაპა“, რომლებიც 1955 წელს „საბლიუტგამმა“ გამოაქვეყნა წიგნში სათაურით „პიესები“. მას გამოუქვეყნებელი დარჩა: „ქიტესას კონტროლი“, ინსცენირება „აი, რას ამბობს ანბანი“, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიცია „ბედი ქართლისა“, ტრაგედია „მისამართი ბერლინში“, პიესა „ონავარი“, ფანტასტიკური პიესა „ცის საიდუმლო“.

სახელოვანი პედაგოგი ნიკოლოზ ბერიანიძე, მეჯვრისხევის კლუბთან არსებული დრამატული კოლექტივის უცვლელი ხელმძღვანელი, ერთდროულად იყო დრამატურგი, რეჟისორი, მსახიობი და წრის ანტრეპრენიორი.

#### დამოწმებანი:

1. საბავშვო ენციკლოპედია, ტ. 12, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1987;
2. ქართული დრამატული თეატრის ისტორია, ტ. I და ტ. II, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2003;
3. რაზმაძე ბადრი, „სოფელი მეჯვრისხევი“, თბილისი, 2001;
4. ნიკო ყაისაშვილი, „ქართული შექსპირიანა“, თბილისი, 1959.

## რეზიუმე

ნაშრომში „სოფელ მეჯვრისხევის სცენისმოგვარეთა ისტორია“ მოკლედ არის მიმოხილული მსოფლიოში თეატრის წარმოშობისა და აგრეთვე, ქართული თეატრის ისტორია, რის შემდეგაც ყოველმხრივ არის შესწავლილი და აღწერილი გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევის მცხოვრებთა თეატრისადმი დამოკიდებულების საინტერესო ისტორია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თეატრის ისტორია კაცობრიობის ისტორიის ტოლია. რა დროიდანაც ახსოვს ადამიანს თავისი თავი, ახსოვს თეატრიც.

თეატრს უდიდესი ზემოქმედების ძალა აქვს. ადამიანი თეატრში ხედავს თავის ისეთ ანარეკლს, რომელსაც მას ხელოვნების სხვა დარგები ვერ დაანახვებენ. ამის გამოა, რომ მრავალათასწლოვანი თეატრი დღესაც ტოლს არ უდებს ისეთ ძლიერ მეტოქებს, როგორიცაა კინო, რადიო და ტელევიზია. თეატრის ჩასახვასა და განვითარებაში დიდი როლი შეასრულა მევენახოებისა და შხიარულობის ღმერთის დიონისეს კულტმა. ძვ.წ.აღ VII საუკუნიდან მოყოლებული საბერძნეთში დიონისეს პატივსაცემად ეწყობოდა დღესასწაულები „დიონისიები“, სადაც ჩაისახა თეატრი.

ტრაგედია პირველად დიდი დიონისობის დროს დაიდგა ათენში 2500 წლის წინათ - 534 წლის 27 მარტს. ეს თარიღი მიჩნეულია თეატრის დაბადების დღედ.

ისტორიული წყაროებით დასაბუთებულია, რომ ქართულმა თეატრმა თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა განვლო.

ქართველებს ოდითგანვე მოსდევთ აქტიორული ნიჭი. ჩვენმა წინაპრებმა უხსოვარ დროში შექმნეს სამსახიობო ხელოვნება. მათი ბრწყინვალე ნიმუშებია „ყენობა“ და „ბერიკაობა“.

ისტორიამ შემოგვინახა ცნობები თეიმურაზ I-ის, როსტომ მეფის, ვახტანგ მეექვსის, არჩილის და ერეკლე მეორის სასახლის კარის თეატრების შესახებაც.

1795 წელს აღა მაჰმად ხანმა გაანადგურა პირველი ქართული პროფესიული თეატრი და ის მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ განახლდა. 1850 წლის 2 იანვარს გიორგი

ერისთავმა დადგა პირველი სპექტაკლი „გაყრა“, რომლის ავტორიც, მსახიობიც და რეჟისორიც თავად იყო.

სამაყრა ის, რომ მსოფლიოში იშვიათად თუ რომელიმე ერს უშვია ისეთი სახელოვანი დრამატურგები, რეჟისორები, დრამატული ნაწარმოებების ავტორები, თეატრის სასცენო დეკორაციების უბადლო ოსტატები და მსახიობები, როგორებიც ქართველმა ერმა შვა.

ქართველი მკითხველი მუდამ დიდ ინტერესს იჩენდა უილიამ შექსპირისადმი და, ამის გამო, მისი ნაწარმოებები არა ერთ ქართველ მოღვაწეს უთარგმნია.

საკვირველია ისიც, რომ ტრაგედია „ოტელო“ მხოლოდ ოთხ ადამიანს უთარგმნია: ვ. გუნიას, ი. მაჩაბელს, ს. ყიფიანს და „ვინმე ერისთავს“.

ნაშრომში სათანადო წყაროებზე დაყრდნობით დასაბუთებულია, რომ „ვინმე ერისთავი“ იყო სოფელ მეჯვრისხევიდან, მის მიერ ნათარგმნი „ოტელოს“ ხელნაწერი ინახება პ. პეტელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში და, ამასთანავე, არის კიდევ ერთი თარგმანი ტრაგედია „ოტელოს“, რომელიც ეკუთვნის მეჯვრისხეველ კაცს - ნოშრევან გალაშვილს.

ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა მეჯვრისხეველ ნიკოლოზ ბერიანიძეს, რომელიც 46 წლის მანძილზე იყო მეჯვრისხევის დრამატული კოლექტივის ხელმძღვანელი, დრამატურგი, მსახიობი და მრავალი პიესის ავტორი.

## THE HISTORY OF STAGE LOVERS OF THE VILLAGE OF MEJVRISKHEVI

**Badri Razmadze**, Associate Professor of Gori Teaching University

### RESUME

The work „The History of Stage Lovers of the Village of Mejvriskhevi“ represents a brief history of the Georgian theatre and generally theatre formation in the world. After that the theatre of the village of mejvriskhevi is studied in all its aspects and an attitude of a local people towards it.

it's already known that the theatre history is as long as the history of mankind.

Theatre has an unimaginable power of influence. Theatre is the best place to see own reflection, and no other field of art can do that.

In formation of theatre the cult of the God Dionysus played a great role. Since BC VII century on behalf of the God the celebration „Dioniseoba“ had been held and it was a beginning of theatre formation.

Tragedy first appeared while the celebration in Athens 2500 years ago, on the 27th of March in 534 BC. This date is considered as a date of theatre birth.

The Georgians have always been talented. From the history we get to know all about the royal theatre of Teimuraz I, the King Rostom, Vakhtang VI, Archil and Erekle II.

There is no other country in the world which has so many talented dramatists, producers, decorators, actors and actresses as Georgia.

The Georgian readers have always been interested in Shakespeare's works. The tragedy „Othello“ was translated only by four persons: V. Gunia, I. Machabeli, S. Kipiani and „Vinme Eristavi“ (somebody Eristavi).

The work gives confirmations that „Vinme Eristavi“ (somebody Eristavi) comes from the village of Mejvriskhevi. His translation is kept in K. Kekelidze institute of Manuscripts. Also there is one more translation of the tragedy „Othello“ by Noshrevan Galashvili living in the village of mejvriskhevi.

გიორგი სოსიაშვილი  
ჯორის სახწავლო უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი

ქართულ-ოსური კოალიციის შექმნის ცდა  
რუსეთის წინააღმდეგ  
(XIX საუკუნის I მეოთხედი)

XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა. რუსეთმა კარგად გამოიყენა ერთმორწმუნეობის ნიღაბი და ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმა. სამეფო სახლის და ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებმა გააცნობიერეს თავს დატეხილი უბედურება და რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ აჯანყებები დაიწყეს.

სამეფო სახლის წევრები ამ საქმეში ჩრდილოკავკასიელი ხალხების, მათ შორის ოსების ჩაბმასაც აპირებდნენ. როგორც ჩანს, ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენლებს ოსები საიმედო მოკავშირეებად უგულვოდათ. ქართულ-საისტორიო წყაროებში საკმაოდ ბევრი ცნობაა შემონახული, ქართველი მეფეების აქტიურ ურთიერთობაზე ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ოსებთან, რომლებიც საგარეო მტრების შემოსევების დროს ხშირად ქართველების მხარდამხარ იძრძოდნენ.

რუსეთის საიმპერატორო კარმა კავკასიაში მცხოვრები მცირე ერები პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოაქცია. რუსების აგრძელებას ვერც ოსები გადაურჩნენ. გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი გადმოგვცემს ოსი მოსახლეობის დაპირისპირებაზე რუსულ რაზმებთან, რაც ხშირად ოსების მსხვერპლით სრულდებოდა [5: 68].

ოსების მხარდაჭერა რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის წნევის ქვეშ მოქცეული საქართველოს მიმართ იმთავითვე გამოიკვეთა. 1802 წელს რუსეთის წინააღმდეგ

ამბოხებულ ვახტანგ ბატონიშვილს აქტიურად ეხმარებოდნენ თაგაურელი ოსები. ამის გამო რუსმა გენერალმა ტუჩკოვმა ოსებს ეკონომიკური სანქცია დაუწესა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ოსებს ბარიდან მარცვლეულის შეტანა ეკრძალებოდათ, ეს რა თქმა უნდა მთაში მცხოვრები ოსებისათვის დღი პრობლემას შექმნიდა [2 : 73].

მთავარმართებელმა ციციანოვმა 1804 წელს თაგაურელი ოსებისათვის გზის გადაკეტვაც სცადა, რათა ისინი საქართველოს აღარ დაკავშირებოდნენ [2 : 73].

რუსეთი კავკასიაში მცხოვრები ხალხების საერთო მტრად იქცა, ამიტომაც ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წარმოადგენლები ერთიანი ძალით შეეცადნენ რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლას. ქართველი უფლისწულები განსაკუთრებულ იმედებს ოსებზე ამყარებდნენ, რომლებიც მათი ისტორიული მოკავშირები იყვნენ. მას ადასტურებს ფარნაოზ ბატონიშვილის მიმართვა ოსებისადმი. ფარნაოზ ერეკლეს ძე „ქურთაულ ოსებს“, „თაგაურებთან“ ერთად რუსებისათვის გზების შეკვრას სთხოვდა. ფარნაოზ ბატონიშვილის წერილი ოსებისადმი ექვთიმე თაყაიშვილისათვის ვლადიკავკაზის გიმნაზიაში მოღვაწე მასწავლებელს – ტიტე კახიძეს გადაუცია. წერილი 1800 წლით თარიღდება:

„ქ. საქართველოს მეფის ფარნაოზის მიერ მმური სიყვარულით სახსოვარნო ერთობით ქურთაულელნო. მერმეთ თქვენც კარგად იცით, რომ ძველთაგან ჩვენი მამაპაპანი და თქვენი ერთმანეთისანი ყოფილან და მმური სიყვარულით და მამაშვილობის სახით ჰყვარებიათ. ახლა კიდე ჩვენ ერთმანეთისანი ვართ და ჩვენი ოჯახი თქვენი იქნება და რომელსაც ჯამაგირის წიგნი გაქვთ თქვენი მამაპაპისა იმასაც ერთი-ორად დაგიმტკიცეთ და ვისაც არა გაქვსთ წყალობა ყენებისა მეტი იქნება და ჩვენ საუკუნოდ საკუთარნი ვიქნებით. ახლა თქვენ იცით როგორ ჯარად გამოხვალთ და თაგაურთ

შემწენი იქნებით და მაგ გზებს შეპკრავთ, რომ რუსთა ვეღარ გაიარონ და ვერც შემოვიდნენ და ჩვენგან როგორც გინდოდეთ, იმ წყალობით გუგლი შეისრულეთ. ღვთის წყალობით ჩვენ აქ სტეფანწმინდას მოვედით და ქალაქს ვაპირებთ წასვლას, რომ იქიდამ ჩვენი ძმა ალექსანდრე მოვა ყიზილბაშის ჯარით და ახლა თქვენ იცით, რომ როგორც ამ საქმეს არ უსუსტებთ და მხნედ მოიქცევით და თქვენ ამბავსაც ჩვენ გვაცოდინებთ. სექტემბერს იც ქორონიკონს უქ. საფარი ქალაქსა გვაქვს და ღვთის მოწყალებით იქაურ საქმეს რო მოვრჩებით აქავე მოვალთ და კახეთის თავადები ჩვენთან მოვიდნენ. საქართველოს ხალხი ყველა უკუდგა, ღვთით საქმე კარგად არის, ახლა თქვენ იცით“ [9].

როგორც ამ წერილიდან ჩანს, თაგაურელ და ქურთათელ ოსებს ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენლები რუსთა რაზმებისათვის გზების გადაკეტვას სთხოვდნენ. ეს ტერიტორია, ჩვენი აზრით, საქართველოს სამხედრო გზის დასაწყისი უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში სამხედრო გზის ამ მონაკვეთს თაგაურელი ოსები აკონტროლებდნენ. ამ ფაქტს ადასტურებს გერმანელი მოგზაურის იოჰან ანტონ გიულდენშტედტის ცნობაც,

საიდანაც ჩანს, რომ ოსები მდ. თერგზე გადებულ ხიდებს ხევსურებთან ერთად დარაჯობდნენ [5 : 11].

გიულდენშტედტის ცნობით გზის ამ მონაკვეთის გავლა შესაძლებელი იყო ოსებისათვის გარკვეული გასამრჯელოს მიცემის შემდეგ [5 : 11].

როგორც მოგზაური გადმოგვცემს: „მათ (იგულისხმებიან ოსები – გ.ს.) ბევრი უსიამოვნება მიაყენეს რუსულ რაზმებს ხაზზე, თუმცა ისინი მათგან მოშორებით ცხოვრობენ, მაგრამ თავს ესხმოდნენ და ხოცავდნენ მგზავრებს, რომლებიც საქართველოდან მიდიოდნენ და საქართველოში მიემართებოდნენ, თავს ესხმოდნენ ზედ თერგის ხაზზე, როცა

მათ დრო და დრო ჭეკუას ასწავლიდნენ ხოლმე, ისინი აღიარებდნენ რუსულ უზენაესობას და მფარველობას და აძლევდნენ მძევლებს; ხოლო როცა ეს უკანასკნელნი გაიქცეოდნენ ან დაიხოცებოდნენ და, მაშასადამე, აღარ ეშინოდათ უახლესი სასჯელისა, მაშინვე მტრობით იმსჭვალებოდნენ.“ [5 : 68-69].

ოსების ასეთი დამოკიდებულება რუსების მიმართ შემთხვევითი არ იყო. რუსი ჯარისკაცები და კაპიტან--ისპრავნიკები მათ განსაკუთრებული სისატიკით ექცეოდნენ [6: 161]. ყოველივე ეს ოსებს რუსი მოძალადების წინააღმდეგ საბრძოლველად განაწყობდა.

საყურადღებოა, რომ რუსების წინააღმდეგ 1810 წელს აჯაყებული ლევან იულონის მე ბატონიშვილი დიდი ლიახვის ხეობაში გამაგრდა. ლევანი თავისი ბიძის ალექსანდრე ბატონიშვილის მოწოდებით ლიახვის ხეობაში რაჭის გზით შევიდა, რათა სამაჩაბლოში მცხოვრები ქართველები და ოსები რუსეთის წინააღმდეგ აეჯანყებინა [4 : 42-43].

ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით: „ხოლო წელსა 1810 მსმენელთა იმერთა მოსცეს პირი მტკიცე მეფესა სოლომანს, მყოფსა ახალციხესა და აწვიეს რათა ჩავიდეს იმერეთს და დაიპყროს იმერეთივე, მსმენელი ამისი მეფე სოლომან წარემართა ახალციხით და შთავიდა იმერეთს. მაშინ მოერთვნენ იმერნი ყოველნივე, შეკრეს გზანი ქართლისანი და დაღგნენ მყარად. მაშინ მეფის ძემან, ალექსანდრემაც წარავლინა ახალციხით ძმისწული თვისი ლეონ ოსეთსა სამაჩაბლოსა შინა, რათა მანცა, შეკრებულმან ოსთამან ბრძოს რუსთა. მისრულე ლეონ შეიწყნარეს ოვსთა და შეკრძნენ მისთანა“ [1 : 106].

ლევან ბატონიშვილის ოსებთან ურთიერთობის შესახებ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს მთავარმართებელ ტორმასოვის წერილი სამხედრო მინისტრისადმი, სწორედ აქედან ჩანს, რომ ოსთა ერთი ნაწილი რუსეთის

მოწინააღმდეგე იყო, ხოლო ნაწილი მათთან თანამშრომობდა: „სპარსეთი ავზავნის გაქცეულ ლევან იულონის ძეს, ახალციხის გავლით აჯანყებულ იმერეთში და რაჭის მთის ოსებთან. ოსებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ გაუვალ მთებში და სჩადიოდნენ ყაჩალობას, სიამოვნებით მიიღეს ლევანი.

როდესაც ამის შესახებ გაიგო საქართველოს მმართველმა ახვერდოვმა, საჩქაროდ გაემგზავრა ცხინვალში, რათა დაემშვიდებინა მცხოვრებლები, დროის დაუკარგავად, ის შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას, რათა ოსების დახმარებით რომლებსაც გააჩნდათ სიხარბე ოქროს მიმართ, ხელში ჩაეგდო ლევანი და მოეკლა. ლევანმა დაიწყო თავდასხმა ქართლის სოფლებზე, თავადი მაჩაბლები, რომლებმაც ლევანი მიიღეს და იარაღით ამარაგებდნენ, დაჭრილები იყვნენ“ [8 : 468].

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ლევან ბატონიშვილის შემოსარიგებლად არაერთი მეთოდი გამოიყენა, მასთან საერთო ენა მაინც ვერ გამონახა [4 : 45].

ხელისუფლებამ მეამბოხე ბატონიშვილის ხელში ჩაგდების მიზნით ლიახვის ხეობაში სამხედრო ექსპედიცია მოაწყო. ლევან ბატონიშვილი, როგორც ჩანს კარგად იყო ინფორმირებული რუსთა ძალის გადაადგილების შესახებ, ამიტომ იგი ლიახვის ხეობიდან ნარში გადაიმაღა [4: 45].

ხელისუფლებამ მოახერხა ერთ-ერთი ადგილობრივი ოსის გადმობირება და ბატონიშვილის მოტყუებით შეპყრობა სცადა, თუმცა უშედეგოდ.

ლევან ბატონიშვილის აჯანყებას რუსების წინააღმდეგ რეალური შედეგი არ მოჰყოლია, თუმცა ბაგრატიონების ბრძოლა სახელმწიფოებრიობას აღდგენის მიზნით არ შეწყვეტილა. ამ საქმის მთავარი სულისჩამდგმელი ალექსანდრე ბატონიშვილი იყო [7 : 11].

ალექსანდრე ერეკლეს ძე რუსების წინააღმდეგ კავკასიელების გაერთიანებას ესწრაფოდა. ალექსანდრეს

მიერ ოსებისათვის გაგზავნილი წერილებიდან ნათლად ჩანს ბატონიშვილის დამოკიდებულება ოსი ხალხისადმი. ერთ-ერთი წერილში, რომელიც 1813 წლის 30 მარტით თარიღდება, აღნიშნულია:

„წერილი მეფის ძის ალექსანდრესი მირზაბეგ თულათისშვილთან და დუდავ მასურიშვილთან,

ქ. მეფის ძე ალექსანდრე მმურის სიყვარულით მოგიკითხავთ თულათისშვილო მირზაბეგ და მასურიშვილო დუდავ. მერმე ვიცით, ჩვენს ვითარებას იკითხავთ. დვთის მოწყალებით მშვიდობით ვიმყოფებით. ახლა თქვენც კარგად იცით, რომ რუსებმა ჩვენი ოჯახი როგორ დაამსხეს და თუ ჩვენ ასე გვიყვეს, ჩვენზედ დაბალს ოჯახს რას უზამენ? თქვენ ჭკვიანი კაცნი ბრძანდებით, კარგად უნდა იფიქროთ, მაგათის ამ ქვეყანაში დათესლებას ბოლოს რა მოსდევს ან თქვენთვის ან ჩვენთვის. ხოლო ახლა ჩვენც დვთის მოწყალებით საქმესა და თადარიგებაში ვართ და თქვენც ჩვენი ოჯახისათვის და ჩვენი გულისათვის თავი უნდა დასდვათ და ოჯახიცა. თქვენ ჩიმითელთა ქურთაულელთ მზევალი უნდა მისცეთ და ერთმანეთში დაზავდეთ. ჩვენ ვაძლევთ თქვენს ზევალს იმათ და თქვენცა ჩვენის ოჯახისა და ჩვენი გულისათვის უნდა გამოიმტოთ. არც უარის თქმა იქნება და მერმე როგორც გინდოდესთ ისე მიმეტი და ჩვენი ოჯახიც გაისაკუთრეთ საუკუნოდ. თქვენ და ეგენი ერთი უნდა შეიქმნათ და სადაც ან ჩვენი ოჯახის მტერი არის და ან თქვენ იმაზედ მიხვიდეთ დვთით და ამ ჩვენ მტერს რო მოვრჩებით, მერე მშვიდობასა და განსვენებაში ვიქნებით, თქვენცა და ჩვენი ოჯახი თქვენი საკუთარი სახლი იქნება და ჩვენი კარი ყოველთვის თქვენთვის ღია იქნება. ახლა თქვენ იცით, როგორც ამ საქმეს შეჰვერობოდეს ისე მოიქცევით(თ) მარტს ლ. ქორონიკონს ფა.“ [9].

ალექსანდრე ბატონიშვილის მეორე წერილიც 1813 წლით თარიღდება „წერილი მეფის ძისა ალექსანდრესი,

მიწერილი მასურისშვილის ქელეხსანისა და დუდარისადმი 1813 წელს, აპრილის 1:

ქ. მეფის ძე ალექსანდრე მმური სიყვარულით მოგიკითხავ მასურისშვილო ქელეხსან და დუდარ. მერმეთ ამას წინათაც მოგწერთ მზევლების საქმეზე წიგნი და ახლაც ეს არის რომ ჩვენი გულისათვის თქვენ ქურთაულებსაც და ქისტებსაც მზევლები უნდა მისცეთ. თქვენ ამ საქმეზე ბეჯითად იყავთ დვთის მოწყალებით. მერმე ჩვენი ოჯახი თქვენი იქნება. რასაც ამ უადად თქვენ ჩვენთვის გაირჯებით, ის საქმე თქვენთვის საშვილიშვილო იქნება. ახლა როგორც თქვენი იმედი გვაქეს, ისე ერთგულად და ბეჯითად მოიქცით, რომ ერთმანეთს ზავი გქონდესთ და მისვლა-მოსვლა და ღვთით ჩვენი საქმეც და თქვენიც კარგად მოვა. სხვა ჩვენს სიტყვას თქვენი მმა და ბიძაშვილი გიამბობსთ. აპრილის ა. ქორონოკონს ფა“ [9].

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, ოსები საუკუნეების განმავლობაში ქართველების ერთგული მოკავშირეები იყვნენ. მათ გარკვეული წვლილი შეჰქონდათ საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. დასანანია, რომ ორ ხალხს შორის ასწლეულების მანძილზე არსებული კავშირი გარეშე ძალების ზემოქმედების შედეგად შეწყდა, თუმცა, იმედს ვიტოვებთ, რომ ისტორიული სამართლიანობა მალე აღდგება და ქართულ-ოსური ურთიერთობაც ტრადიციულად გაგრძელდება.

#### დამოწმებანი:

1. ბატონიშვილი ბ., ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის რედ. თბ., 1987.
2. თოვოშვილი გ., საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII ს.ს. თბ., 1969.
3. ორჯონიძე ე., ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ, თბ., 1999.

4. სოსიაშვილი გ., სამაჩაბლოს პოლიტიკური ისტორიიდან (ლევან ბატონიშვილის აჯანყება), საისტორიო აღმანახი "კლიო," № 25, 2005.
5. სოსიაშვილი გ., გერმანელი მოგზაურები ოსების შესახებ, თბ., 2007.
6. სუხიტაშვილი ვ., ოსური მოსახლეობის საპროტესტო მოძრაობა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ 1817 –1821 წლებში, გორის უნივერსიტეტის პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, შრომათა კრებული, გორი 2008.
7. სუხიტაშვილი ვ., ალექსანდრე ბატონიშვილის პოლიტიკური მოღვაწეობა, თბ., 2006.
8. აქტები, VI, 1874.
9. <http://publish..dif.ge/eqvtimetakaishvili/semoqmedeba.html>

## რეზიუმე

XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა. რუსეთმა კარგად გამოიყენა ერთმორწმუნეობის ნიღაბი და ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა. სამეფო სახლის და ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებმა გააცნობიერიეს თავს დატეხილი უბედურება და რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ აჯანყებები დაიწყეს.

სამეფო სახლის წევრები ამ საქმეში ჩრდილოკავკასიელი ხალხების, მათ შორის ოსების ჩაბმასაც აპირებდნენ. როგორც ჩანს, ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენლებს ოსები საიმედო მოკავშირეებად ეგულვოდათ. ქართულ-საისტორიო წყაროებში საკმაოდ ბევრი ცნობაა შემონახული, ქართველი მეფეების აქტიურ ურთიერთობაზე ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ოსებთან, რომლებიც საგარეო მტრების შემოსევების დროს ხშირად ქართველების მხარდამხარ იბრძოდნენ.

რუსეთის სამპერატორო კარმა კავკასიაში მცხოვრები მცირე ერები პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოაქცია. რუსების აგრძელებული რეზის მომანელი მოგზაური გიულდენშტედტი გადმოგვცემს მოსახლეობის დაპირისპირებაზე რუსულ რაზმებთან, რაც ხშირად ოსების მსხვერპლით სრულდებოდა.

ოსების მხარდაჭერა რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის წნევის ქვეშ მოცეული საქართველოს მიმართ იმთავითვე გამოიკვეთა. 1802 წელს რუსეთის წინააღმდეგ ამბოხებულ ვახტანგ ბატონიშვილს აქტიურად ეხმარებოდნენ თაგაურელი ოსები. ამის გამო რუსმა გენერალმა ჭუჩქოვმა ოსებს ეკონომიკური სანქცია დაუწესა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ოსებს ბარიდან მარცვლეულის შეტანა ეკრძალებოდათ, ეს რა თქმა უნდა მთაში მცხოვრები ოსებისათვის დიდ პრობლემას შექმნიდა.

მთავარმართებელმა ციციანოვმა 1804 წელს თაგაურელი ოსებისათვის გზის გადაკეტვაც სცადა, რათა ისინი საქართველოს აღარ დაკავშირებოდნენ.

რუსეთი კავკასიაში მცხოვრები ხალხების საერთო მტრად იქცა, ამიტომაც ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წარმოადგენლები ერთიანი ძალით შეეცადნენ რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლას. ქართველი უფლისწულები განსაკუთრებულ იმედებს ოსებზე ამყარებდნენ, რომლებიც მათი ისტორიული მოკავშირები იყვნენ. მას ადასტურებს ფარნაოზ ბატონიშვილის მიმართვა ოსებისადმი. ფარნაოზ ერეკლეს ძე „ქურთაულ ოსებს“, „თაგაურებთან“ ერთად რუსებისათვის გზების შეკვრას სთხოვდა. იგივე შინაარსისაა ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები ოსებისადმი, აღსანიშნავია, რომ ოსებმა დიდი როლი შეასრულეს რუსეთის წინააღმდეგ მოწყობილ ლევან იულონის ძე ბატონიშვილის აჯანყების დროს. ამბოხებული ბატონიშვილი გარკვეული პრიორი დიდი ლიახვის ხეობაში სწორედ ოსებს აფარებდა

თავს. ოსები საუკუნეების განმავლობაში ქართველების ერთგული მოკავშირები იყვნენ. მათ გარკვეული წვლილი შეჰქონდათ საქართველოს სახელმწიფო ობრივ ცხოვრებაში. დასანანია, რომ ორ ხალხს შორის ასწლეულების მანძილზე არსებული კავშირი გარეშე ძალების ზემოქმედების შედეგად შეწყდა, თუმცა, იმედს ვიტოვებთ, რომ ისტორიული სამართლიანობა მაღვე აღდგება და ქართულ-ოსური ურთიერთობაც ტრადიციულად გაგრძელდება.

*Giorgi Sosiashvili*  
*Associate Professor of Gori Teaching University*

**ATTAMPTS FOR GEORGIAN-OSETIAN COALITION  
CREATION AGAINST RUSSIA (THE 1ST QUARTER  
OF THE XIXTH CENTURY)**

**RESUME**

Political life in Georgia had sharply changed since the beginning of the XIX century. Russia used a mask of orthodox Christianity and abolished Kartl-Kakheti kingdom. Representatives of the Royal family and aristocrats realized this calamity and began rebellions against Russian imperialistic policy.

The members of Royal family tried to involve North Caucasians including Ossetians in this activity as well. It seems that the representatives of the Bagrationi family considered Ossetians as reliable allies. There are a lot of notes in Georgian historical resources about the active relations between Georgian kings and Ossetians who fought with Georgians against foreign enemies.

Russian imperial family imposed its political influence on the little nations lived in the North Caucasus. Ossetians

could not avoid Russian aggression either. German traveler Giuldenshtedti informs us about the opposition of Ossetian population with Russian army which often ended with Ossetian sacrifice.

Ossetians' support for Georgians trapped under Russian colonial policy immediately revealed. Vakhtang Batonishvili who rebelled against Russia in 1802 was actively helped by the Ossetians from Tagauri. Because of this Russian general Tuchkov imposed the following sanctions on Ossetians which banned cereal import from the plain. It would certainly create a great problem for Ossetians living in mountains.

In 1804 commander-in-chief Tsitsianov tried to close the road for Tagauri Ossetians so that they could not connect with Georgia. Russia became a common enemy for Caucasian people. Thus, the representatives of Kartli-Kakheti Royal family tried to unify and began fighting against Russia. Georgian princes relied specially on Ossetians who were their historical allies. It is proved by the appeal of Parnaoz Bagtonishvili to Ossetians. Parnaoz, the son of Erekle asked "Ossetians from Kurtauli" to close the roads together with "Ossetians from Tagauri" against Russians. Alexander prince's letters to Ossetians has the same content.

It should be mentioned that Ossetians played a great role in Levan Batonishvili's rebellion against Russia. The rebelled prince Levan had found shelter with Ossetians in the big Liakhvi gorge for some period. Ossetians had been Georgians' loyal allies for centuries. They made some contribution to Georgian political life. It is a pity that the connection which had existed for centuries between these two people was ceased by the influence of external forces, though we hope that historical justice will be restored again and Georgian-Ossetian relations will continue traditionally.

**ზვიად შერაზადიშვილი**  
ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახლმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

**თრიალეთის კულტურის საბრძოლო იარაღი ცირკუმპონტოს  
მეტალურგიული პროცენტის სისტემაში**

სპილენძის აღმოჩენიდან და გამოყენებიდან (ძვ. წ. IX-VIII ათასწ). ანატოლია: ჩაიონუ-თეფესი, აშიკლი და სხვ.) რეინის ფართოდ ათვისების ხანამდე (II ათასწ. დასასრული) საკმაოდ დიდი დროა გასული. მიჩნეულია, რომ ძვ. წ. IV ათასწლეულის დადგომამდე, წინა აზის ბრინჯაოს მეტალურგია არც ისე განვითარებული იყო. გადამყვეტი მომენტი ადრე ბრინჯაოს ხანის დაწყება გახლდათ [37. 2002:5]. ლითონი, როგორც იმდროინდელი იარაღების დამზადების ყველაზე ხარისხიანი და გამძლე ნედლეული, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში ძალიან ძვირად ფასობდა. სწორედ ამან გამოიწვია სპილენძის და შემდგომ რკინის მანქებით მდიდარი რეგიონების ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო დაწინაურება. სამხრეთ კავკასიის მასალების მიხედვით ჩანს, რომ განსხვავებით ხალკოლითური ეპოქისაგან, სადაც იარაღების დამზადების ძირითად ნედლეულს ბუნებრივი მინერალები (კაუი და ობსიდიანი, აგრეთვე სხვადასხვა ჯიშის ქვები, ძვლის და ხის იარაღები. ამ უკანასკნელთა გამძლეობა, ეფექტურობა, და ექსპლუატაციის დრო, კაუთან და ობსიდიანთან შედარებით ნაკლები იყო) წარმოადგენდნ, ამ მხრივ ბრინჯაოს ხანაში მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა (განსაკუთრებით შუა ბრინჯაოდან), საბრძოლო იარაღების დამზადების ძირითად ნედლეულად სუფთა სპილენძი და ბრინჯაოს სხვადასხვა შენადნობები იქცნენ.

ნეოლითური ზანიდან გვიან ბრინჯაოს ზანამდე აღმოსავლეთ ევროპაში და წინა აზიაში რამდენიმე მეტალურგიული პროვინცია არებობდა [39. 2001:46-50].

ცირკუმპონტოს მეტალურგიულმა პროვინციამ შეცვალა ენეოლითური ბალკანეთ-კარპატების მეტალურგიული პროვინცია. ცმპ-მ არა მარტო დაფარა ბკმპ-ს ტერიტორია, არამედ მოიცვა ანატოლია, მესოპოტამია, სამხრეთ კავკასია და დასავლეთ ირანი. საერთო ჯამში თავისი განვითარების ზენიტში მყოფმა, ადრე ბრინჯაოს ზანაში 4,8-5, ხოლო შუა ბრინჯაოს ზანაში 5,6-5,8 მლნ. კვადრატული კილომეტრი შეადგინა. მიუხედავად ბკმპ-ს მისით ჩანაცვლებისა, ამ ორ მეტალურგიულ პროვინციას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არ არსებობს. რადიონახშირბადით მიღებული თარიღები აჩვენებს, რომ მათ შორის წყვეტილი 5 საუკუნეა. ცმპ-ს ქრონოლოგიური დიაპაზონი ძვ. წ. 3300-1900 წწ.-ია. ცმპ-ში, ისევე როგორც მის წინამორბედ მეტალურგიულ პროვინციაში, ორი ძირითადი კულტურული ბლოკი შედის. ჩრდილოეთი ნაწილი ზასიათდება მესაქონლეობით, ხოლო სამხრეთი კი მიწათმოქმედებით და მესაქონლეობით. ჩრდილოეთთან შედარებით სამხრეთი კულტურით და საზოგადოებრივი განვითარებით აშკარად მაღალ დონეზე იყო. ადრე ბრინჯაოს ზანაში ცმპ-ს ჩრდილოეთ ნაწილში ორი ძირითადი კულტურულ-ისტორიული რეგიონი იყო, სადაც შედიოდნენ: უსატოვის, კემი-ობის, ნოვო-ტიტოროვის, და მაიკობის. ხოლო შუა ბრინჯაოს ზანაში კი კატაკომბური და პოლტავის კულტურები. სამხრეთ ბლოკში გამოიყოფა შვიდი ძირითადი რეგიონი: ანატოლია, ჩრდილო ბალკანეთი და კარპატები, ეგეოსი და სამხრეთი კარპატები, ლევანტი, მესოპოტამია, სუზიანა და სამხრეთ კავკასია [37. 2002:5-23].

მეტალურგიული პროვინცია წარმოადგენს დროში და ივრცეში ლიმიტირებულ მონათესავე ან ურთიერთდაკავშირებულ მეტალურგიულ ან ლითონდამუშავებით

დაკავებული კერების სისტემას. ამა თუ იმ ცენტრში წარმოების ხასიათის მსგავსება ანალიზის მეშვეობით ვლინდება – 1) ლითონის იარაღის დიაგნოსტიკური ნაკრების მორფოლოგიურ-ფუნქციონალური ნიშნები, 2) ლითონდამუშავების ტექნიკოლოგიები, 3) ძირითადი შენადნობების შემადგენლობები. ცმპ-ს ჩრდილო და სამხრეთ ბლოკებში სხვადასხვა რეგიონებიდან მომდინარეობენ ლითონის ნივთები, რომლებსაც ერთმანეთთან მორფოლოგიური და ფუნქციონალური ნიშნები აკავშირებთ (მაგ. სუზა, ანატოლია და ბალკანეთ-კარპატები; მაიკოპის კულტურა და დანარჩენი ჩრდილო კავკასია; ვოლგა-ურალის რეგიონი და ჩრდილოეთ პონტოს რეგიონი) [39. 2001:46-50]. ცმპ-ს დიდი ნაწილისათვის დამახასიათებელია ცულების I და II ტიპის ყალიბების გამოყენება [38. 1977:29-53]. რაც შეეხება III ნიშანს, დარიშხანიანი ბრინჯაო ცმპ-ს თითქმის მთელს ტერიტორიაზე წამყვან შენადნობს წარმოადგენს. მეტნაკლებ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს კარპატის აუზი სამხრეთ ურალამდე. ჩრდილოეთ ნაწილისგან განსხვავებით ცმპ-ს სამხრეთ ნაწილში კალიანი ბრინჯაოს წილი განსაკუთრებით იზრდება შუა ბრინჯაოს დადგომისას [37. 2002: 46. 2001].

ცმპ-ს ყველაზე გამოკვეთილ და თვალშისაცემ ნიშანს წარმოადგენს იარაღის ძირითადი სახეობების ფორმების საოცარი მსგავსება, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ეს ნივთები მომდინარეობენ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული კულტურებიდან და რეგიონებიდან. დიდი მსგავსებაა ტექნიკოლოგიურ ხერხებში და შენადნობების შემადგენლობაშიც.

ამის საილუსტრაციოდ შევეცდებით წარმოვადგინოთ თრიალეთის კულტურის იარაღების ის სახეობები, რომლებიც თავიანთი ფორმებით ცმპ-ს სამხრეთი ნაწილის მეტალურგიის ერთიან სისტემაში შედიან და ახლო პარალელები ეძებნებათ მახლობელი აღმოსავლეთის არქეოლოგიურ მასალებში\*.

თრიალეთის კულტურის ბრინჯაოს საბრძოლო იარაღებს შორის მახლობელი აღმოსავლეთის ყველაზე მეტ გავლენას ცულები და რაპირები განიცდიან. აშკარაა, რომ ამ სახეობის ბრინჯაოს იარაღები წარმოადგენენ მახლობელი აღმოსავლეთის ტერიტორიაზე დადასტურებული ნიმუშების სამხრეთ კავკასიურ ვარიანტებს, რომლებიც თავიანთ პროტოტიპებზე გვიანდელები არიან.

ჩვენი აზრით, თრიალეთის კულტურაში დადასტურებული ცულები მომდინარეობენ ახლო აღმოსავლეთის ცულების ერთ-ერთ ტიპიდან, რომელსაც საფუძველი თევე-გავრა VI და ტელ ბილლას V ფენის ცულებმა ჩაუყარეს [23. 1935:106, 179. ტაბ. X VIII; 16. 2008:82; 19. 1949:90-129; 20. 1995:273]. ვფიქრობთ, რომ ამ ცულების შედეგად განვითარდა სამხრეთ კავკასიის თრიალეთის კულტურის ცულებიც. ჩვენი აზრით, გამოიყოფა განვითარების ოთხი სხვადასხვა ეტაპი, რომლებიც ერთმანეთს ქრონოლოგიურად ენაცვლებიან. პირველ ეტაპს ეკუთვნის თევე-გავრას VI ფენის, ტელ-ბილლას V, ყარსის და ლენინაკანის ცულები [31. 2001:113; 33. 1964:61]. მეორე ეტაპის ეგზემპლიარებს წარმოადგენს შამშადინ-ნავურის ორი ნიმუში [31. 2001:113]. მესამე ეტაპში გავაერთიანეთ ე. წ. “ლრმალელის ტიპის” ცულები: ცული უცნობი ადგილიდან [31. 2001:113], ნატახტარი [33. 2001:230], ლრმალელე [29. 1941:17-18] და ბოდორნა [10. 1956:75-79; 22. 1995:12-16,34, ტაბ. 5,30]. რაც შეეხება მეოთხე ეტაპს, აქ მოვათავსეთ ხორევის [27. 1973:83] და კიროვაკანის ყორდანის [34. 1949:46-47; 18. 2006:260] ცულები.

განვითარების ამ ოთხი ეტაპის გამოყოფის შედეგად შესაძლებლად მიგვაჩნია გამოვყოთ სამი ტიპი.

პირველ ტიპს წარმოადგენენ თევე-გავრას VI ფენის, ტელ-ბილლას და ყარსის ეგზემპლიარები. ამ ტიპის ქვეტიპად მიგვაჩნია ლენინაკანის. აღსანიშნავია, რომ პირის

მოყვანილობის მიხედვით იგი ყველაზე მეტად თევზე გავრას VI ფეხის ნიმუშს ემსგავსება. ლენინაკანის ცულის ტრაპეციის ფორმის პირი, სამხრეთ კავკასიაში შემდგომში აღარ ვრცელდება.

მეორე ტიპის ეგზემპლიარებია: შამშადინ-ნავურის, კიროვაკანის, ნატახტრის, ღრმაღელეს და ბოდორნას ცულები. ამ ტიპის ცულების დასაწყის ეგზემპლარად შამშადინ-ნავურის ნიმუშები მიგვაჩნია. ტექნიკური პროგრესის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი მათი ოვალური სატარე ხვრელია, რომელიც მრგვალ სატარე ხვრელთან შედარებით უფრო საიმედო იყო.

მესამე ტიპს შეადგენენ ხორეჯის და კიროვაკანის ყორლანის ცულები, რომლებიც გვიან ბრინჯაოს ხანის ცენტრალურკავკასიური ტიპის ცულების პროტოტიპებად მიგვაჩნია [4. 1974:33-36; 10. 1956:75-79; 11. 1969:164 და სხვ.]

ჩვენ მიერ გამოყოფილი თითოეული ტიპის გაჩენა გამოწვეული იყო ტექნიკური პროგრესით, დიზაინის გაუმჯობესებით და არა ახალი, ფუნქციურად ან მორფოლოგიურად განსხვავებული ტიპის შემოსვლით.

ბრინჯაოს რაპირები თრიალეთის კულტურაში მოულოდნელად და ერთდროულად ჩნდება და მრავლდება მისი აყვავების დროს, ხოლო შემდეგ კი უკალოდ ქრება. მათი გავრცელების პერიოდი თრიალეთური კულტურის შუა ნაწილს მოიცავს. დღემდე სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ათამდე ერთეული [1. 2003; 5. 1974; 9. 2006:19; 25. 197?; 30. 1993:117].

რაპირების გავრცელების არეალი საკმაოდ დიდია: ანატოლია [1. 2003:48-52], სირია [1. 2003:48-52], სამხრეთ კავკასია [1. 2003:48-52; 31. 1993:117] და ეგეოსური სამყარო [17. 1974: ტაბ. 11]. კ. კუშნარიოვასა და მ. რისინის აზრით სამხრეთ კავკასიური რაპირების პროტოტიპებად ანატოლიური

და სირიული მახვილები მიიჩნევა. მ. აბრამიშვილი სამხრეთ კავკასიური რაპირების ადგილობრივ პროტოტიპიად სადუღას მახვილს [4. 1976: ტაბ. XXIX], ხოლო მას ალაჯა ჰუიუკის მახვილიდან მომდინარედ მიიჩნევს [1. 2003:48-52; 24. 1958:93]. სამხრეთ კავკასიური რაპირების წარმოშობის თაობაზე ზემოთ ჩამოთვლილ მოსაზრებებს ჩვენც ვიზიარებთ.

წინამორბედი ხანისაგან განსხვავებით თრიალეთის კულტურამ ყველაზე მეტი სახეცვლილება და ტექნიკური პროგრესი შების პირების დამზადების მხრივ მოგვცა. ამ პერიოდის ტექნიკურ მიღწევად შების პირისთვის მასრის გაკეთება გახლდათ. მანამდე არსებული ყუნწიანი შების პირები მტკვარ-არაქსული კულტურის მიგნებაა. ყუნწიდან მასრაზე გადასვლა ლოგიკური გაგრძელებაა შების პირის ტარზე მყარად დამაგრების ხერხებში.

შეა ბრინჯაოს ხანის მიწურულის სამარხეული კომპლექსები: ნული, ქვასათალი, ნატახტარი, წალვლი და სხვ. [28. 1949:31-33; 26. 1955:24; 12. 2009:14-59. სურ. 1-26. ტაბ. I-XXVI; 36. 1993; 35. 1933: 287-297. 7. 2004]. თრიალეთის კულტურისათვის მათი კუთვნილების და შეუბრინჯაოს ხანის საერთო კულტურულ კონტექსტთან მიმართების თვალსაზრისით დღემდე სპეციალურად ნაკლებად არის შესწავლილი. ვფიქრობთ, რომ სანამ მყარი არგუმენტები არ გვექნება ამ თვალსაზრისით, მანამდე მათ კულტურულ კუთვნილებაზე საუბარი ნაადრევად მიგვაჩნია. ამის გამო, ამ ძეგლებში აღმოჩნდილ შების პირებს თრიალეთის კულტურის ერთიან სისტემაში განვიხილავთ.

ჩვენ მიერ მოძიებულ მრავალრიცხოვან შების პირებზე დაყრდნობით ვთვლით, რომ სრული საფუძველი გვაქვს გამოიყოს თრიალეთის კულტურის შების პირების ტიპოლოგიური სისტემა, რომელიც დაფუძნებულია ფორმობრივ-ტიპოლოგიურ შედარებითი ანალიზის მეთოდზე.

მოძიებულ 47 ერთეულზე დაყრდნობით გამოყოფილია ექვსი ძირითადი ტიპი და ოთხი ქვეტიპი.

ფორმობრივ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით სამხრეთ კავკასიური შუბის პირების პირდაპირი საზღვარგარეთული ანალოგიების ერთეული შემთხვევები მოგვეპოვება. თუმცა ისეთი მნიშვნელოვანი, მაგრამ ამიერკავკასიური ეგზემპლიარებისათვის არცთუ პრაქტიკული დეტალი, მასრის ბოლოს ლითონის სალტე (ჩვენს შემთხვევაში ძვირფასი ლითონი, ოქრო და ვერცხლი) გახდა საფუძველი მოქმებნათ მათი პარალელების და თარიღის დასადგენად. თრიალეთის კულტურის შუბის პირებს აღმოჩენიდან დიდი ხნის განმავლობაში ეგეოსური სამყაროდან მომდინარედ მიიჩნევდნენ და სამხრეთ კავკასიურ ნიმუშებს ეგეოსურზე გვიანდელებად ათარიღებდნენ [10. 1969]. ამის მიზეზი თრიალეთური და ეგეოსური შუბის პირების ფორმობრივი მსგავსება გახლდათ. პ. კუშნარიოვასა და მ. რისინის მიხედვით, თრიალეთური კულტურის შუბის პირების ტიპოლოგიური ერთგვაროვნება გამოწვეულია მათი ერთი ცენტრიდან წარმოშობით. ასეთ ცენტრად მათ წინა აზია ესახებათ, სადაც სამი ძირითადი არეალი გამოყვეს: სირია (რას-შამრა, ბიბლოსი), მცირე აზია (ქიულ-თევე, ქანეში) და მესოპოტამია (აშური) [31. 2001:104-107]. ავტორთა მოსაზრებით თრიალეთის კულტურის შუბის პირის ფორმის და ქედის ჭრილის მიხედვით ყველაზე მეტ მსგავსებას ავლენენ რას-შამრას და ბიბლოსის (შუა ბრინჯაო I – ძვ. წ. 2100-1900 წწ.), ქიულ-თევეს (ქარუმი, II ფენა – ძვ. წ. 2100-1780 წწ.) და აშურის მასალებთან (ძველ ასირიული პერიოდი ძვ. წ. 2100-1750 წწ.) [33. 2001:104-107]. თრიალეთის XV [2. 1972: 61-69, ტაბ. 22; 29. 1941: 96-97, ტაბ. ჩVII], ახჩიის № 3 [14. 1981:38, სურ. 8:96, ტაბ. X:96] და კიროვაკანის ყორლანების, გურჯაანის [21. 1997:54, ტაბ. 71], თბილისის [21. 1997:54, ტაბ. 71] შუბის პირებთან პირის მოყვანილობით ემსგავსება

აშურში აღმოჩენილი ორი ეგზემპლიარი [20. 1995:293, ტაბ. 30]. ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ გამოყოფილი ტიპოლოგიის, I და II ტიპის შუბის პირების მსგავსია ჩაგარ-ბაზარის შუბის პირი მასრაზე სალტით [22. 1959: ტაბ. 83.] და რას-შამრას ფუნწიანი ეგზემპლიარი [22. 1959: ტაბ. 45, 49, 55, 199]. აგრეთვე II ტიპის ნიმუშის მსგავსია მოხლოსის სალტიანი შუბის პირი. კ. კუშნარიოვასა და მ. რისინის მიხედვით ტარის დამაგრების სისტემის მიხედვით ამიეკავებასური ეგზეპმლიარები ჰგვანან ჩრდილო მესოპოტამიის (ტელ-ასმარი, ტელ-სულეიმა) და სირიის (რას-შამრა, ბიბლოსი) შუბის პირებს [31. 2001:104-107].

განვითარებული შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიურ შუბის პირებს შორის გასაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მასრაზე სალტიანი ეგზემპლარები. ჯერჯერობით აღმოჩენილი მასალების მიხედვით ასეთი სულ ორი გვაქვს: თრიალეთის XV ყორდანის ვერცხლის და ახჩის № 3 ყორდანის ოქროს სალტიანი ეგზემპლარები. მასრაზე სალტიანი შუბის პირები ცნობილია მახლობელი აღმოსავლეთიდან: რას-შამრა, ჩაგარ-ბაზარი, კირკუკი, კნოსო, ეგვიპტე. აღმოჩენილი მასალები ადასტურებენ სალტიანი შუბის პირების მახლობელი აღმოსავლეთიდან წარმოშობას. საერთოდ სალტიანი შუბის პირების ქრონოლოგიური და გეოგრაფიული გავრცელების საზღვრები ძალიან ფართოა, ეგვიპტე, ეგეოსური სამყარო, აღმოსავლეთ ევროპა, კავკასია, ჩინეთი. ამ ტერიტორიებზე აღმოჩენილი ნიმუშები ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო და ახ. წ. I ათასწლეულით თარიღდებან.

კ. კუშნარიოვასა და მ. რისინის აზრით სამხრეთ კავკასიური მასრიანი შუბის პირების პროტოტიპების ზედა ქრონოლოგიური ზღვარი ცენტრალურ ანატოლიაში ქარუმის პერიოდის დასასრულს, ძვ. წ. XVIII ს-ს ემთხვევა. ქვედა ქრონოლოგიურ საზღვარად მიჩნეულია ცენტრალურ

ანატოლიაში ქარუმის პერიოდის დასაწყისი, სირიაში შუა ბრინჯაოს დასაწყისი და ისინ-ლარსის დინასტიის მმართველობა მესოპოტამიაში (ძვ. წ. XXI-XX სს.) [31. 2001:104-107]

ცმპ-ს სამხრეთ ნაწილში ლითონის იარაღის მორფოლოგიურ-ფუნქციონალური ნიშნების თვალშისაცემი მსგავსება გამოწვეულია ძალიან დიდ ტერიტორიაზე ერთგაროვანი კულტურის (ადრე ბრინჯაოს ზანა) არსებობით. ძნელი იქნება გვერდი ავუაროთ მტკვარ-არაქსის კულტურის უდიდეს მნიშვნელობას პრეისტორიული ზანის საერთაშორისო კავშირების გამყარებაში. იგი მოიცავდა სამხრეთ კავკასიას, ჩრდილო კავკასიის ნაწილს, აღმოსავლეთ ანატოლიის უდიდეს ნაწილს, ჩრდილო ირანს, სირია-პალესტინას. უნძბრივია, ასეთი მასშტაბების კულტურული ერთობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა, გამოიწვევდა ლითონის იარაღების ძირითადი ტიპების დიდ მსგავსებას.

მტკვარ-არაქსის კულტურის დაცემის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში არ დარღვეულა კულტურის ერთიანი ზასიათი. წინამორბედი ადრე ბრინჯაოს ზანისაგან განსხვავებით თრიალეთის კულტურა დღემდე გამოვლენილი მასალების მიხედვით მხოლოდ სამხრეთ კავკასიით და მიმდებარე ტერიტორიით შემოიფარგლა. აღსანიშნავია, რომ მისი ლითონის ინვენტარი დიდ მსგავსებას იჩენს ქრონოლოგიურად პარალელურ წინა აზიურ მასალებთან. მთელი ადრე და შუა ბრინჯაოს ზანებში სამხრეთ კავკასია ცმპ-ს განუყოფელი ნაწილი იყო. მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა როგორც სამხრეთთან, ასევე ჩრდილოეთთან. შესაძლებელია ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი სამხრეთ კავკასიის საკვანძო სავაჭრო რევიონად ჩამოყალიბებას, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. მტკვარ-არაქსის და თრიალეთის კულტურების მთელი რიგი ნივთები გასაოცარ ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენენ ცმპ-ს ორივე კულტურულ ბლოკთან.

სამხრეთ კავკასია იყო ის ერთ—ერთი ძირითადი მარშრუტი, რომლის დახმარებითაც ხორციელდებოდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები. ღასაკვირველია, ყოველივე ზემოთ თქმული დასტურდება არქეოლოგიური მასალებით. მახლობელი აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთთან დასაკავშირებლად, ის ძირითადი ტერიტორიები, სადაც ეს გზები გადიოდა, სავარაუდოდ აფხაზეთის შავი ზღვისპირეთი და ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი იყო. ღოლმენური კულტურა, ყუნწიანი შუბის პირები, ხიშტისმაგარი იარაღები, ყუამილიანი და ყუდაქნებული ცულები [6. 2002; 8. 1992; 12. 2003], ღრმაღლელის ტიპის ცულები მჭიდრო კავშირშია ჩრდილოეთის მასალებთან.

მტკვარ-არაქსული, ადრე ყორდანული და თრიალეთური კულტურები წარმოადგენდნენ უზარმაზარ ტეტიტორიაზე გადაჭიმულ ერთობებს, რომლებიც ამ ტერიტორიაზე მაცხოვრებელ სხვადასხვა ხალხებს თუ ტომებს საერთო კულტურული მიღწევებით, იდეოლოგით, ხელოსნობის სხვადასხვა დარგებით აერთიანებდნენ. ზოგადად, სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანაში სრულდება მსგავსი კულტურული ერთობების არსებობა. მათ შემდეგ ამ ტერიტორიაზე მოქმედი კულტურები (დასავლეთ საქართველოს კოლხური ბრინჯაოს კულტურა, ცენტრალურ ამიერკავკასიური კულტურა, სამთავრული კულტურა და სხვ.) რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პოლიტიკური ვითარებების გამო ვეღარ აღწევენ ასეთ სიმაღლეებს. აქედან გამომდინარე, ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში დამყარებული საერთაშორისო სავაჭრო გზები გადადის რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს ხელში, რომელიც მას მონოპოლიზებას უკეთებს. ძვ. წ. II ათასწლ I ნახევრის ბოლოს, წინა აზიის სახელმწიფოებს მეტალურგიის განვითარებამ ძლიერი ბიძგი და საშუალება მისცა

ეწარმოებინათ დაპყრობითი ომები. მიუხედავად იმისა, რომ ძვ. წ. III ათასწლეულში არსებობდნენ ეგვიპტის, აქადის და შემდგომ ურის III დინასტიის ძლიერი სახელმწიფოები, მათ ვერ შეძლეს ისეთ ტერიტორიული ზრდა, როგორსაც ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრის დასასრულს მიაღწიეს წინა აზიის რიგმა სახელმწიფოებმა. ცმპ-ს ერთიანი სისტემის მის სამხრეთ ნაწილში დაშლა (მახლობელი აღმოსავლეთი) შესაძლებელია გამოწვეულიყო აღმოსავლეთიდან მოსული ინდოევროპელი ტომების მიგრაციით, რასაც ერთდღოულად რამდენიმე ძლიერი და მიღიტარიზორებული სახლმწიფოს არსებობა მოჰყვა, რომლებსაც ერთმანეთისაგან განსხვავებული შეიარაღება, რელიგიური პანთეონი და პოლიტიკური მიზნები ჰქონდათ. ყოფილ ცმპ-ს სამხრეთ ნაწილში თანდათანობით ქრება საბრძოლო იარაღების ძირითადი ფორმების მსგავსება. ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა ტომების მიგრაციას გარდა კულტურულისა, ძლიერი პოლიტიკური ცვლილებებიც მოჰყვებოდა ხოლმე.

თრიალეთის კულტურის დასასრული ძირითადად ემთხვევა ცმპ-ს დაქვეითების და დასრულების პერიოდს. სამხრეთ კავკასიაში თანდათან ქრება სამარხების გრანდიოზულობა, კერამიკის ბრწყინვალე ნიმუშები და ბრწყინვალე საუგელირო ნაწარმი. სამაგიეროდ, შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულიდან გამრავლებას იწყებს საბრძოლო იარაღი. სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის ორი ყველაზე გავრცელებული საბრძოლო იარაღი, სატევრის და შუბის პირები ამის ნათელი დადასტურებაა. წინამორბედ ხანასთას შედარებით, მათი რაოდენობა გვიან ბრინჯაოს ხანაში სამხრეთ კავკასიაში გეომეტრიული პროგრესით იზრდება. საერთო შედარებითი ანალიზის მიხედვით, განვითარებული შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიური სატევრის და შუბის პირებისათვის დამახასიათებელი ნიშნების ნაწილი უშუალოდ თრიალეთური კულტურის ინოვაციაა, ხოლო

ზოგიერთი მათგანი აღებულია წინამორბედი ადრე ბრინჯაოს ხანის მასალებიდან. შების პირების ნიშნების ნაწილი: სწორი გვერდები, სამკუთხედი ფორმის პირით, მაღალი სამკუთხა ქედი აღარ გადადის მომდევნო გვიან ბრინჯაოს ეტაპის ნიმუშებზე. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში შების პირები კარგავენ იმ დახვეწილობას, სინატიფეს, მკაცრ ფორმებს, პროპორციულობას და მაღალ მხატვრულ ღირებულებას, რაც ასე დამახსინათებელია თრიალეთური კულტურისათვის. ეს კარგად შეინიშნება შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულის პერიოდის ძეგლებიდან მომდინარე მასალებზე. შესაძლოა ამის მიზეზი ბრინჯაოს მეტალურგიის გაცილებით ფართო მასშტაბები, ცირკუმპონტოს მეტალურგიული პროცესის ერთიანი სისტემის დაშლა [37. 2002:5-23], მეტი ტიპობრივი მრავალფეროვნებისკენ ტენდენცია და რაოდენობაზე ყურადღების გადატანა გახლდათ, რისი ერთ-ერთი სავარაუდო წინაპირობაც გახშირებული არასტაბილური მდგომარეობის გამო, მასზე მოთხოვნილების ზრდა უნდა ყოფილიყო.

მახლობელ აღმოსავლეთში და სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე არასტაბილური სიტუაციიდან გამომდინარე საომარ იარაღზე მოთხოვნილების მატებამ გამოიწვია მისი რაოდენობის და ამ სფეროში ტექნიკური სისხლების ზრდა. რა თქმა უნდა, ამ პროცესების მიღმა სამხრეთ კავკასია ვერ დარჩებოდა, რაც კარგად არის ასახული ამ პერიოდის არქეოლოგიური მასალით.

#### დამოწმებანი:

1. აბრამიშვილი მ. თრიალეთის კულტურის აბსოლუტური ქრონოლოგიის საკითხისათვის. თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის ბიულეტენი. თბილისი. 2003 წ.
2. გოგაძე ე. „თრიალეთის ყორდანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი“. თბილისი. 1972 წ.

3. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები ტ. VI. თბილისი. 1976 წ.
4. მიქელაძე ო. მიებანი კოლხეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთშავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. მე. წ. II-I ათასწლეულები. თბილისი. 1974 წ.
5. ლომთათიძე გ. „ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში.“ თბილისი. 1974 წ.
6. ლორთქიფანიძე ო. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი. 2002 წ.
7. რამიშვილი ა. ხაშურის ექსპედიციის შრომები I, ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები წალვლში. — მიებანი, დამატება VII თბილისი. 2004 წ.
8. საქართველოს არქეოლოგია ტ. II. (ენეოლით-ადრე ბრინჯაოს ხანა). თბილისი. 1992 წ.
9. ფიცხელაური კ. კახეთი. თბილისი. 2006 წ.
10. ქორიძე დ. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი. 1956 წ.
11. ჯაფარიძე ო. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბილისი. 1969 წ.
12. ჯაფარიძე ო. საქართველოს ისტორიის სათავეებთან. თბილისი. 2003 წ.
13. ჯაფარიძე ო. შიდა ქართლის უძველესი წარსულიდან. თბილისი. 2009 წ.
14. ჯაფარიძე ო. კიკიძე ი. ავალიშვილი გ. წერეთელი ა. „მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები“. თბილისი. 1981 წ.
15. Abramishvili M. Transcaucasian Rapiers and Problem of their Origin. Lux Orientis, Arghaologie zwischen Asien und Europa, 2001
16. Avilova L. I. Regional Models of Metal Production in Western Asia In the Chalcolithic, Early and Middle Bronze Ages. Trabajos de Prehistooria 65, N.º 1, Enero-Junio 2008.

17. Branigan K. Aegean Metalwork of the Early and Middle Bronze Age. 1974 y. Oxford, at the Clarendon Press.
18. Devedjian S. Lori Berd II (Bronze Moyen). Yerevan. 2006.
19. Maxwell-Hyslop R. "Western Asiatic Shaft-Hole Axes". Iraq, Vol. 11. 1949
20. Müller-Karpe M. Zu den Erdgräbern 18,20 und 21 von Assur. Ein Beitrag zur Kenntnis mesopotamischer Metallgefäße und waffen von der Wende des 3. zum 2. Jahrtausend v. Chr. Sonderdruck aus Jahrbuch des Römisch-Germanischen Zentralmuseums Mainz. 1995
21. Picchelauri K. Waffen der Bronzezeit aus Ost-Georgien. Berlin. 1997
22. Schaeffer C.F.A., Stratigraphie Comparee. Paris. 1959
23. Speiser E.A. Excavations at Tepe Gawra". Vol. I. Philadelphia. 1935
24. Stronach D. B. The Development and Diffusion of Metal Types in Early Bronze Age Anatolia. Anatolian Studies, vol. VIII, 1958.
25. Гогадзе Э. Курганныу Погребения Лило. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXII 1976 წ.
26. Джапаридзе О. М. Квасаталский могилник. Краткое сообщение института истории материальной культуры. Москва. 1955
27. Котович В. Т., Котович В. М. Находки древних бронзовых топоров в Дагестане Кавказ и Восточная Европа в древности. Москва. 1973
28. Куфтин Б. А. Археологическая Маршрутная Экспедиция 1945 года в Юго-осетии и Имеретию. Тбилиси. 1949
29. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. Тбилиси. 1941
30. Кушнарева К.Х. Южный Кавказ в IX-II тыс. до н.э.. Санкт-Петербург. 1993.

31. Кушнарева К.Х. и Рысин М.Б. Новые данные к проблеме датировки памятников "цветущей поры" Триалетской культуры. დიებანი, დამატება VI. თბილისი. 2001 წ.
32. Николаишвили В., Сихарулидзе А., Инанишвили Г., Иремашвили Ш. Бронзовый боевой парадный топор из Натахтари კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია და ფოლკლორისტიკა. თბილისი. 2010 წ.
33. Мартиросян А. А. Армения в эпоху бронзы и раннего железа. Ереван. 1964
34. Пиотровский Б. Б. Археология Закавказья. Ленинград. 1949
35. Пчелина Е. Г. и Смирнов А. П. Дневник археологических раскопок произведенных близ села Нули Авлевского сельсовета в юго-осетии на правом берегу реки Прони. Известия юго-осетинского научноисследовательского института краеведения, вып. 1, (Сталинири.1933).
36. Садрадзе В. Археологические памятники "Мцхета Великой" эпохи средней бронзы. Тбилиси. 1993.
37. Черних Е. Н. и др. Металургия в Циркумпонтийском Ареале: От Единства К Распаду. Российская Археология, 2002, № 1.
38. Черних Е. Н. Об Европейской зоне Циркумпонтийской металургической провинции. Acta Archaeologica Carpatica 17. 1977. 29-53
39. Черних Е. Н. Древнейшая металлургия в Восточной Европе: Модели развития с V по начало II тыс. до н.э. დიებანი, დამატება VI. თბილისი. 2001 წ.

### რეზიუმე

წინამდებარე სტატია ეხება სამხრეთ კავკასიის შუაბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრის

დასასრული - ბვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი) თრიალეთის კულტურის საბრძოლო იარაღის განხილვის ცდას ცირკუმპონტოს მეტალურგიული პროვინციის სისტემის ჭრილში. ცმპ-მ დიდი გავლენა მოახდინა თრიალეთის კულტურის მეტალურგიულ წარმოებაზე, რაც ნათლად აისახა არქეოლოგიური მასალების მიხედვით. ყურადღება გავამახვილეთ საბრძოლო იარაღის იმ სახეობებზე, რომლებიც ჩვენი აზრით ყველაზე უკეთ წარმოაჩენენ თრიალეთის კულტურის ცმპ-სთან კავშირს.

ხაზგასასმელია სამხრეთ კავკასიის, როგორც გზაჯვარედინის როლი ცმპ-ს სამხრეთ და ჩრდილოეთ კულტურული ბლოკების ურთიერთობაში. ცმპ მოიცავდა ეგეოსურ სამყაროს, ბალკანეთს, მცირე აზიას, სირიას, კავკასიას, მესოპოტამიას, დასავლეთ ირანს და აღმოსავლეთ ევროპის სამხრო ნაწილს. მტკვარ-არაქსულმა, ადრეყორდანულმა და თრიალეთის კულტურებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულს მახლობელი აღმოსავლეთის და ჩრდილო კავკასიის კულტურული თუ სავაჭრო ურთიერთობების დამყარებასა და ჩამოყალიბებაში.

*Zviad Sherazadishvili*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University Doctorate Student*

## **FIGHTING WEAPON OF THE TRIALETI CULTURE IN THE SYSTEM OF TSIRKUMPONTO METALLURGICAL PROVINCE**

### **SUMMARY**

This article is an attempt to discuss the South Caucasian Middle Bronze Age Trialeti Culture (the end of the second half of the III millennium – the first half of the II millennium.) bronze weapon in Circumpontic Metallurgical Province system. CMP had strongly influenced on Trialeti

Culture metallurgy, which is clearly shown according to the archaeological materials. Our attention is focused on several types of weafon of Trialeti Culture. These artifacts obviously confirm relationship between Trialeti Culture and CMP.

It must be mentioned the role of South Caucasia as a crossroad in relationship of South and North parts of CMP, which covered Aegen, Balkan, Asia Minor, Caucasia, Western Iran, Mesopotamy, Southern part of Eastern Europe. Kura-Araxes, Early Kurgan and Trialeti Cultures played important role to form cultural and trade relations between North Caucasia and Near Eastern.

გაუა ჩოჩია  
გორის სახწავლო უნივერსიტეტი,  
სრული პროფესორი

## ნაპოლეონ ბონაპარტი - პირველი კონსული და ეგვიპტური არმიის გადარჩენის ცდები

ნაპოლეონ ბონაპარტი როდესაც მიხვდა, რომ შეუძლებელი იყო ეგვიპტის შენარჩუნება მცირერიცხოვანი, იზოლირებული არმიით, პირველი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე გადაწყვეტს ეგვიპტის დატოვებას და საფრანგეთში დაბრუნებას. გასამგზავრებლად მან ყველაფერი გაამზადა, ხელი მოაწერა ბრძანებას არმიის სარდლობის გენერალ კლებერისთვის გადაცემის შესახებ; დაუტოვა მას 20 ათასზე მეტი კარგად შეიარაღებული და აღჭურვილი ჯარი გამოცდილი ოფიცირებით [4, 310]. ბონაპარტმა ისე, რომ თავის შემცვლელს არც შეხვედრია, ოთხი გემით და დაახლოებით ხუთასი კაცით 1799 წ. 23 აგვისტოს დატოვა ეგვიპტე [2, 63]. ბონაპარტი შემთხვევით გადაურჩა ინგლისური ესკადრის გემებთან შეხვედრას, რომლებიც მთელ სანაპიროს აკონტროლებდნენ და 8 ოქტომბერს მიადგა საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროს ფრეჟიუსის კონცხთან.

პოლიციის მინისტრმა ფუშემ კარგად იცოდა, რომ ბონაპარტი მალე პარიზში იქნებოდა [3, 110], მაგრამ ჩუმად იყო. დირექტორია მშვიდად იყო, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ბონაპარტი ვერ გაბედავდა არმიის მიტოვებას თვითებურად და პარიზში დაბრუნებას [3, 110-111]. დირექტორია გამოაფხიზლა ცნობამ, რომ ეგვიპტიდან დაბრუნებულ ბონაპარტს პარიზისაკენ მიმავალ გზებზე მოსახლეობა როგორც ტრიუმფატორს, ისე ხვდებოდა [3, 112].

საფრანგეთის არმიის მდგომარეობა ეგვიპტეში, ბონაპარტის იქიდან წამოსვლის დროისათვის რთული იყო. მან

ჯერ კიდევ ივნისის ბოლოს დირექტორიას წერილი გაუგზავნა, რომელშიც დაფინებით მოითხოვდა დამხმარე ძალის გაგზავნას. თუ დირექტორია ამას ვერ მოახერხებდა, მაშინ საჭირო იქნებოდა ზავის დადება, რადგან ეგვიპტის შემცირებულ არმიას გაუჭირდებოდა ბრძოლა გადმოსხმულ დესანტთან და უდაბნოდან შეჭრილ სახმელეთო ძალებთან.

საფრანგეთის არმია არა მარტო რიცხვობრივად მცირდებოდა, არამედ აკლდა მას იარაღი, საბრძოლო მასალები, აღჭურვილობა, წამლები, რომელთა შეძენა აღგილზე შეუძლებელი იყო [6, 125]. ჯარისკაცებისა და ოფიცირების მორალური მდგომარეობა უარესდებოდა. სულ უფრო ხმამაღლა გაისმოდა მოთხოვნები სამშობლოში დაბრუნების შესახებ. ბონაპარტი ხვდებოდა, რომ შექმნილ სიტუაციაში სულ უფრო გაჭირდებოდა მტერთან წინააღმდეგობის გაწევა ეგვიპტეში და კლებერისადმი დატოვილ ინსტრუქციაში წერდა, რომ „თუ მომავალი წლის მაისამდე საფრანგეთიდან არ ჩამოვა დამხმარე ძალა, ეგვიპტის არმია კი შეტაკებებში, ჩვეულებრივ, დანაკარგების გარდა კიდევ დაკარგავს ათას ხუთას ჯარისკაცს შავი ჭირის შესაძლო ეპიდემიისგან, მაშინ საჭირო იქნება ზავის დადება პორტასთან, ეგვიპტის დატოვების ფასადაც კი“ [3, 144-145]. საზავო მოლაპარაკების შესახებ კონსტანტინოპოლიდან წინადადების მიღების შემთხვევაში, აღნიშნული ვადის გასვლამდე ე. ი. 1800 წ. მაისამდე, კლებერს ნება ეძლეოდა მოლაპარაკება დაეწყო. მისი მიზანი უნდა ყოფილიყო: თურქეთის გამოსვლა კოალიციიდან; ექვსთვიანი ზავის დადება; თურქეთის იმპერიის ფარგლებში დაპატიმრებული ყველა ფრანგის გათავისუფლება და ნებართვა ფრანგული ვაჭრობისათვის შავი ზღვის სანაპიროებზე. ასეთი შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, კლებერი უნდა დაპირებოდა პორტას, რომ დატოვებდა ეგვიპტეს პარიზიდან რატიფიკაციის მიღების შემდეგ. ბონაპარტი ცდილობდა საფრანგეთისათვის ეგვიპტე

ნებისმიერი გზით შეენარჩუნებინა და ინსტრუქციის ბოლოს კლებერს შთააგონებდა: „თქვენ იცით რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის ეგვიპტის ფლობა. თურქეთის არმია ამჟამად ინგრევა და ეგვიპტის მიტოვება დიდი უბედურება იქნება ჩვენთვის, რადგან მალე დავინახავთ, როგორ მოხვდება ეს მშვენიერი პროვინცია სხვა ევროპელთა ხელში. ჩვენგან დატოვებული ეგვიპტე შესაძლოა აღმოჩნდეს რუსების ან ინგლისელების ხელში“ [3, 145]. ბუნებრივია, ბონაპარტმა იცოდა, რომ რუსეთი ამას ვერ შეძლებდა, რადგან პირდაპირი გასასვლელი ხმელთაშუა ზღვაში არ გააჩნდა და ამასთანავე, ეგვიპტეში არავითარი ინტერესი არ გააჩნდა. თურქეთის მოკავშირის სახით ეგვიპტეში შეიძლებოდა ინგლისი დამკვიდრებულიყო და ბონაპარტს ყველაზე მეტად ამის ეშინოდა.

კლებერი მოვლენათა მსვლელობის წყალობით ეგვიპტური არმიის მთავარსარდალი გახდა. როდესაც ის გაეცნო არმიის მდგომარეობას, დაუყოვნებლივ გაუგზავნა წერილი დიდ ვეზირს წინადადებით საზავო მოლაპარაკებათა დაწყების შესახებ. იმავე დროს, მან დირექტორიას გაუგზავნა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც დაწვრილებით აღწერდა ეგვიპტური არმიის მდგომარეობას. კლებერი წერდა, რომ ეგვიპტეში ყოფნის პერიოდში არმია განახევრდა და მას აკლდა ჭანსაცმელი, ზარბაზნები, თოფები, საბრძოლო მასალები, სამშენებლო ხე, ფული. ჯარისკაცებს შეუჩერდათ ხელფასი 4 მილიონი ფრანკის ოდენობით და 7-8 მილიონი უნდა გადაეხადათ მიმწოდებლებისათვის. გადასახადების მიღების ყველა ადრინდელი წყარო ამოიწურა, ახლის შემოღების შემთხვევაში კი მოსახლეობა შეიძლებოდა აჯანყებულიყო. მამლუქები გაიფანტნენ, მაგრამ არ იყვნენ განადგურებულნი. დასასრულს, კლებერი ასკვნიდა, რომ ამ მდგომარეობაში მას არაფერი არ რჩებოდა გარდა იმისა, რომ დაეწყო მოლაპარაკებანი. თუ ვეზირი თანხმობით უპასუხებდა,

იგი შესთავაზებდა მას ეგვიპტის დაბრუნებას შემდეგ პირობებზე: სულთანი აღადგენს იქ ყოფილ ფაშას, ფრანგები კი დარჩებიან ეგვიპტეში ინგლისთან ზავის დადებამდე [13, 10-15].

ამ მოხსენების ერთი ეგზემპლარი ინგლისელებს ჩაუვარდათ ხელში, მეორემ კი პარიზამდე ჩააღწია და ბონაპარტის ხელში მოხვდა, რომელიც იმ დროს უპირველი კონსული იყო. ბონაპარტმა შენიშვნები დაუროო კლებერის მოხსენებით ბარათს, საიდანაც ჩანდა, რომ საფრანგეთის არმია ეგვიპტეში, მისი გამომგზავრების შემდეგ, კარგ მდგომარეობაში დარჩა, ყველაფრით იყო უზრუნველყოფილი და შეადგენდა 28 ათასამდე ადამიანს დაჭრილებსა და ავადმყოფებთან ერთად [13, 10-15]. ამით ბონაპარტს სურდა თავისი ყოფნა ეგვიპტეში წარმატებულ კამპანიად წარმოეჩინა, პასუხისმგებლობა კი არმიის იმდროინდელ მდგომარეობაზე თავისი მემკვიდრისთვის დაეკისრებინა.

კლებერის წინადადებაზე ზავის შესახებ, დიდმა ვეზირმა წინასწარი პირობა წამოაყენა-საფრანგეთის ჯარების ევაკუაცია ეგვიპტიდან თურქელი და ფრანგული გემებით. დასაწყისში, კლებერი ცდილობდა ფრანგების პირობებზე დაეყოლიებინა თურქები, მაგრამ წარუმატებლობის შემდეგ, ის დაეთანხმა ეგვიპტიდან ევაკუაციას ზავის დადებამდე და პარიზიდან რატიფიკაციის მიღებამდე. მაგრამ ეგვიპტის დატოვებამდე კლებერმა თავის ხელქვეითებს მითითება მისცა ბოლომდე გაეძმარცვათ ქვეყანა. 1800 წ. 22 იანვრის წერილში გენერალ დიუგასადმი ის წერდა: „ამჟამად აუცილებელია, რომ ჩვენ გამოვწუროთ ეგვიპტე ისევე, როგორც ლიმონათის დამზადებისას ადამიანი წურავს ლიმონს“ [14, 35].

შემდგარი მოლაპარაკების შედეგად, 1800 წ. 24 იანვარს ელ-არიშში ხელი მოაწერეს საფრანგეთ-თურქეთის კონვენციას ეგვიპტიდან ევაკუაციის შესახებ [1, 135-141]. კონვენციის

თანახმად, ეგვიპტეში 3 თვით იდებოდა ზავი, რომლის განმავლობაშიც საფრანგეთის არმიას, მთლიანი შემადგენლობით, მთელი შეიარაღებით და აღჭურვილობით, უნდა დაეხსა ალექსანდრიის, როზეტის და აბუქირისკენ, რათა საფრანგეთის და თურქეთის გემებით მათი ევაკუაცია განხორციელებულიყო. კონვენციის რატიფიკაციის მომენტიდან, ყველა ფრანგს ლევანტში და თურქეთში, აგრეთვე ეგვიპტეში სულთნის ყველა ქვეშვერდომს, სრული თავისუფლება ენიჭებოდა. მთელი ქინება, რომელიც ჩამოერთვა ფრანგებს ლევანტსა და თურქეთში და თურქებს ეგვიპტეში, უნდა დაბრუნებოდათ, მისი დაკარგვის შემთხვევაში კი მათი კომპენსირება ფულით მოეხდინათ. ინგლისური ესკადრის სარდალი აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში სიდწი სმიტი, თავისი ქვეწის და მოკავშირების სახელით ვალდებულებას იღებდა საფრანგეთის არმიისათვის საფრანგეთისკენ თავისუფალი გასვლის საშუალება მიეცა. რატიფიკაციის შესახებ საკითხის გადაწყვეტის მიზნით, კლებერმა სამხედრო საბჭო შეკრიბა. საბჭოს წევრებმა რატიფიკაციას ხმა ერთხმად მისცეს [13, 28].

ომით გამოფიტული თურქეთი კმაყოფილი იყო დაღებული კონვენციით. სულთანს საშუალება ეძლეოდა ეგვიპტე, მშვიდობიანი გზით, თავისი ძალაუფლების ქვეშ დაებრუნებინა. მაგრამ ამ შეთანხმების შესრულება ინგლისმა დაარღვია. ამის მიზანი ის იყო, რომ ამ დროისთვის ინგლისმა გააძლიერა თავისი ძალები ინდოეთში და ხელში ჩაგდებული დოკუმენტებიდან დაასკვნა, რომ საფრანგეთის არმიის მდგომარეობა ეგვიპტეში უიმედო იყო. ამან უბიძგა ინგლისს ხელი შეეშალა ფრანგების დაბრუნებისათვის საფრანგეთში. ელ-არიშის კონვენციაში ლონდონმა დაინახა თავისი გავლენის დაცემა თურქეთზე და მიიჩნია, რომ ამ შეთანხმების საფუძველზე ფრანგების ევაკუაციას შეეძლო გამოეწვია საფრანგეთ-თურქეთის მეგობრული ურთიერთობების

აღდგენა და თურქების გასვლა ანტიფრანგული კოალიციიდან. ინგლისელი მინისტრების აზრით, მხოლოდ საფრანგეთის ჯარების უსიტყვო კაპიტულაციას შეეძლო თავიდან აეცილებინა დაახლოების შესაძლებლობა საფრანგეთსა და თურქეთს შორის.

ლონდონში მიიღეს გადაწყვეტილება, მოეთხოვათ ფრანგების უსიტყვო კაპიტულაცია ეგვიპტეში და საყოველთაო ზავის დადებამდე ფრანგები, როგორც ტყვევები ინგლისში ან მისი მოკავშირე ქვეყნის ტერიტორიაზე უნდა გადაეყვანათ. ეს გადაწყვეტილება აცნობეს კონსტანტინოპოლს და ხმელთაშუა ზღვაში ინგლისის ფლოტის სარდალს ადმირალ კეიტსს, რომელმაც სიდნეი სმიტის მეშვეობით, ამის შესახებ, კლებერს აცნობა. ინგლისის მთავრობამ, ეყრდნობოდა რა 1799 წ. დასაწყისში თურქეთთან დადებულ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, პორტასგან მოითხოვა, რომ მას მოლაპარაკებანი ფრანგებთან მხოლოდ ინგლისის რწმუნებულებთან ერთად ეწარმოებინა და ფრანგების კაპიტულაცია ყოველგვარი პირობების გარეშე მიეღოთ, დაუტოვებდნენ რა მთელ შეიარაღებას, აღჭურვილობას და ქონებას მოკავშირეებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლონდონი იმუქრებოდა, რომ ხელში ჩაიგდებდა ყველა გემს, რომლითაც ფრანგები ეგვიპტიდან ევროპისკენ წამოვიდოდნენ [10, 306]. თურქეთი უკაყოფილო იყო ინგლისის მოთხოვნით, მაგრამ პრაქტიკულიდ არაფრის გაკეთება არ შეეძლო.

კლებერმა კატეგორიულად უარყო ინგლისის მოთხოვნები, თავი მოუყარა ჯარებს ქაიროსთან და თურქეთს ზავის დარღვევის შესახებ აცნობა. 1800 წ. 19-20 მარტის ბრძოლებში თურქეთის არმიამ სრული მარცხი განიცადა ფრანგებთან [1, 144]. ფრანგების გამარჯვებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მურად-ბეის თავისი მამლუქებით ბრძოლაში მონაწილეობა არ მოუღია, შემდეგ კი ფრანგების მხარეს გადავიდა და კლებერისაგან სამართავად ზემო ეგვიპტე მიიღო.

თურქებთან ბრძოლის დროს, ფრანგების წინააღმდეგ ქაირო აჯანყდა. ქალაქის აჯანყებულ მოსახლეობას შეუერთდა 6 ათასი თურქი და მამლუქი, რომლებიც გადარჩნენ თურქეთის არმიის განადგურების დროს და მეზობელი სოფლების 6-8 ათასი მცხოვრები.

თურქების განადგურების შემდეგ, კლებერი მთელი ძალებით აჯანყებულებს მიუბრუნდა და მკაცრად გაუსწორდა. ამ მოვლენების თვითმხილველის აღ-ჯაბარტის ცნობით, „ქაიროს მოსახლეობას არასოდეს არ განუცდია ასეთი საშინელი უბედურება“ [5, 289]. დამარცხებულ ქალაქს 10 მილიონი კონტრიბუცია დაადეს. მძიმე გადასახადები დააკისრეს ყველა პროვინციას, ქალაქს და სოფელს, სადაც კვლავ შევიდნენ ფრანგები თურქეთთან ზავის დარღვევის შემდეგ [5, 300]. არმია რომ შეევსოთ, 1800 წ. მაისის ბოლოდან, საფრანგეთის არმიის სარდლობამ თავისი არმიის რიგებში ადგილობრივი მოსახლეობის-კოპტების ჩარიცხვა დაიწყო.

გაძლიერებულმა ძალადობამ, ძარცვამ და შევიწროებამ კიდევ უფრო გააძოროტა მოსახლეობა. 1800 წ. 14 ივნისს, დიდი ვეზირის მიერ მოგზავნილმა ერთმა არაბმა, დღისით ხანჯლით მოკლა კლებერი [1, 151]. ქაირო კვლავ საყოველთაო აჯანყების დაწყებით იმუქრებოდა. კლებერის შემცვლელმა გენერალმა მეუმ მოსახლეობის დაშინების მიზნით, 1800 წ. ნოემბერში და 1801 წ. მარტში სპეციალური პროკლამაციები გამოუშვა, რომელშიც ეგვიპტის მოსახლეობას სასტიკი შეურისძიებით ემუქრებოდა, თუ ისინი შეეცდებოდნენ აჯანყებას ფრანგების წინააღმდეგ. გამოიცა ბრძანება ყველა ეჭვმიტანილი დაეხვრიტათ, რომელიც არეულობისაკენ აქეზებდა [1, 151].

1800 წ. 19-20 მარტს თურქეთის არმიის განადგურებამ ძალიან შეაშფოთა სამთავრობო წრეები ლონდონში. მათ ეშინოდათ, რომ სამხედრო დამარცხებებით და

შინაური არეულობით დაუძლურებულ თურქეთს საფრანგეთთან სეპარატული ზავი არ დაედო. ამიტომ, ინგლისის ხმელთაშუა ზღვის ფლოტის სარდალს ადმირალ კეიტსს ლონდონიდან მითითება გაეგზავნა, რომ ელ-არიშის შეთანხმების რატიფიკაცია მოეხდინა. კეიტსმა ეს ინსტრუქცია 1800 წ. აპრილის ბოლოს მიიღო და თავის მხრივ, გააგზავნა მეკავშირე გემი კუნძულ კვიპროსზე, სადაც ბაზა ჰქონდა სიღნეი სიმიტის ესკადრას. ახალი მითითებების თანახმად, სმიტმა კლებერის სახელზე წერილი გააგზავნა ეგვიპტეში. წერილში ის სთავაზობდა ზუსტად შეესრულებინათ ელ-არიშის კონვენცია იმავე საფუძველზე ახალი დაედოთ. წერილის ჩასვლის დროისთვის კლებერი უკვე გარდაცვლილი იყო, საფრანგეთიდან კი მოვიდა ცნობა ძალაუფლების ბონაპარტის ხელში გადასვლის და მარენგოსთან აგსტრიელებზე მისი გამარჯვების შესახებ. კლებერის შემცვლელმა გენერალმა მენუმ არც კი განიხილა ინგლისელების წინადადება და მათ პარიზისკენ, პირველი კონსულისკენ მიუთითა.

1800 წ. 5 სექტემბერს ინგლისმა ხელში ჩაიგდო მალტა და რუსეთთან ადრე დადებული ხელშეკრულების მიუხედავად, იქ რუსეთის რაზმი არ შეუშვეს, რამაც საბოლოოდ გააუარესა ურთიერთობები ინგლისსა და რუსეთს შორის [8, 461]. ამას შედეგიც მოჰყვა, 1800 წ. დეკემბერში დანიასთან, შვეციასთან და პრუსიასთან რუსეთმა ხელი მოაწერა კონვენციას შეიარაღებული საზღვაო ნეიტრალიტეტის შესახებ. კონვენციის მონაწილეებმა ივალდებულეს იარაღის ძალით დაეცვათ ზღვებზე გემების თავისუფალი მიმოსვლა, რომელსაც ინგლისი არღვევდა.

იმ მიზნით, რომ ინგლისელების მდგომარეობა ხმელთაშუა ზღვაში გაერთულებინა, ბონაპარტმა გააძლიერა ზეწოლა ინგლისის მოკავშირეებზე - პორტუგალიასა და ნეაპოლზე. ის ვარაუდობდა, რომ თუ ჩრდილოეთის ზღვებში

ინგლისელებს დაუპირისპირდებოდა შეიარაღებული ნეიტრალიტეტის ლიგა, დასავლეთ ხმელთაშუა ზღვაში - ესპანეთის ფლოტი, ადრიატიკაში კი - რუსეთის ესკადრა, მაშინ ინგლისი, მოაკლდებოდა რა პორტუგალიისა და ნეაპოლის მხარდაჭერა, დიდხანს ვერ შეძლებდა ხმელთაშუა ზღვაში დიდი ძალების ყოლას [11, 32]. მისი ძალების შემცირება საშუალებას მისცემდა ნაპოლეონს დახმარება გაეგზავნა მეწუსთვის და ზავის დადების დროს თურქეთისათვის თავისი პირობები ეკარნახა.

იმავე დროს, ინგლისის ყურადღება რომ ჩამოეცილებინა ეგვიპტისგან, საფრანგეთის დიპლომატია ფრთხილად იწყებს ხმის გავრცელებას ინდოეთში რუსეთ-საფრანგეთის გაერთიანებული ექსპედიციის გაგზავნის შესაძლებლობის შესახებ. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ 1801 წ. დასაწყისში ბონაპარტი და პავლე I შეთანხმდნენ ასეთი ლაშქრობის გეგმის შესახებ [12, 166; 15, 30-31; 9, 301], მაგრამ მალე ის დაასამარეს პავლე I-ის ძალადობრივ სიკვდილთან ერთად [1, 152-153]. ამ გეგმის შესახებ საუბრისას, ჩვეულებრივ ეყრდნობიან თვითონ ბონაპარტის განცხადებას, რომელიც მან გააკეთა წმ. ელენეს კუნძულზე, ან „ინდოეთში ექსპედიციის პროექტს“, რომელიც თითქოსდა ნაპოლეონმა შესთავაზა პავლე I-ს [16, 369], მაგრამ ასეთი გეგმის კვალი არ ჩანს ბონაპარტის ფართო მიმოწერაში მის მინისტრებთან და პავლე I-თან. არაფერია ნათქვამი ამ პროექტის შესახებ პავლე I-ის ინსტრუქციებშიც მისი აგენტებისადმი პარიზში და წერილებში ბონაპარტისადმი. პირიქით, როცა პავლე I ინდოეთში სალაშქროდ კაზაკებს აგროვებდა, ბონაპარტს წერილი გაუგზავნა, რომელშიც არაფერს არ ამბობდა ინდოეთში ლაშქრობაზე, უბრალოდ, სთხოვდა მას დივერსიები მოეწყო ინგლისის სანაპიროებზე. ამდენად, საეჭვოა რაიმე ერთობლივ ექსპედიციაზე შეთანხმება ყოფილიყო მათ შორის. ამას ადასტურებს პარიზში პრუსიის

ელჩის წერილიც, რომელშიც ის თავის მეფეს ფრიდრიხ-ვილჰელმ III-ს 1801 წ. თებერვლის ბოლოს სწერდა, რომ მისი ვარაუდით, ამ საკითხის შესწავლა ბონაპარტის მხოლოდ დაუწყია [7, 495]. ეს ნიშნავდა, რომ 1801 წ. თებერვალში ნაპოლეონ ბონაპარტი შეუდგა ამ საკითხის გაცნობას, პავლე I-მა კი უკვე იანვარში გასცა ბრძანება 24-ათასიანი კაზაკთა ჯარით შუა აზიაში წასვლის შესახებ, რათა კარგად გაერკვიათ ინდოეთისაკენ მიმავალი გზები. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ არავითარი რეალური გეგმა, რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ლაშქრობის შესახებ ინდოეთში, არ არსებობდა. ყველაფერი ეს იყო ფრანგული დიპლომატიის მიერ ინსპირირებული საუბარი, ინდოეთში ლაშქრობის შესახებ, ინგლისის შანტაჟისათვის, ისიც ბონაპარტის მითითებით.

#### დამოწმებანი:

1. სილაგაძე ბ., ქართველი მამლუქები ეგვიპტის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში 1798-1807 წლებში, თბ., 1984.
2. ტარლე ე. ნაპოლეონი, თბ., 1996.
3. ცვაიგი შტეფან, უზევ ფუშე, პოლიტიკური მოღვაწის პორტრეტი, თარგ. გერმ., ბათუმი, 1972.
4. ცისკარიშვილი დ., ნაპოლეონი, წიგნი I. თბ., 1994.
5. Абд ар-Рахман ал-Джабарти, Египет в период экспедиции Бонапарта (1798-1807 гг.). М., 1962.
6. Бертье, Записки маршала Бертье, ч. II. Пер. с. фран., М., 1948.
7. Валишевский К., Сын великой Екатерины Павел I. Петербург, 1914.
8. История дипломатии, т. I. М., 1959.
9. Маркова О.П., Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. М., 1966.

10. Мордвинов Р.Н., Адмирал Ушаков (документы), т. 3. М., 1952.
11. Мэхен А.Т., Влияние морской силы на французскую революцию и империю, т. 2. М.-Л., 1940.
12. Станиславская А.М., Русско-английские отношения и проблемы Средиземного моря (1798-1807 гг.). М., 1962.
13. Тьер А., История консульства и империи во Франции, т. 2, ч. 3. Пер. с фран., Петербург, 1846.
14. Фильшинский И.М., Предисловие к сочинению Абд ар-Рахман ал-Джабарти. Египет в период экспедиции Бонапарта (1798-1807 гг.). М., 1962.
15. Штейнберг Е.Л. История британской агрессии на Среднем Востоке, М., 1951.
16. Dasette A., Napoléon, Pensées politiques et sociales, Paris, 1969.

### რეზიუმე

1799 წ. 18 ბრიტანერის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ბონაპარტი საფრანგეთის მმართველი ხდება პირველი კონსულის სახით. ახალ სიტუაციაში ბონაპარტი ყველანაირად ცდილობს ეგვიპტე შეინარჩუნოს და სეპარატული ზავით გათიშოს მოწინააღმდეგენი. ინგლისის პოზიციის გამო ეს მცდელობა ჩაიშალა.

1800 წლის 19-20 მარტის ბრძოლებში ოურქეთის არმიამ სასტიკი მარცხი იწვნია ფრანგებთან ბრძოლაში, რამაც ძალიან შეაშფოთა სამთავრობო წრეები ლონდონში, რომ სამხედრო დამარცხება და შინაგანი არეულობის გამო თურქეთს სეპარატული ზავი არ დაედო ფრანგებთან.

ბონაპარტის მცდელობის მიუხედავად, მან ვერ შეძლო ეგვიპტესთან საიმედო კავშირის დამყარება და იქ მყოფი არმიისათვის საჭირო დახმარების გაწევა. მიზეზი კვლავ

ინგლისი იყო, რომელიც კვლავ ბატონობდა ხმელთაშუა ზღვაზე.

*Vazha Chochia*  
*Full Professor of Gori Teaching University*

**NAPOLEON BONAPARTE – THE FIRST CONSUL AND  
ATTEMPTS TO RESCUE THE EGYPTIAN ARMY**  
**SUMMARY**

In 1799 after 18 Brummers State revolution Bonaparte becomes the ruler of France in the person of the first council. In the new situation Bonaparte tries to weaken opposition by separatist armistice, and to maintain Egypt, but due to position of England this attempt failed.

In March 19-20, 1800 struggles Bonaparte Destroyed the Turkish army in Egypt, what disturb very much governmental circles of London as military defeat and internal disturbances Turkish would not conclude a separatist armistice with France.

In spite of all attempts Bonaparte could not establish a reliable union with Egypt and to give sufficient assistance to the army being there. The reason of it was again England, which reigned in the Mediterranean Sea.

დავით ჩოჩიშვილი  
გორის სახწავლო უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი

**ბარ კოხბას ამბოხი და საქართველო**

ათასწლეულების მანძილზე იბრძოდა ებრაელი ხალხი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ბარ კოხბას აჯანყება (132-135 წწ) ებრაელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია. ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე რომაული სახელმწიფოს გაძლიერებისა და მისი საზღვრების არნახულად გაზრდის შემდეგ მის შემადგენლობაში აღმოჩნდა მრავალი ქვეყანა და ხალხი, მათ შორის პალესტინაც. ებრაელები არ ეგუებოდნენ რომაელთა ბატონობას და ყველა შესაძლო შემთხვევაში ცდილობდნენ არასასურველი უღლის გადაგდებას. მათვის მიუღებელი იყო არა მხოლოდ რომაელთა ბატონობის სიმძიმე, არამედ მათი წარმართული პანთეონიც. მონოთეიზმის აღმსარებელი ხალხისთვის ცოდვის ტოლფასი იყო მრავალომერთიანი ბატონების მსახურება.

ებრაელი ხალხის წინააღმდეგობა მით უფრო ძლიერი იყო, რაც მეტი იყო რომაელების მხრიდან რელიგიური წნეხის გაძლიერება. განსაკუთრებული სისასტიკით იმპერატორ ადრიანეს დროს (117-138 წწ) ავიწროებდნენ ებრაელებს, რომლებსაც აყრილი ჰქონდათ ყოველგვარი მოქალაქეობრივი უფლებები, დევნიდნენ და ქონებას ართმევდნენ. სიკვდილით დასჯა ელოდა ყველას, ვინც თავს არ დაანებებდა მოსეს რჯულს, მაგრამ მოსახლეობა და, განსაკუთრებით, სწავლულები სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ რომაელთა მოთხოვნებს. აივსო მოსახლეობის მოთმნიების ფიალაც. მას შემდეგ, როდესაც იმპერატორმა გადაწყვიტა იერუსალიმის ადგილზე დაეარსებინა ახალი კოლონია ელია

კაპიტოლიუმელი (Aelia Capitolina) (13,59) და სოლომონის ტაძრის ადგილზე აეშენებინა იუპიტერ კაპიტოლიუმელის ტაძარი (7, 197).

აჯანყებას სათავეში ჩაუდგა სიმონ ბარ კოზიბა. იგი წარმოშობით ქალაქ კოზიბადან იყო და ფიზიკური აღნაგობით გამოირჩეოდა (Dion Kasii, XXIV, 17). მან თავის თავს უწოდა კოხბა, რაც ებრაულად ვარსკვლავს (ვარსკვლავის ძეს) ნიშნავს და თავისი სახელი გამოჰყავდა ძველი აღქმის „რიცხვთა” წიგნებიდან, სადაც ნათქვამია: „ამოვა ვარსკვლავი იაკობისა და აღსდგება კვერთხი ისრაელისა და მოსრავს მთავართა მოაბისა და გაანადგურებს ყველას ძეთა სითონისა”. ბარ კოხბამ აჯანყებული ხალხი რომაელების წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმა. მას მხარში ამოუდგა დიდი სასულიერო მოღვაწე და სწავლული რაბინი აკიბა, რომელიც ქალაქიდან ქალაქში, კარიდან კარზე დადიოდა და ხალხს ერთიანობისკენ მოუწოდებდა.

იუდეაში ისეთებიც გამოჩნდნენ, რომლებიც ხალხს მოუწოდებდნენ არა ერთიანობისა და რომაელების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, არამედ მათთან შერიგებისა და დამორჩილებისაკენ. ისინი სიმონის ღვთის რჩეულობას დასცინოდნენ და მას „ბარ კოხბას” ნაცვლად „ბარ კოზიბას” (ძე სიცრუისა) უწოდებდნენ. მიუხედავად საზოგადოების ასეთი ნაწილის არსებობისა, აჯანყება დაიწყო დიდი თავგანწირვითა და ფანატიზმით. იმპერატორმა ადრიანემ დაუყოვნებლივ გაგზავნა პალესტინაში რჩეული ლეგიონები იულიუს სევერუსის მეთაურობით. ბრძოლა სამი წელი გაგრძელდა. რომაელებმა მთელი პალესტინა ააოხრეს და გაპარტახეს.

ბარ კოხბას ამბოხს მკვლევარები თვლიან ებრაელთა საყოველთაო აჯანყებად. მართლაც, რომაელთა ბატონობის წინააღმდეგ აღსდგა მთელი ებრაელი ხალხი, სადაც არ უნდა ყოფილიყო ის, პალესტინასა თუ დიასპორაში და რითიც

შეეძლო, იმით თანაუგრძნობდა აჯანყებას. ამ დროისათვის მახლობელი აღმოსავლეთი მოფენილი იყო მრავალრიცხოვანი ებრაული გალუთებით, რომლებიც შეძლებისდაგვარად არ კარგავდნენ კავშირს დედასამშობლოსთან.

ამ საერთო აჯანყების სულისხმდგმელად მიჩნეულია თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი სწავლული რაბინი აკიბა. მის შესახებ მრავალი ლეგენდა თუ ნამდვილი ამბავია შემონახული. ახალგაზრდობაში იგი მდიდარი იერუსალიმელის ქალბა-საბუნის მწევები იყო და შეუყვარდა მისი ქალიშვილი. სასიმამრო ამ სიყვარულის სასტიკი წინააღმდეგი იყო და ამიტომ ქალ-ვაჟი გაიპარა და მალულად იქორწინა. ახალშეუდლებულნი სიღუხჭირეში ცხოვრობდნენ, მაგრამ სიღარიბემ ვერ გატეხა აკიბას სურვილი, დაუფლებოდა სწავლა-განათლებას. მან მიატოვა მეულლე და იმ დროისათვის განთქმულ ბენ ჰირკანისა და გიმზოელი ნახუმის სასწავლებლებში გაემართა, სადაც მიიღო საფუძლიანი განათლება და დაბრუნდა იერუსალიმში (8,630). მას უკვე დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული ხალხში და სიმამრმაც მოწიწებით მიიღო. რაბინი აკიბა გახდა პირველი მეცნიერი, რომელმაც შეძლო მოენახა წმინდა წიგნში საუკუნეებით დაგროვილი ზეპირი წყაროების განმარტებანი. მან წმინდა წიგნთან ერთად ზეპირი გადმოცემებიც აუცილებელ კანონებად გამოაცხადა. რაბინი აკიბას განმარტებები, რომლებსაც ეწოდება მიდოთი, სამ ნაწილად იყოფა: მიდრაბი (წმინდა წიგნის განმარტება), ჰალახა (ზეპირ კანონთაშეთანხმება დაწერილ, ანუ მოსეს კანონებთან) და ჰაგადა (ოქმულებანი, იგავნი) (5, 163). რაბინი აკიბა მრავალი რელიგიური წესის დამჭკვიდრებელი გახდა. ძველი თქმულება გადმოგცემს, რომ ჰასექის შემდეგ გაჩენილა ეპიდემია, რომელსაც ყოველდღე მიჰქონდა რაბინის ათობით მოწაფის სიცოცხლე. ეპიდემია ჰასექის 33 დღეს შეწყდა. რაბინმა აკიბამ დაადგინა, რომ ამიერიდან ჰასექის პირველი დღიდან

არც ერთი ებრაელის ოჯახში არ ჩატარებულიყო სამხიარულო დღეების აღნიშვნა. ეს წესი დღემდე მკაცრადაა დაცული ყველა მორწმუნე ებრაელის ოჯახში და „ყომერი“ ეწოდება.

ბარ კოხბას ამბოხის შესახებ ისტორიული წყაროებიდან ჩვენამდე შემორჩა დიონ კასიუსისა და ევსევი კესარიელის თხზულებებში. ებრაულ თქმულებებსა და ლიტერატურულ ძეგლებში შემორჩენილია ძირითადად მისი ფინალი ციხესიმაგრე ბეთარას აღყა და დაცემა (13,59). აგრეთვე გამარჯვებული ამბოხებულების მიერ მოჭრილი მონეტები. აჯანყებულებმა საკუთარ კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე გამოაცხადეს ახალი ერა „ისრაელის დახსნა ისრაელის პატრიარქის შიმონ ბარ კოხბას მიერ“ (7,197). აჯანყებამ იმდენად საყოველთაო სახე მიიღო, რომის იმპერიას თითქმის სამწელნაზევარი დასჭირდა აჯანყებული ებრაელობის დასაშოშმინებლად. საუკეთესო ლეგიონები იქნა მივლენილი პალესტინაში წესრიგის დასამყარებლად და 135 წლის ზაფხულში აჯანყება ჩაატარეს. აჯანყებულებმა თავი შეაფარეს გამოქვაბულებს, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებული იყო მიწისქვეშა გვირაბებით (დიონ კასიუსი XIX, 12). ბოლო დასაყრდენი ბეთარას ციხე რომაულებმა აიღეს და მისი დამტკელები სიკვდილით დასაჯეს. მოსახლეობა ზოგი ბრძოლებში გაწყდა, ზოგი დაიფანტა. ვარაუდობენ რომ ლტოლვილთა ერთი ნაკადი ქართლშიც შემოვიდა.

არსებობს მოსაზრება, რომ ცნობილი სწავლულის რაბინი აკიბას მოგზაურობა სწორედ იმით იყო გამოწვეული, რომ დაეინტერესებინა ყველაზე შორეულ ქვეყნებში მცხოვრები ებრაელები. ამ მიზნით იგი ეწვია სპარსეთს, მცირე აზიას, კაპადოკიას და ფრიგიას. როგორც ვარაუდობენ, აზიისა და აფრიკის სხვა ქვეყნებსაც. ერთ-ერთი უძველესი დიასპორა ებრაელებს საქართველოში ჰქონდათ. ქართული

ნარატიული წყაროები მოგვითხრობენ, რომ, ჯერ კიდევ ძვ. წ. VI საუკუნეში, მას შემდეგ, რაც ნაბუქოდონოსორ II გაანადგურა იერუსალიმი, გაფანტული მოსახლეობის მცირე ნაწილი სწორედ ქართლში შემოიხიზნა. ისინი დასახლდნენ ქართლში, სამეფო ქალაქ მცხეთაში, და სახოვალოებრივად საკმაოდ მაღალ საფეხურსაც მიაღწიეს. გარდა ამ პერიოდისა, ებრაელების მორიგი მიგრაციული ტალღები საქართველოში შემოსულა სხვა დროსაც: ძვ. წ. 169 წ. (გ. მელიქქიშვილის მიხედვით) (1,452), ან ძვ. წ. 136 წ. (ე. მამისთვალიშვილის) (4,102) მიხედვით, ძვ. წ. 70-60-იანი წლები, ახ. წ. 70-იანი წლები-ფლავიუსების მიერ იუდეის განადგურების შედეგად. ებრაული დასახლებები საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო საქართველოს ტერიტორიაზე. ებრაული სამყარო სწორედ საქართველოდან გაიცნო ჩრდილოკავკასიელმა ხალხმა. ეს კავშირი ორ ერს შორის იმდენად მჭიდრო ყოფილა, რომ ჩამოყალიბდა აზრი ამ ორი ხალხის ეთნიკური ნათესაობის შესახებაც. ებრაული დიასპორისა და აბორიგენი ხალხის შერევის შემდეგ ჩამოყალიბდა განსაკუთრებული ანთროპოლოგიური ტიპი, რომელმაც შეინარჩუნა რა ებრაული ტიპაჟისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, შეითვისა ქართული ანთროპოლოგიური ტიპის პარამეტრებიც და ჩამოყალიბდა თავისებური ლიმოტროპული ეთნიკური ერთეული, რომელსაც დღეს ქართველ ებრაელებს ვუწოდებთ.

გადმოცემით, რაბინ აკიბას უმოგზაურია ამიერკავკასიაში, კერძოდ არმენიასა და საქართველოში, სადაც იგი ცდილობდა მოეგროვებინა შესატირი იმ საყოველთაო აჯანყების დასახმარებლად, რომელიც ბარ კოხბას მეთაურობით დაიწყო პალესტინაში. რაბინი აკიბას მოგზაურობის დეტალები ჩვენთვის უცნობია. იმ დროისათვის, ესე იგი 132-წლისათვის საქართველოში ნამდვილად რომ არსებობდა ძლიერი ებრაული თემი, ამას მრავალი ისტორიული, როგორც ნარატიული, ასევე არქეოლოგიური

წყარო ადასტურებს. ებრაელები ცხოვრობდნენ ქართლის დიდ ქალაქებში, ფლობდნენ უძრავ-მოძრავ ქონებას, ზოგიერთი მათგანი სარგებლობდა საკმაოდ მაღალი სოციალური სტატუსით (6,98-99) და ამდენად, შორეული თანამომექების დასახმარებლად მატერიალური სახსრების გაღება არ უნდა გასჭირვებოდათ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართლში მცხოვრები ებრაელები განუწყვეტლივ საქმის კურსში იყვნენ შორეულ სამშობლოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენებისა (4,136), ცხადი ხდება, რომ ბარ კოხბას ამბოხის მზადების შესახებ ქართლში უკვე არსებობდა გარკვეული ინფორმაცია.

როგორც აღვნიშნეთ, ბარ კოხბამ თავისი დროშის ქვეშ გააერთიანა ნახევარ მილიონზე მეტი მეომარი ებრაელი, რომლებსაც ქვეყნის რომაელთაგან გათავისუფლება სურდათ. პირველივე ბრძოლების შედეგ რომაელი პროკურატორი ანი რუფი მხლებლებთან ერთად გაიქცა. გამარჯვებულებმა მოახერხეს მრავალი ციხისა და დასახლების გათავისუფლება, გამარჯვების აღსანიშნავი ერთ-ერთი მოვლენა იყო დამოუკიდებელი ქვეყნის სიმბოლოს-მონეტის მოჭრა. ბარ კოხბას ამბოხის შედეგად ორი სახის მონეტა მოიჭრა. ერთ მათგანზე გამოსახული იყო ოთხსვეტიანი კოლონადა, რომლის ცენტრში მოთავსებული იყო აღთქმის კილობანი. არქიტრავზე მოთავსებული იყო დავითის ვარსკვლავი, თუმცა აჯანყების ბელადის სახელიც ვარსკვლავთან იყო დაკავშირებული (7,200). ამ მონეტებზე მოთავსებული იყო წარწერა „შიმონ“ ანუ „იერუშალემ“. სხვა სახის მონეტები წააგავს ხასმონეელების (66-70 წლების ხასმონეელების დინასტიის და ებრაელთა აჯანყების) პერიოდის მონეტებს. მათზე გამოსახული იყო სხვადასხვა საკულტო ხასიათის საგნები: შოთარი, პალმისა და სხვა მარადმწვანე მცენარეთა ფოთლები, რომლებიც გამოიყნებოდა სუქოთის დღესასწაულის დროს, ლირა, რომელიც აუცილებელ

ატრიბუტს წარმოადგენდა დღესაწაულების დროს, აგრეთვე ფურძის მტევნები, რომლებიც სიმბოლურად დამახასიათებელი იყო ქვეყნის ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო კულტურებთან (7,200).

აჯანყებულებმა შეძლეს იუდეის მნიშვნელოვან ნაწილზე კონტროლის დაწესება. ბარ კოხბას ხელში გადავიდა სამოქალაქო ხელისუფლება, სამხედრო საქმე, ნიშნავდა სამოქალაქო თანამდებობის პირებს. იმ პაპირუსებს შორის, რომლებიც აღმოჩნდა ხებერსა და მურააბათში, არის ბარ კოხბას მიერ გაცემული მიწის არენდის დამადასტურებელი დოკუმენტებიც, სადაც ის მოხსენიებულია როგორც ისრაელის პატრიარქად. ეს დოკუმენტები დათარიღებულია 132 წლის დასასრულისა და 133 წლის დასაწყისით (7, 201).

ბარ კოხბას აჯანყება ისეთი მასობრივი მოვლენა იყო, რომ იგი თავისუფლად შეიძლება შეფასდეს როგორც ებრაელთა საყოველთაო აჯანყება რომაელთა ბატონობის წინააღმდეგ. ამ აჯანყების დაწყებამდე მიმდინარეობდა საყოველთაო იდეოლოგიური და მატერიალური სამზადისი. ამ მიზნით ებრაელი აგიტატორები გაემართნენ ისეთ შორეულ ადგილებშიც კი, როგორიც იყო აზის ქვეყნები. საქართველოშიც არსებობდა ძლიერი ებრაული თემი, რომელიც საკმაოდ დაწინაურებული იყო. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ შორეული პალესტინიდან ჩამოსულიყო აჯანყების სულისჩამდგმელი და უდიდესი ავტორიტეტის მქონე რაბინი აკიბა, რომელიც ცდილობდა პატრიოტული გრძნობები გაეღვივებინა ამიერკავკასიაში მაცხოვრებელი თანამომშეებისთვის. ბარ კოხბას აჯანყების ჩახშობამ პალესტინელი ებრაელებისთვის კიდევ უფრო მძიმე შედეგები მოიტანა. ისედაც დაფანტული მოსახლეობა კიდევ უფრო დაიფანტა. მათი ერთი ნაწილი შეიძლება შემოსულიყო საქართველოშიც (3, 340)

## **დამოწმებანი:**

1. მელიქიშვილი გ., ქართული პოლიტიკური და ეთნიკური წარმონაქმნები ელინისტურ ხანაში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970, (445-467).
2. საქართველოს ისტორია, 1, თბ., 2008.
3. ჭიჭინაძე ზ., ქართველი ებრაელი საქართველოში, 1904.
4. მამისთვალიშვილი ე., ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ., 1995.
5. ბათოშვილი ა., ებრაელი ხალხის ისტორიიდან, თბ., 1991.
6. ჩოჩიშვილი დ., ებრაულ-ქართული ურთიერთობების ისტორია, თბ., 2004.
7. Евреи в Римской Империи в эроху Талмуда, Тель-Авив, 1999.
8. Еврейская энциклопедия, т. 1, С.Пб.,изд-во Брокгауз-Ефрон
9. Еврейская энциклопедия, т. 2, С.Пб., изд-во Брокгауз-Ефрон
10. Еврейская энциклопедия, т. 9, С.Пб., изд-во Брокгауз-Ефрон
11. Никольский Н., Древний Израиль, М., 1992.
12. Jigael Jadin, Bar Kochba. Archäologen auf den Spuren des letzten Fürsten von Israel, Hamburg 1971.
13. Rogel Michael Kean, Die Romischen Kaiser, Augsburg, 2009.

## **რეზიუმე**

ბარ კონდას აჯანყება (132-135 წწ) ებრაელი ხალხის თავისუფლებისათვის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია. რომაული სახელმწიფოს გაძლიერებისა და მისი საზღვრების არნაზულად გაზრდის შემდეგ მის შემადგენლობაში აღმოჩნდა მრავალი ქვეყანა და ხალხი, მათ

შორის პალესტინაც. ებრაელები არ ეგუებოდნენ რომაელთა ბატონობას და ყველა შესაძლო შემთხვევაში ცდილობდნენ არასასურველი უღლის გადაგდებას. მათთვის მიუღებელი იყო არა მხოლოდ რომაელთა ბატონობის სიმძიმე, არამედ მათი წარმართული პანთეონიც - მონოთეზმის აღმსარებელი ხალხისთვის ცოდვის ტოლფასი იყო მრავალლმერთიანი ბატონების მსახურება.

ებრაელთა უდიდესი ტრაგედია ფლავიუსების დინასტიის დროს, როდესაც ტიტემ საძირკვლიანად დაანგრია იერუსალიმი, არ დასრულებულა. ებრაელი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის რომაელი ხელისუფლები სასტიკად ახშობდნენ. ერთ-ერთი ასეთი გამოსვლა მოხდა იმპერატორ ადრიანეს (117-138 წწ) დროს. მისი მეთაური იყო ბარ კოხბა, ხოლო იდეოლოგიური სულისჩამდგმელი რაბინი აკიბა. აჯანყებისთვის სახსრების მოსაგროვებლად ამ უკანასკნელმა იმოგზაურა მრავალ ქვეყანაში, სადაც იყო ებრაული დიასპორები. ვარაუდობენ, რომ მან საქართველოშიც იმოგზაურა და დიდხალი შესაწირიც მოაგროვა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მეორე საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს ქალაქებში ძლიერი ებრაული თემები ფიქსირდება, მაშინ უსაფუძვლო არ უნდა იყოს რაბინი აკიბას საქართველოში მოგზაურობაც.

მკვლევარები საქართველოში ებრაელთა შემოსვლის რამდენიმე ნაკადს გამოყოფენ. ერთ-ერთი სწორედ ბარ კოხბას ამბოხის დამარცხების შემდეგ შემოსული ტალღაა, რომელსაც ქართლის ქალაქებში დაზვდა თანამომეთა საკმაოდ მძლავრი დიასპორა.

***David Chochishvili***  
*Associate Professor of Gori Teaching University*

## **BAR KOKHBA'S REBELLION AND GEORGIA**

### **RESUME**

Bar Kokhbas revolt (132-135 years) the Jewish people's centuries-old struggle for freedom in one - a clear example of this. Roman state and strengthen its borders than ever after the increase turned out to be a part of many countries and people, among them Palestine as well. Jews haven't adapt to Roman dominance and all the possible cases in trying to throw down yoke unwanted trash. Was unacceptable for them not only to the Roman domination in severity, but the pagan pantheon. Monotheism the Confessor for the people of sin was equal polytheism gentlemen to serve.

Greatest tragedy of the Jews during the Flavian dynasty, when Titus destroyed Jerusalem foundation , have been completed. Jewish people's struggle for the independence of Roman power was severely strangled. One such speech was Imperator Adrian (117-138 years) time. He was the commander of the Bar Kokhba and ideological inspirer Rabbi Akiba. In order to arrange rebellion funds for the latter traveled to many countries, where was a Hebrew Diaspore. It is supposed that he had traveled to Georgia as well, and many also receive the donation. Given that the second century in the first half of the cities in a strong Jewish themes are recorded, then do not have to be unsubstantiated, Rabbi Akibas Travel in Georgia as well.

Researchers in Georgia a few Jews to enter the flow divided. One - the one Bar Kokhbas riot after defeat incoming wave, which Kartli cities met quite a strong community of fellow.

**ნიკო ჯავახიშვილი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი**

**უფლისწულ პაატა განტანგის ძის შეთქმულებაში ჩაბმულ  
ქართლელ ფეოდალთა ვინაობის საკითხისათვის**

ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის უმცროსი ვაჟის – პაატა ბატონიშვილის (1720-1765) შეთქმულება – XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ნაკლებად შესწავლილ მოვლენათა რიცხვს განეკუთვნება.

მართალია, პაატა ბატონიშვილისა და მისი შეთქმულების შესახებ ცნობები დაცულია რამდენიმე საისტორიო წყაროში, კერძოდ, საქართველოს ისტორიის ქრონიკებში (იოსელიანი 1980), პაპუნა ორბელიანის (ცაგარეიშვილი 1981), ალექსანდრე ამილახვრის (კიკნაძე 1997), უფლისწულების – დავითის, ბაგრატისა (ლომიური 1941) და თეიმურაზის (მიქი-აშვილი 1983) თხზულებებში და ასევე მკვლევარების: ნიკო ბერძენიშვილის (ბერძენიშვილი 1965), ალექსანდრე ფირცხალაიშვილის (Пирцхалайшвили 1970), მამია ლუმბაძის (ლუმბაძე 1973), ავთანდილ იოსელიანის (იოსელიანი 1966), ლოვარდ ტუხაშვილის (ტუხაშვილი 1983), შოთა წანთაძის (წანთაძე 1984) და სხვათა ნაშრომებში, მაგრამ აღნიშნული პრობლემა ამომწურავად ჯერაც არ არის შესწავლილი.

ზემოხსენებულ საკითხს ჩვენც მივუძღვენით გამოკვლევა, რომელშიც შევეცადეთ დაგვედგინა აღნიშნული შეთქმულების დღემდე უცნობი დეტალები (ჯავახიშვილი 2010).

წინამდებარე სტატია ჩვენი ხსენებული გამოკვლევის შევსებული და გადამუშავებული ვარიანტია.

\* \* \*

ცნობილია, რომ აღნიშნული შეთქმულება მიზნად ისახავდა ქართლის სამეფოს აღდგენას და ტახტზე უფლისწულ პაატა ვახტანგის ძის დასმას.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ეს შეთქმულება შეფასებული იყო, როგორც ცალსახად უარყოფითი მოვლენა, კერძოდ, „ერეკლე II-ის გამაერთიანებელი პოლიტიკის წინააღმდეგ თავადაზნაურთა რეაქციული ნაწილის ხანგრძლივი ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდი“ (ხანთაძე 1984: 630).

სამეფო ლეგიტიმიზმის (მომდინარეობს ლათინურად სიტყვიდან ეგიტიმუს, რაც კანონიერს, მართლზომიერს ნიშნავს) საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარე, ამა თუ იმ მონარქის ტახტის კანონიერი მემკვიდრეა იმავე მეფის უფროსი ძე. თუ ეს უკანასკნელი ცოცხალი აღარ არის, მაშინ მისი უფროსი ძე. თუ ცოცხალი არც ის არის, მაშინ მისი მომდევნო ძმა. იმ შემთხვევაში, თუ ტახტის მემკვიდრე ქმედუნაროა, კერძოდ, იმყოფება ტყვეობაში ან სხვადასხვა მიზეზთა გამო, ვერ ახერხებს თავის სამშობლოში დაბრუნებას, მაშინ მის კუთვნილ ტახტზე შეიძლება ავიდეს მისივე მომდევნო ძმა, ან ძმისწული, ან უკიდურეს შემთხვევაში უახლოესი ნათესავი მამრობითი ხაზით. როდესაც ცოცხალია მონარქის თუნდაც ერთი შთამომავალი მამაკაცი (მამრობითი ხაზით), მას ტახტზე მეტი უფლება გააჩნია, ვიდრე მდედრობითი ხაზის წარმომადგენელს.

ზემოხსენებული პრინციპიდან გამომდინარე, ვახტანგ VI-ის გარდაცვალების (1737) შემდეგ, ქართლის სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე იყო ჯერ ბაქარ ვახტანგის ძე (1700-1750), ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, ამ უკანასკნელის უფროსი ვაჟი – ალექსანდრე ბაქარის ძე (1723-1791). ეს უფლება გათვალისწინებული იყო რეშთის ხელშეკრულებითაც (Пирцхалайшвили 1970: 88).

ლ. ტუხაშვილი მიუთითებდა: „ქართლელ თავადებს საფიცრად გამხდარი ჰყავდათ ვახტანგ VI-ის ნაშიერები“ (ტუხაშვილი 1983: 23).

ყოველივე ამის გამო, ქართლის სამეფო ტახტზე კახეთის ბაგრატიონთა გამეფებას მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა არა მხოლოდ ბაგრატიონთა ქართლის შტოს წარმომადგენელთა მხრიდან, არამედ ქართლელ თავადაზნაურთა მხრიდანაც.

ამიტომ, ვახტანგ VI-ის შთამომავალთა საკითხი დიდხანს იდგა პრობლემად თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის წინაშე. ეს იყო ძლიერი ოპოზიცია, რომელიც ქართლის სამეფო ტახტზე კახეთის ბაგრატიონთა გამეფებას ვერ შეეგუა [ნინიძე 2004: 327-328].

საინტერესოა, როგორ დასრულდა ქართლის მეფობის ორი ზემოხსენებული ძირითადი პრეტენდენტის მცდელობანი ტახტის დაბრუნების მიზნით. მათი გახსენება აუცილებლად მიგვაჩნია ამ სტატიაში დასტული პრობლემის გლობალურად გააზრებისათვის.

სამშობლოში დაბრუნება სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ მოახერხა რუსეთის საიმპერიო არმიის გენერალ-პორუჩიკმა, წმ. მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერმა ბაქარ ვახტანგის ძემ, რომელიც 1750 წლის 1 თებერვალს რუსეთში გარდაიცვალა (Думин 1996: 48).

საქართველოში წამოსასვლელად ფარულად ემზადებოდა იზმაილის პოლკის ლაბ-გვარდიის ოფიცერი ალექსანდრე ბაქარის ძე, მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა. როგორც ჩანს, რუსეთის საიმპერიო ხელისუფლება ტახტისმაძიებელ ბატონი-შვილს ამის ნებას გარკვეულ დრომდე არ აძლევდა, რითაც ფაქტობრივად თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მხარდაჭერის როლში გვევლინებოდა.

1761 წელს, როდესაც ქართლის მეფე თეიმურაზ II მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში იმყოფებოდა, მას ალექსანდრე ბაქარის ძე არ შეხვედრია (მაჭარაძე 1968: 91-143).

1766 წელს ეკატერინე II-ის ბრძანებით, ალექსანდრე ბატონიშვილს სამშობლოში დაბრუნების ნება დართეს (სიხარულიძე 1997: 100). მანამდე მას აჰყარეს სამხედრო წოდება, ჩამოართვეს მუნდირი და გადასცეს საგზაო თანხა — 1.000 რუბლის ოდენობით (Думин 1996: 48).

სხვა ცნობის თანახმად, 1765 წელს ალექსანდრე უკვე მოზღოვში იყო, მაგრამ საქართველოში მან ვერ შემოაღწია, რადგან პაატა ბატონიშვილის შეთქმულების ჩახშობისა და მის მონაწილეთა სასტიკად დასჯის გამო, ახალი შეთქმულების მოსაწყობად ქვეყანაში ფრიად არახელსაყრელი ვითარება სუფევდა (დუმბაძე 1973: 635).

რუსეთის ხელისუფლების მიერ ალექსანდრე ბაქარის ძის საქართველოში გამოშვება საეჭვოდ დაემთხვა ერეკლე II-ის დაახლოებას ოსმალეთის სულთანთან. როგორც ჩანს, ქართულ-ოსმალურმა ალიანსმა რუსეთის საიმპერატორო კარი დიდად შეაშფოთა.

ნიკო ბერძნიშვილის მოსაზრებით, ალექსანდრე ბაქარის ძის სამშობლოში გამოშვება და მისი აქტიურობა წარმოადგენდა რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების მიერ მიღებულ ერთ-ერთ კონტრზომას მეფე ერეკლე II-ის მცდელობაზე — შესულიყო ოსმალეთის სულთნის მფარველობაში (ბერძნიშვილი 1967: 169). ამ მოსაზრებას სხვა ქართველი ისტორიკოსებიც იზიარებენ (დუმბაძე 1973: 683-684; ჭეიშვილი 1982: 7-8).

მამია დუმბაძე წერდა: “რუსეთში მყოფი ტახტისმაძიებელი ალექსანდრე ბაქარის ძე განსაკუთრებით აქტიურობდა, მომხრეებს ეძებდა და ქართლისაკენ მოიწევდა. ეკატერინეს მთავრობა ოფიციალურად თითქოს “აკავებდა” მას, მაგრამ ძალზე საეჭვოდ გამოიყურებოდა იმპერატორიცას 1764

წლის 13 თებერვლის ბრძანებულება” (დუმბაძე 1973: 635), რომლითაც ბატონიშვილს სამშობლოში დაბრუნების ნება დართეს.

ტახტისმაძიებელი ალექსანდრე თავს აფარებდა სხვადასხვა ქვეყანაში და ერეკლე II-ის წინააღმდეგ გალაშქრების გეგმებს აწყობდა. ერთხანს ის იმყოფებოდა სპარსეთის ვაქილთან (რეგნტთან) ქერიმ-ხან ზენდთან, ერთხანს – ჩრდილო კავკასიის სამფლობელოთა მმართველებთან (ბოკვაძე 1963: 117), ერთხანს კი იმერეთის მეფესთან სოლომონ I-თან. ეს უკანასკნელი იმიტომ მფარველობდა ალექსანდრე ბაქარის ძეს, რომ მას აფიქრებდა ქართლ-კახეთის მეფის დაახლოება ოსმალეთის სულთანთან. სოლომონი ეჭვობდა, რომ ერეკლე II თავისი სამეფოსათვის იმერეთის შეერთებას გეგმავდა.

1779 წელს, როდესაც ერეკლე II-მ ერევანზე გაილაშქრა, ალექსანდრემ ქართლის თავადაზნაურობას აჯანყებისაკენ მოუწოდა. ლაშქრობიდან დაბრუნებულმა მეფემ გადამჭრელ ზომებს მიმართა და მის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლის მცდელობა ამჯერადაც წარუმატებლად დასრულდა (ბერძნიშვილი 1965: 227).

1782 წლიდან ალექსანდრე ბაქარის ძემ თავის ერთგულ თავადთან ალექსანდრე დიმიტრის ძე ამილახვართან (1750-1802) ერთად, თავი შეაფარა დერბენტის მმართველ ფათ-ალი-ხან იბნ ჰუსაინს (სიხარულიძე 1997: 100).

იმზად შექმნილ ვითარებაში ერეკლე II-ის წინაშე მთელი სიმწვავით დადგა ქართლის სამეფოს დაკარგვის საშიშროება. ქართლ-კახეთის მეფემ გადაწყვიტა, რომ შესულიყო რუსეთის იმპერატორის მფარველობაში, ოლონდ ამის ერთ-ერთ წინაპირობად, საიმპერატორო კარს ხელი უნდა აეღო ალექსანდრე ბაქარის ძის მხარდაჭერაზე.

პროფესორების გიორგი პაიჭაძისა და ვახტანგ ჯაფარიძის შეფასებით: „ვახტანგის მემკვიდრეობის

მაძიებელთა პოზიციების ასეთი დასუსტება თავის მხრივ არსებითად შეარყევდა ბაგრატიონთა კახური შტოსადმი მტრულად განწყობილი ქართლელი თავადების ოპოზიციას“ (პაიჭაძე, ჯაფარიძე 1974: 6).

მფარველობითი ტრაქტატის დადებამდე, ერეკლე II-ის თხოვნით, რუსეთის საიმპერიო მთავრობამ დერბენტის ხანს მოსთხოვა ქართლ-კახეთში გასალაშქრებლად შეგროვილი ჯარის დათხოვნა და მასთან მყოფი ქართლის უფლისწულის რუსეთში დაბრუნება. ფათ-ალი-ხანმა ალექსანდრე აიძულა, რომ რუსეთში გაბრუნებულიყო. იგი გზაშივე დააპატიმრეს (ბერძნიშვილი 1965: 229-230). ამისათვის, ფათ-ალი-ხანმა რუსეთის ხელისუფლებისაგან გარკვეული თანხა მიიღო.

ბატონიშვილი გადაასახლეს სმოლენსკში, სადაც იგი შინაპატიმრობაში იმყოფებოდა და მიმოწერა ეკრძალებოდა. ასეთივე პირობებში ჩააყენეს მისი თანამოაზრე ალექსანდრე ამილახვარიც, რომელიც ვიბორგში გადაასახლეს (Пирц-ხალაშვili 1970: 89).

სმოლენსკში მცხოვრები ალექსანდრე ბაქარის ძის სახლში მუდმივად იმყოფებოდა მთავრობისაგან ფარაულად მიჩნიოდი ოფიცერი, რომელიც მის ყოველ ნაბიჯს თვალ-ფურს ადევნებდა. იმედგაცრუებული ბატონიშვილი იქვე გარდაიცვალა (Думин 1996: 48).

იმხანად განვითარებული მოვლენების ანალიზი მოწმობს, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ალექსანდრე ბაქარის ძის ფაქტორი საკმაოდ მარჯვედ გამოიყენა ერეკლე II-ზე ზემოქმედებისათვის. საშიში კონკურენტის ნეიტრალიზაციის სანაცვლოდ (სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად), მეფე ერეკლემ უარი თქვა ოსმალურ ორიენტაციაზე და დააჩქარა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის იურიდიულად გაფორმება, რაც 1783 წლის 24 ივლისს, გეორგიევსკში განხორციელდა.

მას შემდეგ, რაც რუსეთის მესვეურებმა თავიანთ მიზანს მიაღწიეს, ქართლის ტახტისმაძიებელი ბაზონიშვილი პოლიტიკურ არენას დაუყოვნებლივ ჩამოაცილეს.

ასე, რომ ალექსანდრე ბაქარის ძის მრავალწლიანი მცდელობა ქართლის სამეფო ტახტის დაუფლებისათვის პირადად მისთვის სრულიად უშედეგოდ დასრულდა.

ახლა, რაც შეეხება ვახტანგ VI-ის ნაბოლარა ვაჟს, მწევლისაგან შობილ პაატას. მართალია, თავის უფროს ძმასთან – ბაქართან და ძმისწულთან – ალექსანდრესთან შედარებით, პაატას ნაკლები უფლებები გააჩნდა მამის მემკვიდრეობაზე, მაგრამ ლეგიტიმიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ქართლის ტახტი მას უფრო მეტად ეკუთვნოდა, ვიდრე მის დისწულს, ბაგრატიონთა ვახტის შტოს წარმომადგენელს – ერეკლე II-ს.

საგულისხმოა, რომ მეფე ვახტანგ VI-ის შთამომავალ მამაკაცთაგან ერთადერთმა პაატამ მოახერხა, რომ რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების სურვილის საწინააღმდეგოდ, ამ ქვეყნიდან გაქცეულიყო და ქართლში დაბრუნებულიყო.

საინტერესოა, რამ აიძულა უფლისწულ პაატას რუსეთიდან გაქცევა?

პაატა თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებულ პიროვნებას წარმოადგენდა. რუსეთში მან საფუძვლიანად შეისწავლა სამხედრო ხელოვნება, საფორტიფიკაციო საქმე, არტილერია და ზარბაზნების ჩამოსხმის საქმეშიც დახელოვნდა (დუმბაძე 1973: 633).

მამის გარდაცვალების (1737) შემდეგ, უფლისწული ფინანსურ გასაჭირო ჩავარდა. 1745 წლის მაისში პაატამ რუსეთის იმპერატრიცას ანა ითანეს ასულს სთხოვა, რომ შესაფერის სამსახურში აეყვანათ, ანდა საქართველოში გამგზავრების ნებართვა მიეცათ. ამის პარალელურად, მან ითხოვა თანხა ვალების გასასტუმრებლად.

იმპერიის ხელისუფალნი შიშობდნენ, რომ საქართველოში დაბრუნებული უფლისწული სპარსეთის სამსახურში არ ჩამდგარიყო და თავისი სამხედრო განათლება იქ არ გამოეყენებინა. ამის გამო, მათ პაატას შესთავაზეს ქვეით პოლკში ჩარიცხვა პოდპოლკოვნიკის წოდებით და ფულადი დახმარება, რითაც შესაძლებელი იქნებოდა მისი ვალის მხოლოდ მცირე ნაწილის გასტუმრება.

ამ შეთავაზებით უკმაყოფილო უფლისწულმა გადაწყვიტა, რომ რუსეთი საიდუმლოდ დაეტოვებინა. 1749 წლის 22 იანვარს იგი ქართველი აზნაურის ვასილ ეგოროვის პასპორტით ეწვია ჯერ რიგას, ხოლო შედევ მიტავას (ელგავა), საიდანაც მემელში ჩავიდა (Пирцхалайшвили 1970: 71-77).

იმავე წლის 5 მაისს რუსეთის იმპერიის სენატში ქართველი უფლისწულის საქმე განიხილეს. იმ დღეს შედგენილი დოკუმენტის სახელწოდებაა: “Протокол собрания правительствуемого Сената об отказе в отпуске на родину грузинского царевича Пааты, о принятии на службу подполковником, а также о тайном отъезде его с подложным паспортом в Мемель” (Сенатский архив 1895: 519).

პროტოკოლში ნათქვამი იყო: „Царевич Паата подлежным паспортом, под именем грузинского дворянина Егорова, с одним человеком приехал в Ригу из Петербурга и объяяя об себе, отпросился до Митавы, откуда тайно в Мемель приехал” (Сенатский архив 1895: 519-520).

მემელიდან კენიგსბერგში ჩასულმა პაატამ პრუსიის მთარქს ფრიდრიხ II-ს ქვეშევრდომობაში მიღება და სამხედრო სამსახურში ჩარიცხვა სთხოვა, რასაც შედევი არ მოჰყვა. როგორც ჩანს, რუსეთიდან გაქცეული უფლისწულისათვის თავშესაფარის მიცემას პრუსიის ხელისუფლება მოერიდა. ამის გამო, პაატა სხვა ქვეყნებისა და კონსტანტინოპოლის გავლით, მოგვიანებით (1752 წ.) საქართველოში დაბრუნდა (ხანთაძე 1984: 629).

მისი მოგზაურობის მარშრუტი ასეთი იყო: სანკტ-პეტერბურგი — რიგა — მიტავა — მემელი — კენიგსბერგი — ვარშავა — კამენეცი — ბუქარესტი — კონსტანტინოპოლი — ერზურუმი — თბილისი (Пирцхалайшвили 1970: 79).

პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს: “მოვიდა პაატა ბატონიშვილი, ძე მეფის ვახტანგისა, ხარჭა სტამბოლით. რუსეთს სასწავლოში ყოფილიყო, ესწავლა არტილერია, საქმე თოფხანისა. მეფე ვახტანგ რომ მიცვლილიყო, რუსეთს აღარ დამდგარიყო, იქიდამ გაპარვით წასულიყო, საფრანგეთის ქვეყანა მოევლო, სტამბოლს მისულიყო და იქიდამ მოვიდა ქალაქებისა თბილისისასა. ნახა მეფემ თეიმურაზ და მეფემ ერეკლემ, ვითაც ბიძა იყო მეფის ერეკლესი და მისცეს პატივი, დააყენეს მიჩნევით ქალაქში” (ცაგარეიშვილი 1981: 191).

ასე, რომ სამშობლოში დაბრუნებული უფლისწული დიდი პატივით მიღებს მეფეებმა თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პაატა წარმოადგენდა თეიმურაზისათვის — ცოლისმას, ხოლო ერეკლესათვის — ბიძას (დედის ძმას).

ზაქარია ჭიჭინაძე მიუთითებდა: „სხვათა მრავალთ ჩინებულ ქართველთ შორის იყო ცნობილი პაატა ბატონიშვილი, კაცი სწავლული, მრავალ საქმეთა მცოდნე და გამოცდილი. ეს პირი მცნობი იყო ინგლისის სახელმწიფო წესების, ხალხის განვითარების, სამოქალაქო წეს-წყობილების. ამ გვამს დიდათ სურდა, რომ საქართველო ინგლისს დაახლოვებოდა ინდოეთის გზით და ამ დაახლოვებით საქართველოც წარმატების გზაზედ დამდგარიყო... გარდა ამისა, იგი იყო თავის დროის კვალად საკმარისად განს-წავლულ-განვითარებული... მოსვლისთანავე მეფე ერეკლეს დაუახლოვდა... უამბობდა ევროპის ერთა სახელმწიფო ცხოვრებას, წესებს და სხვადასხვა ცნობებს... პაატა ბატონიშვილი ურჩევდა მეფე ერეკლეს, რომ რაკი საფრანგეთი შორს

არის საქართველოდან, მათთან დაახლოვებას თავი დავანებოთ და ჩვენ ინგლისს დავუახლოვდეთ კალკუტის გზითაო... მაგრამ საქმე იმან შეაბრკოლა, რომ მეფე ერეკლე ჭოჭმანობდა, საქმარისად ერიდებოდა ინგლისელებზედ ლაპარაკი, მათთან დაახლოვება და ერთობა. მეფე აღიარებდა, რომ იგინი ჩვენი მერჯულენი არ არიან და ვათუ „მოვტყუვდეთო“ (ჭიჭინაძე 1900).

ქართლისა და კახეთის მეფები შეეცადნენ, რომ პაატას დახმარებით, საკუთარი არტილერია შეექმნათ (ხანთაძე 1984: 629). მათ თავიანთი ნათესავი ჯერ სამხედრო მრჩევ-ლად, ხოლო შემდეგ თბილისის მოურავად დანიშნეს (Думин 1996: 48).

პაატას დაეკისრა ქვემეხების ჩამოსხმის საქმის მოგვარება, რასაც მან თავი საკმაოდ წარმატებით გაართვა (დუმბაძე 1973: 633).

ქართლელ ბატონიშვილს თავისი მამისეული ტახტის დაუფლება სურდა. როგორც ჩანს, მისი ეს სურვილი შეუმჩნეველი არ დარჩენია მის დისწულს – ერეკლე II-ს, რომელიც რუსეთიდან ჩამოსული ბიძის „პიროვნებაში თავიდანვე იყო დაეჭვებული“ (იოსელიანი 1980: 22).

საგულისხმოა, რომ ტახტისმამიებელი უფლისწული თავის მკეთრ ანტირუსულ განწყობას არ მაღავდა. ამასთან დაკავშირებით მამია დუმბაძე მიუთითებდა: “არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ პაატა ბატონიშვილი რუსეთის ორიენტაციის წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო. თავისი ძმისადმი – გიორგი ბატონიშვილისადმი გაგზავნილ ერთ წერილში იგი რუსეთის თვითმპყრობელურ მთავრობას ეძახის „მატყუარას“ და „სამართლებრივ ნორმათა უარყოფელ სახელმწიფოს“, სადაც „კაცი კაცად არაა მიჩნეული“. პაატას ასეთ გულაცრუებას რუსეთის თვითმპყრობელობაზე სუბიექტური მიზეზები პქონდა (მცირე პენსია, სამშობლოში დაბრუნების აკრძალვა და სხვ). რუსეთში მყოფ მუხრანელ ბაგრატიონთა ნაშიერების

უკმაყოფილება იმ დროს საკმაოდ გახმაურებულა. ამასვე აღნიშნავდა პეტერბურგში მყოფი ფრანგი ელჩი” (დუმბაძე 1973: 633).

ხსენებული წერილი პაატამ თავის ძმას 1751 წლის 20 აგვისტოს, კონსტანტინოპოლიდან გაუგზავნა. წერილი – რუსული თარგმანითურთ დაცულია რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში (АВПР 1751: 6-8).

წერილის რუსულ თარგმანში ვკითხულობთ: „Дай бог, чтобы народ всех наших грузинских земель так освободился, как я освободился от обманского министерства. Вы рассудите: в таком великом государстве такие большие министры такого человека, как я, ложным ответом четыре года промучили... И в таком государстве как можно человеку, жить, ежели человек за человека себя не признаает? А мое требование, как вам известно, неважное было. Но, славу богу, что безвредно освободился” (Пирцхалайшвили 1970: 80).

ჭახტისმაძიებელი უფლისწულის გარშემო ქართლის თავადაზნაურობის მრავალი წარმომადგენელი დაირაზმა. მათი თავშეყრის ადგილს „მარკოზაშვილის დარბაზი“ წარმოადგენდა (ზანთაძე 1983: 446).

ზ. ჭიჭინაძე წერდა: „პაატა ბატონიშვილს და სხვათა... სურდათ, რომ ქართლის მეფობა ერეკლესთვის წაერთმიათ... ამ პირებმა ეს იმიტომ განიზრახეს, რადგანაც იგინი ამ-ჩნევდნენ, რომ ერეკლე მეფის მეფობა საქართველოს დასალუპად გარდაიქცევაო. მას არც შვილები ჰყავს კარგები და არც შვილის შვილები. არცერთ მათში სამეფო პირი არ არის, ეგნი მეფობას ვერ შესძლებენ. ერეკლესებური მეფე გიორგი ვერ იქნებაო და გიორგი კიდევ საქართველოს აღარ გამოადგება; საქართველოსთვის საჭიროა შორსმხედველი მეფე, განათლებული და ევროპის სამხედრო წესებთა მცნობიო“ (ჭიჭინაძე 1900).

1765 წლის 5 დეკემბერს შეთქმულება გამჟღავნდა. გაიმართა უზენაესი საერო სასამართლო, რომლის მიერ დადგენილი განჩინება ხელისუფლებამ სისრულეში ათი დღის შემდეგ მოიყვანა (იოსელიანი 1980: 121) და შეთქმულებაში მხილებული პირები სასტიკად დასჯა.

15 დეკემბერს, რიყეზე, ანჩისხატის პირდაპირ, დამნაშავეთა სახალხო დასჯა შედგა.

მთავარ დამნაშავედ ცნობილ პაატა ბატონიშვილს თავი მოჰკვეთა ყულარალასმა გიორგი რევაზის ძე ქსნის ერისთავმა (იოსელიანი 1980: 121).

აქვე დაგსტენთ, რომ გიორგი ქსნის ერისთავი 1777 წელს მიექცრო ქართლის ტახტისმაძიებელ ალექსანდრე ბაქარის ძეს. ამის გამო, ერეკლე II-მ დასჯა გიორგი ერისთავი, გააუქმა ქსნის საერისთავო და იგი დაუნაწილა თავის ვაჟებს – გიორგი და იულონ ბატონიშვილებს (იოსელიანი 1980: 140).

მიუხედავად ზემოთქმულისა, მოგვიანებით, ერეკლე II-ის ვაჟმა ფარნაოზ ბატონიშვილმა ცოლად შეირთო ანა გიორგის ასული ერისთავი, ხოლო მეფის ასული ანასტასია ბატონიშვილი მისთხოვდა რევაზ გიორგის ძე ერისთავს (Думин 1998: 270-275).

ქართლის მეფის იქსეს (მეფობდა 1714-1716 და 1724-1727 წლებში) შვილიშვილს დავით არჩილის (აბდულა-ბეგის) ძეს ხმლით თავი მოჰკვეთა მარტყოფელმა ნაზირმა ბარამ გურგენიძემ, ელიზბარ თაქთაქიშვილი – კოცონზე დაწვეს, გლახა ციციშვილს – ენა მოაჭრეს, დიასამიძეს – ცალი თვალი დათხარეს და მარჯვენა ხელზე ცერა თითი მოჰკვეთეს, სახლთუხუცესი დიმიტრი ამილახვარი საჯაროდ შეარცხვინეს (ვირზე შესმული ჩამოატარეს), ხოლო მის ძეს ალექსანდრეს ცხვირი მოჰკვეთეს და ფეხის ძარღვები გადაუჭრეს და ა. შ. (იოსელიანი 1980: 121).

ალექსანდრე ამილახვრის ცნობით, მათი ერთი აზნაური, რომელმაც ძალდატანებით მიკემული პირვანდელი ჩვენება მოგვიანებით შეცვალა – მოკლეს, ხოლო ელიზბარ თაქთა-ქიშვილის ვაჟს – ხელი მოჰკვეთეს და თვალები დასთხარეს (კიგნაძე 1997: 83-84),

ზ. ჭიჭინაძე წერდა: „პაატა ბატონიშვილს თავი მოსჭრა მეხლმექ მაშინდელს რიყეზედ, ავლაბრის ხიდის გვერდით... იმ პირის თავის მოკვეთა ბევრს დანანდა თურმე, ბევრი დიდათაც სწუხდა, ეს რა მოხდაო. მეფე ერეკლეს სთხოვეს პაატას პატიობა. მეფეს შეუწყნარებია. მალე რიყეზედ კაცი უფრენიათ, რომ პაატას ეპატიოსო, მაგრამ საქმე უკვე აღსრულებული ყოფილა. პაატა თავმოჭრილი გდებულა. მეფე ერეკლემ ბოლოს ძლიერ დაინანა ამის მოკვლაო, დიდათ სწუხდაო. სწორედ ეს სამართალი და დასჯა გახდა მის მიზეზად, რომ დასჯილის ამილახვრის შვილმა ერეკლეს მოღვაწეობის ცნობები და საქართველოს ამბები – 1779 წელს პეტერბურგში რუსულად დაბეჭდა. ამ რუსულს წიგნში მეფე ერეკლეს დიდათ პყვედრიან და პკიცხავებულა სამართლობისათვის“ (ჭიჭინაძე 1900).

ალ. ფირცხალაიშვილი მიუთითებდა: „Печальная судьба Пааты и Александра Бакаровича говорит о том, что имигрировавшие в Россию Багратионы Мухранские и их потомки не хотели отказываться от своего права на картлийский престол и неоднократно пытались овладеть им...

С другой стороны мы видим, что русское правительство, оказывая мухранским Багратионам в России гостепримство, не хотело помогать им в их намерении, чтобы не вовлекать в эту борьбу Персию и Турцию. В соответствии с интересами России, оно поддерживало в Грузии Кахетскую династию, стараясь не выпускать из России ее соперников. Этим объясняется, например, нежелание русского правительства отпустить в Грузию Бакара Вахтанговича,

установление за ним секретного наблюдения и угроза, в случае самовольного отъезда, отнять у него имение. Надо полагать, что и нежелание выпустить из России Паату могло быть отчасти вызвано этим же соображением” (Пирцхалайшвили 1970: 89-90).

საგულისხმოა, რომ შეთქმულების თავკაცის – პაატა ბატონიშვილის დასჯა ქართულ ფოლკლორშიც აისახა. კერძოდ, ხალხურ ლექსში „ბაქარიანთა დალევა“, რომლის ტექსტიც შეტანილია „ქართული ხალხური პოეზიის“ მრავალტომეულში, ვკითხულობთ:

„ბაქარიანთა დალევა ქართველზე წილნაყარია,  
სიკვდილი პაატაისა ღმერთმა იცოდეს, ბრალია,  
შეინახიდით ხევსურნო, ვინც გყვანდათ წილნამრგალია.  
ეკიდას ბაგრატიონთა ამაგათ ცოდვა-ბრალია,  
დალივნეს ბაქარიანნი, სულ საქართველოს კარია“  
(ქართული ხალხური პოეზია 1984: 50).

შეთქმულთა შორის, ზემოხსენებულთა გარდა, იყო ქართლის თავადაზნაურობის მრავალი სხვა წარმომადგენელიც, რომელთა ვინაობის შესახებაც თითქმის არაფერი ვიციო. ცნობილია მხოლოდ, რომ მათი მამულების ნაწილი მეფე ნასისხლად აიღო (ხანთაძე 1984: 630).

ნიკო ბერძენიშვილი წერდა: „მეფემ სწრაფად დაჭრინა შეთქმულების მეთაურები. ერეკლეს კარგად ესმოდა ამ საქმის საზოგადოებრივი აზრი. მან იცოდა, რომ შეთქმულებს სხვა მომხრეებიც ჰყავდათ. მეფემ დარბაზის სხდომა მოიწვია, საქმე გასარჩევად მას გადასცა და თვითონ კი მომჩინარის როლში გამოვიდა. დარბაზმა საქმე განიხილა, დამნაშავეებს ქონება ჩამოართვა და მეფეს ნასისხლად მისცა, შეთქმულების მეთაურები კი კანონის თანახმად დასაჯეს“ (ბერძენიშვილი 1965: 210)

მამია დუმბაძე აღნიშნავდა: „შეთქმულთა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო. სამწუხაროდ, დაწვრილებითი ცნობები მათ შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება“ (დუმბაძე 1973: 634).

ალექსანდრე ფირცხალაიშვილი წერდა: „Возглавлявший заговор кн. Дмитрий Амилахвари мстил Ираклию за развод своего сына Георгия с сестрой царя Елизаветой; участниками заговора были князья Цицишвили, Тактакишвили, Диасамидзе и др. К ним примкнули многие дворяне” (Пирцхалайшвили 1970: 84).

საინტერესოა ვინ იგულისხმებიან ზემოხსენებული სიტყვების: „**многие дворяне**” ქვემ, რომელთა შესახებაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში ფაქტობრივად არაფერია ცნობილი?

ამ კითხვაზე საყურადღებო პასუხს ვპოულობთ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, თერგდალეულთა მიერ წამოწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილის ნიკო იაკობის ძე ავალიშვილის (1844-1929) მოგონებებში. აქვე დავსძენთ, რომ იყო იყო მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, რეჟისორი და მსახიობი, რომელიც მესვეურობდა განახლებულ ქართულ თეატრს (1878-1879) და რედაქტორობდა ჟურნალ „მნათობს“ (1869-1872). მან ქართულ ენაზე თარგმნა მსოფლიო ლიტერატურის შედევრები, კერძოდ, სერვანტესის „დონ კიხოტი“, ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“, ფ. შილერის „ფიესკოს შეთქმულება გენუაში“, „ვილპელმ ტელი“, „ყაჩაღები“, „მგზავრი“, ჰ. სენკევიჩის „ვიდრე ჰევალ“ და სხვ. (ენციკლოპედია „თბილისი“ 2002: 272). მას თარგმნილი აქვს ასევე ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის დრამა „ლალატი“, ს. ურბანოვსკაიას მოთხოვნა „თავადის ქალი, შრომა და ფუფუნება“ და სხვ. (ზუციშვილი 1997: 61).

ამ მრავალმხრივი მოღვაწის შვილიშვილი იყო გამოჩენილი მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი ბიძინა გიორგის ძე ავალიშვილი (1922-2002), ხოლო შვილ-თაშვილი – ცნობილი არქეოლოგი, პროფესორი გიორგი ბიძინას ძე ავალიშვილი (1941-2004).

6. ავალიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა მონოგრაფიულად შეისწავლა სოლომონ ცაიშვილმა (1900-

1957), რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, საფუძვლიანად იკვლევდა XIX საუკუნის ცნობილ ქართველ მოღვაწეთა ცხოვრება-მოღვაწეობას.

ს. ცაიშვილი წერდა: „ნიკოლოზ იაკობის ძე ავალიშვილი დაიბადა 1844 წლის 4 (ახალი სტილით 16) ივლისს, გარეკახეთში, სოფელ საგარეჯოში, მცირე შეძლების მქონე აზნაურის ოჯახში... ძირეულად ავალიშვილები ქართლის მკვიდრნი იყვნენ, რომელთაგან მომდინარეობს კახეთის შტოც... გარეკახელ ავალიშვილთა ოჯახში დღემდე დაცულია ერთი მნიშვნელოვანი გადმოცემა, რომელიც მათი გვარის აქ დასახლებაზე მიგვითოებს და ამიტომ, ინტერესს მოკლებულიც არ იქნება მისი მოყვანა. ამ გადმოცემიდან ირკვევა, რომ მევე ერეკლე მეორის წინააღმდეგ მოწყობილ ე.წ. „პაატას შეთქმულებაში“ მონაწილეობდნენ სამი ძმა – თავადი ავალიშვილები: ქაიხოსრო, დავითი და ზაქარია. შეთქმულების გამომჟღავნებისა და შეთქმულთა განადგურების დღეებში ცოცხლად გადარჩენილი ეს ძმები თეთრაძის გვარშერქმეული თბილისის განაპირა, ე.წ. ძაღლის უბანში შეფარებულან და ქალაქისათვის შეშის დამზადებით ირჩენდნენ თურმე თავს, მაგრამ მათი ეს ყოფა თანდათან კიდევ გაუარესებულა, მათს თეთრაძეობაზედ ეჭვი აუღიათ და როცა ძალზე შეუვიწროებიათ ისინი, უდაბნოში გადასახლებულან და იქ დავით გარეჯის მონასტერში შეფარებულან.

ერეკლეს გარდაცვალების (1798) შემდეგ, უფროს ძმას ქაიხოსროს მოუხერხებია მონასტრიდან გამოსვლა და საზოგადოებაში შერევა, დავითი და ზაქარია კი იმის შიშით, რომ მამულების სიხარბით გატაცებულ ნათესავებს არ გაუცათ, საგარეჯოში დასახლებულან, თუმცა, აქაც რამდენიმე ხანს მალავდნენ ნამდვილ გვარს. მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როცა პრივილეგიური წოდების მქონე გვართა რეგისტრაცია დაწყებულა, მათაც თავიანთი საბუთი და ნამდვილი გვარი გამოუჩენიათ და ავალიშვილობა

აღუდგენიათ. ამგვარად, საგარეჯოელი ავალიშვილები სწორედ ამ ორი ძმის – დავითისა და ზაქარიას ჩამომავლები არიან...

როგორც საგულისხმო მომენტი, ნათქვამს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ნიკო აგალიშვილის აზრით, ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულებაში აქტიური მონაწილეობის გამო დაქვეითებული, ე. ი. თავისი ძველი წოდება ართმეული გვარები დღეს საგარეჯოსა და მის მიდამოებში საკმაო რაოდენობით მოსახლეობენ. ასეთებია: ჯავახიშვილები, მხარგრძელები, ფავლენიშვილები, ყარალაშვილები, თულაშვილები, ფურცელაძეები, საგინაშვილები, ყორდანაშვილები და სხვ.” (ცაიშვილი 1955: 5-7).

ახლა, ვნახოთ, თუ რას მოგვითხრობს თვით ნ. ავალიშვილი თავის თხზულებაში „ქართული თეატრის ისტორიისათვის“, რომლის ხელნაწერიც დაცულია თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში.

ხსენებულ ნაშრომში ვკითხულობთ: „ჩემს ოჯახში თაობიდან თაობაში ასოციათი წელიწადია ერთი გადმოცემა ინახება. იგი მოგვითხრობს, რომ მეფე ერეკლეს გარდაწყვეტილებამ საქართველოს რუსეთისადმი გარდაცემისამ – მრავალი უქმაყოფილო-მოწინააღმდეგე გაუჩინა მას. შეითქვნენ, რომ ერეკლე ტახტიდგან ჩამოეხდინათ და... აეყვანათ ტახტზედ... ქართლის მეფის ვახტანგის შვილი, რათა მით საქართველო გაერთიანებულიყო. ამ შეთქმულობის მონაწილე, სხვათა შორის, სამი ავალიშვილი იყო, სახელით:

უფროსი – ქაიხოსრო, ორი უმცროსი (შვილები თუ ძმები) – დავითი და ზაქარია. შეთქმულობა გამჟღავნდა, შეთქმულნი დაიქსაქსნენ...

საგარეჯოში ქართლ-კახეთ-ბორჩალოს მაზრის თავადაზნაურთა გვარეულობის ჩამომავალი ბევრია და აქ მხოლოდ ზოგს მოვიხსენიებ: ჯავახიშვილი, მხარგრძელი, ფავლენიშვილი, ავალიშვილი, ფურცელაძე, ყარალაშვილი (რუსული დაბოლოებით – ყარალოვ), ჯაფარიძე, თულაშვილი,

ყორლანაშვილი, საგინაშვილი და სხვ. უეჭველია, ამათი მა-  
მამთავარნიც ზსენებული შეთქმულობის გამო იყვნენ იქ გადახ-  
ვეწილნი“ (ავალიშვილი. ავტოგრაფი: 215-216).

აქ მოყვანილ ციტატაში ჩამოთვლილ წარჩინებულ  
გვართაგან ქართლში სახლობდნენ (ჩამოთვლილია ანბანურად):  
ავალიშვილები (თავადები), თულაშვილები (თავად ქსნის  
ერისთავის აზნაურები), საგინაშვილები (ტახტის აზნაურები),  
ფავლენიშვილები (თავადები და თავად ქსნის ერისთავის  
აზნაურები), ფურცელაძეები (ტახტის და თავად ციციშვილის  
აზნაურები), ყორლანაშვილები (ტახტის აზნაურები),  
ჯავახიშვილები (თავადები და ტახტის აზნაურები), ჯა-  
ფარიძეები (თავად ქსნის ერისთავის აზნაურები) (კაცელა-  
შვილი 1997; ჭუმბურიძე 2005).

დასახელებული წყაროდან ჩანს, რომ პაატა  
ბატონიშვილის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის, ქართლის  
ზემოხსენებულ წარჩინებულ საგვარეულოთა ერთი ნაწილისა-  
თვის წოდებები ჩამოურთმევიათ და გარეკახეთში  
გადაუსახლებიათ. მათი უმეტესობა (როგორც ჩანს,  
გადმოსახლებულთა აზნაურული ნაწილი) ქართლ-კახეთის  
სამეფოს გაუქმებამდე სახასო ყმად ირიცხებოდა, ხოლო  
აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის იმპერიის შემაღებილო-  
ბაში შესვლის შემდეგ, ისინი სახაზინო (ანუ სახელმწიფო)  
ყმებად ჩარიცხეს. აქევე დავსძენთ, რომ სახასო ყმები  
უშეალოდ მეფეს ექვემდებარებოდნენ და გაცილებით უკეთეს  
მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ვიდრე სამონასტრო-საეკლე-  
სიო, ხოლო განსაკუთრებით კი – საბატონო, კერძოდ, თავა-  
დთა და აზნაურთა გლეხები.

აქ შეიძლება გავიხსენოთ ერთი საყურადღებო ფაქტი  
საქართველოს ისტორიიდან. 1810 წლის ზაფხულში, როდესაც  
ოსმალეთში გადახვეწილი სოლომონ II, ტახტის დაბრუნების  
მიზნით, იმერეთში დაბრუნდა და აჯანყებას სათავეში ჩაუდგა,  
რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ ამბოხებულ გლეხობას

აღუთქვა: ის, ვინც რუსთა წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებს დატოვებდა, ბატონისაგან გათავისუფლდებოდა და სახაზინო ანუ სახელმწიფო გლეხად ჩაირიცხებოდა (რეწვიაშვილი 1989: 378).

ასე, რომ სახაზინო გლეხად ჩარიცხვა სხვა კატეგორიის გლეხობისათვის ფრიად სასურველად ითვლებოდა.

ამრიგად, როგორც ზემოთ განხილული საისტორიო წყაროებიდან და ლიტერატურიდან ირკვევა, პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში (1765 წ.) მონაწილეთა რიცხვი იმაზე გაცილებით დიდია, ვიდრე დღემდე იყო ცნობილი. ამ შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ, მასში გარეული ქართლელი თავადაზნაურობა მკაცრად დაისაჯა, კერძოდ, მათი ნაწილი ფიზიკურად გაანადგურეს, ნაწილი – დაასახირეს, ხოლო ნაწილს – წოდებები და მამულები ჩამოართვეს და ისინი გარეკაზეთში, ამჟამინდელი საგარეჯოს რაიონის ტერიტორიაზე გადაასახლეს.

### დამოწმებანი:

**ავალიშვილი. ავტოგრაფი:** ნ. ავალიშვილი. ქართული თეატრის ისტორიისათვის (ავტოგრაფი). თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი. ხელნაწერთა და საარქივო ღოკუმენტთა ფონდი III. ხელნაწერი № 5127, № 2.

**ბერძენიშვილი 1965:** ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი II. თბილისი (1965).

**ბერძენიშვილი 1967:** ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი IV. თბილისი (1967).

**ბოცვაძე 1963:** თ. ბოცვაძე. საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.). თბილისი (1963).

**კაცელაშვილი 1997:** ი. ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა (მასალა ისტორიისათვის). თბილისი (1997).

**ენციკლოპედია “თბილისი” 2002:** ავალიშვილი ნიკო იაკობის  
ძე. ენციკლოპედია “თბილისი”. თბილისი (2002).

**მიქეაშვილი 1983:** თ. ბაგრატიონი. ახალი ისტორია. ტექსტი  
გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო  
ლ. მიქეაშვილმა. თბილისი (1983).

**დექბაძე 1973:** მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის საგარეო და  
საშინაო კითარება XVIII საუკუნის 60-იან წლებში. წიგნში:  
საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV. თბილისი  
(1973).

**იოსელიანი 1966:** ა. იოსელიანი. პატარა ბატონიშვილის  
შეთქმულებისადმი საიათოვას დამოკიდებულების  
საკითხისადმი. კრებული: “კავკასიის ხალხთა ისტორიის  
საკითხები”, თბილისი (1966).

**იოსელიანი 1980:** საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-  
XIX სს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები,  
შენიშვნები და განმარტებები დაურთო ა. იოსელიანმა. თბი-  
ლისი (1980).

**კიკნაძე 1997:** ა. ამილახვარი. ბრძენი აღმოსავლეთისა.  
გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ბიოგრაფიული  
ნარკვევი დაურთო ვ. კიკნაძემ. თბილისი (1997).

**ლომოური 1941:** დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია.  
ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა. თ. ლომოურის  
გამოცემა. თბილისი (1941).

**მაჭარაძე 1968:** ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე  
ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის  
ისტორიისათვის. ნაწილი II. თეიმურაზ მეორის ელჩობა  
რუსეთში. თბილისი (1968).

**ნინიძე 2004:** დ. ნინიძე. ბაგრატიონთა სამეფო სახლის  
განშტოებათა ისტორია (XIII-XVIII საუკუნეები). თბილისი  
(2004).

**პაიჭაძე, ჯაფარიძე 1974:** გ. პაიჭაძე, ვ. ჯაფარიძე. ქართული  
ისტორიული ძეგლები ქალაქ ახტარახანში. თბილისი (1974).

**რეხვიაშვილი 1989:** მ. რეხვიაშვილი. იმურეთის სამეფო (1462-1810 წწ.). თბილისი (1989).

**სიხარულიძე 1997:** ფ. სიხარულიძე. ალექსანდრე ბაქარის ძე, ენციკლოპედია “საქართველო”. ტომი 1. თბილისი (1997).

**ტუხაშვილი 1983:** ლ. ტუხაშვილი. რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში. თბილისი (1983).

**ქართული ხალხური პოეზია 1984:** ქართული ხალხური პოეზია. ტომი XI. ისტორიული ლექსები. ტომი შეადგინა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ქ. სიხარულიძემ. გამოსაცემად მოამზადეს, საძიებლები და ლექსიკონი დაურთეს დ. გოგოჭურმა და ვ. მაცაბერიძემ. თბილისი (1984).

**ცაგარეიშვილი 1981:** პ. ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბილისი (1981).

**ცაიშვილი 1955:** ს. ცაიშვილი. ნიკო ავალიშვილი. თბილისი (1955).

**ჭეიშვილი 1982:** ა. ჭეიშვილი. ერევნის ხანების მიერ საქართველოში გამოგ ზავნილი წერილები (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი). თბილისი (1982).

**ჭიჭინაძე 1900:** ზ. ჭიჭინაძე. საქართველოს შესახებ ეპროპელ მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები, კახტანგ მეფის წერილები საფრანგეთის მეფესთან, მეფე ერეკლეს მიწერ-მიწერა ინგლისის წარმომადგენელთან და ქართველი კათოლიკები. გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. ტფილისი (1900).

**ჭუმბურიძე 2005:** ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები. ფოტოტიპიური გამოცემა ზ. ჭუმბურიძის რედაქციით. თბილისი (2005).

**ხანთაძე 1983:** შ. ხანთაძე. მარკოზაშვილის დარბაზი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 6. თბილისი (1984).

**ხანთაძე 1984:** შ. ხანთაძე. პაატა ბატონიშვილი. პაატა ბატონიშვილის შეთქმულება. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 7. თბილისი (1984).

**ხუციშვილი 1997:** ს. ხუციშვილი. ავალიშვილი ნიკოლოზ აკობის ძე, ენციკლოპედია “საქართველო”. ტომი 1. თბილისი (1997).

**ჯავახიშვილი 2010:** ნ. ჯავახიშვილი. პაატა ბატონიშვილის შეთქმულების უცნობი ფურცლები, კრებული: “ქართული წყაროთმცოდნებობა”. ტომი XII. თბილისი (2010).

**АВПР 1751:** Архив внешней политики России. Ф. Сношения России с Грузией. Оп. 110/1, д. 14 (1751-1753 гг.).

**Думин 1996:** Дворянские роды Российской империи. Т. III. Князья. Под редакцией С. Думина. Москва (1996).

**Думин 1998:** Думин С. Гребельский П. Дворянские роды Российской империи. Т. IV. Князья Царства Грузинского. Под редакцией С. Думина и Ю. Чиковани. Москва (1998).

**Пирцхалайшвили 1970:** А. Пирцхалайшвили. Царевич Паата (сын царя Вахтанга VI-го). В сборнике: «Вопросы истории Грузии феодальной эпохи». Т. II. Тбилиси (1970).

**Сенатский архив 1895:** Сенатский архив. Т. 7. Протоколы Правительствующего Сената. Санкт-Петербург (1895).

## რეზიუმე

ქართლის (საქართველოს ცენტრალური ნაწილი) მეფის ვახტანგ VI-ის უმცროსი ვაჟის უფლისწულ პაატაას (1720-1765) შეთქმულება (1765) წარმოადგენს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად ცნობილ მოვლენას.

ნაშრომში, ისტორიულ წყაროების დაკვირვებით, დადგინდა, რომ შეთქმულების მონაწილეთა რაოდენობა იმაზე მეტი ჩანს, ვიდრე ეს ადრე იყო ცნობილი. შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ ბევრი დამააშავე სასტიკად დაისაჯა, მათი ნაწილი ფიზიკურად იქნა ლიკვიდირებული, ნაწილი – დასახიჩრებული, სხვებმა დაკარგეს

ტიტული, მიწები და გადასახლეს კახეთის (აღმოსავლეთ საქართველო) სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში – გარე კახეთის რეგიონში, ახლანდელი საგარეჯოს რაიონის ტერიტორიაზე.

*Niko Javakhishvili*

*Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**ON THE QUESTION OF ELUCIDATION OF THE PERSONALITY OF KARTLELI FEUDAL LORDS, INVOLVED IN THE CONSPIRACY OF THE PRINCE PAATA, THE SON OF VAKHTANG**


**SUMMARY**

Conspiracy (1765) of Prince Paata (1720-1765) – younger son of Vakhtang VI, King of Kartli (central part of Georgia), is one of the least known events of the period of the second half of XVIII th century in the history of Georgia.

According to the observation of historical sources it is ascertained in the presented work that the number of participants of the conspiracy, in fact, is higher than it had been previously known. After the failure of the conspiracy many perpetrators from the nobility were severely punished, part of them were fisically liquidated, part of them – mutilated, others lost their titles and lands and were exiled to south-west part of Kakheti (east part of Georgia) – Gare Kakheti region, in nowadays territory of Sagarejo district.

## რეცენზია

ელდარ მამისთვალიშვილი – 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დღიდი დავთარი. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. ს. ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ (წ. I, თბ., 2009 და წ. II, თბ., 2010).



და დაზუსტებისათვის. არის საინტერესო ცნობები აღმოსავლეთ საქართველოს ეთნიკური და დემოგრაფიული ვითარების შესასწავლად.

პირველ წიგნში შესულია ვაკუფ-ნამეს სრული ტექსტი, რომელიც აქამდე უცნობი იყო ქართულ ოსმანისტიკაში. ცნობილი იყო მხოლოდ თბილისის, გორისა და თრიალეთის ვაკუფები. ვაკუფი, როგორც გიორგი ფუთურიძეს აქვს განმარტებული, იყო „ქონება, რომელიც საქველმოქმედო მიზნით შეიწირებოდა. ვაკუფებს შეადგენდა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი, ან სულთნის, დიდი ფეოდალების, დიდგვაჭრებისა და საერთოდ, კერძო პირების მიერ შეწირული უძრავი და მოძრავი ქონება (საბაჟოს, ქარვასლის, მაღაროების, წისქვილის და სხვ.).

დოკუმენტი XVIII საუკუნის „ოსმალობის“ პერიოდის

აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიის უაღრესად საინტერესო წყაროა. მასში მოცემულია სრულიად ახალი მასალა აღნიშნული პერიოდის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, ონომასტიკური, ისტორიული გეოგრაფიის რიგი საკითხების ახლებურად გააზრებისა

სახნავ-სათესი მიწები), რომელიც ხმარდებოდა მეჩეთების, დერვიშთა სავანების, მედრესეების, საქველმოქმედო დაწესებულებების (უფასო სასადილოები, საავადმყოფოები) მშენებლობასა და შენახვას. ვაკუფების შემოსავლის დიდი ნაწილი მუსლიმურ სასულიერო წოდებას ხმარდებოდა. ვაკუფების ჩამორთმევა, მიტაცება, გაყიდვა აკრძალული იყო და მისი შერმოსავალი არ იბეგრებოდა“ (ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ., II, გამოკვლევა, კომენტარები, თბ., 1973, გვ. 138). პუბლიკაციიდან ჩანს, რომ თბილისის ვილაიეთში (ვილაიეთი – ქვეყნა, ოლქი. ყველაზე მსხვილი ადმინისტრაციული ერთეული ოსმალეთის იმპერიაში. მის სამხედრო და ადმინისტრაციულ საქმეებს განაგებდა ბეგლარ-ბეგი და ფაშის ტიტული ჰქონდა), ოსმალებს ქვეყნის დაპყრობიდან მცირე ხნის შემდეგ (1724-1727 წწ.), ენერგიულად მოუკიდიათ ხელი ვაკუფების შექმნისათვის. მათი გაგებით, ეს იყო უმნიშვნელოვანესი პირობა მართლმადიდებელი ქართველების გამუსლიმანება-გაოსმალებისათვის. ვაკუფების სიმრავლე, ნათლად ჩანს თბილისის ვაკუფ-ნამეში, რაც სერიოზულ ხითას უქმნიდა ქრისტიანი ქართველების თვითმყოფადობას თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოში. დოკუმენტში გამოკვეთილია მუსლიმი მოხელეების პრივილეგირებული მდგომარეობა.

ვაკუფების მფლობელნი იყვნენ მეჩეთების გამგებელნი და სხვა მუსლიმები, რომლებიც მუსლიმურ ადათ წესებს იცავდნენ და შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ მათს გავრცელებას. საქართველოში ფუძნდება ოსმალური ფეოდალური ინსტიტუტები და მათთან ერთად ჩნდება შესაბამისი ტერმინოლოგია. დავთარში დამოწმებულია ოცამდე ოსმალური გადასახადი და ვალდებულება, რომლებითაც დაბეგრეს მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა.

პროფ. ნ. შენგელიას მიხედვით, „იღევნება ყოველგვარი ქართული, ადგილობრივი მწარმოებელი საზოგადოება დაბეგრილია მხოლოდ ოსმალური გადასახადებითა და გალდებულებებით. მწარმოებელ საზოგადოებას არ ევალება ქართული გადასახადების გადახდა, იგი მხოლოდ ოსმალურ გადასახადებსა და ვალდებულებებზეა პასუხისმგებებლი. ხდება ადგილობრივი მოსახლეობის ოსმალურ ყაიდაზე რეორგანიზაცია... სრულიად შეცვლილია საქალაქო ცხოვრება XVIII საუკუნის 30-იანი წლებისათვის“ (გვ. 44).

1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ გვიჩვენებს, როგორ მუშაობდა ოსმალეთის სახელმწიფო ბიუროკრატიული მანქანა, როგორი იყო ამგვარი დოკუმენტის შედგენის პრინციპი.

დავთარის დასაწყისში მოცემულია გორის საყადიოში ანუ ყაზაში (ყაზა – 1. ყადის თანამდებობა. 2. ის ტერიტორია, რომელზეც ვრცელდებოდა ყადის უფლებები. სანჯაყში შემავალი ადმინისტრაციული ერთეული) შემავალი ნაპიების (ნაპიე – ქვეყანა, მხარე, ოლქი. XVI საუკუნიდან – სასამართლო-ადმინისტრაციული ერთეული) სოფლების სახელები და მათი გადასახადები თანხაში – ახჩაში (ახჩა – თეთრი. ოურქული ვერცხლის ფული... იხ. ევლია ჩელები, II, გვ. 132) გადაყვანილი (საციციანოს ნაპიე: სოფელი – 134, ახჩა – 1.449.462 (გვ. 60-62); პეტრეს ნაპიე: სოფელი – 41, ახჩა – 317.514 ახჩა გვ. 62); საამილახვროს ნაპიე გორის საყადიოში: სოფელი – 163, ახჩა – 3.132.171 (გვ. 62-64); შავი არაგვისა და ქსნის ერისთავის ნაპიე: სოფელი – 52, ახჩა – 496.410 (გვ. 64-65); მუხრანის ლიგა: სოფელი – 45, ახჩა – 451.200 (გვ. 65); თრიალეთის ნაპიე: სოფელი – 83, ახჩა – 585.827 (66-67); გომარეთის ნაპიე – სოფელი 17, ახჩა – 108.031 (გვ. 67); გუჯარეთის ნაპიე ექვემდებარება თრიალეთს: სოფელი – 16, ახჩა – 21.100 (გვ. 67);

ყაიყულის ნაპიე: სოფელი – 51, ახჩა – 620.822 (გვ. 67-68); ავლაბრის ნაპიე: სოფელი – 12, ახჩა – 96.600 (გვ. 68).

გორის საყადიოს წინშე ვალდებული იყო 614 სოფელი. დავთრის სარჩევში მოცემულია თითოეული სოფლის მოსახლეობაზე გაწერილი გადასახადების თანხა, რომლის საერთო რაოდენობა შეადგენდა 7.279.137 ახჩას.

შემდეგ მოდის თბილისის რაბათის დასახლებები (არსენალი, ქუჩუქ მთეს ეკლესია, ფეთხაინის ეკლესია, სიჰაკის ეკლესია, მუღანის ეკლესია, ნორაშენის ეკლესია, შიბინ გურჯანის ეკლესიის რიგი, კირთაკის ეკლესია, ჯიგრაშენის ეკლესია, სუთიმშაპის ეკლესია, ანჩისხატის საკათალიკოსოს ეკლესია, ხარჯი შაღურის კარისა, ვანქის ეკლესია, სუსარქიზის ეკლესია, კუდრას ეკლესია, ალექ კალემის ეკლესია საპრას გზაზე, ამოს ეკლესია), თითოეულს ახლავს დასახლების გადასახადის გადამხდელი მამაკაცების სახელების ჩამონათვალი. ამას მოსდევს თბილისის რაბათის ყველა გადასახადის დასახელება და თითოეულის ჯამური თანხა (გვ. 117-131). თბილისის ვილაითში შემავალი ნაპიების შესახებ ცნობები მოცემულია დავთრის მეორე ტომში.

აღმოსავლეთ საქართველოს ნაპიების მხოლოდ ჩამოთვლაც კი, რომელთა შესახებ 1728 წლის „თბილისის ვილაითის დიდი დავთარში“ არის ცნობები, ნათელს ხდის როგორი უზარმაზარი მნიშვნელობის საისტორიო წყაროსთან გვაქვს საქმე.

I ტომი განსაკუთრებით საყურადღებო ცნობებს შეიცავს გორზე, როგორც ოსმალური პერიოდის აღმინისტრაციულ და „გორის ყადის“ სარეზიდენციო ქალაქზე. ამიტომაც არის, რომ დასახელებულ ტომი თითქმის მთლიანად ეთმობა „გორის ლივას (სადროშო)“ (გვ. 132-523). როგორც ითქვა, გორის ლივა იყოფოდა რამდენიმე ნაპიედ, ჰაპიები კი სოფლებად. დავთარში მოცემულია თითოეული სოფლის გადასახადის გადამხდელთა სახელები, მათი რაოდენობა და

მოვალეობები: საციციანოს ნაპიე – 3.443 კაცი (გვ. 132-224), პეტრეს (ბორჯომის ხეობა) ნაპიე – 1.035 კაცი (გვ. 225-252), ამილაზვრის ნაპიე – 6.540 (გვ. 253-410), შავი არაგვისა და შანშეს ნაპიე – 675 კაცი (გვ. 411-438), ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად არის გორის რაბათი – 448 კაცი (რაბათი – ციხის გარეუბანი, რომელიც გალავნით იყო შემოზღიდული. გვ. 439-449), მუხრანის ნაპიე – 33 (გვ. 450-456), თრიალეთის ყაზა – 1479 (გვ. 457-506), გომარეთის ნაპიე – 414 (გვ. 507-517), გუჯარეთის ნაპიე – 122 კაცი (გვ. 518-523), ყაიყულ ყაზა-თბილისის ლივა – 1467 (გვ. 524-563).

ოსმალო მოხელეებმა გორის ლივაში სულ აღრიცხეს გადასახადის გადამხდელი 15.534 მამაკაცი.

II ტომში წარმოდგენილია თბილისის ვილაიეთის შემდეგი რეგიონები: საბარათიანოს ნაპიე (გვ. 34-187), ბაიდარის ნაპიე (გვ. 188-220), თიმურჯი ჰასანლუს ნაპიე თბილისის ყაზაში (გვ. 221-261), სომხითის ლივის ნაპიე (გვ. 262-353), ტაშირის ნაპიე (გვ. 354-363), ფანბაკის ნაპიე (გვ. 364-389), ახჩა ყალას ლივა (გვ. 390-411), კაზაკის ლივა/ანჩას ნაპიე (გვ. 412-420), ჯავადის ნაპიე (გვ. 421-438), აჭაბადის ნაპიე (გვ. 439-456) და თერქის ნაპიე (გვ. 457-460).

1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ პირველ წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი გორის ლივაში შემავალ ნაპიებს (გვ. 132-563). იმისათვის რათა თვალსაჩინო გახდეს თუ როგორ ძვირფას ინფორმაციას შეიცავს დავთარი, მოკლედ განვიხილავ ზოგიერთ ცნობას „გორის რაბათის“ შესახებ.

დავთრის მიხედვით, გორის რაბათი რამდენიმე დასახლებისაგან შედგებოდა: გივის დასახლება (ალბათ, იგულისხმება ოსმალების წინააღმდეგ მებრძოლი გივი ამილაზვარი, რომელიც გორის მოურავი იყო დავთრის

შედგენის დროს ოსმალებთან დროებით შერიგებული ჩანს. სავარაუდოა ეს დასახლება იყო ქალაქის გალავნის გარეთ, იქ სადაც 1803 წლის გორის გეგმის მიხედვით, დღევანდელი IX საჯარო სკოლასა და სასტუმროს შორის ტერიტორიაზე იდგა ეწ. ამილახვრების ეკლესია. როგორც დავთარი გვეუბნება, იქვე უნდა ყოფილიყო დასახლებაც (დაფიქსირებულია 82 მამაკაცი); როსთომის დასახლება – იგულისხმება როსტომ მეფის მიერ გაშენებული უბანი (აღრიცხულია 50 მამაკაცი); ვარდის უბანი. უნდა იგულისხმებოდეს გალავნის შიგნით, ციხის ბორცვის სამხრეთი ფერდობის მოსახლეობა. იგი ერთ-ერთი უძველესი იყო გორის უბნებს შორის. მას პირველად შევხვდი 1660 წლის 1 მაისის წყალობის წიგნში... ამ უბანში აღრიცხულია 60 მამაკაცი; კირნაქის (კვერნაქის) დასახლება, სავარაუდოა, ამ დასახლებაში ტინისხიდი იგულისხმება (აღრიცხულია 36 მამაკაცი); ყოვლადწმინდას დასახლება (აღრიცხულია 54 მამაკაცი). ეს უნდა ყოფილიყო ის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ის დასახლება, რომელიც ქალაქის გალავნის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა, ე. წ. გარეთუბანი; დაბოლოს ფარსადანის დასახლება (167 მამაკაცი), დავთარში შეყვანილი მამაკაცების საერთო რიცხვი 449 იყო, ისინი მტკიცედ დადგენილი გადასახადის – 120 ახჩის გადამხდელები იყვნენ. მათ ყოველწლიურად ხაზინაში შეჰქონდათ 53 760 ახჩა.

დავთარში საინტერესო ცნობებს ვნახულობთ გორის რაბათში არსებულ, საქალაქო ცხოვრების აუცილებელ, ატრიბუტებზე.

საეჭვოა, ოსმალების ბატონობის დროს, გორში, ეკლესიების ფუნქციონირება. ამას მაფიქრებინებს დავთარში აღნიშვნა იმისა, რომ: „წინანდელ ეკლესიაში ვაკუფია“ (გვ. 447), ან კიდევ ჩემთვის ბუნდოვანი ფრაზა: „ეკლესის გუმბათის ოდენობა“ და არაფერია თვით ეკლესიების შესახებ. (იქვე, გვ. 448).

სამაგიეროდ აღნიშნულია, რომ გორის ციხეში „ორი პატიოსანი ჯამეა“ (ჯამე – საკრებულო მეჩეთი, რომელშიც საპარასკევო და სადღესასწაულო ლოცვა იმართებოდა. უბნების მცირე მეჩეთების მრევლი პარასკევობით ჯამეში იყრიდა თავს და იქ ლოცულობდა. ევლია ჩელები, II, გვ. 174). მაშასადამე, სავარაუდოა, რომ ჯამების გარდა გორსა და მის რაბათში სხვა, მუდმივ მოქმედი მუსლიმური სალოცავებიც იყო. ასევე საყურადღებოა და გარკვევას მოითხოვს დავთრის შემდეგი ადგილი: „ვაკუფი ჯამი შერიფისა გორის ციხეში, აშენებული წარჩინებულთა და უდიდებულესთა იუსუფ ბეგის დიდებული ვეზირის ისპაკ ფაშას მიერ“ (გვ. 449).

ვეზირი ისპაკ ფაშა, „თბილისში წარჩინებულთა შორის უდიდებულესი“, რომელიც იმავ დროულად ვეზირადაც მოიხსენიება, არის ახალციხის ფაშა, რომელიც განაგებდა თბილისის ვილაიეთსაც. როგორც ცნობილია, XVI საუკუნის ბოლოდან თითქმის ყველა ვილაიეთის გამგებელი ვეზირის ტიტულს ატარებდა.

გორში იყო 2 აბანო: ერთი „აბანოს მფლობელი დიდებული იუსუფ ბეგის ძეა, იგი დიდებული ვეზირ ისპაკ ფაშას ხელშია ერთი თვალი“. ეს აბანო ციხეში მდებარეობდა (იქვე, გვ. 447-448). მეორე „აბანო გორის რაბათთან, ერთი თვალი, იჯარით, სრული წლით, რაბათთან“ (იქვე, გვ. 449). დავთრის ეს ცნობები აბანოს შესახებ, შესაძლებელს ხდის დავაზუსტოთ გორში აბანოების რაოდენობა და მდებარეობა.

განსაკუთრებით საინტერესოა დავთრის ცნობა გორში „მტკვარზე გადებულ გადასასვლელ ხიდზე“, რომელზეც დადგენილი იყო გადასახადი 2.000 ახსა (გვ. 448). ამ ცნობის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ აქამდე მხოლოდ ის ვიცოდით, XVII ს. დასაწყისში ტერტერამ რომ ხიდი აყარა და გორს მტრის თავდასხმა ააცილა. შემდგომ პერიოდში

გორთან მტკვარზე ხიდის არსებობაზე არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია, ხიდი არ ჩანს გორის 1802 წლის გეგმაზე.

გვაქვს ორიოდე ცნობა გორის ბაზრის შესახებ. თუ ადრინდელი ცნობების ანალოგით ვიფიქრებთ, იგი შედგებოდა 126 დუქნისაგან („დუქნების თვალი 126“). გორის ბაზარზე დაწესებული ბაჟი 1000 ახჩას შეადგენდა (გვ. 447-148). დავთარში ცალკეა აღნიშნული „გორის რაბათის დუქნები, თვალი 3, იჯარით, ჯამი წელიწადში სრულად 1440“ (გვ. 449).

გორი თავისი ხელსყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, უძველესი დროიდან გამოირჩეოდა წისქვილების სიმრავლით. დავთარი საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ ზოგიერთი მათგანის კუთვნილება, რაოდენობა და მდებარეობა: „წისქვილი გორგიჩას ხელში ორი თვალი“; „წისქვილი ავთანდილას ხელში ორი თვალი“; „წისქვილი გენება ოპანის ძის ხელში ორი თვალი“; „წისქვილი გივი რამაზის ძის ხელში, თვალი 2“; „ორი თვალი წისქვილი ამჯერად აბდალლაჭ იუზბაშის მფლობელობაშია“; „წისქვილი თვალი 2“; „წისქვილი თუმან მჭვდლის ხელში, თვალი 3“; „ფარსადანის ხელთ არსებული წისქვილის თვალი იყო 2“; „თარჯიმან ფარსადანის ხელთ არსებული წისქვილის თვალი იყო ორი“; „წისქვილი დოლმაზისა ორი თვალი“; „ავთანდილის ხელთ არსებული წისქვილის თვალი 2“; „სულხანის ძის ხელთ არსებული წისქვილის თვალი 3“; „უწინდელი ბალი ავთანდილის ხელთ არსებული გაუქმებულია. მისი საზღვარია ერთის მხრივ მდინარე ხარუფი (?), მეორეს მხრივ მდინარე ფშანი და ერთის მხრივაც წისქვილი ავაქისა“; „წისქვილი თვალი 4“; „წისქვილი თვალი 26 სრული წლით, გადასახადი 2960“.

„გორის მცხოვრებთა XVIII ს. პირველი ათეულების დავთარში“ (ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძეგლებ, I, გვ. 256-265), რომელიც თბილისის

ვილაიეთის დიდი დავთრის თითქმის თანადროულია, გორში ასახელებს ერთ სამღებროს, მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელში ჩაწერილია „შემოსავალი სამღებროებიდან 600“ (იგულისხმება 600 ახჩა. გვ. 448), რაც ერთზე მეტ სამღებროზე მიგვანიშნებს.

დავთარში დასახელებული არიან ის ადამიანები, ვინც გორის რაბათში სოფლის მეურნეობას მისდევდნენ და ფლობდნენ მიწის ნაკვეთების გარკვეულ ფართობს: ბალის მფლობელი – 43, ვენახის – 7, ბოსტნის – 7, ველის კი – 32.

გორელები იმ ყველაფრის ფლობისა და მოხმარებისავის, რაც აღვნიშნე, გადასახადის სახით სულთნის ხაზინას უხდიდნენ 172.420 ახჩას.

ასეთია „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარის“ ქართული თარგმანის მოკლე შინაარსი და მასში დაცული ის ზოგიერთი სიახლე, რომლებიც ქართულმა დოკუმენტებმა არ შემოგვინახეს.

აღნიშნულ პუბლიკაციასთან დკავშირებით მინდა შევნიშნო:

1. სასურველია წიგნისათვის დართულ გამოკვლევაში აღნიშნულიყო დამპყრობლების მიერ შემოღებული მრავალი ახალი გადასახადების პარალელურად მოქმედებდა თუ არა ტრადიციული–ქართული სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადები, თუ მათი ჩანაცვლება მოხდა წიგნში დასახელებული ახალი გადასახადებით.
2. სასურველი და, შეიძლება ითქვას, აუცილებელია ამგვარ მნიშვნელოვან წიგნს ჰქონდეს სახელთა საძიებელი.
3. წიგნს შენიშვნების სახით ერთვის ქართველი მკითხველისათვის ნაკლებად ცნობილი ზოგიერთი ოსმალური ტერმინის განმარტება, მაგრამ ახსნის გარეშე დარჩა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი.

## ინფორმაცია

### სტორიისა და არქეოლოგის ცენტრის სტატიების სტილის შესახებ

ავტორებს ვთხოვთ სტატიები წარმოადგინონ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო პუბლიკაციების მიხედვით (ჩვენს მიერ შეტანილი მცირეოდენი ცვლილებებით):

1. ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ან უცხოურ (ინგლისურ, რუსულ ან გერმანულ) ენაზე Microsoft Word-ის დოკუმენტის სახით (A4 ფორმატში); ქართულენოვანი ნაშრომისათვის სავალდებულოა LitNusx შრიფტის, ხოლო უცხოურენოვანი ნაშრომისათვის Times New Roman შრიფტის გამოყენება;

2. ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ვერსიით შემდეგ ელ-ფოსტის მისამართზე eldarmamistvalishvili@rambler.ru

3. ნაშრომს უნდა ახლდეს:

ა) თავფურცელი, რომელშიც მითითებული იქნება ავტორის სახელი, გვარი, სტატუსი და საკონტაქტო კოორდინატები;

ბ) რეზიუმები ქართულ და ინგლისურ ენებზე (თითოეული რეზიუმეს მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას);

4. დამოწმებანი (დამოწმებული ლიტერატურის ნუსხა) სტატიას უნდა ერთვოდეს ბოლოში;

5. ნაშრომი მოცულობა რეზიუმებისა და დამოწმებებით უნდა იყოს არა უმეტეს თხუთმეტი და არანაკლებ ხუთი გვერდისა;

6. ნაშრომი გაფორმებული უნდა იყოს შემდეგნაირად:

ა) ნაშრომის სათაური (იწერება შუაში);

ბ) ნაშრომის ტექსტი;

გ) დამოწმებანი;

დ) რეზიუმები;

ე) ოთხივე მხრივ დატოვებული მინდორი 2 სმ;

3) ნაბეჭდი ტექსტის შრიფტის ზომა—LitNusx 11, ინტერვალი - 1;

7. ჟურნალში მიღებულია ევროპული სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული ციტირებისა და მითითების წესი „ლიტერატურის ინსტიტუტის სტილი“ (ლისტ).

მისი მოთხოვებია:

8. მოტანილი ციტატა მირითადი ტექსტისგან გამოიყოფა ბრჭყალებით („,“) ციტირების დასასრულს, მრგვალ ფრჩხილებში, დაისმის ინდექსი, რომელშიც აღნიშნულია ციტირებული ტექსტის ავტორის გვარი, ტექსტის გამოქვეყნების წელი, შემდეგ — ორწერტილი და გვერდი. მაგალითად: (აბაშიძე 1970:25); იხ. დანართში წარმოდგენილი ნიმუში;

9. დამოწმებანი (დამოწმებული ლიტერატურის ნუსხა) უნდა დალაგდეს ინდექსის მიხედვით, ანბანური რიგით და დაიბეჭდოს გარკვეული წესით (დაწვრილებით იხ. დანართის ცხრილი).

10. სტატიის ავტორის ვრცელი განმარტებანი ინომრება და ინაცვლებს ტექსტის ბოლოს რეზიუმეს წინ:

სტატიის ავტორის მცირე შენიშვნები აღინიშნება გარსკვლავით და ჩაიტანება გვერდის ბოლოს, სქოლიოში.

11. ავტორი პასუხისმგებელია დასაბეჭდად წარმოდგენილი ნაშრომის ლიტერატურულ სტილსა და მართლწერაზე.

12. შემოსული სტატია რედკოლეგიის გადაწყვეტილებით შეიძლება გადაეცეს სარეცენზიოდ ანონიმურ ექსპერტს.

13. შემოსული მასალების განხილვის შემდეგ, დამატებითი მითითებებისათვის, რედაქცია დაუკავშირდება დასაბეჭდად შერჩეულ ნაშრომთა ავტორებს.

14. ავტორს, განსაზღვრული ვადით (არა უმეტეს ათი დღისა), კორექტურისათვის ეძლევა ნაშრომი. თუ დადგენილ ვადაში სტატია არ იქნება დაბრუნებული, რედაქცია უფლებას იტოვებს შეაჩეროს იგი ან დაბეჭდოს ავტორის ვიზის გარეშე.

## ცხრილი

მონაცემის ტიპი	დამოწმებული ლიტერატურის ნუსხის (დამოწმებანის) ფორმა ინდექსის მიხედვით Bibliography Form
წიგნი, ერთი ავტორი  Book, one author	<p><b>აბაზიძე 1970:</b> აბაზიძე კ. ეტიუდები XIX ს.-ის ქართული ლიტერატურის შესახებ თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1970</p> <p>Weiss, Daniel A. <i>Oedipus in Nottingham: D.H. Lawrence.</i> Seattle University of Washington Press, 1962.</p>
წიგნი, ორი, ან მეტი ავტორი  Book, two authors	<p><b>კველიძე ... 1975:</b> კველიძე კ., ბარამიძე ა. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975.</p> <p><b>ნათაძე ... 1994:</b> ნათაძე კ., პეტრიაშვილი ვ., ნაკაშიძე ბ. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან. ქუთაისი: გამომცემლობა „განთიადი“, 1994.</p> <p>Houghton, Walter E., and G. Robert Strange. <i>Victorian Poetry and Poetics.</i> Cambridge Harvard University Press, 1959</p>
ყოველთვიური ჟურნალის ან სხვა ტიპის პერიოდული გამოცემის სტატია  Article in a journal or magazine published monthly	<p><b>ალექსიძე 1992:</b> ალექსიძე ზ. „ქართველ ებრაელთა“ საღმრთო მისა საქართველოს სამოციქულო კლუბის თვალთახედვით ჟ. ივერია. ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი, 1, 1992.</p> <p><b>სომერი 1988:</b> Sommer, Robert. <i>The</i></p>

		<i>Personality of Vegetables: Botanical Metaphors for Human Characteristics.</i> Journal of Personality 56, no. 6 (December) 1988.
წიგნი, ავტორის გარეშე  Book, no author given	საბიბლიოთული საქმია ორგანიზაცია და მართვა. გამოიცემლობა „აჭარა“ 1989  <i>საბიბლიოთული ... 1989:</i>	<i>New Life Options: The Working Women's Resource Book.</i> New York: McGraw-Hill, 1976.
დაწესებულება, ასოციაცია და მისთანანი, ავტორის პოზიციით  Institution, association, or the like, as "author"	<i>ამერიკი ამერიკის ბიბლიოთეკათა ასოციაცია.</i> ... 1995: ორგანიზაციის სახელმძღვანელო ცნობარი დ. 1995/1996 წლის წევრთა ცნობარი. ჩიკაგო: ამერიკის ბიბლიოთეკათა ასოციაცია, 1995  <i>ამერიკი American Library Association. ALA Handbook of</i> ... 1995: <i>Organization and 1995/1996 Membership Directory.</i> Chicago: American Library Association 1995.	
რედაქტორი, ან კომპილატორი, ავტორის პოზიციით  Editor or compiler as "author"	დუდუჩავა დუდუჩავა მ. (რედაქტორი). 1975: <i>ლიტერატურის თეორიის მცირე ლუქსიკონი.</i> თბ.: გამოიცემლობა „ნაკადული“, 1975.	<i>ჰენდერსონ Henderson, J.N.D. (editor). The World's Religions.</i> London: Inter-Varsity Fellowship, 1950.
ელექტრონული დოკუმენტი ინტერნეტიდან  Electronic document: From Internet	<i>მიტჩელი 1995:</i>	მიტჩელი, ულიამ ჯ. ბიტების ქალაქი: სიცრცე, ადგილი და საინფორმაციო ნაკადი [თხ-ლაინ წიგნი] (კემბრიჯი: გამომც MIT Press, 1995, განთავსებულია 29 სექტემბრიდან, 1995); მის.: <a href="http://www.mitpress.mit.edu:80/City_of_Bits/Pulling_Glass/index.html">http://www.mitpress.mit.edu:80/ City_of_Bits/Pulling_Glass/ index.html</a> ; Internet.

	<b>მიტჩელი 1995:</b> Mitchell, William J. <i>City of Bits: Space, Place, and the Infobahn</i> [book on-line]. Cambridge, MA: MIT Press, 1995, accessed 29 September 1995; available from <a href="http://www-mitpress.mit.edu:80/City_of_Bits/Pulling_Glass_index.html">http://www-mitpress.mit.edu:80/City_of_Bits/Pulling_Glass_index.html</a> ; Internet.
ენციკლოპედია, ლექსიკონ  Encyclopedia, Dictionary	<b>ვებსტერი 1961:</b> ვებსტერის ახალი საუნივერსიტეტო ლექსიკონი. სპრინგფილდი MA: G. & C. Merriam, 1961  <b>ვებსტერი 1961:</b> <i>Webster's New Collegiate Dictionary</i> . Springfield: MA: G. & C. Merriam, 1961.
ინტერვიუ (გამოუქვეყნებელი) საავტორო ხელნაწერი  Interview (unpublished) by writer of paper	<b>მორგანისი 1996:</b> მორგანისი, ნენსი დ. ინტერვიუ ავტორთან, 16 ივნისი 1996, ფოლ რივერა, მასაჩუსეტსი, ჩანაწერი  <b>მორგანისი 1996:</b> Morganis, Nancy D. <i>Interview by author</i> , 16 July 1996, Fall River, MA. Tape recording.
საგაზეთო სტატია  Newspaper article	<b>ნიუ იორკ ტაიმსი 1990:</b> „მარიოტის კორპორაციის პროფილი“, გაზ. ნიუ იორკ ტაიმსი, 21 იანვარი 1990, ჩან. II, გვ. 5.  <b>ნიუ იორკ ტაიმსი 1990:</b> "Profile of Marriott Corp." <i>New York Times</i> , 21 January 1990, sec. III, p. 5.
ყოველკვირეული ჟურნალის სტატია  Article in a magazine published weekly (or of	<b>ნაითი 1990:</b> ნაითი რ. პოლონეთის შინაომები. ქ. აშშ-ის სიახლენი და მსოფლიოს ცნობები, 10-17 სექტემბერი, 1990.

general interest)	<b>ნაითი 1990:</b> Knight R. <i>Poland's Feud in the Family</i> . U.S. News and World Report, 10-17 September, 1990
თეზისები, ან სადისერტაციო ნაშრომის დასკვნები (დებულებები)  Thesis or dissertation	<b>ფილოპსი 1962:</b> ფილიპსი, ო. ოვიდიუსის ზეგავლენა ლუკანის ზეპუ საზოგადოებაზე. საღოქტორო დისერტაცია, ჩიკაგოს უნივერსიტეტი, 1962.  <b>ფილოპსი 1962:</b> Phillips, O. <i>The Influence of Ovid on Lucan's Bellum Civile</i> . Ph.D. diss., University of Chicago, 1962.

\* ერთსა და იმავე წელს გამოცემული რამდენიმე ნაშრომი (ცალკე ან თანაავტორობით) ან ერთი და იგივე ნაშრომი (გაგრძელებებით) რამდენიმე ნომერში მიეთითება ანბანური რიგით. მაგალითად: (აბაშიძე 1987ა: 21), (აბაშიძე 1987ბ: 87).